

ნოდარ დასასანია

ბისმარკი

კონსტიტუციონალი და დიპლომატი



ნოდარ დარსანია

ბისმარკი - პოლიტიკოსი და  
დიპლომატი

თბილისი  
2016

## ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია XIX საუკუნის II ნახევარში, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის, დიპლომატისა და პოლიტიკოსის, გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. წარმოჩენილია მისი როგორც პოლიტიკური და დიპლომატიური ორთაბრძოლების დიდოსტატის, პოლიტიკური კომბინაციების უზადლო ხელოვანის, პრაგმატული სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური პორტრეტი და მისი ბიოგრაფიის მეტად საინტერესო დეტალები. შესაბამისად, გაშუქებულია მისი ღვაწლი, როგორც გერმანიის იმპერიის შემოქმედისა.

წიგნი გათვალისწინებულია უმაღლესი სკოლის პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის, მათთვის, ვინც დაინტერესებულია XIX საუკუნის \* გერმანიის განვითარების პრობლემებით.

რედაქტორი - ვაჟა ჩოჩია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საავტორო უფლებები დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს კოპირებული და გამრავლებული ნებისმიერი სახით ავტორის წერილობითი თანხმობის გარეშე.

© გამომცემლობა შპს „დანი“

ISBN 978-9941-0-8181-1

## შესავალი

XIX საუკუნის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა საკმაოდ ხშირად და სიღრმისეულად იცვლებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ევროპაში. XIX საუკუნის დასაწყისში (1814-1815 წწ.) ვენის კონგრესმა<sup>1</sup> შეძლო ხაზი

---

<sup>1</sup> საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მოიწვიეს ევროპის მოწინავე სახელმწიფოებმა. ნაპოლეონ ბონაპარტეს დამარცხების შემდეგ ჩატარდა ვენაში (1814-IX-1815-V). მასში მონაწილეობდა ევროპის სახელმწიფოების (გარდა ოსმალეთისა) 216 წარმომადგენელი. კონგრესზე წამყვან როლს ასრულებდნენ რუსეთი (ალექსანდრე I, კ. ნესელროდე, ა. რაზუმოვსკი), დიდი ბრიტანეთი (რ. კასლრი, ა. ველინგტონი), ავსტრია (ფრანც I, მეტერნიხი), პრუსია (ჰარდენბერგი და ჰუმბოლდტი). დამარცხებული საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ტალიერანი. ვენის კონგრესის მთავარი მიზანი იყო: საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების შედეგად ლიკვიდირებული ფეოდალური წყობილების და მთელი რიგი დამხოზილი „კანონიერი“ (ლეგიტიმისტური) დინასტიების აღდგენა; რევოლუციისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა; ევროპის ხელახალი გადანაწილება გამარჯვებულ სახელმწიფოთა ინტერესების შესაბამისად; სახელმწიფოთა შორის ახალი საზღვრების დადგენა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4. თბ., 1979. გვ. 363).

გადაესვა ყველა იმ ცვლილებისათვის, რომლებიც შედეგად მოჰყვა საფრანგეთის რევოლუციურ ომებსა და ნაპოლეონის ლაშქრობებს. ამან, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც განამტკიცა ფეოდალურ-არისტოკრატიული პოლიტიკური სისტემის ბატონობა. მათ მიერ შექმნილი სისტემა უკიდურესად ეწინააღმდეგებოდა კაპიტალისტურ განვითარებასა და ევროპის ხალხების ეროვნულ-გამაერთიანებელ მოთხოვნებს, მისწრაფებებსა და მიზნებს. უკვე 1830 წელს, ვენის კონგრესის მიერ შექმნილ ნიდერლანდების სამეფოს გამოეყო ბელგია, რომელიც შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. მიუხედავად იმისა, რომ, ვენის კონგრესის მიხედვით, შენარჩუნდა იტალიის დაქუცმაცებულობა, 1870 წელს, ის გახდა ერთიანი სახელმწიფო. მეორე უდიდესი ცვლილება, რაც მოხდა ევროპის რუკაზე, ეს იყო გერმანიის გაერთიანება.

ცნობილია, რომ ერების ფორმირება, ერთიანი-გაერთიანებული სახელმწიფოების წარმოქმნა, მათი ტერიტორიების, კულტურული ერთობის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თანდათანობით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამასთანავე, სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვნად. მაგალითად, თუ ინგლისში ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრება მოხდა რევოლუციის გამარჯვებით XVII საუკუნეში, საფრანგეთში ეს დაგვირგვინდა

დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით 1789 წელს. ნაციონალური გაერთიანების პროცესი იტალიაში 1870 წელს დამთავრდა, ხოლო გერმანიაში კი კიდევ უფრო მოგვიანებით, 1871 წელს დასრულდა.<sup>1</sup>

კაპიტალისტური განვითარების კანონზომიერი პროცესი გარდაუვალს ხდიდა პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციას გერმანიაში. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის 60-იანი წლები მეტად კრიტიკული და გარდამტეხი აღმოჩნდა გერმანიის ისტორიაში. გერმანიის გაერთიანების საკითხი კვლავ ცენტრალურ პრობლემად იქცა, რაც განპირობებული იყო მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლით დაქუცმაცებული გერმანიის ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის. იმდროინდელ გერმანულ საზოგადოებაში არსებული სოციალური ჯგუფებისა და კლასობრივ ძალთა განლაგებიდან გამომდინარე, ეს გაერთიანება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორი გზით: 1. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საშუალებით, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სრულიად გერმანული რესპუბლიკის შექმნა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ურთიერთობების დამყარება; 2. პრუსიის მილიტარისტული, დინასტიური ომების შედეგად, რომელიც, რასაკვირველია,

---

<sup>1</sup> И.С. Галкин Создание германской империи (1815-1871) , М.1986. с. 3.

განამტკიცებდა პრუსიული მემამულეების-იუნკრების ბატონობას და მათ დამპყრობლურ პოლიტიკას გერმანიაში.

ამ პერიოდში გერმანიის გაერთიანება რევოლუციური გზით, ე. ი. „ქვემოდან“, და სრულიად გერმანული ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნა, ვერ მოხერხდა. ვერ განხორციელდა იგი გერმანული ბურჟუაზიის სისუსტისა და უუნარობის გამო. საჭირო იყო, რომ ბურჟუაზია, 1848 წელს, სათავეში ჩასდგომოდა რევოლუციურ მოძრაობას და საერთო გერმანული საქმე გამარჯვებით დაეგვირგვინებინა. ამდენად, გერმანიის გამთლიანება პრუსიის ჰეგემონობით მოხდა „ზემოდან,“ აგრესიული ომების მეშვეობით. ის, რაც განახორციელეს პრუსიელმა იუნკრებმა, წარმოადგენდა პოლიტიკური გადატრიალების თავისებურ რევოლუციას „ზემოდან“<sup>1</sup>, რომელმაც ერთი დაშნის დარტყმით გადაწყვიტა 1848 წლის დაუმთავრებელი გერმანული ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითადი პოლიტიკური ამოცანა-დაქსაქსული ქვეყნიდან ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა.

გერმანელი ერის ისტორიაში, ამ მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის დაგვირგვინებაში მონაწილე თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ გერმანელ პოლიტიკოსსა და

---

<sup>1</sup> Б.Г. Ревуненков, Приход Бисмарка к власти. Л., 1941, с. 3.

დიპლომატს ოტო ედუარდ ფონ ბისმარკ - შენჰაუზენს (1815. 01. 04-1898.30.07). მან თავისი ტიტანური ენერგიით, მტკიცე ნებისყოფით, განსაკუთრებული ანალიტიკური აზროვნებით და პოლიტიკური გამჭრიახობით ერთ აუწერელი ამაგი დასდო გერმანელი ხალხის საშვილიშვილო მონაპოვარს - გერმანული სახელმწიფოს აღორძინებას.

ოტო ედუარდ ფონ ბისმარკი 1862 წლიდან 1890 წლამდე სათავეში ედგა ჯერ პრუსიის მთავრობას, ხოლო 1871 წლიდან, გერმანიის იმპერიის გამოცხადებიდან, იმპერიის მთავრობას. გარდა გერმანიის გაერთიანებისა, მის სახელს უკავშირდება, ასევე საერთო ევროპული პოლიტიკის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენები. მაგალითად, ვენის კონგრესის მიერ ევროპაში დამყარებული სისტემის ნგრევა, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში ნაპოლეონ მესამემ დაიწყო, ბისმარკმა კი დაამთავრა. ჯერ კიდევ ახალგაზრდულ წლებში მან 1848 წლის „ლიბერალური რევოლუციის“ არქიმოწინააღმდეგის სახელი დაიმკვიდრა და გაჰყვიროდა: „ სახრჩობელა დღის წესრიგში უნდა იყოს“. საერთოდ, კარიერის დასაწყისში, ბისმარკი უფრო დაკავებული იყო იმით, რომ ანგრევედა იმ სამყაროს, სადაც მეტერნიხისეული პრინციპები ბატონობდნენ.<sup>1</sup> სწორედ

---

<sup>1</sup> ა. მენთეშაშვილი, მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, თბ., 2000, გვ., 175



მეტერნიხისთვის იყო ხელსაყრელი გერმანული მიწების 38 პოლიტიკურ ერთეულად (34 სახელმწიფო და 4 თავისუფალი ქალაქი) დაყოფა. პრუსია სწორედ მეტერნიხმა<sup>1</sup> თავის უმცროს პარტნიორად გადააქცია, ვიდრე, მოგვიანებით, დიპლომატიურ სარბიელზე ბისმარკი არ გამოჩნდა.

აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკოსთა და დიპლომატთა პლეადაში, რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს ბედ-იღბალზე, ბისმარკს უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი, ისტორიკოსი ა. აბუში: „ბისმარკი წარმოადგენდა უდიდეს, ჭეშმარიტად ერთადერთ გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეს, როგორც ოდესმე წამოუყენებია რეაქციულად მართულ გერმანიას“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> მეტერნიხი კლემენს ვენცელ ლოთარ (1773-1859) 1809-1821 წწ. საგარეო საქმეთა მინისტრი და ავსტრიის მთავრობის ფაქტობრივი ხელმძღვანელი, 1821-1848 წწ. კანცლერი. მან დიდი როლი ითამაშა ვენის კონგრესის მუშაობაში. 1815 წლის იანვარში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა საიდუმლო ხელშეკრულებას რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. ვენის კონგრესის შემდგომ მიღებულ სისტემას მეტერნიხის სისტემას უწოდებენ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბ. 1983. გვ. 614).

<sup>2</sup> А. Абуш Ложный путь одной нации. К пониманию германской истории М 1962. с 174.

უდიდესი ძალისხმევა, შეუპოვრობა და შეურიგებლობა იუნკრობის მტრების წინააღმდეგ შეადგენდა ბისმარკის პოლიტიკური ანატომიის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებას, რომელიც მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თან გაჰყვა. ბრძოლა იუნკრების პრივილეგიებისა და ძლიერი სამეფო ხელისუფლებისათვის სამუდამოდ იქცა მის უპირველეს მოვალეობად. მიუხედავად ამისა, ბისმარკის შეხედულებებმა ამ ბრძოლაში რამდენადმე ცვლილებები განიცადეს, იმდენად, რომ რაღაც 10 წლის შემდეგ პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოდის სრულიად სხვა ბისმარკი, ბრძოლის ახალი იდეებითა და განსხვავებული ტაქტიკით შეიარაღებული.

აქედან გამომდინარე, ოტო ბისმარკის მოღვაწეობის კვლევისა და შესწავლის გარეშე შეუძლებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანიისა და მთლიანად ევროპის ისტორიული და სოციალ-პოლიტიკური განვითარების პროცესებში გარკვევა. შეუძლებელია ასევე ჩავწვდეთ გერმანიის სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ტენდენციებისა და გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ზოგიერთი მიმართულების სათავეებს, არსს, მიმდინარეობას თანამედროვე პერიოდამდე.

ამდენად, გასაგებია, ოტო ბისმარკის პიროვნება განსაკუთრებული ინტერესით რატომ იპყრობდა მრავალი ქვეყნის ისტორიკოსის, პოლიტიკოსისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების ყურადღებას. შესაბამისად, მის შესახებ ლიტერატურა საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. ბიბლიოგრაფიული ცნობარი, რომელიც გამოვიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1966 წელს, შეიცავს წიგნებისა და სტატიების 6 ათასზე მეტ დასახელებას ორმოცდაათ ენაზე. თუმცა შემდგენელმა ცნობარში საკმაოდ ჩართო სამეცნიერო თხზულებები, მემუარები და დოკუმენტური მასალების კრებულები, რომლებიც უშუალოდ არ ეძღვნება ოტო ბისმარკის მოღვაწეობას, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ასახავს მის ეპოქას და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ თუ პოლიტიკურ მოვლენებს. ეს სავსებით მართლზომიერად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მეტნაკლებად ოტო ბისმარკის მოღვაწეობის დახასიათებისათვის გვერდის ავლა ვერ შეძლო ვერც ერთმა მკვლევარმა, რომელიც წერდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიის ისტორიის შესახებ. შემდგომ პერიოდში, საკუთრივ, XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეული და XXI საუკუნის დასაწყისი, აღინიშნა მრავალი ახალი გამოცემებით, მათ შორის, ბისმარკის ბიოგრაფიებით. მასზე იწერებოდა საბჭოთა კავშირში, შემდეგ უკვე რუსეთის ფედერაციაში, გერმანიის

დემოკრატიულსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკებში, ბოლოს გერმანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში<sup>1</sup>.

ამჟამად მეცნიერების მიერ თავმოყრილი, გამოკვლევული და გაანალიზებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა ოტო ბისმარკის ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. უწინარეს ყოვლისა, შესაბამისი კომენტარებით გამოქვეყნებულია ძირითადი დოკუმენტები, დიპლომატიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები<sup>2</sup>, რომელიც საგარეო -პოლიტიკური დოკუმენტების სახით 4 ტომად გამოიცა გერმანიაში, მისი პირველი ტომი მოიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. ოტო ბისმარკის ლიტერატურული მემკვიდრეობა - მისი სიტყვები, მოგონებები, ვრცელი ოფიციალური და პირადი მიმოწერა-დაბეჭდილია

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, Бисмарк. Политическая Биография. М,1898. с. 4. Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998; Otto von Bismarck, Dokumente seines lebens(1815-1898), Hrsg von Heinz Wolter. Leipzig,1996; Die deutschen Kanzler. Hrsg von Wilhelm von Sternburg. Berlin, 1998.

<sup>2</sup>Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches.1871-1914. Einzige vom Auswärtigen Amt autorisiert gekürzte Ausgabe, Bd. I-IV. Berlin., 1928.

თხზულებათა კრებულებში<sup>1</sup>. გეგონება, თითქოს აქ მეტი არაფერია დასამატებელი, თითქოს რა უნდა ითქვას ახალი? შეიძლება ასეც იყოს, თუ საქმე ეხება საკითხის ფაქტობრივ მხარეს, რაიმე სენსაციურ აღმოჩენებს არც უნდა მოველოდეთ, მაგრამ ახალი პუბლიკაციები აზუსტებენ გარკვეულ დეტალებს, ან ზოგიერთ წვრილმანს, ან აშუქებენ კერძო საკითხებს, რომლებიც მანამდე თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. ამჟამად მთავარია არა ახალი ფაქტების გაცნობა, შეტყობინება, არამედ მათი სწორი და ობიექტური ინტერპრეტაცია.

ოტო ბისმარკის შესახებ მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურულ - წერილობითი მემკვიდრეობა გამოირჩევა ერთი მეტად საყურადღებო ნიშნით. ეს კი ის გახლავთ, რომ ბისმარკი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში მუდამ იდგა იმ დროის სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტების, ორთაბრძოლისა და დიპლომატიური პაექრობის, სამხედრო თუ კლასობრივი ბრძოლის ცენტრში. აქედან გამომდინარე, XX საუკუნეში გერმანიის მიერ

---

<sup>1</sup> О. Бисмарк. Мысли и воспоминания, Т. I-III. Перевод с нем; М, 1940-1941; Отто Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера. Москва, Санк-Петербург, 2004.

განვლილი ისტორიული გზის თავისებურებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ოტო ბისმარკი, გარკვეული აზრით, დარჩა იდეოლოგიური შემწყნარებლობის ობიექტად დღევანდლამდე. გასაგები მიზეზების გამო, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ომამდელი და ომის შემდგომი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიოგრაფიაში. ოტო ბისმარკის სახელისა და საქმეების გაფეტიშებას საკუთარი მიზნებისათვის ცდილობდნენ გერმანული საზოგადოების გარკვეული, უმეტესწილად კონსერვატიული წრეები და მათი შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკოსები და მკვლევარ-ისტორიკოსები.

სწორედ ამით აიხსნება ბისმარკისადმი აპოლოგეტური დამოკიდებულება, ამ ტენდენციის სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც დროდადრო მისი პიროვნების კულტში, ბისმარკის შესახებ ლეგენდაში გადადიოდა. მისი სახელის განდიდება დაიწყო ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე და, რასაკვირველია, არც თუ მისგან ხელშეწყობის გარეშე. მაგალითად, ე. ბრანდენბურგის ნაშრომში „იმპერიის დაარსება“ ბისმარკი განდიდებულია. ამ ნაშრომში ისტორია მიჩნეულია დიდი პიროვნებების მოღვაწეობის პროდუქტად. მას მიაჩნდა, რომ ლიბერალები ხელს უშლიდნენ ბისმარკს გერმანიის გაერთიანებაში. ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა რევოლუციისა და დემოკრატიის მავნებლობა და

ამავდროულად განედიდებინა მონარქია და დიდი პიროვნება<sup>1</sup>. შემდეგში განდიდების ეს ტენდენცია სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა უკიდურესად რეაქციულ, შოვინისტ და მოფაშისტო ისტორიკოსების ნაშრომებში, რომლებიც ქმნიდნენ არაჩვეულებრივად შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი გონების, ამავდროულად უაღრესად მშვიდობისმოყვარე პოლიტიკოსისა და დიპლომატის სახეს, რომლის ანდერძი უგულვებელყოფილ იქნა მისი მემკვიდრეების მიერ, რომლებმაც ბისმარკის შექმნილი იმპერია კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს პირველსა და მეორე მსოფლიო ომებში. გარკვეული მოდიფიკაციებით აპოლოგეტური მიმართულება მის მრავალფეროვან ფორმებში დღესაც არსებობს. მიუხედავად ამისა, ბისმარკის კულტის საპირისპიროდ დომინირებს უფრო ობიექტური და, შესაბამისად, კრიტიკული პოზიციაც „რკინის კანცლერის“ პიროვნების მიმართ: ლიბერალურ-ბურჟუაზიული და სოციალ-რეფორმისტული მიმართულების ისტორიკოს-მკვლევარების მხრიდან. ისინი, უპირველეს ყოვლისა, აკრიტიკებენ ბისმარკის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მის მიერ შექმნილი გერმანული სახელმწიფოს (გერმანიის იმპერიის) მილიტარისტულ ხასიათს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ეს კრიტიკა გარკვეულწილად ზედაპირულ

---

<sup>1</sup> E. Brandenburg. Die Reichsgründung Bd. I, Leipzig, 1916.

ხასიათს ატარებს, რადგან ის ეხება ბისმარკის საგარეო პოლიტიკის კლასობრივ საფუძვლებს.

ბისმარკის შესახებ ბიოგრაფიული ლიტერატურის ვრცელ ნუსხაში, თვალსაჩინო ადგილი უკავია ლიბერალური ისტორიოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენლის ე. ეიკის კაპიტალურ ნაშრომს, რომელსაც თავისი მნიშვნელობა-მეცნიერული ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს. მეორე მსოფლიო ომის დროს ის ინგლისში, ემიგრაციაში, იმყოფებოდა, სადაც შექმნა სამტომეული მეცნიერული ნაშრომი ბისმარკზე<sup>1</sup>. წიგნი მდიდარია დოკუმენტური მასალებით, წყაროების მრავალფეროვნებით და მათი ანალიზით. ის კრიტიკულად აფასებდა ოტო ბისმარკის მოღვაწეობას, რომელმაც, მისი აზრით, „რკინითა და სისხლით“ გააერთიანა გერმანია ლიბერალური პრინციპების საპირისპიროდ. ე. ეიკი უარყოფითად აფასებდა ბისმარკის მტკიცე ნებისყოფის გამოვლინებას პოლიტიკაში, რამაც ის, მისი აზრით, მნიშვნელოვანწილად დიქტატორად აქცია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მან პარლამენტი ფაქტიურად ჩამოაცილა საგარეო პოლიტიკურ საქმეებს. ე. ეიკის აზრით, ბისმარკის საქმიანობას მოჰყვა უარყოფითი შედეგები გერმანიისა და გერმანელი ხალხის ისტორიაში, რაც შემდგომმა

---

1. Eyck Bismarck. Leben und Werke., Bd I-III. Erlenblach-Zürich, 1941-1944.



მოვლენებმა ორი მსოფლიო ომის გაჩაღებით ნათელყვეს<sup>1</sup>. ლიბერალური მიმართულების წარმომადგენელი, ისტორიულ მეცნიერებათა თავკაცი, დიდი გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მაინეკე თავდაპირველად პრუსიულ-გერმანული სახელმწიფოს თავყანისმცემელი და ბისმარკის პიროვნების მეხოტბე იყო. მან მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ შეიცვალა თავისი ადრინდელი შეხედულებები და დაწერა ახალი ნაშრომი „ გერმანიის კატასტროფა“<sup>2</sup>, სადაც დააყენა საკითხი გადასინჯულიყო გერმანიის ისტორია და, კერძოდ, ბისმარკის მოღვაწეობა. მაინეკე ადანაშაულებს ბისმარკს გერმანიის გაერთიანების ბრმა მისწრაფებაში, რომელმაც იგი მილიტარიზმის ბურუსში გაახვია და ქვეყანა ორ მსოფლიო ომამდე და, აქედან გამომდინარე, კატასტროფამდე მიიყვანა.

ფრ. მაინეკე ბისმარკს საყვედურობს ლიბერალიზმის პოზიციიდან განდგომასა და ნაციონალიზმისა და მილიტარიზმის მხარდაჭერაში. მისი აზრით, პრუსიის არმიის წარმატებებმა დროებით შენიღბეს ნაციონალიზმისა და

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, ბისმარკი და გერმანიის პრობლემა, 1862-1882. თბ., 2011. გვ. 23.

<sup>2</sup> F. Meinecke, Die deutsche Katastrophe: Betrachtungen und Erinnerungen. 3. Aufl., Wiesbaden, 1947.

მილიტარიზმის საშიშროება, რომელიც მალე გადაიქცა წარმართველ ძალად ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საიდანაც ბისმარკმა თავის დაღწევა თითქმის ვერ შეძლო.

ხსენებული მიმდინარეობის შემდეგი წარმომადგენელი მ. ვებერიც აუცილებლობად მიიჩნევდა გერმანულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ბისმარკის პოლიტიკის ტრადიციულ გადასინჯვას. ის წერდა: „ოტო ბისმარკმა დატოვა ერი ყოველგვარი პოლიტიკური აღზრდის გარეშე, დატოვა იმ დონეზე უფრო დაბლა, რა დონეზე იმყოფებოდა იგი მანამდე, 20 წლით ადრე,-უპირველეს ყოვლისა, ერი, რომელიც მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს და მიჩვეული იყო იმას, რომ მის ზემოთ მდგომი სახელმწიფო მოღვაწე მის ნაცვლად წარმართავდა პოლიტიკას“.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დასავლეთ გერმანიაში (გფრ) მეცნიერთა ჭიდილი ოტო ბისმარკის მემკვიდრეობის შეფასების ირგვლივ არასოდეს შემწყდარა, რაც ვლინდებოდა იმდროინდელ მეცნიერულ დისკუსიებში. განაკუთრებით კი იმ ცხარე კამათებში, რომელმაც მოიცვა არა მარტო მეცნიერული, არამედ

---

<sup>1</sup> M Weber. Parlament und Regierung in neugeordneten Deutschland, München-Leipzig 1918. S. 12.

პოლიტიკური წრეებიც (1965 წელს ბისმარკის დაბადების 150 წლისთავთან და 1971 წელს გერმანიის შექმნის 100 წლისთავთან დაკავშირებით).

მეცნიერულმა პაექრობებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დამოკიდებულება ბისმარკისადმი ყოველთვის პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უკავშირდებოდა გერმანიის არც თუ დიდი ხნის წარსულს და მის ომისშემდგომ რეალობებს. აქ კი არ არსებობს არავითარი გულგრილი, აუღელვებელი „განჭკვრეტობა“ და „ნეიტრალურობა“<sup>1</sup>. 1854 წელს, ფრ. მაინეკეს გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთ გერმანიაში ისტორიულ მეცნიერებებს სათავეში ჩაუდგა ლ. რანკესა<sup>2</sup> და ჰ. ონკენის<sup>3</sup> მიმდევარი ფრაიბურგის

<sup>1</sup> В.В. Чубинский, Бисмарк. Политическая Биография. М., 1988. გვ. 5.

<sup>2</sup> რანკე ლეოპოლდ ფონ. გერმანელი ისტორიკოსი. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი 1825-1871 წწ. მთავარ ყურადღებას აქცევდა პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიას. პრიორიტეტს ანიჭებდა საგარეო პოლიტიკას, ახასიათებდა სოციალურ ურთიერთობათა იგნორირება და განსაკუთრებით დიდ ადამიანთა განდიდება. მან დიდი გავლენა მოახდინა გერმანული იუნკრულ-ბურჟუაზიული და სხვა ქვეყნების რეაქციული ისტორიოგრაფიის განვითარებაზე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. თბ. 1984, გვ. 302.

<sup>3</sup> ონკენი, ჰერმან, კონსერვატიული მიმართულების გერმანელი ისტორიკოსი. ლ. რანკეს მიმდევარი. აღიარებდა საგარეო პოლიტიკის უპირატესობას. მოითხოვდა ავსტრია-უნგრეთთან გერმანიის მჭიდრო

უნივერსიტეტის პროფესორი გ. რიტერი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის გამოდის ბისმარკისეული გერმანიის იმპერიისა და საკუთრივ ბისმარკის პიროვნების მეხოტბედ. იგი მოუწოდებდა, რომ გაჰყოლოდნენ „ბრძენი“ „რკინისებური“ კანცლერის პოლიტიკას, რომელმაც გააერთიანა გერმანია და უზრუნველყო მშვიდობა და წესრიგი ევროპაში<sup>1</sup>.

გ. რიტერის მეთაურობით კონსერვატორი ისტორიკოსების შეხედულებამ ბისმარკზე, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა დასავლეთ გერმანიის (გფრ) ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებაში. მიუხედავად გარკვეული კრიტიკისა მაგალითად, მილიტარიზმის უზომოდ გაძლიერებაზე ბისმარკის ეპოქაში (გ. რიტერი), ბისმარკი მათ მიერ წარმოჩენილია როგორც ევროპული ინტერესების სამსახურში მდგარი გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი მოვალეობა ერის წინაშე და იბრძოდა ევროპული კულტურის საუკეთესო ტრადიციების

---

სავაჭრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას. გერმანიის იმპერიალისტურ-ექსპანსიონისტურ პოლიტიკას თავდაცვით პოლიტიკად მიიჩნევდა, რაც მისი აზრით განპირობებული იყო გერმანიის მდებარეობით ევროპის ცენტრში. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7 თბ. 1984. გვ. 535).

<sup>1</sup> G. Ritter, Geschichte der Bildungsmacht, Stuttgart, 1947; G. Ritter, Eurora und die deutsche Frage, München, 1948.

შენარჩუნებისათვის. თითქოსდა მხოლოდ მისი გადადგომის შემდეგ მიიღო გერმანულმა ნაციონალიზმმა იმპერიალისტური ხასითი. სინამდვილეში კი გერმანიის გაერთიანებამ ზემოდან იუნკრობის ხელისუფლების მეთაურობით, მიიყვანა იგი საბოლოოდ მსხვილი ბურჟუაზიისა და რეაქციულ მემამულეთა შორის გარდაუვალ კავშირამდე, რომელმაც შესძინა გერმანულ იმპერიალიზმს თავისი აგრესიული, იუნკრული, მილიტარისტული ხასიათი. ასევე კონსერვატორი ისტორიკოსები არ ეხებოდნენ ისეთ მწვავე საკითხს, როგორც იყო გერმანიის მისწრაფება ჰეგემონობისაკენ და, რომლის მთავარი შემოქმედი თვითონ ბისმარკი გახლდათ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჰ. როტფელსის შრომები, ის 1849 წლამდე იმყოფებოდა ემიგრაციაში, აშშ-ში. იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახდა ტიუბენგენის (გფრ) უნივერსიტეტის პროფესორი. ჰ. როტფელსი თავის ნაშრომებში ადიდებს ოტო ბისმარკს და მწვავე კრიტიკის ქარცეცხლს მიმართავს მე-19 საუკუნის ლიბერალური და ნაციონალური (ეროვნული) მოძრაობის წინააღმდეგ<sup>1</sup>. დისკუსიას ბისმარკის შესახებ მნიშვნელოვანი

---

<sup>1</sup> H. Rotfels, Bismarck und der Staat. Stuttgart, 1953; H. Rotfels, Bismarck, Vorträge und Abhandlungen, Stuttgart, 1970.

ბიბეი მისცა 1961 წელს ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ფ. ფიშერის მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომმა.<sup>1</sup> ფიშერი იმ დროს დასავლეთ გერმანიაში ჩამოყალიბებული “ისტორიულ-კრიტიკული სოციალური მეცნიერების” მიმართულების წარმომადგენელი იყო. ხშირად ამ მიმართულებას მოკლედ “სოციალური ისტორიის” მიმართულებას უწოდებენ. გერმანელ ისტორიკოსებს შორის ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მისმა ავტორმა მთელი სისრულით აჩვენა გერმანულ-პრუსიული ნაციონალიზმის დამლუპველობა და ბისმარკის მიერ გაერთიანებული გერმანიის სულ უფრო მზარდი აგრესიული ხასიათი.

მიუხედავად მრავალი კრიტიკული სტატიისა და წერილისა, ფ. ფიშერის წიგნის მისამართით, ამ ნაშრომმა და ავტორის სხვა გამოკვლევებმა ღრმა კვალი დატოვეს გერმანიის ისტორიულ მეცნიერებაში.

ფიშერის მოსაზრება გაიზიარა და განიხილა მისმა მოწაფემ ისტორიკოსმა ჰ. ბიომემ. მისი კაპიტალური ნაშრომი<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> F. Fischer, Griff nach der Weltmacht. die Kriegszielpolitik des kaiserlichen, Deutschlands., 1914-1918. Düsseldorf, 1961

<sup>2</sup> H. Bohme, Deutschlands Weg zur Grossmacht: Studien zum Verhältniss von Wirtschaft und Staat Während der Reichsgrundungszeit. 1848-1881. Köln, 1972.

ეხება გერმანიის საშინაო პოლიტიკას და ეკონომიკას. ის გერმანიის გაერთიანების საკითხს შემდენაირად ხსნის, რომ ეს პროცესი ძირითადად იყო შედეგი ქვეყნის მზარდი ეკონომიკური განვითარებისა, ხოლო ომები გაერთიანებისთვის პრუსიის მეთაურობით, წარმოადგენდა უშუალო ბრძოლას მცირე გერმანელებსა და დიდ გერმანელებს (პრუსიასა და ავსტრიას) შორის ეკონომიკური ჰეგემონობისათვის. წინააღმდეგ ფაქტებისა ჰ. ბიომე თვლის, რომ იუნკრობისა და ბურჟუაზიის ძალთა კონსოლიდაცია დასრულდა არა 1870-1871 წლებში, არამედ 1881წლამდე, რამაც განაპირობა მისი გამოკვლევების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა<sup>1</sup>.

საყურადღებოა ჰ. ველერის ნაშრომი „ბისმარკი და იმპერიალიზმი“<sup>2</sup>, რომელშიც გაშუქებულია ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპები. ის წერს, რომ ეკონომიკის კონცენტრაციისა და ზენაციონალური ეკონომიკური გაერთიანებების შექმნის პროცესში იზრდება სახელმწიფოს როლი, როგორც ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი პოლიტიკური ორგანიზაციისა (ინსტიტუტისა). ამ სისტემაში მჭიდროდ გადახლართულია

<sup>1</sup> И.С. Галкин . Создание германской империи (1815-1871), М.1986. с.166.

<sup>2</sup> H-U Wehler Bismarck und der Imperialismus, Köln, (West\_) Berlin, 1969.

ეკონომიკა, პოლიტიკა, იდეოლოგია. სწორედ აქ წარმოიშვება ალტერნატივა მმართველობის ავტორიტარული სისტემა თუ მასობრივი დემოკრატიის სოციალ-პოლიტიკური სისტემა<sup>1</sup>. ბისმარკთან მიმართებაში ჰ. ველერი თვლის, რომ მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის პერიოდი ესაა, ინდუსტრიული საზოგადოების დაბადების პერიოდი და მან აირჩია მმართველობის ავტორიტარული სისტემა, რომელსაც კვალდაკვალ გასდევს ბონაპარტიზმის დამლუპველი ნიშნები. სწორედ მან მოახდინა ზეგავლენა ბისმარკისეული გერმანიის მთელ ისტორიაზე. საინტერესოა ჰ. ველერის მეორე ნაშრომი, რომელიც ასევე მრავალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით არის შექმნილი. აღსანიშნავია მის მეცნიერულ მოღვაწეობაზე მარქსიზმის გავლენა, რასაც თვითონ აღიარებს. ის წერს, რომ მან უფრო მეტი ისწავლა მარქსისგან, ვიდრე რანკესაგან<sup>2</sup>.

ოტო ბისმარკის ავტორიტარულ მმართველობაზე წერს ასევე თავის ნაშრომში „სოციალური ისტორიის“ მიმდინარეობის შემდეგი წარმომადგენელი მ. შტიურმერი<sup>3</sup>,

---

<sup>1</sup> И.С. Галкин, указ. соч., с.166.

<sup>2</sup> ვ. ზოჩია, დასახელებული ნაშრ., გვ. 27.

<sup>3</sup> М. Sttürmer, Bismarck und die preußisch-deutsche Politik, 1871-1890. München, 1970.



რომელიც თვლის, რომ გერმანია ინდუსტრიულ განვითარებამდე მივიდა არა ევოლუციის გზით, არამედ ძველი პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ქვეყნის შიგნით ძალთა თანაფარდობის შენარჩუნების გზით, რომელსაც როგორც შირმა მოერგო ლიბერალიზმი. სწორედ ამ განვითარების შედეგი იყო ბისმარკის გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე და ავტორიტარული რეჟიმის შექმნა<sup>1</sup>.

“სოციალურ მეცნიერებათა ისტორიულ-კრიტიკული” მიმართულების წარმომადგენლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ბისმარკის პოლიტიკური მოღვაწეობის კრიტიკულ შეფასებაში. მათ ნაშრომებში ნაჩვენებია ბისმარკის დროინდელი გერმანიის პოლიტიკური სისტემის დამღუპველი შედეგები, მაგრამ ამავე დროს ისინი გვერდს უვლიან ისეთ მწვავე საკითხებს, როგორიც იყო ბისმარკის პოლიტიკის კლასობრივი ხასიათი, უგულველყოფილია ხალხი. ის, ფაქტობრივად, დაყვანილია პასიურ მასამდე.

ბისმარკის პოლიტიკური ფიგურისადმი ასეთმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ კონსერვატორი ისტორიკოსების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გაილაშქრეს „სოციალური ისტორიის“ წარმომადგენელთა წინააღმდეგ და მოუწოდეს ყველა გერმანელ ისტორიკოსს

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, იქვე.

შენარჩუნებინათ “გერმანული ისტორიზმის” ტრადიციული მეთოდოლოგიური მიდგომები ბისმარკის პიროვნებისა და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებაში. ამ პრობლემისადმი ასეთი მიდგომა დღესაც პრევალირებს თანამედროვე გერმანულ ისტორიოგრაფიაში<sup>1</sup>.

სწორედ ამგვარი კონსერვატორული პოზიციებიდან გამოვიდა ისტორიკოსი ლოთარ გალი თავის ნაშრომში<sup>2</sup>, რომელიც გამოქვეყნდა 1980 წელს და წარმოადგენს ბისმარკის შესახებ ყველაზე სრულყოფილ და საყურადღებო გამოკვლევას. ე. ეიკის წიგნის შემდეგ გალის ნაშრომი იცავს და დასაბუთებულად ამართლებს ბისმარკის მოქმედებას იმ ეპოქაში გაბატონებული ტენდენციებისა და ძალების გამო. აკრიტიკებს<sup>3</sup> რა „სოციალური ისტორიის“ ისტორიკოსებს, ბისმარკისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებაში, ლოთარ გალი აღნიშნავს, რომ ბისმარკი ანგარიშს უწევდა იმ დროს გაბატონებულ ტენდენციებს და ამიტომ მოგვევლინა იგი „თეთრ რევოლუციონერად“. ის განადიდებს მას და მიაჩნია იგი ევროპული მშვიდობის დამცველად, ხოლო მის მიერ შექმნილი გერმანიის იმპერია ამ მშვიდობის გარანტად.

---

<sup>1</sup> И.С. Галкин, указ. Соч., с. 167.

<sup>2</sup> L. Gall, Bismarck, Der Weise Revolutionär, Frankfurt, a|m, 1980.

ამავე დროს სხვა უცხოური გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ა. ტეილორის<sup>1</sup>, ს. ფეის<sup>2</sup>, კ. ბუხჰაიმის<sup>3</sup>, ე. ქრენქშოუს<sup>4</sup>, უ. დაუსონის<sup>5</sup>, პალმერის<sup>6</sup>, კ. კენედის<sup>7</sup>, კ. კოსევის<sup>8</sup> და სხვ. ნაშრომები. ოტო ბისმარკის მოღვაწეობის შესწავლისა და შეფასების საკითხებში დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია კ. მარქსის, ფრ. ენგელსის<sup>9</sup>, მათი მოწაფეებისა და თანამოაზრეების: ავგუსტ ბებელის,

---

<sup>1</sup> А. Дж. П. Теилор. Борьба за господство в Европе, 1848-1918. Пер. С англ., М., 1958.

<sup>2</sup> С. Фей. Происхождение мировой войны. Т. I., пер. С англ., М-Л, 1934.

<sup>3</sup> К. Buchheim. Das Deutsche Kaizerreich. 1871-1918. München, 1969.

<sup>4</sup> E. Crankshaw. Bismarck. London, 1981.

<sup>5</sup> W. Dawson. The German Empire. 1867-1914, vol.2. Hamden, Connecticut, 1966.

<sup>6</sup> А. Палмер. Бисмарк, пер. с англ., Смоленск, 1998.

<sup>7</sup> P. Kennedy. The realities behind diplomacy: background influences of British External Policy. 1865-1980. London, 1981.

<sup>8</sup> К. Косев. Бисмарк. Източният въпрос и българското освобождение 1856-1878. София, 1978.

<sup>9</sup> К. Маркс. Ф. Энгельс. Соч. т. XXVI, М. 1941.(с.70), К. Маркс Ф. Энгельс Соч. т. XII, ч. II М. 1941, с. 59.162-163. К. Маркс, избр. Произв Т. II, 1941, с. 26; Ф. Энгельс, Роль насилия в истории, М. 1937, с. 1- 63

ვილჰელმ ლიბკნეხტის, ფრანც მერინგისა და სხვათა შრომებს.<sup>1</sup> ჯერ კიდევ ოტო ბისმარკის სიცოცხლეშივე სათანადოდ შეაფასეს მათ მისი პოლიტიკის კლასობრივი არსი და ძირითადი მიზნები. განსაკუთრებით ბისმარკისეული ე. წ. „რევოლუცია ზემოდან“ და მის მიერ დამყარებული ბონაპარტისტულ-პოლიტიკური რეჟიმი. ასევე გერმანიის გაერთიანებაში ბისმარკის პოლიტიკური როლის შესაბამისი დახასიათება თავის თხზულებებში მოცემული აქვს ვ. ლენინს<sup>2</sup>.

ოტო ბისმარკის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ პრობლემათა წრე გულდასმით და ნაყოფიერად გამოიკვლიეს გერმანიის (გდრ) მარქსისტული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა: ჰ. ჰელმერტმა, ვ. შრიოდერმა, ჰ. შრაინერმა, გ. შულცმა და სხვებმა<sup>3</sup>.

მათი ყურადღების ცენტრში იყო ერთიანი პრუსიულ-გერმანული სახელმწიფოს წარმოქმნის, ბისმარკის საშინაო და

---

<sup>1</sup> Август Бебель, Из моей жизни (мемуары), ч I, М.1910, с.105-110; 118-140; Ч. II, вып. I. М.1912, с. 152-167; выпуск II, с.149-162, т. III, Петроград.1919. С. 9-24, 46-70; Вилгелм Либкнехт, никаких компромиссов, М 1958. С. 31-38; 39-48; 62-72; Меринг Франц, история Германий с конца средних веков, М-Л, 1931, с.72-105.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზ. ტ. XVIII, ტფ., 1931. გვ. 85-99; 109-115

<sup>3</sup> იხ. В Чубинский. Бисмарк, политическая биография, М. 1988, с. 407.

საგარეო პოლიტიკის, გერმანიის მუშათა კლასის, რეაქციისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი საკითხები. 1987 წელს გამოიცა მეტად საყურადღებო ნაშრომი, რომელიც ეკუთვნოდა ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ე. ენგელბერგის<sup>1</sup> კალამს. ნაშრომი მოიცავს 1871 წლამდე პერიოდს. აღნიშნული ბიოგრაფია დაფუძნებულია დოკუმენტური მასალებისა და სხვა წერილობითი წყაროების საფუძვლიან შესწავლასა და გამოკვლევაზე.

XIX საუკუნის გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ოტო ბისმარკის დიპლომატიის აქტიური ხასიათი გაანალიზებულია და განხილული დიპლომატიის ისტორიაში ვ. პოტიომკინის რედაქციით<sup>2</sup>. 1963 წელს გამოვიდა დიპლომატიის ისტორიის ახალი გამოცემის მეორე ტომი<sup>3</sup>.

ოტო ბისმარკის პოლიტიკური მოღვაწეობის შესწავლაში, განსაკუთრებით კი მისი საგარეო პოლიტიკის ძირფესვიან კვლევაში, დიდი წვლილი მიუძღვით საბჭოთა და რუს მკვლევარებს: ი. გალკინს, ს. კანს, ა. მოლოვს, ი. ნაროჩნიცკაიას,

---

<sup>1</sup> E. Engelberg, Bismarck. Urprouße und Reichsgründer. Berlin, 1887.

<sup>2</sup> История дипломатии, т. 1. М.1941..

<sup>3</sup> История дипломатии, т. 11, М. 1963

ე. ტარლეს. ვ. რევუნენკოვს, ფ. როტშტეინს, ს. სკაზკინს, ლ. შნეერსონს და სხვებს.<sup>1</sup> „რკინის კანცლერის“ მიერ განვლილი ცხოვრების გზის კვლევაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის XIX საუკუნის გერმანიის იმპერიის ისტორიის დიდ სპეციალისტს, ცნობილ მეცნიერს ა. იერუსალიმსკის, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი ნაშრომები, პუბლიკაციები<sup>2</sup> ოტო ბისმარკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. მანვე გამოსცა მისი მოგონებები რუსულ ენაზე და მრავალი მეტად მნიშვნელოვანი საარქივო მასალები. ასევე მეტად საინტერესოა

---

<sup>1</sup> И. С. Галкин., указ. Соч., Б. Кан, Объединение Германий (1864-1871). М. 1957; А. Молок, Воссоединение Италии и Германии в самостоятельные государства, М. 1952; А. И. Нарочницкая. Россия и войны Пруссии в 60-х годах . XIX в. За объединение Германии «сверху», М. 1960; Е. В. Тарле, Вторая империя Во Франции. Воссоединение Италии и Германии как самостоятельные государства. М. 1940; В. Г. Ревуненков, Приход Бисмарка к власти, М. 1941; Ф. А. Ротштейн, из истории Прусско-Германской империи, М-Л 1948; С. Д. Сказкин, Конец Австро-русско- Германского союза. Исследования по историй русско-Германских и русско-Австрийских отношений в связи с восточным вопросом 80-ое годы XIX столетия; М. 1974. Л. М; Шнерсон, Франко-Прусская война и Россия, Минск, 1976., его же, Австро-Германские отношения (1871-1875), Минск, 1984

<sup>2</sup> А С. Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Милитаризм, М. 1968 . его же. Бисмарк как дипломат . М. 1940.

ვ. ჩუბინსკის მიერ 1988 წელს გამოქვეყნებული ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი<sup>1</sup> ბისმარკზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე პერიოდულად აქვეყნებდა მასალებს გაზეთი „დროება“, რომელიც გამოდიოდა 1866-1865 წლებში. გაზეთის ფურცლებზე სათანადოდ შუქდებოდა გერმანიის გაერთიანებისათვის მიმდინარე პროცესები და მისი შედეგები. „დროების“ მიერ დაბეჭდილი მასალები გარკვეულწილად რეალურად ასახავდა იმ ისტორიულ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ გერმანიაში. აქედან გამომდინარე, ამ მასალებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა.

ქართულ ენაზე მწირია ლიტერატურა ოტო ბისმარკის პოროვნებაზე, ბისმარკის პოლიტიკურ და დიპლომატიურ მოღვაწეობაზე. აღსანიშნავია, ვაჟა ჩოჩიას სრულყოფილი და სერიოზული გამოკვლევა ბისმარკის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. მის მიერ გამოცემულ მონოგრაფიებში<sup>2</sup> გაანალიზებული და წარმოჩენილია გერმანიის საგარეო პოლიტიკის არსი და ბისმარკის როლი მის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ასევე ბისმარკის პოლიტიკური საქმიანობა

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский // указ. соч.

<sup>2</sup> ვ. ჩოჩია, ბისმარკი და გერმანიის საგარეო პოლიტიკა (1871-1882), თბ., 1996; ბისმარკი და გერმანიის პრობლემა 1862-1882. თბ., 2011.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზოგადად განხილული აქვთ თავიანთ ნაშრომებში თორნიკე შარაშენიძეს<sup>1</sup> და ვაჟა თვალავაძეს<sup>2</sup>. აღსანიშნავია ალბერტ მენტეშაშვილის მონოგრაფია „მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები“.<sup>3</sup> სადაც ნარკვევში ბისმარკის შესახებ, ის წარმოჩენლია როგორც თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი.

ბისმარკის შესახებ გამოქვეყნებულია აგრეთვე რამდენიმე სტატია ქართულ ენაზე<sup>4</sup>, რომლებიც ეძღვნება მისი მოღვაწეობის ცალკეულ მხარეებს.

<sup>1</sup> თ. შარაშენიძე, დიპლომატიის ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 2013.

<sup>2</sup> ვ. თვალთვამე, ახალი ისტორია, 1815-1871, თბ., 2006.

<sup>3</sup> ა. მენტეშაშვილი, მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები. თბ., 2003. გვ. 170-181.

<sup>4</sup> ნ. კიკვაძე, ბისმარკი და ლეგენდის აღორძინება, ჟურნალი „ცისკარი“ №8, თბ., 1965. გ. ბაღათურია. ს. ცხადაძე. სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა-ბისმარკი. ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“, №1, თბ., 2008. გვ. 11-23; ო. ქოჩორიძე, სახელმწიფოს მართვა როგორც მეცნიერება და ხელოვნება(შედარებითი ანალიზი), ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“, №2, თბ., 2008. გვ. 50-60 ნ. დარსანია, ბისმარკი: პოლიტიკა მეცნიერება არაა, ეს ხელოვნებაა. საიუბილეო კრებული, ზ. პაპასკირი. სსუ, თბ., 2010-2013, გვ. 486-494; მისივე, ბისმარკი რუსეთის პოლიტიკისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №3, გვ. 344-357.



ამდენად, ჩვენი მიზანია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული მოძიებული მასალების შესწავლისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განვიხილოთ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, დიპლომატისა და პოლიტიკოსის ოტო ფონ ბისმარკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. წარმოვაჩინოთ მისი როგორც პოლიტიკური და დიპლომატიური ორთაბრძოლების დიდოსტატის, პოლიტიკური კომბინაციების უზადლო ხელოვანის, პრაგმატული სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური პორტრეტი და მისი ბიოგრაფიის მეტად საინტერესო დეტალები, შესაბამისად, გავაშუქოთ მისი ღვაწლი როგორც გერმანიის იმპერიის შემოქმედისა.

## ფათერაკების მაძიებელი „ველური“ პომერანიელი იუნკერი

გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ბრწყინვალე დიპლომატი, პრუსიელ მემამულე - იუნკერთა თავგამოდებული აპოლოგეტი-თავადი ოტო ედუარდ, ლეოპოლდ ფონ ბისმარკი, შენჰაუზენი, გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი, წარმოშობით პომერანიელი იუნკერი, უძველეს თავადაზნაურთა საგვაეულოდან გახლდათ. ის დაიბადა 1815 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც ევროპამ საბოლოოდ თავიდან მოიშორა ნაპოლეონის ბატონობა. აქედან გამომდინარე, მაშინ ვენის კონგრესმა განაახლა ევროპის კონტინენტის პოლიტიკური რუკა. ბისმარკმა თავისი ბავშვობა გაატარა ციხე-დარბაზ შენჰაუზენში, მამის მამულში, პომერანიაში, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა იუნკრობის ბურჯად.<sup>1</sup>

ბისმარკი განეკუთვნებოდა უძველეს თავადაზნაურულ გვარს, რომელიც დაფუძნდა ბრანდენბურგში ჯერ კიდევ XIV საუკუნეში. ბისმარკების საგვარეულოში ის შტო, რომლის შთამომავალს ოტო ბისმარკი წარმოადგენდა, პრუსიის

<sup>1</sup> В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М 1988 с. 8.

მონარქიას უპირატესად ოფიცრობით ამარაგებდა, გამონაკლისი არც მამამისი ფერდინანდი ყოფილა, რომელმაც ვადაზე ადრე დაასრულა სამხედრო სამსახური და დამკვიდრდა წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ შენჰაუზენში.

ბისმარკის დედა არ გახლდათ თავადაზნაურული ოჯახის წარმომადგენელი. ვილჰელმინა ბისმარკი, ქალიშვილობის გვართ-მენკენი, მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელის ასული იყო. მამამისი, ლიბერალური შეხედულების ადამიანი, რომელსაც ორი პრუსიული მონარქიის (ფრიდრიხ ვილჰელმ მეორისა და ფრიდრიხ ვილჰელმ მესამის) მმართველობის პერიოდში, მეფის კაბინეტ-მდივნის პოსტი ეკავა, წარმომავლობით, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, ბურჟუაზიულ პროფესორ-ჩინოვნიკთა წრიდან გახლდათ.<sup>1</sup>

ფერდინანდ ბისმარკი, ფიზიკურად ძლიერი, გაწონასწორებული, უამბიციო პიროვნება გახლდათ. მას არ გააჩნდა რაიმე პატივმოყვარული პრეტენზიები და კმაყოფილდებოდა მემამულის ზომიერი ცხოვრებით. ვილჰელმინა, პირიქით, განსხვავდებოდა ქმრისაგან ცინცხალი

---

<sup>1</sup> Отто Фон Бисмарк. Мемуары железного канцлера, Москва, санкт-Петербург, 2004. с. 22.

გონებით, განათლებითა და პატივმოყვარეობით, ასევე დაუოკებელი ნერვიულობით. ინტერესებსა და ტემპერამენტში განსხვავება მშობლებს შორის ოჯახში გარკვეულ დამაბულობას ქმნიდა. რაც შეეხება ოტოს, მას დამყოლი მამა უფრო მოსწონდა, ვიდრე მბრძანებლური ხასიათის დედა, რომელიც ძალიან ხშირად, შვილზე მეტად, საერო საქმეებზე ზრუნვით იყო დაკავებული. სწორედ მისი სიტყვა გახლდათ გადაწყვეტი შვილების მომავლის განსაზღვრის საკითხში<sup>1</sup>.

შვიდი წლის ბისმარკს აგზავნიან ბერლინში, სადაც შეჰყავთ ე. წ. პლამანის სკოლაში. ამ სკოლაში ჩვეულებრივ სწავლობდნენ პრუსიელ ჩინოვნიკთა შვილები.

პლამანის სკოლაში გაბატონებული იყო მკაცრი სპარტანული რეჟიმი და, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებისათვის სასტიკად რეგლამენტირებული გახლდათ ყოფა-ცხოვრების წესი. სკოლის დამთავრების შემდეგ ის აგრძელებს სწავლას ბერლინის ორ ფრიდრიხ ვილჰელმისა და „ნაცრისფერი მონასტრის გიმნაზიაში“. გიმნაზიაში სწავლის 4 წელი ბისმარკის ცხოვრებაში არ იყო რაიმე განსაკუთრებული მოვლენებით გამორჩეული და აღსანიშნავი. 17 წლის ასაკში ის ამთავრებს გიმნაზიას<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, указ. соч.с. 9.

<sup>2</sup> В.В. Чубинский, там. же, с. 9- 10.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოტო ბისმარკი ჩაირიცხა გოტინგენის უნივერსიტეტში. ქალაქი გოტინგენი მდებარეობდა მდინარე ლაინეს სანაპიროზე, ჰანოვერის სამეფოში. უნივერსიტეტის ავტორიტეტი ძალზე მაღალი იყო (აქ სწავლობდა თავის დროზე ჰაინრიხ ჰაინე). სწორედ ამ უნივერსიტეტში ბისმარკი სწავლობს იურისპრუდენციას. ფრიად ნიჭიერი სტუდენტი სწრაფად ითვისებდა საგნებს, რამაც განაპირობა მის მიერ ისეთი ღრმა ცოდნის დაუფლება იმ მეცნიერებებში, რომელიც მას სინამდვილეში აინტერესებდა. ეს დისციპლინები იყო: ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური გეოგრაფია, ლიტერატურა, უცხო ენები. ის გამორჩეულად გატაცებული იყო ინგლისური და გერმანული ლიტერატურით. ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით, შექსპირსა და ბაირონს, გოეთესა და შილერს<sup>1</sup>.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ოტო ბისმარკი თავისი სტუდენტური ცხოვრების გარკვეული პერიოდი გართობადროსტარებასა და ფათერაკების ძიების ცდუნებებს იყო აყოლილი, რომელიც იმდროინდელი გერმანული სტუდენტების უმნიშვნელოვანესი ნაწილისათვის გახლდათ დამახასიათებელი. თავად მას ამ გართობებში იმდენი

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский там же, с.12.

ახირებული, უცნაური, უჩვეულო და განსაკუთრებული ნიშან-  
თვისებები შემოჰქონდა, რომ ამის შედეგად ის გოტინგენის  
უნივერსიტეტში შესამჩნევი ფიგურა გახდა. მისი მარტო ერთი  
გამოჩენაც კი ქალაქის ქუჩებში სკანდალურ ინტერესს იწვევდა.  
მან სახელი გაითქვა არა მარტო მრავალრიცხოვანი დუელებით,  
რომლიც მას ჰქონდა ბურშებთან<sup>1</sup>, არამედ დუელიანტის  
უზადლო ოსტატობითაც. 28 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი  
ორთაბრძოლა დაამთავრა წარუმატებლად, რის შედეგადაც  
ლოყაზე ნაიარევიც კი მიიღო. მაშინაც, როგორც შემდგომ  
ბისმარკი ირწმუნებოდა, მოწინააღმდეგის დარტყმა არ  
შეესაბამებოდა სადუელო ორთაბრძოლის დადგენილ წესებს<sup>2</sup>.

ასევე გამორჩეული იყო დიდი რაოდენობით ლუდისა და  
ღვინის მიღებით, ზანქოს თამაშის თავშეუკავებელი გატაცებით,  
ყოველგვარ წრეგადასულ თავყრილობაში მონაწილეობით.  
უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევისათვის არაერთხელ  
იქნა დასჯილი და კარცერში მოთავსებული. მშობლებისა და  
ძმისადმი გაგზავნილ წერილებში ის ხშირად აღწერდა ხოლმე  
თავის ორთაბრძოლებს (დუელში გამოწვევებს). ამასთან  
ერთად, ის არც თუ იშვიათად სთხოვდა მამას ფინანსურ  
დახმარებას. გადმოცემით, ერთხელ გოტინგენში ბისმარკმა

<sup>1</sup> ბურში--უფროსი კურსის სტუდენტი, სტუდენტთა კორპორაციის წევრი.

<sup>2</sup> Р.И. Сементковский, Князь Бисмаркь. С.—Петербургь. 1895, с. 13-14.

ერთ-ერთ თავის მეგობარს ერთგვარი თავმოწონებით განუცხადა, რომ ის გახდებოდა ან უდიდესი არამზადა ან პირველი კაცი პრუსიაში<sup>1</sup>.

ქალაქ გოტინგენში ყოფნის პერიოდში ოტო ბისმარკის გუნება-განწყობილების გარკვევისათვის მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ მოცემული ახსნა-განმარტება იმ მიზეზებისა, რომლებიც სულ უფრო აშორებდა მას ჰანოვერის სტუდენტთა კორპორაციას, სადაც მან, ასე ვთქვათ, გარკვეული მდგომარეობაც კი გაინაღდა. პოლიტიკურ შეხედულებათა შეუთანხმებლობა კორპორანტებთან უცბად არ მომხდარა. მანამდე და ახლაც მას არ მოსწონდა მათში დაუხვეწავი მანერები და დუელისათვის თავის არიდების მცდელობა.<sup>2</sup> სხვათა შორის, ზოგიერთი მოგონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სურვილის შემთხვევაში თვითონ ბისმარკს ძალიან კარგად შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა გარშემომყოფებზე კოსტიუმების ელეგანტურობითა და მეტად დახვეწილი მანერებითაც. მისი უახლესი მეგობარი სტუდენტობის წლებში გახლდათ არა ვინმე უდარდელი, არამედ მეტად გამორჩეული პიროვნება-ამერიკელი ჯონ

---

<sup>1</sup> В.В Чубинский, указ. соч. с 13. Сементковский, указ. соч . с. 14.

<sup>2</sup> Отто Фон Бисмарк, указ. соч. с.10.

ლოტროპ მოტლი, მომავალი გამოჩენილი ისტორიკოსი და დიპლომატი<sup>1</sup>.

ოტო ბისმარკის ახალგაზრდული ცხოვრების (გოტინგენის) პერიოდი მეტად მშფოთვარე და ხანმოკლე იყო. უკვე 1833 წლის სექტემბერში მან დატოვა ქალაქი და შემდგომი წლის მაისში ჩაირიცხა ბერლინის უნივერსიტეტში. ახალ სასწავლებელში, შეიძლება ითქვას, რომ ბისმარკი უფრო მეგობრებთან ერთობოდა, ვიდრე სწავლობდა. მიუხედავად ამისა, ნიჭიერმა სტუდენტმა მაინც შეძლო ჩაებარებინა გამოცდები, რომელიც ანიჭებდა მას უფლებას გაეელო სტაჟირება სასამართლო ან ადმინისტრაციულ დაწესებულებებში. კიდევ მეტი, 1835 წელს ბისმარკმა დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში.

ბისმარკი აღმოჩნდა დილემის წინაშე, რადგან გაუჭირდა ამოერჩია საკუთარი მოღვაწეობის სფერო. სამხედრო სამსახური, რომელსაც ის ბავშვობის, მოწიფულობის წლებში თავის ჭეშმარიტ მოწოდებად წარმოსახავდა, იმ დროს მას უკვე არ იზიდავდა. იმის მცდელობაც, რომ უმაღვე დიპლომატიურ ასპარეზზე გამოსულიყო, წარუმატებელი აღმოჩნდა. პრუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახალგაზრდა ბისმარკი, როგორც ცნობილი დუელიანტი ცივი უარით გაისტუმრა, თან ურჩია,

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, указ (04 (13



გიჯობს რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იმუშავო გერმანიაში და არა ევროპული დიპლომატიის სფეროში<sup>1</sup>. ასეთმა არაკეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ აიძულა ბისმარკი მიეღწია თავისი მიზნებისათვის შემოვლითი გზებით. ის იწყებს მუშაობას ბერლინის მუნიციპალურ სასამართლოში სტაჟიორად, მაგრამ მალე სამსახური აუტანელი გახდა მისთვის. ადრე გაღვივებულმა პატივმოყვარეობამ არ მისცა მას საშუალება ხელქვეითის მდგომარეობას შეგუებოდა. მიუხედავად ამისა, მთელი წლის განმავლობაში საგულდაგულოდ ადგენდა სასამართლოს სხდომათა ოქმებს. რამდენიმე ხნით ის ჩადის შენჰაუზენში და ემზადება გამოცდებისათვის, რომელიც აუცილებელი იყო ადმინისტრაციულ კოლეგიაში თანამდებობის დასაკავებლად ქალაქ ახენში. ქალაქი ახენი მდებარეობდა რაინის პროვინციაში, რომელიც ერგო პრუსიას 1815 წელს ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით. აქ სამსახურისთვის სტაჟი განსაზღვრული იყო 2 წლით, განსხვავებით ძველი პრუსიული პროვინციებისაგან, სადაც ეს ვადა 3 წლით განისაზღვრებოდა. ასევე დიპლომატიური მოღვაწეობის თაობაზე მიზნის

---

<sup>1</sup> გ. ბალათურია, ს. ცხადაძე, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა-ბისმარკი. ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“, 1, თბ., 2008, გვ 15.

აღსრულება აქ უფრო რეალური ჩანდა. ზეპირი გამოცდა მან 1836 წლის ივნისში წარმატებით ჩააბარა. სასურველი დასკვნა დაიმსახურა მისმა წერილობითმა ნაშრომმაც. ბისმარკის „კარიერის“ დასაწყისი დიდი იმედების მომცემიც კი ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდა მოხელის არაკეთილგონივრულმა მოქმედებამ ეს იმედები გააქარწყლა. წარუმატებელმა ქორწინებამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა აიძულეს ბისმარკი დაეტოვებინა ქალაქი ახენი და გადასულიყო 1837 წლის ნოემბერში ქალაქ პოტსდამში. 1838 წლის მარტში კი ის სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, სადაც ჩაირიცხა ეგერთა გვარდიულ პოლკში, მაგრამ უსახსრობისა და დედის გარდაცვალების გამო, 1839 წლის ნოემბერში, ოფიციალურად ტოვებს სამსახურს და მამის თხოვნით ძმასთან ერთად, ბრუნდება თავის მამულში პომერანიაში, სადაც მემამულის საქმიანობას მიჰყო ხელი<sup>1</sup>. აქ მან გარკვეულ წარმატებებსაც კი მიაღწია, წესრიგში მოიყვანა მამის მამულები კნიპგოფის, კიულცის და იარხელინის მამისეული მამულები, რომლებიც თითქმის მოშლილი იყო და ვალებში გაყიდვა ემუქრებოდა. ამის შესახებ ის ასე წერდა: „ მე ვაპირებდი ცხოვრებასა და სიკვდილს სოფელში, წარმატებების

---

<sup>1</sup> გ. ბალათურია, ს ცხადაძე, დასახ ნაშრ., გვ. 15.

მიღწევას სოფლის მეურნეობის სფეროში<sup>1</sup>. ბისმარკი ასევე გამოირჩეოდა თავისი კლასის წარმომადგენელთა შორის მტკიცე ხასიათით, მძაფრი და ზოგჯერ უხეში პირდაპირობით, გოლიათური აღნაგობით. პრაგმატული გონება, განურჩევლობა საშუალებებისა თავისი რეაქციული მიზნების მისაღწევად-აი, დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ბისმარკისა. აქედან გამომდინარე, უბადლო მონადირემ და დუელიანტმა, დაუოკებელი სულის პატრონმა იმ დროს თავის მხარეში „ველურის“ მეტსახელიც მოიპოვა.<sup>2</sup>

1845 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ბისმარკი გადასახლდა შენჰაუზენში. კნიჰოფიც ასევე დარჩა მას, ხოლო ორი სხვა მამული გადავიდა მისი ძმის მფლობელობაში. აღსანიშნავია ის, რომ მამულების მართვასთან ერთად იგი აგრძელებდა განათლების მიღებას. კითხულობდა გ. ჰეგელის, ი. კანტის, ბ. სპინოზას, თ. ჰობსის, ვ. ვოლტერის, ბ. ბაუერის, დ. შტრაუსისა და ლ. ფოიერბახის ნაწარმოებებს.<sup>3</sup> იმოგზაურა ინგლისსა და საფრანგეთში.

---

<sup>1</sup> Отто Фон Бисмарк, указ..соч. с. 21.

<sup>2</sup> А. С. Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Милитаризм М. 1968. с. 22

<sup>3</sup> В.В. Чубинский, указ..соч. с. 18.

ამ დროისათვის ბისმარკს არაფერი ემჩნეოდა, რომ მომავალში ის გახდებოდა თავისი დროისათვის უდიდესი მოღვაწე და დიპლომატი. მიუხედავად ამისა, დიდმა პოლიტიკურმა და ისტორიულმა მოვლენებმა ბისმარკის ცხოვრება მოულოდნელად შეცვალეს. პირველი სამი ათეული წელი მისი ცხოვრებისა - დაუცხრომელი ტემპერამენტი, ვნებიანობა, თავნებობა, საყოველთაოდ მიღებული ქცევის წესების უგულვებელყოფა, ავანტიურისტული ჩვევები-წარმოადგენდა არსებითად მხოლოდ საწყის ეტაპს იმ მეტად მნიშვნელოვანი გადამწყვეტი მომენტისა, როცა მემამულის ნაცვლად უნდა მოსულიყო პოლიტიკოსი, კერძო პირის ნაცვლად ისტორიული პიროვნება. ეს მომენტიც დადგა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს. ამ დროისათვის მას უკვე გააჩნდა ჩამოყალიბებული პოლიტიკური შეხედულებები. ის, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობის პერიოდში, დიდი ხნის წინ, საბოლოოდ გამოემშვიდობა ნახევრად რესპუბლიკური მართვის იდეის წუთიერ გატაცებებს და გახდა თვითდარწმუნებული, ურყევი მონარქისტი.

## პოლიტიკური მოღვაწეობის

### დასაწყისი

ოტო ბისმარკის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა ემთხვევა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ბოლო პერიოდის რევოლუციებს ევროპაში. რევოლუციები საზოგადოებრივი მოძრაობაა, თვისობრივად ახალი უფრო მაღალი ეტაპისაკენ. სოციალური რევოლუციები „ისტორიის ლოკომოტივებია“ (მარქსი). მისი გამომწვევი მიზეზები, უშუალოდ ესაა კონფლიქტი ახალ და ძველ საწარმოო ურთიერთობებს შორის, რომლის ნიადაგზე ვლინდება საზოგადოების შიგნით კლასებსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ანტაგონიზმი, რომლის შედეგადაც რევოლუციების დროს ხდება არა მარტო რევოლუციონერების, არამედ მათ მოწინააღმდეგეთა ძალების ფორმირება. ოტო ბისმარკი პოლიტიკოსად გერმანიაში 1848 წლის რევოლუციამ შექმნა. სწორედ რევოლუციის პერიოდში ბისმარკს მთელი სისრულით აღმოაჩნდა ის თვისებები, რომლებიც შემდგომ ესოდენ დამახასიათებელი აღმოჩნდება მისი

მოღვაწეობისათვის: საკუთარ ძალებში ურყევი რწმენა, უსაზღვრო სიძულვილი ყოველგვარი დემოკრატიული მოძრაობებისადმი, ზიზღი პარლამენტარული ლაყბობისადმი<sup>1</sup>, უნარი საკმაოდ ზუსტად შეფასებისა მოწინააღმდეგის ძალებისა. სწორედ იმ დროს, როცა ოტო ბისმარკი თავის მამულში-შენჰაუზენში, მემამულის ტკბილი ცხოვრებით ტკბებოდა, პრუსიაში მეფე შეიცვალა. 1840 წელს გარდაიცვალა ფრიდრიხ ვილჰელმ III და პრუსიის სამეფო ტახტი დაიკავა ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხემ. მან გაიხსენა, ჯერ კიდევ ქვეყნისათვის მძიმე წლებში, როცა პრუსია ნაპოლეონის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომში სისხლისაგან დაცლილი ჭრილობებს იშუშებდა, მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მესამე ხალხს, გაღებული მსხვერპლისათვის წყალობად აღუთქვამდა მათი უფლებების გაფართოებას, რაც მთავარია, ის დაჰპირდა ახალი კონსტიტუციის მიღებას, უფრო სწორად ისეთი კანონების მიღებას, რომელიც მისცემდა ხალხს უფლებას მიეღო მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ჭეჭა - ქუხილმა გაიარა და ხალხის უფლებები შეუსრულებელი დარჩა, რადგანაც ნაპოლეონის დამხობისა და „საღვთო კავშირის“ შექმნის შემდეგ ევროპის ხალხები ამ

---

<sup>1</sup> А С Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Militarизм, М. 1968 ( 23

კავშირის მკაცრი მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდნენ, რომელიც თავისუფალი მოქმედებისათვის არავითარ გამონაკლისებს არ უშვებდა. ფრიდრიხ ვილჰელმ III იმთავითვე ბრმად ემორჩილებოდა ბრძანებებს, რომელიც მომდინარეობდა ავსტრიიდან კავშირის ყოვლისშემძლე კანცლერის მეტერნიხისაგან. მეტერნიხის რეკომენდაციებით, ხალხების ყოველგვარი მისწრაფება თავისუფლებისაკენ სასტიკი ზომებით ძირშივე უნდა ჩახშობილიყო<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, ახალ მეფეზე ხალხი იწყებს იმედების დამყარებას. მათ გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ახლა უკვე აღსრულდებოდა მეფის დაპირება, რადგან ახალი მონარქი თვითონ ღებულობდა მონაწილეობას იმ ბრძანების შედგენაში, სადაც მამამისი ჰპირდებოდა სახალხო წარმომადგენლობის შემოღებას. ამიტომ მეფე თვითონ თვლიდა თავს ვალდებულად დაპირება შეესრულებინა. ეს იმედები ნაწილობრივ მართლაც ასრულდა. მოწვეულ იქნა პროვინციული ლანდტაგები. მეფემ სულ 8 პროვინციული ლანდტაგი დააფუძნა.

ფეოდალური ლანდტაგი, ფეოდალურ-წოდებრივი საკრებულო, რომელიც მოწვეულ იქნა პრუსიაში 1847 წლის 11 აპრილს, შეიქმნა 8 პროვინციული ლანდტაგის შერწყმა-

---

<sup>1</sup>А. С. Ерусалимский, указ соч. 23.

გაერთიანების შედეგად. ის იყოფოდა 2 კურიად: პირველ კურიაში შედიოდნენ მაღალი წოდების-დიდგვაროვნების წარმომადგენლები, მეორეში-თავადაზნურთა, ქალაქისა და სოფლის (გლეხთა) წოდებრივი წარმომადგენლობა. გაერთიანებული ლანდტაგის მოწვევით ფრიდრიხ-ვილჰელმ IV ცდილობდა 1848 წლის რევოლუციის წინ წარმომადგენლობითი ორგანოსაგან მიეღწია თანხმობისათვის და მიეღო მთავრობისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრები, რაც ვერ მოახერხა. წარმომადგენლობით ორგანოში როგორც კი უარი ითქვა სესხის გაცემის დამტკიცებაზე, ლანდტაგი დათხოვნილ იქნა მეფის მიერ 1847 წლის 26 ივნისს. მეორე გაერთიანებული ლანდტაგი მოწვეულ იქნა 1848 წლის 2 აპრილს, რომელმაც მიიღო ახალი საარჩევნო კანონი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის<sup>1</sup>.

ლანდტაგების დეპუტატები წარმოდგენილი იყვნენ წოდებრივი ნიშნის მიხედვით თავადაზნაურთა და ქალაქებისა და სოფლების თემთა წარმომადგენლებად. იყო აგრეთვე რამდენიმე ათეული წევრი დიდებულთა კურიისა<sup>2</sup>, რომლებიც დანიშნული იყვნენ უშუალოდ მეფის მიერ.

---

<sup>1</sup> там. же.

<sup>2</sup> Пименова Б. К. Железный канцлер, Бисмарк творец германской империи. М., 1914, с. 8.



საერთოდ, გაერთიანებული ლანდტაგის მოწვევა მთლიანად დამოკიდებული იყო მეფის ნება-სურვილზე.

გაერთიანებული ლანდტაგის სხდომა უკვე თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა, როცა მის მუშაობაში, მაისის შუა რიცხვებში, ჩაერთო ბისმარკი. ბისმარკის პროვინციულ ლანდტაგში მოსვლა მოხდა სრულიად შემთხვევით, იმ მაზრის დეპუტატის ავადმყოფობის გამო, სადაც მდებარეობდა მისი საგვარეულო მამული შენჰაუზენი (როგორც თადარიგის დეპუტატი). მან იმთავითვე უკიდურეს მემარჯვენეთა შორის დაიკავა ადგილი და აშკარად გაწყვიტა ურთიერთობა მეტად ზომიერ თავადაზნაურთა ოპოზიციასთან. სწორედ ამ გაერთიანებულ ლანდტაგში გამოდის სიტყვით ახალგაზრდა ბისმარკი, რომელმაც მაშინვე გამოავლინა თავი, როგორც მსხვილ მიწათმფლობელ თავადაზნაურ-იუნკერთა ინტერესებისა და შეხედულებების გაბედულმა და თავდადებულმა დამცველმა. ლანდტაგში მან იმთავითვე ყურადღება მიიქცია თავისი მკაცრი, გაბედული და მრავლისმეტყველი გამოსვლებით, რომლის არსი სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივ წარმომავლობაში მდგომარეობდა. ბისმარკი ამბობდა, რომ სამეფო ხელისუფლებამ არასდროს არ უნდა აიღოს ვალდებულება ხალხის წინაშე, არასდროს დადოს მასთან ხელშეკრულება, პრუსიელმა მეფეებმა თავიანთი

ხელისუფლება მიიღეს ღვთისგან, ამიტომ ისინი ვალდებულნი არიან მხოლოდ ღვთის წინაშეო.

ასეთივე რეაქციული განწყობით გამოირჩეოდა ბისმარკის სხვა გამოსვლები. მან დაგმო ლანდტაგის უარყოფითი გადაწყვეტილება მთავრობისათვის სესხის გამოყოფასთან დაკავშირებით და დაადანაშაულა დეპუტატთა დიდი უმრავლესობა სესხის როგორც შანტაჟის იარაღად გამოყენებაში მინისტრების მიმართ. ბოლოს იგი გამოდის ებრაელებისათვის თანაბარი სამოქალაქო უფლებების მიცემის წინააღმდეგ. მან ასევე მხარი დაუჭირა პიეტისტურ თეზისს პრუსიული სახელმწიფოს, როგორც ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შესახებ, რომლის 'გარეშე' ძნელია „კომუნისტების იდეების უარყოფა ძარცვის მაღალი, ზნეობრივი ფასეულობების შესახებ“. ასე განმარტავდა ის კერძო საკუთრების გაუქმების მოთხოვნას<sup>1</sup>. კამათმა ლანდტაგში ბისმარკი იმთავითვე სიძულვილით განაწყო, „პარლამენტარული ლაყბობისადმი“, ზიზღი იყო ნამდვილად ცალმხრივი: ის მიმართული იყო უმთავრესად, ტახტისადმი საპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგ. ამ და სხვა ინექტივებს (მკაცრი გამოსვლები პარლამენტართა მისამართით) პარლამენტართა მიმართ, ხელი არ შეუშლია,

<sup>1</sup> В.В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М 1988. с. 26

ბისმარკისთვის, მისდა გასაოცრად, დაინტერესებულიყო და კიდევაც გატაცებულიყო არა მხოლოდ პოლიტიკით, საერთოდ, არამედ საპარლამენტო საქმეებითაც: წარემართა აქტიური მოლაპარაკებები კულუარებში, მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა თათბირებსა და თავყრილობებში.

ბისმარკმა სწრაფად მოიპოვა ავტორიტეტი უკიდურესად მემარჯვენე წრეებში, რომლებიც ახლოს იყვნენ სამეფო კართან და სახელი გაითქვა პოლიტიკაში, მაგრამ ის უკვე დასაწყისშივე, გარკვეულწილად, ოდიოზური ფიგურა ხდება მტკიცედ დამკვიდრებულ რეტროგრადის რეპუტაციით. თვით მეფეც კი, რომელიც სრული სიმულვილით უარყოფდა თავისი ქვეშევრდომების კონსტიტუციურ მისწრაფებებს, გაურბოდა მასთან ურთიერთობას დღესასწაულებსა და ოფიციალურ მიღებებზე, რომ ამით არ გამოეხატა თავისი კეთილი დამოკიდებულება მისი შეხედულებებისადმი<sup>1</sup>.

გაერთიანებული ლანდტაგის დათხოვნის შემდეგ ოტო ბისმარკი სარგებლობს შექმნილი ვითარების შედეგად მიღებული შესვენებით და მთლიანად დაკავდა პირადი საქმეების მოგვარებით. 1847 წლის ივლისში ის ქორწინდება თავის დანიშნულზე-იოჰანა ფონ პუტკამერზე. ახალშეუღლებულები მიემგზავრებიან საქორწინო

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М. 1988 г. 27

მოგზაურობაში, იტალიაში. სწორედ ამ პერიოდში ვენეციას სტუმრობდა პრუსიის მეფე. ოტო ბისმარკმა ეს შემთხვევა გამოიყენა იმისთვის, რომ ვენეციაში გამგზავრებულყო, რათა მეფეს შეხვედროდა. დაუყოვნებლივ სთხოვა კიდევ ოფიციალური მიღება. ბისმარკი მეფემ სადილზე მიიპატიჟა, სადაც მათ შორის შედგა ხანგრძლივი საუბარი, როგორც პრუსიის, ისე საერთო გერმანულ საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ბისმარკის მამა დაახლოებული პირი იყო სამეფო კარზე. თვითონ ბისმარკი, როდესაც პირველად ეწყობოდა სახელმწიფო სამსახურში, ის პრუსიის პრინცს წარუდგინეს, შემდგომ გერმანიის იმპერატორს. ერთი სიტყვით, ოტო ბისმარკი უკვე ცნობილი იყო მეფისათვის, ხოლო მისმა გაბედულმა გამოსვლებმა ლანდტაგში და მის მიერ კონსერვატიული პრინციპების თავგამოდებულმა დაცვამ განაწყო მეფე იმისთვის, რომ უფრო დაახლოებოდა გერმანიის მომავალ კანცლერს. ვენეციაში შეხვედრამ ის შედეგი გამოიღო, რომ შემდგომში ოტო ბისმარკი სამეფო კარისათვის მისაღები პიროვნება გახდა. იტალიიდან ბისმარკი შენჭაუზენში დაბრუნდა, თუმცა მისთვის მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრება საკუთარ მამულში დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სოციალურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა არამართო პრუსია, არამედ სხვა გერმანული ქვეყნებიც მოიცვა. 1848 წლის დასაწყისისათვის გერმანიაში

შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია. მოახლოებული რევოლუციის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა გერმანიის გაერთიანება, ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაცია, დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, აგრარული საკითხისა და ნაციონალური პრობლემის გადაწყვეტა.

ამდენად, მეფის დაპირისპირება გაერთიანებულ ლანდტაგთან მხოლოდ პრელიუდია აღმოჩნდა იმ რევოლუციური მოვლენებისა, რომელმაც 1848-1849 წწ. გადაუარა არა მარტო პრუსიას და დანარჩენ გერმანულ ქვეყნებს, არამედ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებს, რომლის ბიძგის მიმცემი გახდა საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია თებერვლის ბოლოს. მეფის ლუი ფილიპეს დამხობამ და რესპუბლიკის გამოცხადებამ საფრანგეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა გერმანულ სახელმწიფოებში. ყოველი ახალი ცნობა რევოლუციის აღში გახვეული ქვეყნიდან თანაგრძნობასა და აღფრთოვანებას იწვევდა საზოგადოების ერთ ნაწილში, შიშსა და აღშფოთებას - მეორე ნაწილში. საფრანგეთის რევოლუციამ მძლავრი იმპულსი მისცა რევოლუციურ გამოსვლებს გერმანულ ქვეყნებში.

ამგვარად, მკაცრმა სავაჭრო-სამრეწველო კრიზისმა, უკიდურესად მწვავე სოციალურმა ვითარებამ ქალაქის მშრომელი მოსახლეობის მასობრივი მღელვარებანი გამოიწვია. აჯანყდა გლეხობა, ანტისახელისუფლებო მოძრაობის ზრდამ

სულ უფრო გააძლიერა ლიბერალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის ოპოზიციური საქმიანობა.

გერმანული ბურჟუაზიისათვის, რომელსაც ძალზე სჭირდებოდა საერთო ნაციონალური ბაზარი და, საერთოდ, სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება, სრულიად მიუღებელი იყო პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და რეაქციის პირობებში არსებული მისი მდგომარეობა. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო პრუსიული ბურჟუაზია, “ყველაზე განვითარებული ნაწილი მთელი გერმანული ბურჟუაზიისა”<sup>1</sup>, (აქ ფრ. ენგელსს მხედველობაში ჰქონდა რაინის ბურჟუაზია), რომელიც ოპოზიციაში ჩაუდგა ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხის ხელისუფლებას.

თავდაპირველად რევოლუციური მოძრაობა გავრცელდა საფრანგეთის მოსაზღვრე სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებში. მღელვარებამ მოიცვა ბადენი, ვიურტემბერგი, ბავარია და სხვა გერმანული ქვეყნები. ანტისახელისუფლებო გამოსვლების ფართო და მწვავე ხასიათმა გამოიწვია ამ ქვეყნებში ლიბერალური მთავრობების ჩამოყალიბება, რომელთა მოღვაწეობა მხოლოდ ნახევრად ბურჟუაზიულ დემოკრატიული რეფორმების გატარებით შემოიფარგლა.

---

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения. изд.-2-ое, т. 16, М., 1960, с. 55

იმავდროულად რევოლუციამ იფეთქა ავსტრიის იმპერიაში. რომელმაც მოიცვა საკუთრივ ავსტრიის ტერიტორია, უნგრეთი, ჩეხეთი, ასევე ავსტრიის იტალიური სამფლობელოები. მძლავრმა რევოლუციურმა გამოსვლებმა ქვეყანაში და განსაკუთრებით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნგრეთში ავსტრიის იმპერია კატასტროფის პირამდე მიიყვანა. ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი ფარულად ინგლისში გაიქცა. ავსტრიის იმპერატორის მიერ რევოლუციის ზეწოლის შედეგად იძულებით გატარებულმა რიგმა რეფორმებმა შედეგი ვერ გამოიღო. იმპერია დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეს პროცესი გარდაუვალი იქნებოდა თუ არა ის დახმარება, რომელიც ავსტრიის იმპერატორს ფრანც იოსებს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გაუწია. ნიკოლოზ პირველმა 150 000-იანი ჯარი გენერალ პასკევიჩის სარდლობით გაგზავნა უნგრეთში რევოლუციის ჩასახშობად და ამით გადაარჩინა ავსტრიის მონარქია რღვევას. ალბათ ევროპის სახელმწიფოთა ისტორიაში, როგორც ამას აღნიშნავს თავის მემუარებში ოტო ფონ ბისმარკი, ძალიან ნაკლებად თუ არის ცნობილი სხვა ისეთი მაგალითი, როცა ყოველმხრივ შეუზღუდავი მონარქი უდიდესი სახელმწიფოსი, ისეთ სამსახურს უწევს თავის მეზობელს როგორც იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ავსტრიის მონარქიას გაუწია, ისიც ისეთ

მძიმე მდგომარეობაში როგორმაც ის იმყოფებოდა 1849 წელს. ამისათვის სანაცვლოდ კი არაფერი სარგებელი, ანაზღაურება არ მოუთხოვია. არც მათ შორის არსებულ უთანხმოებაზე, რომელიც არსებობდა აღმოსავლეთისა და პოლონეთის საკითხებზე, დაუძრავს ხმა. უფრო მეტიც, მის მიერ გაგზავნილი ჯარიც უკან გამოიწვია<sup>1</sup>.

გასაოცარი და რუსეთისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ის, რითაც ავსტრიამ რუსეთის ამ კეთილმეზობლურ ნაბიჯს უპასუხა და უმადურობის სრული სახე წარმოაჩინა. რაც ავსტრიის კანცლერის შვარცენბერგის სიტყვებში “ჩვენ კიდევ გავაოცებთ ევროპას ჩვენი უმადურობით”<sup>2</sup>, გამომჟღავნდა, შემდგომში, კი 1853-56 წწ. ყირიმის ომის დროს, ავსტრიის რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის კოალიციისათვის მიმხრობით დადასტურდა.

1848 წლის მარტის დასაწყისისათვის სახალხო გამოსვლებმა ფართო ხასიათი მიიღო. არ წყდებოდა მოძრაობა პრუსიის უდიდეს სამრეწველო რეგიონში, რაინის პროვინციაში - ქალაქებში: კიოლნში, ახენში, დიუსელდორფში, ზოლზელფერდსა და კობლენცში. რაინის პროვინცია როგორც

---

<sup>1</sup> Отто фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, Москва, Санкт-Петербург, 2004. С. 201

<sup>2</sup> А. С. Ерусалимский, указ соч. с 39.



ყველაზე განვითარებული მხარე მრეწველობის მხრივ, ასევე გამოირჩეოდა პოლიტიკური ალტკინებითაც. აქედან გამომდინარე, ყველაზე ოპოზიციურად განწყობილი აღმოჩნდა ხელისუფლების მიმართაც. ლიბერალურად თუ დემოკრატიულად განწყობილი ბურჟუაზია სათავეში ჩაუდგარევიოლუციურ მოძრაობას. რაინიდან კი მღელვარება გავრცელდა პრუსიის დედაქალაქ ბერლინში. აბოზოქრებული ძალების ორდლიანმა ბარიკადულმა ბრძოლებმა სამთავრობო ჯარებთან 1848 წლის 18-19 მარტს, მართალია დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც გამარჯვება მოუტანა აჯანყებულებს.

თუმცა ამ გამარჯვებით ისარგებლა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ. ვილჰელმ მეოთხე იძულებული შეიქმნა ხელისუფლებაში მოეწვია ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ჩამოეყალიბებინა კამპჰაუზენ-ჰანზემონის მთავრობა. ერთი სიტყვით, ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხე უფრო მოქნილი და გამჭრიახი აღმოჩნდა. მან ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარება რეალურად შეაფასა და საჭიროდ ჩათვალა რევიოლუციის ჩასაქრობად გაერთიანებინა მონარქიის, იუნკრების და ლიბერალური ბურჟუაზიის მთელი ძალები. ამით იყო განპირობებული მისი დროებით კომპრომისზე წასვლა ოპოზიციურად განწყობილ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან.

რას საქმიანობს ამ დროს ოტო ბისმარკი? პრუსიის ლანდტაგში- პარლამენტში თავისი დებიუტისა და ვენეციაში მეფესთან აუდიენციის შემდეგ, მისთვის დამახასიათებელი გაბედულობით ის აშკარად ხდება სამეფო ტახტის დამცველ სახელმწიფო მოღვაწედ. ამიტომ გერმანიაში მიმდინარე 1848 წლის რევოლუციისადმი ბისმარკის დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითი და აბსოლუტურად მიუღებელი იყო, იმდენად რომ სასწრაფოდ მიემგზავრება ბერლინში იმ მიზნით, რათა შეხვედროდა მეფეს და დაერწმუნებინა ის აქტიური მოქმედებების განხორციელებაში. მისი ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა საკუთარ პრინციპებზე მტკიცედ მდგარი თავდაჯერებული და თავგამოდებული როიალისტი ბისმარკი უკავშირდება პრუსიის პრინც ვილჰელმს, რომლის მეშვეობით ცდილობს მიაღწიოს მისი მხრიდან აქტიურ მოქმედებას, სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელებას და ამით გაოგნებული სამეფო ხელისუფლების გადარჩენას. იქიდან გამომდინარე, რომ პრინცი ცნობილი იყო თავისი რადიკალური შეხედულებებით, რომელიც 1848 წლის მარტში მეფისგან დაჟინებით მოითხოვდა უმკაცრესი ზომების გატარებას მიმდინარე რევოლუციის ჩასახშობად, რისთვისაც პრინცმა ვილჰელმმა შემდგომში „კარტეჩის (ფინდიხის) პრინცის“ მეტსახელიც კი მიიღო. ბისმარკის პრინცთან ყოფნისას, რომელსაც მანამდე მისი

მეფესთან აუდიენცია უძლოდა, ორივე მოსაუბრე სასოწარკვეთილნი იყვნენ დედაქალაქში აჯანყებულთა მიმართ მისი მხრიდან დათმობის გამო და ბერლინიდან ჯარის გაყვანას გამოუსწორებელ შეცდომად მიიჩნევდნენ. ბისმარკი ასევე პირადი ნდობით აღჭურვილი პირების შუამავლობით უკავშირდებოდა პრუსიის არმიის გენერალიტეტის ზოგიერთ წარმომადგენელს და ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი იმაში, რომ ჯარი აუცილებლად გამოსულიყო სამეფო ხელისუფლების დასაცავად, მაგრამ ამ ძალისხმევას წარმატება არ მოჰყოლია.

აღსანიშნავია, რომ ბისმარკსა და პრინცს შორის რაიმე დაბრკოლებას არ წარმოადგენდა არსებული ვითარების შეფასებასთან დაკავშირებით საერთო ენის გამონახვა. ჯერ კიდევ ბისმარკის პირველმა გამოსვლებმა 1847 წელს გაერთიანებულ ლანდტაგში პრინცის ყურადღება მიიპყრო და მისი მხრიდან მოწონებაც კი დაიმსახურა. ხოლო ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ, 1848 წლის ივნისის დასაწყისში<sup>1</sup> მან

---

<sup>1</sup> ვილჰელმი - პრუსიის პრინცი, მეფის მემკვიდრე, იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა სასახლეში, რომელთაც არ სურდათ რაიმე სახის დათმობაზე წასულიყვნენ აჯანყებულთა მიმართ და დაჟინებით მოითხოვდა აჯანყების სასტიკად ჩახშობას. მეფის გადაწყვეტილებას ბოლო „მოელო სისხლიღვრისათვის,“ პრინცის მხრიდან დიდი უკმაყოფილება და წინააღმდეგობა მოჰყვა. ყველაფერი ეს ცნობილი გახდა ბერლინში 20 მარტს. აღშფოთებული ხალხის ტალღა მოადგა პრინცის სასახლეს და მოითხოვა

განუცხადა ბისმარკს „მე ვიცი, რომ თქვენ მოქმედებით ჩემს სასარგებლოდ და ამას არასდროს დავივიწყებ“<sup>1</sup>.

პრუსიის ლიბერალური ბურჟუაზია, როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში რევოლუციის წყალობით, განუდგა თავის უშუალო მოკავშირეებს, გადავიდა იუნკრობასთან შეთანხმებაზე და მთელი პოლიტიკა წარმართა რევოლუციის ძირითადი ძალების - მშრომელი მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთივე ცინიკური აღმოჩნდა ლიბერალური ბურჟუაზიის შემთანხმებლური პოლიტიკა ავსტრიაშიც, სადაც მათი ხელშეწყობით ხელ-ფეხი გაეხსნა კონტრევოლუციას. 1848 წლის 22-23 აგვისტოს ვენაში ნაციონალურმა გვარდიამ დახვრიტა ფართომასშტაბიანი მშრომელთა დემონსტრაცია. მოკლულ იქნა 18 და დაიჭრა 200 კაცი. სასტიკად ჩაახშეს დემოკრატიული მოძრაობა. აჯანყებულებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. მოკლული და დაჭრილი იყო 500 კაცი<sup>2</sup>.

პრუსიაში მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხე ეტაპობრივად გადავიდა კონტრევოლუციურ შეტევაზე.

---

მისი დანგრევა. პრინცი იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ინგლისში, თითქოს მეფის საიდუმლო დავალებით.

<sup>1</sup> В.В. Чубинский, указ. соч. с. 39.

<sup>2</sup> И.С. Галкин, Создание германской империй (1815-1871), 1986. с. 65.

თავდაპირველად პრუსიის ჯარებმა დარტყმა მიაყენეს აჯანყებულებს, რომლებიც ცდილობდნენ ბერლინში სამხედრო არსენალის ხელში ჩაგდებას. ამას მოჰყვა კამპაუზენის ლიბერალური მთავრობის შეცვლა აუერსვალდ-ჰანზემანის მთავრობებით, რომლებიც აშკარად გადავიდნენ კონტრევოლუციის მხარეს. შემდეგ 1848 წლის 22 სექტემბერს ეს უკანასკნელი პულეს მთავრობით შეიცვალა. ბოლოს, როდესაც ვენის აჯანყებამ მარცხი განიცადა და ავსტრიაში კონტრევოლუცია ზეიმობდა, ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხემ პირველ ნოემბერს ხელისუფლებაში მოიხმო აშკარა რეაქციული ბრანდენბურგ-მანტოიფელის მთავრობა<sup>1</sup>. გენერალი, გრაფი ბრანდენბურგი სახელმწიფო საქმეებში არ იყო კარგად ჩახედული, ამიტომ სურდათ მისთვის მიემაგრებინათ მთავრობაში ფაქტიურ ხელმძღვანელად გამოცდილი და გაწაფული პოლიტიკოსი ოტო ფონ მანტოიფელი, რომელიც მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ოტო მანტოიფელი ცივ უარზე იდგა. ამიტომ ბისმარკს ბედად ერგო მისია ბრანდენბურგის უშუალო თხოვნით დაეთანხმებინა ის. რამდენიმე საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ბისმარკმა შეძლო ამ ამოცანის

---

<sup>1</sup>, там же. с.65.

შესრულება, მონტოიფელის დარწმუნება და მისი დათანხმება შემოთავაზებულ წინადადებაზე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბისმარკი ბერლინსა და პოტსდამში იმყოფებოდა. აქ ის ხვდებოდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა მთავარ მოქმედ პირებს, რეაქციონერთა (სახელისუფლებო) ბანაკიდან - ამხნევებდა, ადაფრთოვანებდა, ურჩევდა, აქეზებდა მათ. 1848 წლის 9 ნოემბერს პრუსიის დამფუძნებელ კრებაზე გრაფმა ბრანდენბურგმა საჯაროდ გამოაცხადა მეფის ბრძანებულება ბერლინიდან პროვინციულ ქალაქ ბრანდენბურგში კრების სხდომათა გადატანის შესახებ იმ მოტივით, რომ „ანარქიის“ პირობებში, რომელმაც მოიცვა დედაქალაქი, შეუძლებელია კრების სხდომათა თავისუფლად ჩატარება. პრუსიის დამფუძნებელ კრებაზე წარმოდგენილი ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლობა, თავდაპირველად შეეცადა გაეპროტესტებინა მეფის ბრძანებულება, მაგრამ პირველსავე დამუქრების შემდეგ მეფის მხრიდან უარი თქვეს პროტესტზე. მიუხედავად კრების ასეთი პასიური „წინააღმდეგობისა“, სამრეწველო მსხვილი ქალაქების მშრომელებმა და გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მთავრობის პოლიტიკით, დაიწყო მზადება შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის, საჭირო იყო მხოლოდ მოწოდება ბრძოლისაკენ და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობა. რაც

დამფუძნებელი კრებიდან არ გაისმა. ამ დროისათვის სასწრაფოდ ბერლინში შემოდებულ იქნა სააღყო მდგომარეობა, გატარდა უმკაცრესი ზომები. აქედან გამომდინარე, კი ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხემ ისარგებლა დამფუძნებელი კრების ლიბერალური ბურჟუაზიის დეპუტაციის პასიურობით და 1848 წლის 5 დეკემბერს გასცა ბრძანებულება პრუსიის ნაციონალური კრების დათხოვნის შესახებ. ხოლო 6 დეკემბერს გამოქვეყნდა „ზემოდან ბოძებული“ ახალი პრუსიული კონსტიტუცია<sup>1</sup>. შემოთავაზებული კონსტიტუცია ინარჩუნებდა 1848 წლის მარტის რევოლუციის უმნიშვნელო, ერთობ შეკვეცილ მონაპოვარს; ახდენდა სამოქალაქო თავისუფლებებისა და საყოველთაო საარჩევნო უფლებების დეკლარირებას; განამტკიცებდა თავადაზნაურულ წოდებრივ პრივილეგიებს.

ამდენად, 1848 წლის რევოლუციასა და ამავე წლის ნოემბრის კონტრევოლუციურ გადატრიალებას შედეგად ის მოჰყვა, რომ პრუსიამ მხოლოდ უმნიშვნელო ნაბიჯი გადადგა ქვეყნის ბურჟუაზიულ მონარქიად გარდაქმნის გზაზე. ის თავისი, გაუბედაობისა და სიმხდალის გამო მუდმივად იწვევდა და ითხოვდა პარლამენტს. ბისმარკის მოღვაწეობა, მისი აშკარა კონსერვატიულობისა და უკიდურესი

---

<sup>1</sup> там же. с. 65.

რადიკალურობის გამო, სახალხო წარმომადგენლებს იმდენად საეჭვო და არორდინალურად მიაჩნდათ, რომ მას არ ირჩევდნენ. ის თავის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას, ამბიციებს თუ დაუოკებელ მოთხოვნილებებს პარლამენტს გარეთ მოღვაწეობით იკმაყოფილებდა.

1849 წლის დასაწყისში ბისმარკი ისევ აირჩიეს დეპუტატად, მაგრამ ხმათა მცირე უპირატესობით. არჩევნები ლანდტაგის ორივე პალატაში შედგა 1849 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში. ბისმარკის კანდიტატურა წარდგენილ იქნა ბრანდენბურგში და მხარი დაუჭირა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც შექმნილი იყო კონსერვატორების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის სახელმძღვანელოდ. არჩევნების წინადღით, ამომრჩეველთა კრებაზე სიტყვით გამოსვლისას, ბისმარკმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა: “ვინც პატიოსნად ეკიდება თავის სამშობლოს, მან ახლა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს მთავრობას მის მიერ არჩეულ გზაზე იმისათვის, რომ მოვერიოთ რევოლუციას, რომელიც ყველა ჩვენგანს ემუქრება”<sup>1</sup>.

ამომრჩეველთა უმნიშვნელო უმრავლესობამ ამ პოზიციას მხარი დაუჭირა, რომლის შედეგადაც ბისმარკი

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, указ. соч. с. 27.



პრუსიის ლანდატაგის მეორე პალატაში მოხვდა. აქ კი მან, ადგილი, დაახლოებით, ორმოცდაათ უკიდურესად მემარჯვენე დეპუტატთა შორის დაიკავა. იმავე წლის გაზაფხულზე ბისმარკი პარლამენტში და პარლამენტს გარეთ თავგამოდებით იცავდა იმავე იდეებს, რომლის განხორციელებასაც ის ასე გულმოდგინედ ხელს უწყობდა მანამდეც.

რასაკვირველია, ის იცავდა თავადაზნაურ-იუნკერთა უფლებებს, რომლის უშუალო წარმომადგენელი იყო. ხოლო ბურჟუაზიასა და ჩინოვნიკებზე მისი შეხედულებები უკიდურესად უარყოფითი გახლდათ, რადგან, მისი აზრით, მათ სახელმწიფოს პოლიტიკურ ინსტიტუტებში არეულობა შეჰქონდათ, რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა მის დაშლას. ბისმარკის დამოკიდებულება საზოგადოების ამ ნაწილისადმი ხშირად უპატივცემლო, უკმეხ ფორმასღებულობდა. აქედან გამომდინარე, იმდროინდელი გამოკვეთილი პოზიციით, შეხედულებებითა და რწმენით, ის რეაქციონერ პიროვნებად და კონსერვატორ სახელმწიფო მოღვაწედ წარმოგვიდგება.

ამდენად, გერმანიის კავშირის ორ ყველაზე უფრო მსხვილ სახელმწიფოში - ავსტრიასა და პრუსიაში გაიმარჯვა კონტრევოლუციამ. მას კვალდაკვალ მოჰყვა კონტრევოლუციური გადატრიალებები სხვა დანარჩენ

გერმანულ სახელმწიფოებში. 1849 წლის მაისში ამ ქვეყნებში სახალხო აჯანყებები სისხლში იქნა ჩხშობილი ადგილობრივი ძალების მეშვეობითა და პრუსიის არმიის უშუალო დახმარებით, მათ შორის, რასაკვირველია, პრუსიის პრინცის საერთო ხელმძღვანელობით. ყველაფერი ეს კი რამდენად წარმოდგენილია არ უნდა მოგვეჩვენოს, აღფრთოვანებას იწვევდა ბისმარკში. ის სასარგებლოდ მიიჩნევდა პრუსიის ჯარების მუდმივად გაგზავნას მთელი გერმანიის მასშტაბით. მისი ღრმა რწმენით, პრუსიის არმიას შეეძლო წარმატებით შეესრულებინა ყველგან რევოლუციის ჯალათის როლი.

პრუსიაში გერმანულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე კონსერვატიულ ქვეყანაში კონტრევოლუციის გამარჯვება განსაკუთრებით გამოკვეთილი და თვალსაჩინო იყო, რომელსაც შედეგად მოჰყვა ის, რაც მოგვიანებით კ. მარქსმა შემდეგი სიტყვებით შეაფასა: „რევოლუციამ, უფრო სწორად, მის მიერ წარმოშობილმა კონტრევოლუციამ, შეცვალა ძირფესვიანად მთელი სურათი....Landjunker (იუნკერ)-ებმა მიიღეს ყველაზე რეალური სარგებელი, მათ შეძლეს მთავრობის უკუგდება იმ მდგომარეობამდე, რომელიც მას ეკავა არა მხოლოდ 1848-მდე და 1815-მდე, არამედ 1807 წლამდეც<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმდინარე ისტორიულ

---

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд.-2-ое, т. 12 М. 1960 с. 704.

მოვლენებსა თუ პოლიტიკურ პროცესებში ოტო ბისმარკი ყველაზე აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა.

1849 წლის აპრილის ბოლოს პრუსიის ლანდტაგი მეფემ დაითხოვა. იმავე წლის მაისის ბოლოს პრუსიაში გამოქვეყნდა ახალი საარჩევნო კანონი. რევოლუციის შედეგად მიღწეული საყოველთაო საარჩევნო უფლებების მაგივრად შემოღებულ იქნა მკვეთრად ანტიდემოკრატიული, ე.წ. სამკლასიანი სისტემა არჩევნებისა, რომელიც მოქმედებდა გერმანიაში 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამდე. პრუსიის ამომრჩევლები იყოფოდნენ სამ კლასად, გამომდინარე იმ თანხის საერთო რაოდენობიდან, რომელსაც ისინი იხდიდნენ გადასახადის სახით. თითოეული კლასი ირჩევდა ერთნაირი რაოდენობის ამომრჩეველს, რომლებიც, თავის მხრივ, ირჩევდნენ ლანდტაგის დეპუტატებს. აქედან გამომდინარე, პირველი კლასის 150 ათასს ამომრჩეველს ლანდტაგში ჰყავდა იმდენივე წარმომადგენელი, რამდენიც 2,5 მილიონ ადამიანს, რომლებიც ირიცხებოდნენ მესამე კლასში. ამრიგად, პრუსიის პარლამენტში წინასწარვე უზრუნველყოფილი იყო მყარი უმრავლესობა იმ დეპუტატებისა, რომლებიც იცავდნენ მოსახლეობის ყველაზე უფრო შეძლებული წრის ინტერესებს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> В. В. Чубинский, указ. соч., с. 54.

პირველი არჩევნები ამ სისტემით ჩატარდა 1849 წელს, აგვისტოში. ბისმარკმა შეძლო შეენარჩუნებინა დეპუტატის ადგილი ლანდტაგში. ლანდტაგში ის რამდენიმე კომისიის წევრი გახლდათ და მთელი თავით ჩაეფლო საპარლამენტო მუშაობაში. ეს იყო მართლაც დრო ბისმარკი-პარლამენტარის გაფურჩქვნისა, როდესაც ის თავს იწონებდა თავისი ანტიპარლამენტარიზმით, დრო, როცა ის ფლობდა პარლამენტარული დებატებისა და კამათის ყველა წვრილმანს. სწორედ მაშინ საბოლოოდ დამკვიდრდა მისი მეტყველების კულტურა, მისი გამოსვლების სტილი - მძაფრი, მაგრამ დახვეწილი, თავისებური, რამდენადმე ტლანქი, უხეში, მაგრამ გონებამახვილობით გამორჩეული, და არც თუ იშვიათად, ირონიული პათოსით გაჯერებული.

ოტო ბისმარკის პირველი გამოსვლები დაკავშირებული იყო გერმანიის გაერთიანებისთვის ბრძოლის ახალ ეტაპთან. ჯერ კიდევ 1849 წელს, მათის ბოლოს პრუსიამ, რომელმაც ხიშტებით დახმარება გაუწია გერმანულ სახელმწიფოებს რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში, მის მიერ გაღებული „წყალობის“ შდეგად შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია გადაწყვიტა გამოეყენებინა ე.წ. სამი მეფის უნიის - კავშირის გასაფორმებლად. ეს გახლდათ პრუსიას, საქსონიასა და ჰანოვერს შორის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე შეთანხმება (ავსტრიის მონაწილეობის გარეშე),

პრუსიის მეფის ხელმძღვანელობით, როგორც იმპერიის უშუალო მმართველისა. ამასთანავე, შეთანხმება ასახავდა გერმანელი თავადაზნაურობისათვის განსაკუთრებული უფლებების შენარჩუნებას, საიმპერიო უნიის პარლამენტის არჩევას პრუსიის სამკლასიანი სისტემის საფუძველზე. ავსტრიასა და გერმანულ სახელმწიფოთა უნიას შორის დამოკიდებულება დარეგულირდებოდა სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებით. იმავე წლის შემოდგომისათვის უნიას შეუერთდა 28-მდე წვრილ-გერმანულ სახელმწიფოთა უმრავლესობა<sup>1</sup>. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ პოლიტიკურ გაერთიანებას არ ეწერა განხორციელება. მას უმაღლვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი: ავსტრია, ბავარია და ვიურტემბერგი. მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდი ამ ახალ სახელმწიფოთა გაერთიანების ირგვლივ მუშაობა მაინც გრძელდებოდა. მიდიოდა მზადება საკავშირო დამფუძნებელ პარლამენტში არჩევნებისათვის; უნიის პროექტმა უცებ ჰპოვა მხარდაჭერა გერმანელ ლიბერალთა შორის. ლიბერალთა მემარჯვენე (ზომიერთა) ფრთამ (სულ 150-მდე კაცმა) ქ. გოთაში იმავე წლის ივნისში მოიწონა ოფიციალურად უნიის იდეა - პროექტი და მისი პარლამენტში არჩევნების ჩატარების გეგმა.

---

<sup>1</sup> И.С. Галкин, указ. соч. с. 83.

ოტო ფონ ბისმარკი იმათ შორის იყო, ვინც წინ აღუდგა უნიას. მას არ სჯეროდა და, არც თუ უსაფუძვლოდ, მომავალი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა. 1849 წლის 6 დეკემბერს ლანდტაგში გამოსვლისას, მან ამის შესახებ ღიად თქვა. ასევე ის შიშობდა, რომ არ მომხდარიყო პრუსიის ლიბერალების გაძლიერება, პრუსიის სამხრეთგერმანულ სახელმწიფოებთან გაერთიანების შედეგად, რადგან ეს უკანასკნელი მას ბურჟუაზიული ლიბერალიზმის კერად მიაჩნდა. ყველაზე მეტად მაინც მას ამ პროექტისადმი შეურიგებელს ხდიდა ის, რომ, მისი აზრით, მოსალოდნელი იქნებოდა ერთგვარი შეზღუდვა პრუსიის პრივილეგიებისა და მოქმედების თავისუფლებისა ახალ ფედერაციაში. სწორედ ამ ერთობ ნაციონალისტურმა ელემენტებმა გაიჟღერა მის გამოსვლაში. განსაკუთრებით, ხმამაღლა და აგრესიული პათოსით ლანდტაგში გამოსვლისას ბისმარკმა დიფერამბი უმღერა „სპეციფიკურ“, თვითმყოფად პრუსიულობას, რომელმაც თითქოსდა იხსნა გერმანია “კრახისაგან”; „ჩვენ, პრუსიელები ვართ და გვსურს დავრჩეთ პრუსიელებად“. მე ვიცი, რომ ამ სიტყვებით მე გამოვხატავ პრუსიის არმიის მრწამსს, ჩემი თანამემამულეების უმრავლესობის რწმენას და ვევედრები უფალს, რომ ჩვენ კიდევ დიდხანს დავრჩეთ პრუსიელებად, მას შემდეგაც კი, როგორც ქაღალდის ეს

ნაგლეჯი იქნება დავიწყებული შემოდგომ ყვითელი ფოთოლივით“<sup>1</sup>.

მას, რით იყო გამოწვეული ბისმარკის ასეთი ახირება. ყოვლად შესაძლებელია, მისი ღრმა რწმენით, პრუსიას უბრალოდ უნდა შემოეერთებინა გერმანული სახელმწიფოები. უფრო სწორად, პრუსიის უშუალო თაოსნობით უნდა მომხდარიყო გერმანიის გაერთიანება. მხოლოდ ასე წარმოედგინა მას გერმანიის გამთლიანება.

1850 წლის 31 იანვარს პრუსიაში შემოიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე არჩეული ლანდტაგი შედგებოდა ორი პალატისაგან: მთავარი იყო „დიდებულთა პალატა“, რომლის წევრებს უშუალოდ ნიშნავდა მეფე, უმაღლესი მოხელეებისა და მსხვილი მიწათმფლობელებისაგან და წარმომადგენელთა პალატისაგან, რომლის წევრებს ირჩევდნენ დაკანონებული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. მოქმედი საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფდა მემამულეთა და მსხვილ კაპიტალისტთა რიცხვობრივ უპირატესობას. კონსტიტუციის მიხედვით, „აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მეფეს“, ხოლო „საკანონმდებლო ხელისუფლება“ ხორციელდებოდა

---

<sup>1</sup> В В Чубинский, указ. соч. с.56.

ერთობლივად, მეფისა და ორივე პალატის მეოხებით<sup>1</sup>. მინისტრების დანიშვნა და განთავისუფლება ხდებოდა მეფის მიერ და ისინიც პასუხისმგებელი იყვნენ მხოლოდ მის წინაშე. მეფის უფლებამოსილებაში შედიოდა არმიის მხედართმთავრობა და საგარეო საქმის ხელმძღვანელობა. მიუხედავად ამისა, რადიკალურად განწყობილი მემამულე-იუნკრებისა და, მათ შორის ბისმარკისათვის, ესეც ცოტა აღმოჩნდა. მართალია, კონსტიტუციის ლანდტაგში განხილვისას, მან ბოლოს და ბოლოს მხარი ახალ კონსტიტუციას დაუჭირა, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა ამ კანონპროექტიდან, რომელიც ლანდტაგის სხდომებზე იხილებოდა, ამოეგდო ყველაფერი, რაც კი იყო რევოლუციის მოგონებებთან დაკავშირებული. მან გამოთქვა აზრი ლანდტაგის უფლებების შეზღუდვის შესახებ, გამოვიდა საყოველთაო საარჩევნო უფლებების წინააღმდეგ, მოითხოვდა კანონის გამკაცრებას მოქალაქეთა კავშირებში გაერთიანებაზე, ასევე- შეკრებათა უფლებების შესახებ. ბისმარკი როგორც

---

<sup>1</sup> А.И. Молок. Воссоединение Италии и Германии в самостоятельные государства, М., 1952, с.9 В.В. Чубинский., указ. соч. с. 58



ყოველთვის, იყო იუნკერთა პრივილეგიების თავგამოდებული დამცველი. იმავე წლის თებერვალში ლანდტაგმა მუშაობა დაასრულა, ხოლო მარტის შუა რიცხვებიდან ბისმარკი უკვე მონაწილეობს უნიის პარლამენტის სხდომებში, რომელიც შეიკრება 1850 წლის მარტში ერფურტში. შემდგომში ის ერფურტის პარლამენტის სახელწოდებით იქნება ცნობილი. მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა უნიის იდეის მიმართ, მას უარი არ უთქვამს თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე ამ პარლამენტში და მიაღწია კიდევ დეპუტატობას.

ამ დროისათვის მოულოდნელად საერთაშორისო ვითარება პრუსიის საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ავსტრიის მონარქიამ შეძლო ჩაეხშო რევოლუცია ქვეყნის მასშტაბით და მთელი ძალით გაშალა პრუსიის პროექტის - გერმანულ სახელმწიფოთა უნიის წინააღმდეგ ბრძოლა. ავსტრიის ზეწოლით პრუსიას განუდგნენ რიგი სახელმწიფოები, მათ შორის საქსონია და ჰანოვერი, რომლებმაც პირველებმა მოაწერეს ხელი უნიას (სამოკავშირეო ხელშეკრულებას). ამგვარად, იუნკრული პრუსიის მცდელობას, გაეერთიანებინა თავისი ჰეგემონიის ქვეშ ჩრდილოეთგერმანული სახელმწიფოები, წინ აღუდგა ავსტრია. პრუსიის წინააღმდეგ ამხედრდნენ ასევე ევროპის მსხვილი სახელმწიფოები, მათ შორის განსაკუთრებით აქტიურად ავსტრიას მხარი დაუჭირა

მეფის რუსეთმა. მათ არ სურდათ პრუსიის ზედმეტად გაძლიერება, რადგან მასში ისინი ხედავდნენ მათთვის საშიშ მოწინააღმდეგე ძალას. კატეგორიული და მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გააჩნდა რუსეთს, მილიტარისტული პრუსიის ეგიდით, გერმანიის გაერთიანების პრობლემასთან დაკავშირებით, რადგან ის საფრთხის შემცველი მეზობელი შეიძლებოდა გამხდარიყო მისთვის.

რუსეთის იმპერიის მხარდაჭერით ზურგამაგრებულმა ავსტრიამ, ერფურტის პარლამენტის საპირისპიროდ, 1850 წლის მაისში, მაინის-ფრანკფურტში მოიწვია გერმანულ სხელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია სამოკავშირეო სეიმის რეორგანიზაციის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ პრუსია და ზოგიერთი, ჯერ კიდევ მისადმი ერთგულად განწყობილი, ქვეყნები არ მონაწილეობდნენ კონფერენციაში, მან მაინც მიიღო დადგენილება სეიმის აღდგენის შესახებ იმავე წლის სექტემბერში. სეიმში შემდგომ (მომავალში) მორიგეობით თავმჯდომარეებად უნდა ყოფილიყვნენ ავსტრია და პრუსია. გერმანიაში ჰეგემონობისათვის მეტოქეობა პრუსიასა და ავსტრიას შორის იმდენად გამწვავდა, რომ ორივე მხარემ ომისათვის დაიწყო მზადება. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის პირადმა ჩარევამ და მისი მხრიდან პრუსიაზე უშუალო ზეწოლამ, განაპირობა რადიკალური

ცვლილებები პრუსიის სამთავრობო ხელისუფლებაში. მოულოდნელად გარდაცვლილი ბრანდენბურგი შეცვალა მონტოიფელმა. შესაბამისად, ომის მომხრეთა ფრთა შეცვალა ომის მოწინააღმდეგეთა ფრთამ. ეს უკანასკნელი კი დაჟინებით მოითხოვდა ავსტრიასთან შეთანხმებას.

1850 წლის დეკემბრის ბოლოს, რუსეთის შუამავლობით, ავსტრიის ტერიტორიაზე ქ. ოლმიუცში (ამჟამად ოლმიუცი ჩეხეთშია) შედგა მოლაპარაკება ავსტრიასა და პრუსიას შორის. პრუსია იძულებული შეიქმნა დათმობაზე წასულიყო და ხელი მოეწერა „ოლმიუცის პუნქტებზე“<sup>1</sup>, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის კავშირის - სეიმის აღიარებას და თანხმობას დრეზდენში გერმანულ სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის თაობაზე, ამ კავშირის ორგანიზების შესახებ საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

გერმანულ სახელმწიფოთა კონფერენციამ 1851 წლის მაისში აღადგინა ძველი სამოკავშირეო სეიმი თავის წინანდელ უფლებებში. ამდენად, გერმანული კავშირი აღორძინებულ იქნა იმ სახით, რა სახითაც ის გაფორმდა 1815 წელს. ავსტრიამ და პრუსიამ დადეს ურთიერთშორის თავდაცვითი კავშირი.

შემდგომში ოტო ბისმარკი პირადად აღიარებდა, რომ ოლმიუცის შეთანხმება სამარცხვინო იყო პრუსიისათვის,

---

<sup>1</sup> Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998: s 44-45

მაგრამ თვითონ იმ დროს პარლამენტის სხდომებზე ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ავსტრიასთან კონფლიქტს. იგი იდეაშიც კი არ უშვებდა ავსტრიის გერმანული საქმეებისგან ჩამოცილებას, პირიქით, თავგამოდებით იცავდა ამ პრობლემებთან დაკავშირებით ავსტრიისა და პრუსიის თანაბარუფლებიანობას. თვით დრეზდენის კონფერენციის შედეგებმაც კი, ბისმარკის უკმაყოფილების მიუხედავად, ვერ გამოიწვია მასში პრინციპული ცვლილებები აღნიშნულ პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით (მხედველობაში გვაქვს ავსტრიასთან მიმართებაში). ცვლილებები დაიწყება მოგვიანებით, როგორც შედეგი მისი გამოცდილებისა დიპლომატიურ სარბიელზე. სწორედ ამ ასპარეზზე მოუწევს მას გამოსვლა უახლოეს მომავალში.

## ბისმარკი - დიპლომატი

საკავშირო სეიმის წინანდელ უფლებებში ხელახლა აღდგენის შემდეგ, 1851 წლის გაზაფხულზე, პრუსია ჩაერთო მის მუშაობაში. ამ წარმომადგენლობითი ორგანოს ადგილსამყოფლად, სადაც სხდომები უნდა ჩატარებულიყო, არჩეულ იქნა ისევ ქალაქი ფრანკფურტი-მაინზე. ის, როგორც საკავშირო სეიმის ადგილსამყოფელი, 1815 წლიდან, გერმანული კავშირის შექმნის დროიდან იყო, რომელიც გერმანულ კავშირში შედიოდა თვისუფალი ქალაქის უფლებით. ეს გახლდათ მსხვილი სავაჭრო ცენტრი ათასწლოვანი ისტორიით, რომელიც უძველესი დროიდან მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს თამაშობდა გერმანიაში. აქ ირჩეოდნენ და გვირგვინს იდგამდნენ რომის საღვთო იმპერიის იმპერატორები. 1848-1849 წწ. რევოლუციის დროს ფრანკფურტში ტარდებოდა საერთო გერმანული ნაციონალური კრებები, სადაც ცდილობდნენ მიეღწიათ გერმანიის გაერთიანებისათვის და დაამტკიცეს კიდევ იმპერიის კონსტიტუცია. საკითხი როცა დაისვა პრუსიის წარმომადგენლის, დესპანის დანიშვნასთან დაკავშირებით

რენიმირებულ საკავშირო სეიმში, პრუსიის მთავრობის მეთაურმა გენერალმა მანტოიფელმა, რომელთანაც ბისმარკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მეფეს ოტო ბისმარკის კანდიდატურა წარუდგინა. თუმცა მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხე, ცოტა არ იყოს, მაინც ყოყმანობდა. მას ბისმარკის შედარებით ახალგაზრდა ასაკი (მაშინ ის 37 წლის იყო), მისი მშფოთვარე ხასიათი, აზრკოლებდა. აქედან გამომდინარე, მოულოდნელი არ იყო, აუდიენციის დროს მეფეს გამოეხატა თავისი გაკვირვება, რომ ბისმარკს ყოფნის ვაჟკაცობა, მიიღოს ასეთი რთული და საპასუხისმგებლო თანამდებობა. ბისმარკმა ამაზე მეფეს მისთვის ჩვეული გონებამახვილობით უპასუხა - „კიდევ მეტი სიმამაცეა საჭირო იმისათვის, რომ მე დავინიშნო ამისთანა<sup>1</sup> თანამდებობაზე“ - და იქვე დასძინა - „სცადეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩემი გათავისუფლება ხომ ყოველთვის შეიძლება“. „ასეთ შემთხვევაში ვცადოთ“<sup>1</sup> - დაასკვნა მეფემ.

ამ საუბრის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სამეფო კარზე და პრესაში ხშირად გამოითქმებოდა გარკვეული ეჭვები ბისმარკის დიპლომატიური ნიჭიერების შესახებ, ის 1851 წლის მაისში მაინც დაინიშნა ჯერ დესპანის მრჩეველად, ხოლო იმავე წლის 15 ივლისს კი - წარმომადგენლად პრუსიის საკავშირო

---

<sup>1</sup>Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М., С-Петербург, 2004. с.76.

სეიმში ქალაქ ფრანკფურტში. როგორც ჩანს, სწორედ თავისი ულტრაროიალისტური შეხედულებების წყალობით, ის აღმოჩნდა შესაფერისი კანდიდატი ამ თანამდებობაზე. ალბათ, უმაღლეს ინსტანციებში თვლიდნენ, რომ ეს „ძლიერი ადამიანი“, ენერგიულად, თავდადებით დაიცავდა თავისი ქვეყნის ---პრუსიის ინტერესებს საკავშირო სეიმში<sup>1</sup>.

სეიმში თავისი წარმომადგენლობებით წარმოდგენილი იყო გერმანიის კავშირის იმ დროისათვის არსებული 34 ქვეყანა<sup>2</sup>. ყოველ მათგანს ჰქონდა ხმათა გარკვეული რაოდენობა, რომელიც დადგენილი იყო კავშირის კონსტიტუციით (1-დან 4-მდე). მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო უმრავლესობა, ხმათა 2/3. თუ საქმე ეხებოდა ცვლილებებს კავშირის სტრუქტურებსა და კანონდებულებებში ანდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან დადგენილებებს - მაშინ ერთხმიანობა იყო საჭირო. სეიმი გადაწყვეტილებებს ღებულობდა სრული შემადგენლობით,

---

<sup>1</sup> Otto von Bismarck, Dokumente seines lebens (1815-1898), Hrsg von Heinz Wolter. Leipzig, 1996, s. 103.

<sup>2</sup> სამოკავშირეო სეიმი არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ წარმომადგენლობით დაწესებულებას. ეს იყო მხოლოდ, გერმანიის კავშირის წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია. საბოლოოდ, ლიკვიდირებულ იქნა 1866 წელს

ხოლო საკითხების განხილვა კი წარმოადგენდა ე.წ. ვიწრო წრის, (ან შეზღუდული შემადგენლობის) საბჭოს პრეროგატივას, სადაც წვრილ სახელმწიფოთა წარმომადგენლობა შეკვეცილი იყო. სეიმს თავმჯდომარეობდა ავსტრია. ფორმალურად როგორც ავსტრიას, ისე პრუსიას ჰქონდა ოთხ-ოთხი ხმა. მაგრამ ფაქტობრივად სეიმის მუშაობა და მისი გადაწყვეტილებების შესრულება შესაძლებელი იყო მხოლოდ მათი ორმხრივი შეთანხმების შედეგად. წარმომადგენლები ხმას აძლევდნენ თავიანთი მთავრობების მითითებათა შესაბამისად. აქედან გამომდინარე, რამდენადაც მთელი საერთო გერმანული პოლიტიკა და ამ გერმანულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დარეგულირება საბოლოო ჯამში სეიმის მეშვეობით ხორციელდებოდა, დაკვირვებულ და ინიციატივიან დესპანს სრული შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო მონაწილეობა ამ პოლიტიკის შემუშავებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანკფურტი მართლაც წარმოადგენდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საერთო გერმანული დიპლომატიის ცენტრს, რომელმაც შეიფარა თავის კედლებში რამდენიმე ათეული სახელმწიფოს მისია, მაინც ამ დიპლომატიური მანქანის ფუნქციონირების მატერიალური პირობები რამდენადმე პატრიარქალური იყო. საკავშირო სეიმს არ გააჩნდა საკუთარი შენობა, უბრალოდ სპეციალური



ნაგებობაც კი არ ჰქონდა თავისი სხდომებისათვის. ის სხდომებს ატარებდა ავსტრიის მისიის შენობაში.

ბისმარკის დიპლომატიური ნიჭი უცბად არ გამოიქვანებულა. მისი პოლიტიკური და დიპლომატიური კარიერის გზაზე, რაზეც ის ახალგაზრდობიდანე ოცნებობდა, მთელი რიგი წინაღობები აღმოჩნდა. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ბისმარკს ოჯახიდან დიპლომატიური სამსახურის არავითარი ტრადიცია აღარ გამოჰყოლია. მისი მამა ფერდინანდ ბისმარკი, წარმოადგენდა ტიპურ პრუსიელ იუნკერს, რომელიც საერთოდ არაფრით არ გამოირჩეოდა თავისი კლასის წარმომადგენელთა შორის.

საგარეო უწყების ხელმძღვანელ ბიუროკრატიულ წრეებში საკმაოდ აგდებულად ეპყრობოდნენ ძველმოდური პროვინციალური იუნკრობის შთამომავალთ და არც თუ დიდი ხალისით ღებულობდნენ მათ დიპლომატიურ სამსახურში. შემდგომში ოტო ბისმარკი ჩიოდა, რომ პრუსიაში მისი ახალგაზრდობის წლებში ყველაზე მაღალი დიპლომატიური თანამდებობები ეკავათ ადამიანებს, უცხოური გვარით ე. ი. უცხოელებს და ამ უწყებებში თუ სადმე შეხვდებოდით გერმანელებს, ისინი ხშირად არაპრუსიული წარმოშობისანი იყვენენ. პრუსიის საგარეო უწყებაში ყველაზე მეტად დაფასებული იყო ფრანგული ენის სრულფასოვანი ცოდნა. მოგვიანებით ბისმარკი გარკვეული სიმწრითა და წუხილით

წერდა, რომ ამ ენის ცოდნა თუნდაც ობერკელნერის<sup>1</sup> (oberkellner) ცოდნის დონეზე იძლეოდა მნიშვნელოვან უპირატესობებს დიპლომატიურ სამსახურში დასაწინაურებლად<sup>2</sup>. ოჯახური ტრადიციის თანახმად, ბისმარკს უფრო მეტად შეეძლო ეფიქრა სამხედრო კარიერაზე, რადგან სამი საუკუნის მანძილზე ბისმარკის წინაპრები მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ ყველა საომარ მოქმედებაში. მისი მამა, თავის ნათესავთან ერთად, მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში. შემდგომში ბისმარკს არაერთხელ გამოუთქვამს სინანული იმის თაობაზე, რომ მან არ აირჩია სამხედრო კარიერა. ამაში ის ადანაშაულებდა თავის დედას, რომელიც პროფესორთა ოჯახიდან იყო და არ იზიარებდა ახალგაზრდა იუნკერის სამხედრო მოწოდებას. დედას სურდა თავისი შვილი ეხილა წარმატებულ დიპლომატიურ ასპარეზზე.

1852 წლის შემოდგომამდე ბისმარკი საკავშირო სეიმში მუშაობას უთავსებდა პრუსიის ლანდტაგის მეორე პალატის დეპუტატის მოვალეობის შესრულებას. სრული წესრიგის დაცვით ის მიემგზავრებოდა ბერლინში ლანდტაგის სხდომებზე დასასწრებლად, რაც იმ დროისათვის ადვილი საქმე

<sup>1</sup> უფროსი ოფიციალტი ლუდის ბარში (რესტორანში)

<sup>2</sup> Отто Фон Бисмарк, указ. соч. с.12.

არ იყო (ფრანკფურტიდან ბერლინამდე არსებული შორი მანძილის გამო), რადგან მგზავრობას წინ და უკან 25 საათი სჭირდებოდა<sup>1</sup>. სამაგიეროდ, მიუხედავად მეფის უკმაყოფილებისა, როცა დადგა ახალი არჩევნების პერიოდი, მან უარი თქვა თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე, რათა მთელი მისი ყურადღება კონცენტრირებული ყოფილიყო დიპლომატიურ საქმიანობაზე.

ამდენად, მიემგზავრებოდა რა ძველ თავისუფალ ქალაქ ფრანკფურტს, ბისმარკი, ბუნებრივია, აღსავსე იყო სურვილით დაეცვა პრუსიის ინტერესები. ამასთანავე მას არ გააჩნდა იმ დროისათვის ანტიავსტრიული შეხედულებები, მაგრამ ის პრუსიას განიხილავდა არა როგორც უბრალოდ გერმანული კავშირის ერთ-ერთ წევრს, არამედ, მისი ღრმა რწმენით, მოწოდებული გახლდათ ისტორიულად წამყვანი როლი ეთამაშა გერმანულ სახელმწიფოთა ერთობაში ავსტრიასთან ერთად, ეს იქნებოდა გუნდში, დასსა თუ საკრებულოში. მაშინ სხვა მისიას ის თავისთვის არც კი მოიაზრებდა. თანხმობა ავსტრიასთან თანასწორობის საფუძველზე - ასე შეიძლებოდა განსაზღვრულიყო მისი იმდროინდელი პოზიცია<sup>2</sup>. ბისმარკი გამოცხადდება თუ არა ფრანკფურტში, იწყებს მოქმედებას,

<sup>1</sup> В. В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М. 1988.с.67.

<sup>2</sup> В. В. Чубинский. указ. соч с. 71

რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ავსტრიასთან სოლიდარობით. იმის დაშვებაც კი, რომ ბისმარკს წინასწარ განზრახული ჰქონდა ავსტრიასთან აუცილებლად კავშირის გაწყვეტა მეტნაკლებად ახლო მომავალში, არამართებული იქნებოდა. რადგან მისთვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა - მას არ სჭირდებოდა ამ სახელმწიფოსთან კონფლიქტი იმ დროს. პირიქით, მომავალში ავსტრიის დამრცხებისათვის ყველა პირობის მოსამზადებლად ბისმარკი, ბუნებრივია, გარეგნულად უნდა შეგუებოდა არსებულ მდგომარეობას, არ მოეხდინა პოლიტიკური თამაშის ფორსირება, გამოეჩინა თავმდაბლობა, ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს ყველაფერი მიდიოდა კარგად. რამდენადაც პრუსიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა შესაძლებლობა ჩაბმულიყო ავსტრიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, უბრალო წინდახედულება, ელემენტარული კეთილგონიერება აიძულებდა მას გარკვეულ დრომდე განაბულიყო და არ გამოეწვია სხვადასხვაგვარი გამოხტომები, გამომწვევი მოქმედებითა და გამოსვლებით, დებატებით მოწინააღმდეგეთა ორთაბრძოლაში<sup>1</sup>. ამგვარად, ოტო ფონ ბისმარკი მართლა ჩამოდის ქალაქ ფრანკფურტში, რასაც ის ადასტურებს ყველაზე მშვიდობისმოყვარე განზრახვით, ჩადის იქ მტკიცე და

<sup>1</sup> Р.И. Сементковский, Князь Бисмаркь, Санкт-Петербург, 1895, с. 34.

მხურვალე მეგობარი ავსტრიის თანადგომისათვის. მას თავის გამოსვლებში არაერთხელ გამოუხატავს ეს კეთილგონიერი დამოკიდებულება, ასეთივე სულისკვეთებას აფიქსირებდა ის თავის საპარლამენტო მოხსენებებშიც. მიუხედავად ამისა, მალე, ფრანკფურტის სეიმის პირველსავე სხდომებიდან, ის უკვე იცვლის თავის შეხედულებებს, რადგან ილუზიები ავსტრიის მზადყოფნასთან დაკავშირებით, ელიარებინა პრუსია თანასწორუფლებიან პარტნიორად, გაქარწყლდა, როგორც კი ბისმარკმა მონაწილეობა მიიღო სეიმის მუშაობაში. იმის შემდეგ, როგორც კი პრუსიის მეფე გახდა იმპერატორის გვირგვინის პრეტენდენტი, ბისმარკი მაშინვე ჩაერთო ავსტრიასთან ღია კონკურენციაში. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ უნიისა და ოლმიუცის შემდეგ ავსტრიის დიპლომატია შვარცენბერგის მეთაურობით, შემდგომ კი ბუოლის ძალისხმევით, მტკიცედ და ურყევად ცდილობდა პრუსიის ჩამოცილებას, განზე გაწევას, მის აბუჩად აგდებას. ამდენად, დამცირებას შეძლებისდაგვარად, მისთვის საკუთარი სურვილების მოხვევას, ავსტრიისადმი მორჩილი წვრილი და საშუალო სახელმწიფოების მეშვეობით. აქედან გამომდინარე, საუბარი კი არა, გაგონებაც კი არ უნდოდა ავსტრიას რაიმე თანასწორუფლებიანობაზე.

ავსტრიის წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების რეალობა ბისმარკმა ფრანკფურტში ყოფნის

პირველსავე კვირებში იგრძნო. თითქმის ყოველ წერილში მეგობრებისადმი ის უკმაყოფილებას გამოთქვამდა ავსტრიელთა ინტრიგების თაობაზე. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ წერილში ის წერს: (1851 წლის 22 ივნისი) „ავსტრიელები არიან და დარჩებიან შულერებად და მე არ მგონია, რომ მათი უსაზღვრო პატივმოყვარეობისა და მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის პირობებში, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ცნებას სამართლის შესახებ, ჩვენ როდესმე მივალწევთ სამართლიან (პატიოსან, კეთილსასურველ, თანაბარუფლებიან) სამოკავშირეო ურთიერთობებს მათთან. ისინი მუდმივად იტოვებენ თავისთვის ლომის წილს და მსჯელობენ შეთანხმების თაობაზე, მხოლოდ მაშინ, როცა ეს ემსახურება მათ მიზნებსა და ზიანს აყენებს ჩვენსას. . .“<sup>1</sup>.

ამ პოლიტიკური ინტრიგების ნამდვილი დედააზრი ბისმარკისთვის მაშინ გახდა ნათელი, როცა 1851 წლის ნოემბრის ბოლოსათვის, შედგა მისი რამდენადმე ნახევრად ხუმრობით საუბარი, მაგრამ არსებითად და საკმაოდ სერიოზული, პრუსიის მომავალზე, ავსტრიის წარმომადგენელთან საკავშირო სეიმში, ტუნთან. ამ საუბრის შინაარსის შესახებ ბისმარკმა არ დააყოვნა ეცნობებინა

<sup>1</sup> В. В. Чубинский, указ. соч. с. 71

მონტოიფელისათვის. ტუნის მიერ გამოთქმული აზრის შინაარსი იყო, რომ პრუსიამ თითქოსდა დაკარგა წინანდელი როლი ევროპაში. ამდენად, ავსტრიის აზრით, პრუსიას არ ძალუძს იტვირთოს დიდი სახელმწიფოს როლი და წამყვანი ადგილი გერმანულ საქმეში ეკუთვნის ავსტრიას.

ამან კი იმდენად აღაშფოთა ბისმარკი, რომ ის ყოველგვარ დიპლომატიურ ზღვარს გასცდა და თავის თანამოსაუბრეს მკვახე და მძაფრი პასუხი გასცა. სამწუხაროდ, პასუხის სიმწვავე გამოწვეული იყო მეტადრე უფრო აღზნებულობით, ვიდრე კარგად მოფიქრებული პოზიციით.

ბისმარკი ყოველ გარემოებას თუ მოვლენას საღი გონებით აღიქვამდა. მისი აზრით, 50-იან წლებში იმაზე ფიქრი, რომ პრუსიას შეეძლო ძალისმიერი გზით აეძულებინა ავსტრია ეცნო მისი უფლებები, მით უმეტეს, იმავე ძალის გამოყენებით დანარჩენი გერმანული სახელმწიფოების დამორჩილება, ეს ნიშნავდა უტოპიაში ჩავარდნას. აქედან გამომდინარე, ბისმარკის იმდროინდელი ანტიავსტრიული გამოხდომები მიუთითებდა მხოლოდ მომავალში სამოქმედო მიმართულებაზე, რომლისკენაც იყო მიპყრობილი მისი სული და გონება.

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიელებმა პრუსიელები დაამცირეს და თითქოსდა შეაგუეს ასეთ მდგომარეობას,

როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ბისმარკი არ აპირებდა გაჩუმებას.

50-იანი წლების მანძილზე სამმა ავსტრიელმა დიპლომატმა, ავსტრიის წარმომადგენლისა და საკავშირო სეიმის თავმჯდომარის რანგში შეცვალეს ერთმანეთი, ჯერ იყო: ცბიერი, ქედმაღალი, ავადმყოფური, დარდიმანდი გრაფი ტუნი; მას შემდეგ ხსენებულ თანამდებობაზე მოვიდა-- ყოველმხრივ განვითარებული, ნიჭიერი, აღმოსავლეთისა და სიძველეების, მუსიკისა და სამხედრო საქმის დიდი მცოდნე, ამასთანავე, უკიდურესობამდე მატყუარა და შარიანი ბარონი პროკეში; ბოლოს-- ხმელი, კორექტული, დროდადრო ფიცხი და ყოველთვის ფარისეველი გრაფი რეჰბერგი<sup>1</sup>.

ოტო ბისმარკი მოგვიანებით, როდესაც იხსენებდა თავისი მოღვაწეობის იმდროინდელ პერიოდს, ამბობდა, რომ ავსტრიელ პირველ თავმჯდომარესთან, ტუნთან, შეიძლებოდა შეგუება, რომ გრაფი რეჰბერგის ატანა ასევე შეიძლებოდა, მაგრამ ის, რომ ბარონ პროკეშს ის აღშფოთებამდე მიჰყავდა და მასთან შეუძლებელი იყო ურთიერთობა . . . ამას აღნიშნავდა. მართლაც, ბისმარკი ჩხუბობდა ფრანკფურტის სეიმის ყოველ წარმომადგენელთან და ყველა მისი პირვანდელი მოღვაწეობა

---

<sup>1</sup> В. В. Чубинский, указ соч с. 72. Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998; s. 47



ხასიათდებოდა მუდმივი შეხლა-შემოხლით, რომელთაც, უმეტესწილად, წმინდა პირადული ხასიათი ჰქონდა<sup>1</sup>, გამომდინარე ხსენებული თანამდებობის პირთა მძიმე ხასიათებიდან.

ავსტრიის სამივე წარმომადგენლისათვის, გერმანული კავშირის ხელმძღვანელობა თავისთავად წარმოადგენდა ავსტრიის სრულიად სამართლიან უფლებას, მაგრამ არცერთ მათგანს არ შეეძლო გამკლავებოდა არატიტულოვან . . . პომერანიელ იუნკერს, რომელიც უდრეკად იხრებოდა ერთი და იგივე მიმართულებით: დაემკვიდრებინა თანაბარუფლებიანობა პრუსიისა კვსტრიასთან. „თუნდაც ანგელოზიც რომ ჩამოსულიყო ზეციდან, ის (ბისმარკი) არ შემოუშვებდა მას პრუსიული კოკარდის გარეშე და, პირიქით, თვით ეშმაკსაც კი, თუმცა ზიზღით, მაგრამ მაინც გაუწვდიდა ხელს, თუ ის მისცემდა პრუსიის სახელმწიფოს რომელიმე გერმანულ სულს“<sup>2</sup>. ასე ჩიოდა ერთ-ერთ თავის წერილში პროკეში. ბისმარკმა მიაღწია იმას, რომ ფრანკფურტში ავსტრიელი წარმომადგენლებისათვის სიმყუდროვე დაერღვია.

---

<sup>1</sup> П. И. Сементковский, указ. соч. с. 35.

<sup>2</sup> В. В. Чубинский, указ. соч. с. 73.

ბისმარკი, სარგებლობდა რა ავსტრიელი დიპლომატების თავშეკავებულობითა და დიპლომატიური ეტიკეტით, თავს უფლებას აძლევდა თავისი დამოკიდებულება მათთან მუდმივად გესლიანი და უხეში გამოთქმებით გამოეხატა. ამდენად, კინკლაობა ბისმარკსა და ავსტრიელ დიპლომატებს შორის სულ უფრო ძლიერდებოდა.

ყველაფერი ეს, ჩვენ მიერ ზემოთქმული, ერთი შეხედვით, შეიძლება წარმოადგენდეს წვრილმანებს, მაგრამ უმთავრესი მდგომარეობა იმაში, რომ სეიმზე გარკვეული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისას ბისმარკმა არაერთხელ აიძულა ავსტრიელები დათმობაზე წასულიყვნენ.

მაგალითად, 1852 წლის ბოლოსა და 1853 წლის დასაწყისისში, ტუნის გამგზავრებასა და პროკეშის ჩამოსვლამდე პერიოდში, სეიმის თემჯდომარის მოვალეობის დროებით შესრულების ვალდებულება ბისმარკმა გამოიყენა კანცელარიის ფუნქციონირების მექანიზმის შესასწავლად და სეიმის მუშაობის მთელი განაწესის რეფორმის პროექტის მოსამზადებლად. რეფორმა მნიშვნელოვნად ზღუდავდა თავმჯდომარის უფლებებს, რომელიც ადრე ერთპიროვნულად განსაზღვრავდა სხდომათა მოწვევის ვადებს, მათ დღის წესრიგს, კენჭისყრის მომენტს და თვითნებურად განაგებდა კანცელარიას. ბისმარკმა შეძლო მოეპოვებინა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა მხარდაჭერა. მარტოდ

დარჩენილ ავსტრიის ახალ წარმომადგენელს პროკემ-ოსტენს, მიუხედავად შეუპოვარი წინააღმდეგობისა, დათმობაზე წასვლა მოუხდა. მოგვიანებით ბისმარკმა მოშალა კიდეც ერთი არსებული ტრადიცია, რომლის თანახმად, ოფიციალურ ცერემონიებზე წინ მოდიოდა ავსტრიის წარმომადგენელი, შემდგომ უცხოელი დიპლომატები, ხოლო მათ შემდეგ კი გერმანულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები- დესპანები. ბისმარკი უბრალოდ არ გამოცხადდა ერთ-ერთ ცერემონიაზე და სეიმზე მოითხოვა გერმანელი დიპლომატების უცხოელ დიპლომატებთან გათანაბრება. ამ შემთხვევაშიც მან მიაღწია წარმატებას - გაიმარჯვა!

კიდეც მეტი, ბისმარკის ფრანკფურტში ყოფნის პირველ წლებში მწვავედ დადგა საკითხი ე.წ. გერმანული საბაჟო კავშირის მომავლის შესახებ, რომელიც არსებობდა 1834 წლიდან. ამ კავშირში შედიოდა ოცამდე გერმანული კავშირის წევრი სახელმწიფო პრუსიის მეთაურობით. მათ მოილაპარაკეს საბაჟო საზღვრების გაუქმებაზე და საერთო საბაჟო გადასახადის დაწესებაზე როგორც უცხო ქვეყნების, ისე გერმანულ საქონელზე. საბაჟო კავშირი წარმოადგენდა ერთადერთ საყრდენ პუნქტს პრუსიისათვის, რომელზეც ავსტრიას ხელი არ მიუწვდებოდა (მისი წევრი ავსტრია არ

---

<sup>1</sup> там же. с. 73-74.

იყო). ამიტომ ის შეეცადა ან შეეღწია მასში და დაემორჩილებინა ის სემისათვის, რომ პრუსიისათვის ხელიდან გამოეცალა ეს მნიშვნელოვანი ეკონომიური ბერკეტი ან წაექეზებინა, დაეყოლიებინა სამხრეთ გერმანული სახელმწიფოებიც გამოსულიყვნენ ამ კავშირიდან და შეექმნათ საკუთარი გაერთიანება ავსტრიის მონაწილეობით. ბისმარკმა მოახერხა ამ მცდელობის დაბლოკვა და ენერგიულად შეუდგა ყველა ზომების მიღებას იმისათვის, რომ პრუსიის მთავრობას გამოეჩინა აუცილებელი სიმტკიცე ამ საკითხთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში პირველად ვხვდებით საქმის წარმოების ისეთ მეთოდებს, რომელიც დამახასიათებელი იქნება მისთვის შემდგომში. ბისმარკი, ეს უდრეკი, ურყევი სულითა და გამჭრიახი გონებით გამორჩეული დახვეწილი იუნკერი და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მტერი, ანგარიშს უწევს და მთელი ძალისხმევით ცდილობს პრუსიის სასარგებლოდ წარმართოს გერმანული ბურჟუაზიის მისწრაფება-შეინარჩუნოს საბაჟო კავშირი. ის უკავშირდება სამხრეთ გერმანული სახელმწიფოების სამრეწველო წრეებს, იმ მიზნით, რომ

---

<sup>1</sup> там же. с. 74-75

გაშალოს კამპანია კავშირის დასაცავად. ბისმარკი წარმატებით მოქმედებს პრესის მეშვეობით, მონაწილეობს ბროშურებისა და პეტიციების გამოცემასა და გავრცელებაში. ამდენად, ავსტრიის შემოტევა საბაჟო კავშირთან დაკავშირებით უკუგდებულ იქნა.

ამგვარი ფაქტებითაა აღსავსე ბისმარკის სახოტბო ბიოგრაფია, მაგრამ ასევე იბადება კითხვა, თუ რამდენად სასურველ სამსახურს უწევდა მას ყველაფერი ეს, რამდენად საქება-სადიდებელს წარმოადგენდა ასეთი მოქმედებები მისთვის. იდგა თუ არა იმ დროს ბისმარკი, ყველა კინკლაობაზე თუ ათასგვარ წვრილმანზე მალლა, რითაც გვაოცებს ყბადაღებული სხდომები გერმანელი დიპლომატებისა ფრანკფურტში. ბისმარკს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ მის ამგვარ გამოხდომებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაცივება, შემდეგ მისი გაწყვეტა, რაც, რასაკვირველია, თვითონ მას არ სჭირდებოდა პრუსიის ომისათვის მოუმზადებლობის გამო. მიუხედავად ამისა, პრუსიის გავლენის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ლოგიკამ ბისმარკი აიძულა უარეყო პრუსიის და ავსტრიის ურთიერთობაზე თავისი წინანდელი შეხედულება, რომლითაც ის ჩამოვიდა ფრანკფურტში. რახან ავსტრიას არ უნდოდა ყოფილიყო ლოიალური პარტნიორი გერმანული საქმეების ერთობლივ მმართველობაში, ხოლო პრუსია, როგორც ის თვლიდა, არ დათანხმებოდა ვასალებს შორის უფროსის როლს.

ამდენად, მისთვის ავსტრია ხდებოდა მოწინააღმდეგედ, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

რამდენადაც სულ უფრო მწიფდებოდა და ძლიერდებოდა ბისმარკის მტრული დამოკიდებულება ავსტრიასთან მიმართებაში, ამდენადვე იზრდებოდა მისი უკმაყოფილება გერმანიის კავშირისადმი. მას აღიზიანებდა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისი კოლეგების არა მხოლოდ ჭკუა-გონებისა და ხასიათის ნაკლოვანება, არამედ მათი „ეგოისტური“ მიდგომა საერთო გერმანული საქმისადმი, მათი „თავბრუდახვევა ყბადაღებული სუვერენიტეტისაგან“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ბისმარკი განსაკუთრებით, აღშფოთებული იყო გერმანულ სახელმწიფოთა მთავრობების სიმპატიით ავსტრიისადმი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ასეთივე საყვედური შეიძლება გამოითქვას მისი მისამართითაც, რადგან ისიც ისეთივე „ეგოიზმს“ და „თავბრუდახვევას“ ავლენდა მაშინ, როცა საქმე ეხებოდა პრუსიის ინტერესებს და რომელსაც ის ასევე აიგივებდა „ჭეშმარიტ გერმანულ ინტერესებთან“<sup>2</sup>. და ეს ყველაფერი ხდება რაღაც ორიოდ წლის წინ, როდესაც ის საზეიმოდ აცხადებდა პრუსიის პარლამენტში, რომ კანონმდებლად გერმანიაში უნდა

---

<sup>1</sup> Там же , с. 76.

<sup>2</sup> Там же , с. 77.

ყოფილიყო პრუსია, რომ პრუსიას სურს დარჩეს პრუსიად და არასდროს არ დაემორჩილება წვრილ გერმანულ სახელმწიფოთა მთავრობებს, პირიქით, მათგან მოითხოვდა სრულ დამორჩილებას, მიუხედავად ყველაფრისა.

პრუსიის ამ განწყობილებამ, როგორც ცნობილია, გამოიწვია საერთო უნდობლობა პრუსიელებისადმი და აიძულა ყველა მიმხრობოდა ავსტრიას. უცებ ბისმარკს თითქოსდა გაუნათდა გონება (მიუხედავად გაბრაზებისა, აღშფოთებისა, გერმანელებს, რომ ავსტრიის მხარე უჭირავთ) და უცნაური (საოცარი) მიამიტობით აღიარებს, რომ ბერლინში ის არ იყო გარკვეული პოლიტიკაში, ხოლო ფრანკფურტში მას თვალები უმაღვე აეხილა, გარკვეულწილად ჩახედული აღმოჩნდა მრავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში. მაგრამ ის, რაც ბისმარკისთვის გახდა ცხადი და აშკარა, დიდი ხნის წინ კარგად იყო ცნობილი ყველა შორსმჭვრეტელი ადამიანებისათვის. თვითონ პრუსიის მთავრობას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა შემოთავაზებულ საიმპერატორო გვირგვინზე და მტკიცედ დაადგა პოლიტიკური რეაქციის გზას, მან დაკარგა გერმანული საზოგადოებრივი აზრის თანაგრძნობა, რაშიც გარკვეული წილი თვითონ ბისმარკსაც მიუძღოდა.

რასაკვირველია, რომ გერმანული კავშირით მისი უკმაყოფილების უპირველესი მიზეზი იყო გერმანულ

სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ პრუსიაზე ორიენტაციის სრული უარყოფა. ამ კავშირით იმედგაცრუება უბიძგებდა მას ეძებნა ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტილებები. უშრეტი ენერგია, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობისადმი უზადო ლტოლვა, წყურვილი, სურვილი საზოგადოების რაიმე მოულოდნელობით განცვიფრებისა, პირადი დაწინაურებისა, თავის გამოჩენისა და მისი პიროვნებისადმი საყოველთაო ყურადღების მიპყრობისა - აი, რატომ ახასიათებდა ბისმარკს მოულოდნელი გამოხდომები მუდმივად, რომელიც სხვადასხვა ელფერს ღებულობდა, გარემოებებიდან გამომდინარე. ბისმარკს, სისხლით და ხორციით პრუსიელს, ურყევ მონარქისტს, იუნკერთა ინტერესების თავგამოდებულ დამცველს და მათი იდეების გამტარებელს, არა მარტო გარკვეული მიზნები და ამოცანები ამოძრავებდა, არამედ გარკვეულწილად მისი მოქმედება მის ტემპერამენტსა და ხასიათზეც კი იყო დამოკიდებული-- საკმაოდ მძლავრ, ხშირად მოუთოკავ, თავდაუჭერელ იმპულსებზე.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ რატომ არღვევს ის ფრანკფურტის სეიმზე დადგენილ ეტიკეტს, საჯაროდ რატომ ელაპარაკება ავსტრიელებს ასე გესლიანდ და თავხედურად, რატომ დასეირნობს გაუთავებლად სარდინიის დესპანთან



ბაროლესთან ხელიხელგაყრილი, მაშინ, როცა 1859 წელს საფრანგეთი სარდინიასთან ერთად თავს დაესხა ავსტრიას. მაშინ მთელი გერმანული საზოგადოება მოითხოვდა მათთან ომს და პრუსიის მთავრობა თავის სამხედრო ძალების გაძლიერებასაც კი შეუდგა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გამოსარჩლებოდა ავსტრიას. ყველა ეს ფაქტი იწვევდა მისადმი საყოველთაო ყურადღებას და ალაპარაკებდა მასზე მთელ ევროპას. აქედან გამომდინარე, აშკარაა, როცა ის ფრანკფურტში ცხოვრობდა, რატომ ითხოვდა მოეპოვებინა ახალ-ახალი დიპლომატიური დავალებები ხან ვენაში, ხან პარიზში, ანდა ემოგზაურა უსასრულოდ უნგრეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ასევე შორეულ სკანდინავიურ ჩრდილოეთში. მას სჭირდებოდა მუდმივი ცვლილებები შთაბეჭდილებებისა, მუდმივი მრავალფეროვნება, მჩქეფარე საქმიანობა, რაც მისი მძლავრი ნატურის ჭარბი ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Р.И. Сементковский, указ. соч. с. 40

რამდენიმე თვით ადრე პარიზის კონგრესადმე<sup>1</sup>, ბისმარკი გაემგზავრა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, რომ დაეთვალიერებინა სამრეწველო გამოფენა. იმავე წლის 25 აგვისტოს, პარიზში ჩამოსული ინგლისის დედოფლის ვიქტორიასა და მისი მეუღლის პატივსაცემად, ჩავიდა ვერსალში, მეჯლისზე. ბისმარკი წარუდგინეს სამეფო ოჯახს. მათთან საუბრისას თავად შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი მას მიიჩნევდნენ, გამოკვეთილ რეაქციონერად და ინგლისის მოწინააღმდეგედ. ინგლისის დედოფლის ასული ასევე სახელად ვიქტორია, რომელიც პირველად იხილა ბისმარკმა პარიზში, სულ მალე გახდება პრუსიის პრინცის ძის ცოლი და ლიბერალური ტენდენციების მატარებელი პრუსიის სამეფო კარზე. ბისმარკი ამ ქორწინებას დიდი სიფრთხილით უყურებდა, იმის შიშით, რომ არ გაძლიერებულიყო ინგლისის გავლენა პრუსიის მმართველ ზედაფენაში.

---

<sup>1</sup> 1856 წლის 18 მარტს პარიზში, სახელმწიფოთა კონგრესის დასკვნით სხდომაზე რუსეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ოსმალეთის, ავსტრიის, პრუსიის და სარდინიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რითაც დასრულდა ყირიმის ომი (1853-1856). ამ ხელშეკრულებით დასუსტდა რუსეთის პოზიციები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. გამოიწვია აღმოსავლეთის საკითხის შემდგომი გამწვავება (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7.თბ., 1984, გვ. 689)

ურთიერთანტიპათია ამ ორმა ცნობილმა ფიგურამ მთელი თავიანთი ცხოვრების გზაზე ატარეს<sup>1</sup>.

ალსანიშნავია, რომ ინგლისის დედოფალთან და მის ოჯახთან შეხვედრა მხოლოდ კერძო ხასიათისა იყო. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არ გააჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ბისმარკისათვის პირადად ნაპოლეონ მესამისა და მისი მეუღლის ევგენიას გაცნობა იყო. როდესაც ამ ორი პიროვნების, გერმანიის სახელმწიფო მოღვაწისა და საფრანგეთის იმპერატორის სახელები ერთმანეთის გვერდიგვერდ წამოტივტივდება, ძალაუნებურად გაგახსენდება, უპირველეს ყოვლისა, თუ როგორ დამთავრდა მათ შორის ხანგრძლივი დიპლომატიური პაექრობა. დამთავრდა კი, ორი ქვეყნის დიდი სამხედრო შეტაკებით, რომელმაც უკანასკნელი ბონაპარტი ფერფლად აქცია, მიწაზე დაანარცხა.

მაგრამ ყველაფერი ეს იქნება მოგვიანებით, ხოლო 1855 წელს ბისმარკის წინაშე იდგა ადამიანი, რომელმაც არც თუ დიდი ხნის წინ განახორციელა თავბრუდამხვევი, მრავალთათვის მოულოდნელი, „სენსაციური“ აღზევება არარაობიდან ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალამდე, ერთ-

---

<sup>1</sup> Отто фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, Москва, санкт-Петербург, 2004 С.139-140

ერთი უმსხვილესი და უძლიერესი სახელმწიფოს მზრძანებელი, ადამიანი, რომელიც მუდმივად ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ხალხისთვის და მთელი მსოფლიოსთვის, რომ ის ტყუილუბრალოდ არ ატარებდა ნაპოლეონის სახელს და ღირსეული მემკვიდრე გახლდათ თავისი დიადი ბიძისა. პრუსიელ სტუმართან საუბარში საფრანგეთის იმპერატორი ძალას არ ზოგავდა, რომ გამოეწვია მისადმი სიმპატია სტუმრის მხრიდან, რაც მთავარია შთაეგონებინა მისთვის საგარეო პოლიტიკური კონცეფციები, რომლის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ პრუსიას უნდა შეეცვალა თავისი პოლიტიკის ძველი მიმართულება და დამდგარიყო საფრანგეთთან დაახლოების გზაზე<sup>1</sup>.

თვითონ ნაპოლეონმა მთლიანობაში სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ბისმარკზე, თუმცა არა იმდენად შთამაგონებელი, რაზეც მეტყველებს მისი სიტყვები, რომელიც მისი თქმით, მან მოახსენა ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხეს იმავე წლის ზამთარში: «იმპერატორი ნაპოლეონი მე მომეჩვენა, როგორც გონიერი და თავაზიანი ადამიანი, მაგრამ არა იმდენად ჭკვიანი, როგორც მას თვლის მთელი ქვეყანა და

---

<sup>1</sup> Там же, с. 139-140.

აქედან გამომდინარე, მიაწერს ყველაფერს მას, რაც კი მსოფლიოში ხდება<sup>1</sup>.

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ბისმარკი ნაპოლეონ მესამეს ძალიან აფასებდა პირადად და მისი პოლიტიკური კონცეფციებიც მისთვის მისაღები გახლდათ. მეორეჯერ საფრანგეთში (პარიზში) გამგზავრებისას 1857 წელს და ნაპოლეონ მესამესთან ხელმეორედ შეხვედრის დროს, მან ბისმარკს ზოგიერთი რამ გაანდო თავისი საკმაოდ ფანტასტიკური განზრახვიდან-წინააღმდეგობა გაეწია ინგლისის საზღვაო ძლევამოსილებისათვის. ბისმარკმა ეს იდეა ცივად მიიღო და პირდაპირ პასუხს დიპლომატიური მანერებით მშვიდად აარიდა თავი.

ბისმარკი საფრანგეთთან დამოკიდებულების საკითხს სრულიად პრინციპულად სახელმწიფოებრივი ინტერესების პოზიციიდან მიუდგა. ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ პრუსიისათვის სარგებლობის ანდა არასარგებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. ბისმარკი ვერ მალავდა გულისწყრომას, რომ პრუსიამ თავისი თავი ჩაიყენა ისეთ მდგომარეობაში, როცა მხოლოდ გერმანულ სახელმწიფოთა კავშირითა და ავსტრიის იმედად უნდა ყოფილიყო. მაშინ, როდესაც, სწორედ, მათი ინტერესები,

---

<sup>1</sup> Там же, с 144

თვლიდა ის, ყველაზე ხშირად ეჯახებოდნენ პრუსიის ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის უკვე პრუსიაში მწიფდებოდა მოვლენები, რომელიც უნდა ასახულიყო მის პირად მომავალზე. 1857 წლის შემოდგომაზე მძიმე ფსიქიკური აშლილობით დაავადდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხე, რადგან მას არ ძალუძდა ქვეყნის მართვა, იმავე წლის ოქტომბერში მეფის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური წერილის მიხედვით, მისი მოვალეობების შესრულება სამი თვის განმავლობაში დაევალა ტახტის მემკვიდრეს პრინც ვილჰელმ პრუსიელს. ერთი წლის შემდეგ შემოდგომაზე, დროებით, როდესაც მეფის გამოჯანმრთელების ყველა იმედი ამოიწურა, მისივე ხელმოწერილი ბრძანებულებით პრინცი ვილჰელმ პრუსიელი დაინიშნა რეგენტად<sup>1</sup>. მას უნდა ემართა ქვეყანა, მართალია, მეფის სახელით, მაგრამ სრულიად დამოუკიდებლად, თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ. ბისმარკი მთლიანად მხარს უჭერდა მოვლენების ასეთ მსვლელობას, რომელიც მას კანონზომიერების სრულ შესაბამისობად მიაჩნდა და ლანდტაგის სხდომაზე, სადაც იხილებოდა საკითხი რეგენტის შესახებ, კონსერვატიული ფრაქციის დეპუტატების წინაშე თავგამოდებით იცავდა ამ ნაბიჯის აუცილებლობას.

<sup>1</sup> Э.К. Пименова, железный канцлер Бисмарк- творец германской империй, М., 1914, с. 17-18; А. И. Молюк Воссоединение Италии и Германии, М., 1952, с. 11.

პრინცი ვილჰელმი არანაკლებ პროავსტრიულად იყო განწყობილი, ვინემ მისი ძმა-მეფე, მაგრამ მეფემ, მიუხედავად მრავალი უთანხმოებისა, მაინც დანიშნა ბისმარკი ფრანკფურტში. ხოლო პრინცი რეგენტი, რომელიც ერთობ მოვალეც კი იყო ბისმარკის წინაშე, რომელსაც გარკვეული დამსახურებაც კი მიუძღოდა მისი ხელისუფლებაში მოსვლასთან დაკავშირებით, ადვილად დაჰყვა ავსტრიელთა ზეწოლას და დათანხმდა მის გამოწვევას სამოკავშირეო სეიმიდან. ეს არ იყო გადაყენება. ბისმარკი დაინიშნა დესპანად პეტერბურგში. ეს დიპლომატიური თანამდებობა უძველესი დროიდან ითვლებოდა პრუსიაში მნიშვნელოვნად. ამ მოსალოდნელი გადაადგილების შესახებ ხმები ადრევე დადიოდა, მაგრამ როგორც კი ბისმარკი მივიდა თავისი დანიშვნის თაობაზე, ის მეტისმეტად დათრგუნული აღმოჩნდა და შეეცადა მის გაუქმებას უშუალოდ პრინც-რეგენტთან აუდიენციაზე, 1859 წლის იანვარში, მაგრამ მან თავისი გადაწყვეტილება არ გადათქვა, ხოლო უკვე 29 იანვარს ბისმარკი ოფიციალურად დაინიშნა პრუსიის დესპანად რუსეთის იმპერიაში-დედაქალაქ პეტერბურგში. ზედმეტად სენტიმენტალური გრძნობები კოლეგებთან გამომშვიდობებისას არ განუცდია, მშვენვირად იცოდა ვის ინტერესებში იყო მისი ფრანკფურტის სეიმიდან გამოწვევა. მითუმეტეს, მისთვის საიდუმლოდ არ დარჩა, რომ ავსტრიის

დესპანმა ბერლინში უფრო ადრე გაიგო მისი ახალი დანიშვნა, ვიდრე მან.

ავსტრიელები ყველანაირად ცდილობდნენ ბისმარკის გადაყენებას, როგორც თავიანთი უდრეკი მოწინააღმდეგისა. ამასთანავე, ისინი, რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, კურიოზულ ხერხებსაც კი მიმართავდნენ, რომ მოესყიდათ ის ყოველწლიური ქრთამის - 20 ათასი ტალერის ფასად. მას უნდა ეკისრა ვალდებულება დაეცვა ავსტრიის ინტერესები პეტერბურგში. როგორი წარმოდგენელი ცინიზმის პატრონი უნდა ყოფილიყავი, რომ ბისმარკს მიმართო ასეთი წინადადებით. ბისმარკი შეეცადა მიეღო ბანკირ ლევინშტაინისაგან - ავსტრიელთა შუამავლისგან - წერილობითი დოკუმენტი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა შემდგომ მათ წინააღმდეგ. ლევინშტაინმა უპასუხა მხოლოდ იმ შეთავაზებით, რომ გაზრდიდა თანხას 30 ათას ტალერამდე. ბისმარკს ისღა დარჩენოდა დამუქრებოდა და კიბიდან ჩამოეგდო ის<sup>1</sup>.

ამდენად, ბისმარკმა როგორც დიპლომატმა კარგი სკოლა გაიარა. ფრანკფურტში რვაწლიანი მოღვაწეობის პერიოდში, მისი ხატოვანი თქმით, ამ „საკავშირო სეიმის მედიის სოროში“, მას ჰქონდა ყოველგვარი შესაძლებლობა მთელი

---

<sup>1</sup> В. В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М. 1988.с. 94.



გულმოდგინებით შეესწავლა „ყველა სვლა“, ყველა რთული დიპლომატიური მზაკვრობა, რომელიც წარმოიქმნებოდა ხოლმე ცალკეულ გერმანულ სახელმწიფოთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესთა გამო. მას შეეძლო ბევრი ესწავლა თავისი უშუალო მეტოქეებისგან სამოკავშირეო სეიმიდან.

ავსტრიულ დიპლომატიას, რომელმაც გაიარა მეტერნიხის სკოლა, ემბაკური და მზაკვრული ინტრიგების საკმაო გამოცდილება გააჩნდა. პრუსიის მეფის თქმით, ბისმარკის მცირე ხნით ყოფნას ვენაში, დიპლომატიური ხელოვნების ამ უდიდეს სკოლაში, თავის მხრივ, აგრეთვე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

1859 წლის მარტის ბოლოს, ბისმარკი დაადგა არანაკლებ შორეულ გზას, რუსეთის იმპერიის დედაქალაქისკენ (ოჯახი კი ფრანკფურტში დატოვა). პეტერბურგში მოღვაწეობა ხშირად წყდებოდა ხოლმე ხანგრძლივი არყოფნით ან მივლინებებითა და ავადმყოფობით და მხოლოდ 1860 წელს ივნისის დასაწყისში, ერთწლიანი პაუზის შემდეგ, (ის პეტერბურგში არ იყო ნამყოფი), ის ოჯახთან ერთად ჩავიდა პეტერბურგში. მთელი ერთი კვირის განმავლობაში მიემგზავრებოდა ის კენიგსბერგიდან, აღმოსავლეთ პრუსიიდან (ამჟამად კალინინგრადი), პეტერბურგამდე. 29 მარტს ის უკვე პეტერბურგში იმყოფებოდა, ხოლო პირველ აპრილს თავისი

დაბადების დღეს, სადარბაზოდ ეახლა პირველად ალექსანდრე მეორეს. „თვით განგებამ ინება რომ მე ვყოფილიყავი დიპლომატი: მე ხომ პირველი აპრილის დღეს დავიბადე“ - ხუმრობდა თავად ბისმარკი მოგვიანებით, როდესაც ის კარგ ხასიათზე იმყოფებოდა!

ბისმარკის დიპლომატიურ კარიერაში ახალი პერიოდი დაიწყო - პეტერბურგის პერიოდი. გარდა უშუალო დიპლომატიური მოვალეობების შესრულებისა, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული იყო ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებებთან, ბისმარკს ევალეობდა რუსეთში მცხოვრები პრუსიელი ქვეშევრდომების იურიდიული და ქონებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებულ მიწერ-მოწერისგან შედგებოდა მიმდინარე მუშაობა, რომელიც მას თავიდანვე საკმაოდ მძიმედ აწვა.

რუსეთში დესპანად ყოფნის პერიოდში, ბისმარკმა გულმოდგინედ შეისწავლა რუსეთის დიპლომატიის გამოცდილება და მართლაც შეითვისა ბევრი რამ, რისი სწავლაც შეიძლებოდა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რომლებსაც ძალიან ეჯავრებოდათ მეფის რუსეთის დიპლომატია, მაინც უმაღლეს შეაფასებას აძლევდნენ მათ პროფესიონალურ

---

<sup>1</sup> История дипломатии, т. I, М., 1941, с. 481).

თვისებებს. ბისმარკი, მისი აღიარებით თუ ვიმსჯელებთ, „დიპლომატიური ხელოვნების გაკვეთილებს“ გორჩაკოვისგან იღებდა<sup>1</sup>. გორჩაკოვი, რომელიც თავის დროზე დიდ რუს პოეტთან ალექსანდრე პუშკინთან ერთად სწავლობდა ლიცეუმში (ცარსკოე სელოში), გახლდათ არა მხოლოდ გამოჩენილი ორატორი, არამედ თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიპლომატი. ბისმარკმა შეძლო გორჩაკოვის ნდობის მოპოვება და ეს უკანასკნელი კი სიამოვნებით უქმნიდა თავის გერმანელ კოლეგას (მოწაფეს) პირობებს, რომ მას რეგულარულად ეკითხა პეტერბურგში შემოსული დიპლომატიური ფოსტა. ურთიერთობა ბისმარკსა და ალექსანდრე მეორეს შორის კიდევ უფრო განმტკიცდა. 1862 წელს, როდესაც ბისმარკი ტოვებდა თავის პოსტს პეტერბურგში, მან რუსეთის იმპერატორთან ალექსანდრე მეორესთან საუბარში განაცხადა - და არა მხოლოდ თავაზიანობის გამო - რომ „დიდი ხალისით დარჩებოდა პეტერბურგში“. საპასუხოდ ალექსანდრე მეორემ შესთავაზა მას რუსეთის სამსახურში გადასვლა<sup>2</sup>. ბისმარკმა უარი განაცხადა

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Милитаризм, М. 1968, с. 28 .

<sup>2</sup> იმ დროს სამეფო გვირგვინისადმი მსახურობა არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს. ასე, მაგალითად, გრაფი ფონ ბეისტი თავიდანვე იყო საქსონიის მინისტრ-პრეზიდენტი, შემდეგ 1866 წელს, როგორც კი გადავიდა ავსტრიის იმპერატორის სამსახურში, მიიღო ავსტრიის საგარეო საქმეთა

ამ შემოთავაზებაზე: ის აპირებდა კარიერის გაკეთებას პრუსიაში<sup>1</sup>. შემდგომში ბისმარკსა და გორჩაკოვს შორის გაჩნდა ურთიერთსიძულვილი. გარკვეულწილად ეს აიხსნებოდა იმით, რომ ორივე ძალიან კარგად იცნობდა ერთმანეთს.

1862 წლის აპრილის ბოლოს ბისმარკმა საბოლოოდ დატოვა პეტერბურგი. მას შეეძლო სრულიად კმაყოფილი ყოფილიყო თავისი საქმიანობით ელჩის რანგში. ყველაფერი რისი გაკეთებაც შეიძლებოდა პრუსიასა და რუსეთს შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად მის მიერ შესრულებული იყო. გამოსამშვიდობებელ მიღებაზე (აუდიენციაზე) ალექსანდრე მეორემ დაარწმუნა ბისმარკი იმაში, რომ მისი სურვილი გახლდათ პრუსიასთან ჰქონოდა მჭიდრო კავშირი, რისი დასტურიც იყო მისი ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოება. იმავე წლის 1 ივნისს ბისმარკმა ნაპოლეონ მესამეს პრუსიის დესპანის რწმუნების სიგელი გადასცა. ნაპოლეონმა ის სრული თავაზიანობით მიიღო. თავიდანვე ახალი თანამდებობა ბისმარკის მიერ განიხილებოდა როგორც დროებითი, რომელიც წინ უძღოდა მის უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშვნას. ამიტომ მიმოწერებში, ის მეტს

---

მინისტრის პოსტი, ხოლო მომდევნო წელს გახდა ავსტრია-უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი. იხ. А. С. Ерусалимский, указию соч., с. 28.

<sup>1</sup> იქვე

წერდა მისი შემდგომი ბედის თაობაზე, ვიდრე პოლიტიკაზე. თავის მეგობარს სამხედრო მინისტრ როონს და თავის უფროსს ბერისტორფს (ხოლო მათი მეშვეობით კი თავად მეფეს) ის პირდაპირ მოსვენებას არ აძლევდა მუდართა და დაფიცებით ბოლო მოელთ მისი მდგომარეობის გაურკვევლობისათვის.

როგორც პოლიტიკის, ისე დიპლომატიის სფეროში ბისმარკისთვის კიდევ ერთ მაგალითს ნაპოლეონ მესამე წარმოადგენდა. 1862 წელს პრუსიის დესპანად პარიზში ყოფნისას, ბისმარკს შეეძლო ბევრი რამ გადმოეღო ფრანგული ბონაპარტიზმის არსენალიდან, მითუმეტეს, რომ ნაპოლეონ მესამის მეთოდები ძალიან იმპონირებდა პრუსიელ იუნკერს, რომელმაც საკუთარი თავის წინაშე დაისახა შორსმიმავალი მიზანი: დააკმაყოფილოს გერმანული ბურჟუაზიის ეროვნული ინტერესები და დაუქვემდებაროს გერმანული სახელმწიფოები მილისტარისტულ პრუსიას. მისი თანამედროვე ფრ. ენგელსის მტკიცებით, „...ბისმარკი ენერგიადაშრეტილ გერმანელ იუნკერებს შორის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ნამდვილად ძლიერი ნებისყოფის პატრონი გახლდათ. ამიტომ გადაიქცა მათ უდიდეს პიროვნებად და მათ საერთო ტირანად, რომლის წინაშე ისინი მათი გონებისა და სინდისის

საწინააღმდეგოდ, მათივე საკუთარი განცხადებით, მზად იყვნენ ჯოხზეც კი გადამხტარიყვნენ<sup>1</sup>.

ამგვარად, თერთმეტი წლის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა მეფის მიერ ბისმარკის პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე დანიშვნას, მას ჰქონდა ყველა შესაძლებლობა თანმიმდევრულად და სრულად შეესწავლა საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. იმ სამი ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფოსი, რომელიც პრუსიას ესაზღვრებოდა, ესენი გახლდათ: რუსეთი, ავსტრია და საფრანგეთი. მართალია, ბისმარკმა დიდი გამოცდილება მიიღო ფრანკფურტში, ვენაში, პეტერბურგსა და პარიზში, მაგრამ ის არ იყო დიპლომატიური ხერხების მექანიკური შემქმნელი და უცხო სახელმწიფოების პოლიტიკური არსენალიდან უბრალო კომბინაციების გადმომღები. ბისმარკის დიპლომატიაში, რასაკვირველია, იყო საკუთარი ანაბეჭდი, ხელწერაც, რომელიც ისტორიულად უკავშირდებოდა „დიდი კურფიურისტის“<sup>2</sup> და ფრიდრიხ მეორის პოლიტიკას<sup>3</sup>. ბისმარკის მიერ შეთვისებული ეს პრუსიულ-მილიტარისტული პოლიტიკა, შემდგომ

---

<sup>1</sup> Ф. Энгельс. Роль насилия в истории. Партиздат ЦКВКП(б), 1937, с.25

<sup>2</sup> ფრიდრიხ ვილჰელმი (1620 -1688) ბრანდებურგის კურფიურისტი

<sup>3</sup> А.С. Ерусалимский, указ. соч., с. 29

საფუძვლად დაედო გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიას.

ბისმარკს, XIX საუკუნის II ნახევრის უდიდეს გერმანელ დიპლომატს, ხშირად ადარებენ იმავე საუკუნის დასაწყისის უდიდეს ფრანგ დიპლომატს ტალეირანს. ორივეს წილად ხვდა წარმატება, ორივემ კარგად იცოდა საკუთარი აზრების დაფარვა, იცნობდნენ მოწინააღმდეგეთა და მოკავშირეთა ძალებს, არ ეშლებოდათ წინააღმდეგობათა გამოყენება თავისი ინტერესების დასაცავად, მაგრამ ამავე დროს ესენი სრულიად სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ.

ტალეირანს, უპირველეს ყოვლისა, ანგარება ამომრავებდა, პირად წარმატებას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ბისმარკი კი პირადად მოუსყიდავი იყო და უცხო სახელმწიფოების მხრიდან მისი მოსყიდვის მცდელობა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. ტალეირანის მთავარი იარაღი იყო დახვეწილი დიპლომატიური ინტრიგა. ბისმარკი ამგვარ მეთოდებზე უარს ამბობდა, მაგრამ მაინც მისთვის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა უდიდესი ნებისყოფა, რომლითაც ის ზოგჯერ თავისი პარტნიორების პარალიზებას ახდენდა. ერთეულებთან მტკიცე, ზოგთან თავაზიანი გახლდათ, ზოგთან პირდაპირი და უხეშიც კი. მას შეეძლო შეგუებოდა თითოეულს, იმისდა მიხედვით, თუ როგორი შთაბეჭდილება სურდა დარჩენოდა პარტნიორებს,

რომ შემდეგ ეს გამოეყენებინა თავისი მიზნის მისაღწევად. მიუხედავად ვითარებისა, ის ყოველთვის საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა და ასევე ყოველთვის მზად იყო გადამწყვეტი შეტევისათვის<sup>1</sup>

გრამონი, ფრანგი დიპლომატი, რომელიც აკვირდებოდა ბისმარკს XIX საუკუნის 60-იან წლებში, გადმოგვცემს მასზე თავის შთაბეჭდილებებს: “მისი ღიმილი, ტუჩების ოდნავი გახსნით შემოიფარგლებოდა ხოლმე, ის არასდროს არ იცინოდა თვალებით და გეგონებოდა ლაპარაკობდა კრიჭაშეკრული, რაც მის ფრანგულ მეტყველებას სავსებით განსაკუთრებულ აქცენტს მატებდა. იგრძნობოდა, რომ ის ნებისმიერ დროს მზად იყო ბრძოლისათვის, ...ის მუდმივად მოუთმენლობას ამჟღავნებდა ყოველ დაბრკოლებაზე და საერთოდ ყველას ყურადღებას უნებურად იპყრობდა თავისი დოქტრინების აბსოლუტურობითა და თავისი აზრების სითამამით<sup>2</sup>.

ტალეირანი ეშმაკი პიროვნება იყო და არც ბისმარკი გახლდათ ამ თვისებას მოკლებული, მაგრამ დიპლომატიური მოხერხება მას ალალმართლად და გულწრფელი ფორმით გამოსდიოდა. მიუხედავად ასეთი თვისებისა, როცა მას დასჭირდებოდა, ეს გულწრფელობა იმთავითვე

---

<sup>1</sup> Там же. с. 29-30

<sup>2</sup> А.С. Ерусалимский, Бисмарк как дипломат. М. 1940. с.14



გადაიზრდებოდა პირდაპირ მუქარაში. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1862 წლის დეკემბრის დასაწყისში, მან არაორაზროვნად მიანიშნა ავსტრიას, თუ რა მიზანს ისახავდა მისი პოლიტიკა მათ მიმართ.

ოთხი წლით ადრე ავსტრიასთან ომამდე, ის არ მალავდა ომის გარდაუვალობას. “ჩვენი ურთიერთობები - განუცხადა მან ავსტრიის დესპანს, გრაფ კაროლის, - უნდა გახდეს ან ძალიან კარგი, ან ძალიან ცუდი, ვიდრე ამჟამადაა. მე მზად ვარ თქვენთან ერთად შევეცადო გავაუმჯობესო ის, მაგრამ, თუ ეს ვერ მოხერხდა თქვენ გამო, მაშინ ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ შესაძლებელი იქნება ჩვენი შებოჭვა მეგობრობისა და კავშირის შესახებ შიშველი უაზრო ფრაზებით. თქვენ მოგიწევთ საქმე იქონიოთ ჩვენთან, როგორც დიდ ევროპულ სახელმწიფოსთან”<sup>1</sup>.

რამდენიმე ხნით უფრო ადრე, 1862 წლის ივნისში, ბისმარკი ეწვია ლონდონს, სადაც შეხვდა ინგლისის რიგ სახელმწიფო მოღვაწეებს. სწორედ მაშინ, საქსონიის დესპანის გადმოცემის თანახმად, ინგლისის კონსერვატიული ოპოზიციის ლიდერთან, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურთან დიზრაელისთან საუბრისას, მან მისთვის ჩვეული მანერით, გაამხილა თავისი პოლიტიკური გეგმები, უახლესი

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, указью соч., с. 14.

წლების განმავლობაში. „მოკლე დროში, - განაცხადა ბისმარკმა - ყოვლად შესაძლებელია, მე იძულებული გავხდე ჩემ თავზე ავიღო პრუსიის პოლიტიკის ხელმძღვანელობა. ჩემი უპირველესი ამოცანა შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში, რომ ლანდეტაგის დახმარებით ანდა ლანდტაგის დახმარების გარეშე მოვახდინო პრუსიის არმიის რეორგანიზაცია. შემდგომ მე ვისარგებლებ პირველი ხელსაყრელი საბაზით, იმისთვის, რომ ომი გამოვუცხადო ავსტრიას, გავანადგურო გერმანული კავშირი, ჩემს გავლენას დავუმორჩილო საშუალო და წვრილი გერმანული სახელმწიფოები და შევქმნა ერთიანი გერმანია პრუსიის მეთაურობით. მე ჩამოვედი აქ იმიტომ, რომ ამის შესახებ ვაცნობო დედოფლის მინისტრებს“<sup>1</sup>. დიზარელიზე, რომელიც ჩვეულებრივ მიჩვეული იყო დიპლომატიის სფეროში ბუნდოვან და ფრთხილ, მორიდებულ ფრაზებს, ბისმარკის მოულოდნელმა განცხადებამ, როგორც ჩანს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ღირსეულად შეაფასა ბისმარკის ეს დიპლომატიური მანერა. „უფრთხილდით მას, - უთხრა მან ერთ-ერთ თავის მეგობარს, - ის ამბობს იმას, რასაც

---

<sup>1</sup> А. С. Ерусалимский . Бисмарк : Дипломатия и Милитаризм, с. 31.

ფიქრობს“<sup>1</sup>. მაგრამ ბისმარკი ყოველთვის პირდაპირი არ იყო, საჭირო შემთხვევაში იგი კარგად ფარავდა ნამდვილ ზრახვებს.

ბისმარკს ერთხელ უთქვამს, რომ გულკეთილობა მას დიპლომატის ძვირფას თვისებად მიაჩნდა. მაგრამ ის სრულიადაც არ ფიქრობდა ასე, რადგან თავად აბსოლუტურად მოკლებული იყო ამ ნიშან-თვისებას. თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის დასაწყისში ის ჯერ კიდევ იჩენდა თავდაჭერილობას, რომელიც მის უზარმაზარ ენერგიასთან შეხამებული აოცებდა ყველას, ვისაც კი შეხება ჰქონდა მასთან. მაგრამ შემდგომში გამოჩნდა, რომ სინამდვილეში ის სრულებითაც არ გახლდათ მშვიდი, თავშეკავებული ადამიანი, უფრო ზუსტად, ის ფიცხი იყო, ხოლო დროდადრო გაცხარებაც იცოდა.

გრაფი შვაინიცი, გერმანელი გენერალი და დიპლომატი, რომელსაც დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა მასთან და ახლოს იცნობდა ბისმარკს, თვლიდა, რომ მის ხასიათში შეხამებული იყო სამი ნიშან-თვისება: სუვერენული და ამასთანავე სიცოცხლით აღსავსე თვითნებობა; ამპარტავნობასა და თვითნებობასთან შეხამებული ბრუტალური შეუბრალებლობა

---

<sup>1</sup> ა. მენტეშაშვილი, მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, თბ., 2003, გვ. 31. Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998; s.56.

და ფრთხილი ეშმაკობა“<sup>1</sup>. ამას შემდგომში გულფიცხოვაც დაემატა.

1862 წლის ივლისის ბოლოს ბისმარკმა აიღო შვებულება, რომელიც გაატარა საფრანგეთის სამხრეთში. როგორც კი დაბრუნდა პარიზში, 16 სექტემბერს მიიღო წერილი გენერალ როონისგან, რომელიც სასწრაფოდ ითხოვდა მის ჩასვლას ბერლინში. რადგან ბისმარკი მაშინვე არ გაემგზავრა, ერთი დღის შემდეგ მას გადასცეს დეპეშა: „Periculum in mora. Depechez-vous!“ (დაყოვნება საშიშია, იჩქარეთ!). პირობითი წარწერა:“ ძია მორიც ჰენინგ“ - ნიშნავდა, რომ დეპეშის ავტორი იყო როონი<sup>2</sup>.

1862 წლის 20 სექტემბერს ბისმარკი უკვე ბერლინში იყო. აქ მას ელოდა უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა. ის გახდა მინისტრ-პრეზიდენტი, პრუსიის მთავრობის მეთაური. მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი. ერთდროულად, დაიწყო ახალი ეპოქა როგორც პრუსიის, ისე მთელი გერმანიის ისტორიაში.

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Милитаризм, с. 31.

<sup>2</sup> Отто Бисмарк, Мемуары железного канцлера. М., С-Петербург, 2004. с. 245

## ბისმარკი ხელისუფლების სათავეში

### მინისტრ-პრეზიდენტი

ოტო ფონ ბისმარკის დანიშვნა პრუსიის მთავრობის უმაღლეს თანამდებობაზე მოხდა ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში, კრიზისი, რომელიც პრუსიის ისტორიაში შევიდა კონსტიტუციური კონფლიქტის (ხშირად მას, უფრო სწორად, მის საწყის ეტაპს სამხედრო კონფლიქტსაც უწოდებენ) სახელწოდებით. ის დაიწყო 1860 წელს და 1862 წლის შუა ხანისათვის რევოლუციური სიტუაციის ხასიათიც კი მიიღო. ეს პერიოდი 1848 წლის მშფოთვარე თვეების გამოძახილს უფრო ჰგავდა და მის გამომწვევ მიზეზებს ქვეყნის შიგნით გადაუჭრელი სოციალ-პოლიტიკური და ნაციონალური პრობლემები წარმოადგენდა. და, ეს გასაგებიც იყო, რადგან XIX საუკუნის გერმანიაში 30-40-იან წლებში დაწყებული სამრეწველო გადატრიალება ჩქარი ტემპით მიიკვლევდა გზას. იზრდებოდა ფაბრიკა-ქარხნებისა და სააქციო საზოგადოებათა რიცხვი, ასევე სამრეწველო პროდუქციის წარმოება. სულ უფრო ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობის მასშტაბები. სამრეწველო ბუმის შედეგად

XIX საუკუნის 60-იან წლებში გერმანიაში ირიცხებოდა მილიონზე მეტი მუშა. სწრაფი ეკონომიური აღმავლობა აძლიერებდა გერმანიის ბურჟუაზიის რწმენას საკუთარ ძალებში და უზიბებდა მას კვლავ დაეყენებინა საკითხი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შესახებ, რომელიც აუცილებელი იყო როგორც სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის, ასევე აგრესიული საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის დაქუცმაცებულობა, დრომოჭმული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესები გერმანულ სახელმწიფოებში რთულ ანაქრონიზმად იქცნენ და ხელს უშლიდნენ ქვეყნის ისტორიულ წინსვლას.

\* ამდენად, ბისმარკის დანიშვნა გამოწვეული იყო პრუსიის სახელმწიფოში არსებული კრიზისით და მხოლოდ მასთან კავშირში შესაძლებელი გახლდათ ამ საკითხის განხილვა და მისი პოლიტიკური ანალიზი. მიუხედავად ამისა, ბისმარკის პოლიტიკური ბიოგრაფები მის დანიშვნას მინისტრ-პრეზიდენტის პოსტზე წარმოგვისახავენ სულ სხვანაირად. მათი აზრით: ბისმარკმა ჯერ კიდევ პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში მიიპყრო მთავრობის ყურადღება. მათ მომავალ კანცლერში დაინახეს საიმედო დასაყრდენი. ამიტომ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ძალა და დაიწყო მისი მომზადება მომავალი თვალსაჩინო

აქტიური როლისათვის პრუსიის ექსტრაორდინალურ პოლიტიკაში. ამისათვის მას სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნით უნდა მისცემოდა შესაძლებლობა დაწვრილებით გაცნობოდა პრუსიისა და საერთოევროპული პოლიტიკის ყველა მამოძრავებელ ძალას. აი, თურმე რატომ დაინიშნა ის დესპანად ფრანკფურტში, შემდეგ კი პეტერბურგსა და პარიზში. ბისმარკის აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ გერმანიის გაერთიანების გეგმა მას მზად ჰქონდა უკვე თითქოსდა იმ დროს, როდესაც ის გადაყოლილი იყო გაუთავებელ ქეიფსა და ღრეობას თავის მამულში-პომერანიაში. ასევე მათი თქმით, ბისმარკმა ისარგებლა თავისი დანიშნით ფრანკფურტში იმისათვის, რომ კარგად შეესწავლა დიპლომატიური საშუალებები და ხერხები (დიპლომატიური ხელოვნება). ის დათანხმდა დესპანობას პეტერბურგში იმისათვის, რომ მოემზადებინა რუსეთი და დაეყოლიებინა ის, რომ შემდგომ დაეცვა ნეიტრალიტეტი ავსტრია-პრუსიისა და საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, ხოლო დესპანობა პარიზში, რათა გაესულელებინა ნაპოლეონი და ბოლოს ყველა ამ მისიის აღსრულების მერე კეთილენება დაეკავებინა მინისტრ-პრეზიდენტის პოსტი, იმისათვის, რომ განეხორციელებინა მის

მიერ ჩაფიქრებული გერმანიის გაერთიანების გრანდიოზული გეგმა.<sup>1</sup>

თუმცა ყველაფერი ეს უფრო ლეგენდას ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. ფაქტების მიუკერძოებელი შესწავლა და ანალიზი კი ერთიანად შლის ბისმარკის მეხოტბეების მიერ აგებულ ამ საინტერესო, მაგრამ მეტად დაუჯერებელ კონსტრუქციას. რადგან იმ პერიოდში პრუსიაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესები სულ სხვა რეალობას ასახვენ. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, იმ დროს ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური კრიზისი გახლდათ ის მთავარი მიზეზი, რის შედეგადაც ბისმარკი სამთავრობო იერარქიის უმაღლეს პიედესტალზე აღმოჩნდა.

ჯერ ერთი პრუსიის მთავრობას არ შეეძლო ემოქმედა თანმიმდევრულად ამ მიმართულებით, რადგან მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ IV, თავის გადაწყვეტილებებსა და სიმპატიებში გამოირჩეოდა გასაოცარი არათანმიმდევრულობით: ის ხან ლიბერალებისკენ იხრებოდა, ხან კონსერვატორებისკენ და არსებითად არ ენდობოდა არც ერთ თავის მრჩეველს, რაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ასევე აღსანიშნავია ის

---

<sup>1</sup> Brandenburg E. Die Reichsgründung. B.D. I-II Leipzig, 1923 Zechlin E Bismarck und die Grundlegend der Deutenen Grassmacht. Stuttgart und Berlin, 1930; Zickursch Joh. Polifische Geschicchte des neuen deutschen Kaiserreiches. Bd.L. Die Reichsgründung, Frankfurt. 1925; Сементовский Р. И. Князь Бисмарк с-Петербурге, 1925. с. 43.



გარემოებაც, რომ ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდში პრუსიაში ადგილი ჰქონდა სამეფო ტახტზე ცვლილებებს.

1861 წელს ფრიდრიხ ვილჰელმ IV გარდაიცვალა და მეფე გახდა ვილჰელმ პირველი. ფაქტობრივად ფრიდრიხ ვილჰელმ IV ვერ მართავდა ქვეყანას ჯერ კიდევ 1858 წლიდან, რადგან ფსიქიკური აშლილობის განვითარების შედეგად მძიმედ ავადმყოფობდა. დროებითი მმართველის-რეგენტის მოვალეობას ასრულებდა მისი ძმა ვილჰელმ I<sup>1</sup>. ეს ფაქტი კი საერთოდ აქარწყლებს ყოველგვარ აზრს მთავრობის მიერ საკუთარი კადრების რეკრუტირების მკაცრი თანმიმდევრულობის შესახებ, სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბისმარკის მოღვაწეობით ფრანკფურტში, დიდად არ იყვნენ კმაყოფილი ბერლინში. ამიტომ მოხდა მისი გადაყვანა ფრანკფურტიდან პეტერბურგში. ასევე მისი გამოძახება პეტერბურგიდან სრულებით არ იყო გამოწვეული მისი პარიზში გაგზავნის სურვილით, რომ მისცემოდა მას შესაძლებლობა ახლოს გასცნობოდა საფრანგეთის პოლიტიკას. პირიქით, ის გამოძახებულ იქნა საფრანგეთიდან ბერლინში, რომ დაენიშნათ მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე.

---

<sup>1</sup> А.И. Молок. Воссоединение Италии и Германии в самостоятельные государства, М,1952, с.11.

აქედან გამომდინარე, ძალიან საინტერესო და აუცილებელიცაა სრულად გავერკვეთ ამ საკითხში, რატომ, რა მიზეზის გამო მიაქცია პრუსიის მთავრობამ განსაკუთრებით მაშინ ყურადღება ბისმარკს და არჩევანი მაინცდამაინც მასზე შეაჩერა, რომ ის დანიშნულიყო მინისტრ-პრეზიდენტის მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე.

ვილჰელმ I-ის ტახტზე ასვლა პრუსიის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ აღიქვა ახალი ეპოქის-ლიბერალიზმის ხანის დასაწყისად. მათი მოლოდინი არ გამართლდა. ის ხანმოკლე და ფუჭი აღმოჩნდა. მთავრობის პოლიტიკის შეცვლა ლიბერალური პოლიტიკის მიმართულებით ოდნავადაც არ მომხდარა. პირიქით, გამწვავდა კონფლიქტი მთავრობასა და ლიბერალებს შორის. კონფლიქტის მიზეზი გახდა უთანხმოება სამხედრო რეფორმის კანონპროექტის გამო. 1860 წლის სამხედრო რეფორმის ინიციატორები იყვნენ თვითონ ვილჰელმი, მაშინ ჯერ კიდევ პრინც რეგენტი და ურყევი კონსერვატორი, ბისმარკის მეგობარი გენერალი ალბერტ ფონ როონი, რომელიც 1859 წლის დეკემბერში დაინიშნა სამხედრო მინისტრად. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა გენერალი ფონ ბონინი, რომელიც სამხედრო რეფორმის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. რეფორმის პირველი მონახაზი გენერალმა ფონ როონმა გააკეთა ჯერ კიდევ 1858 წელს, სადაც

ჩამოყალიბდა და აისახა ის, რაც დიდი ხნის წინათ მომწიფდა პრუსიის გენერალიტეტის ვიწრო წრეში<sup>1</sup>.

გენერალ ფონ როონს მხარს უჭერდა გენერალი ჰელმუტ ფონ მოლტკე, რომელიც 1857 წლიდან პრუსიის არმიის გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობდა<sup>2</sup>.

გენერალიტეტი და იუნკრების გავლენიანი წრეები მოითხოვდნენ არმიის გაზრდას. ვილჰელმ I და გაბატონებული წრეები არმიის გაძლიერებაში ხედავდნენ იუნკრების ბატონობის მთავარ დასაყრდენს და მძლავრ არმიას მიიჩნევდნენ უმნიშვნელოვანეს ძალად თავისი ჰეგემონიის დამყარებისათვის, შემდგომში საერთო გერმანული მასშტაბით<sup>3</sup>.

სამხედრო რეფორმის მიზანი იყო ის, რომ ბოლო მოეღო ჯერ კიდევ ნაპოლეონის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის პერიოდში არსებული არმიის სტრუქტურისათვის, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ომის დროს ჰქონდა სახალხო ლაშქარს-ლანდვერს. პროექტი, რომელიც მთავრობამ 1860 წლის 10 თებერვალს შეიტანა პრუსიის ლანდტაგის

---

<sup>1</sup> В.Г. Ревуненков. Приход Бисмарка к власти. Л.1941, с. 34.

<sup>2</sup> ვ. ჩოჩია, ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882. თბ., 2011, გვ. 39.

<sup>33</sup> იქვე.

დეკუტატთა პალატაში ითვალისწინებდა მოქმედი სამხედრო სამსახურის სამწლიანი ვადის შენარჩუნებას (ის შემოდებულ იქნა XIX საუკუნის 50-იან წლებში ორწლიანი სამსახურის ნაცლად) და რეზერვში ყოფნის ვადის გაგრძელებას 2 წლიდან 5 წლამდე. ლანდვერი საერთოდ უნდა გამორიცხულიყო სამხედრო ბრძოლის მოქმედი არმიიდან და შეიძლებოდა მისი გამოყენება სამხედრო მოქმედებისათვის მხოლოდ ქვეყნის შიგნით. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავდა ლანდვერის როგორც შეიარაღებული ძალების სამხედრო ბირთვის გაუქმებას. რეკრუტების ყოველწლიური გაწვევა იზრდებოდა 40-დან 63 ათასამდე. მიმდინარე რეორგანიზაცია, რომელიც მოასწავებდა არმიის რაოდენობრივ ზრდას, მოითხოვდა დამატებით ხარჯებს 1860 წლისათვის 7 მილიონი ტალერის ოდენობით, ხოლო შემდგომ ყოველწლიურად 9, 5 მილიონ ტალერს<sup>1</sup>.

ჩაფიქრებული სამხედრო რეფორმის პოლიტიკური შედეგი აუცილებლად ქვეყნის მილიტარიზაცია იქნებოდა, რაც იუნკრების ინტერესებში შედიოდა და რომელიც მათ პოზიციებს კიდევ უფრო გაამყარებდა. პროცესის ასეთი განვითარება მიუღებელი იყო ბურჟუაზიისათვის. ამიტომ პოლიტიკოსები და პუბლიცისტები ლიბერალურ - ბურჟუაზიული ბანაკიდან ერთხმად წინ აღუდგნენ სამხედრო

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 40.

რეფორმის წარმოდგენილ პროექტს. ისინი მოითხოვდნენ 2-წლიანი სამხედრო სამსახურის აღდგენას, ლანდვერის შენარჩუნებას და დამატებითი თანხების გამოყოფაზე უარის თქმას. პაექრობა მთავრობასა და დეპუტატთა პალატას (მისი ლიბერალური უმრავლესობით) შორის დამთავრდა იმ დროს უზადრუკი კომპრომისით. ეს კი გამოწვეული იყო ლიბერალური ბურჟუაზიის შიშითა და სიმხდალით, რომ არ დაწყებულიყო სამთავრობო კრიზისი და არ მოჰყოლოდა მას სამხედრო გადატრიალება.

1860 წლის მაისში წარმომადგენელთა პალატამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: მთლიანად უარყო წარმოდგენილი არმიის რეორგანიზაციის პროექტი, მაგრამ დათანხმდა გამოეყო დამატებითი თანხები წლიური საბიუჯეტო დაფინანსება 9,5 მილიონი ტალერის ოდენობით შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად. იმპერატორმა და მთავრობამ ისარგებლა ამით და დაუყოვნებლივ შეუდგა სამხედრო რეფორმის გატარებას. ვილჰელმმა 1860 წლის 5 მაისის ბრძანებულებით გააუქმა ლანდვერის პოლკები და სამაგიეროდ შეიქმნა 36 ქვეითი და 10 საკავალერიო ახალი პოლკი. მთელი პრუსიის არმია გაიზარდა 130-140 ათასიდან 300 ათას ჯარისკაცამდე. ამავე დროს, სხვა ევროპულ სახელმწიფოებზე ადრე, 1862 წელს, პრუსიაში შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, რომელმაც საშუალება მისცა გაბატონებულ კლასებს უახლოეს

დროში მოეხდინათ არმიის რეორგანიზაცია და წამოეწყოთ აგრესიული საგარეო პოლიტიკა<sup>1</sup>.

1861 წლის 18 მარტს, დეპუტატთა პალატის წინაშე წარდგენილ სამხედრო სამინისტროს მოხსენებიდან ცხადი იყო, რომ ლანდვერის პოლკები არ იყო არც ქვეითსა და არც საკავალერიო ჯარში. ქვეით ჯარში ირიცხებოდა 9 გვარდიული და 72 რეგულარული პოლკი, კავალერიაში 8 გვარდიული და 40 რეგულარული პოლკი<sup>2</sup>.

არმიის რეორგანიზაცია შედგა. გატარდა ის არსებული კანონების უხეში დარღვევით, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ დეპუტატთა პალატის ლიბერალური უმრავლესობის ჩუმი, უსიტყვო ფარული კურთხევით. შეიქმნა სრულიად ახალი არმია: ძლიერი, მყარი და მტკიცე. 1861 წლის 31 მაისს დეპუტატთა პალატამ კიდევ ერთი წლით დაამტკიცა სამხედრო უწყებებისათვის გამოყოფილი დაფინანსება, არმიის საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერების მიზნით, მიაკუთვნა რა ამჯერად ეს ხარჯები „საგანგებო ხარჯთა“ კატეგორიას. ბიუჯეტიდან მიღებულმა ამ სუბსიდირებამ მთავრობას მისცა შესაძლებლობა კიდევ უფრო განემტკიცებინა არმიის

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 41

<sup>2</sup> В.Г. Ревуненков. Указ. соч., с. 46

რეორგანიზაციის პოლიტიკა, დაესრულებინა პრუსიის არმიაში მიმდინარე გარდაქმნები.

1861 წელს, როგორც კი ვილჰელმ I ავიდა ტახტზე, მან მოითხოვა ქვეშევრდომთა მიერ მეფისადმი ერთგულების შეფიცვის წინათ არსებული წესის აღდგენა, მაგრამ მთავრობის უმრავლესობამ, რომელიც იმოწმებდა 1850 წლის შეკვეცილ კონსტიტუციას, იძულებული გახადა ამ მოთხოვნაზე უარი ეთქვა. მხოლოდ პრუსიის სამხედრო ზედაფენა, რომელიც დაჯგუფებული იყო სამხედრო მინისტრის გენერალ ალბერტ ფონ როონის ირგვლივ, თავგამოდებით იცავდა მეფის აბსოლუტურ პრეტენზიებს. ისინი შიშობდნენ, რომ ამ უკანასკნელის მცირედ დათმობასაც კი შეეძლო. შეერყია პრუსიის მთელი მონარქისტულ-მილიტარისტული სისტემა.

გენერალი ალბერტ ფონ როონი კარგად იცნობდა ბისმარკს და დარწმუნებული იყო, რომ ის აუცილებლად დაიკავებდა თავის კუთვნილ ადგილს პრუსიის სამხედრო ელიტის რეაქციულ (რეტროგრადულ) ბანაკში. ამიტომ იყო, რომ მან მოუწოდა ბისმარკს „დაუყოვნებლივ“ გამოეხადებულებიყო ბერლინში. ბისმარკის აღიარებით თუ ვიმსჯელებთ, მას გენერლის მოწოდებაში შემოესმა ბრძანება («на коня») „სრულ მზადყოფნაში“<sup>1</sup>. მაშინ ჩამოაყალიბა მან

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1868, с. 44.

თავისი პოზიცია შემდეგი სიტყვებით: „მე ჩემი ხელმწიფის ერთგული ვარ ბოლომდის (ვანდეამდეც კი)“<sup>1</sup>. სულ მცირედი წინააღმდეგობაც კი მეფის აბსოლუტური მოთხოვნებისადმი, საიდანაც არ უნდა გამოსულიყო ის - პრუსიის ბიუროკრატიის უმაღლესი ეშელონებიდან თუ მისი ლიბერალურ-თავადაზნაურულ და ლიბერალურ-ბურჟუაზიული წრეებიდან, ის მას განიხილავდა როგორც რევოლუციური განწყობის ძალიან საშიშ გამოძახილს საშინელი 1848 წლისა. ეს კი მასში იწვევდა ზიზღს. მოქმედების ბისმარკისეულ პროგრამაში, რომლის წარდგენასაც ის აპირებდა მეფისათვის, აღნიშნული იყო, რომ მთავრობის მიერ არმიისათვის კრედიტების მოთხოვნის საკითხი გამოყენებულ იქნას მთავრობასა და დეპუტატთა პალატას შორის კონფლიქტის საპროვოცირებლად, ამის ნიადაგზე კი „დათხოვნილ იქნას ის და ამით მთელ ერს უნდა ეცნობოს, თუ როგორ ეპყრობა მეფე ამ სამმოს“<sup>2</sup>. არსებითად, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების გეგმა და ამიტომ როგორც კი შემოესმა გენერალ როონის მოწოდება, მან იმ წუთშივე დატოვა პეტერბურგი და 1861 წლის ივლისში გამოცხადდა ბერლინში იმ იმედით, რომ პირადად მიიღებდა მონაწილეობას მეფის ირგვლივ დაჯგუფებული

<sup>1</sup> Отто Бисмарк, Мемуары железного канцлера, М.-С-Петербург, 2004, с. 225.

<sup>2</sup> Там же.



სამხედრო ხროვის განზრახვის განხორციელებაში. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ის ვარაუდობდა, რომ მიიღებდა სულ მცირე, საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს, ანდა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას. ის იმედოვნებდა, რომ ცენტრალურ პოლიტიკურ ფიგურად გახდომის შემდეგ მთავრობის ახალ კაბინეტში ის შეძლებდა მმართველობის სადავეების ხელში აღებას. მაგრამ როგორც აქამდე აღვნიშნეთ, ბისმარკს დააგვიანდა. აღმოჩნდა, რომ ბერლინში მისი ჩასვლის დროისათვის მეფესა და მთავრობას შორის მიღწეულ იქნა კომპრომისი<sup>1</sup>. ვილჰელმ I-მა მიიღო თანხმობა ტრადიციული მეფედ კურთხევის ცერემონიალის ჩატარებისა კენიგსბერგში, სამაგიეროდ, უარი თქვა მეფისადმი ერთგულებაზე დაფიცების წესზე.

პრუსიის და ასევე მთელი გერმანული ბურჟუაზია უკიდურესად აღშფოთებული იყო პრინც-რეგენტის ვილჰელმის თვითნებური და ანტიკონსტიტუციური მოქმედებით არმიის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ლიბერალის რეპუტაცია, რომელიც მის სახელს მიეწერებოდა, უმალვე ნისლივით გაიფანტა, რითაც „ახალი ერის“ ეპოქაც დასრულდა.

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, указ. соч., с.45

იუნკრებისგან იმედგაცრუებულმა და განაწყენებულმა ბურჟუაზიამ, რომელმაც ვერ მიაღწია მათგან ვერც ეროვნულ, ვერც ლიბერალურ პროგრესს, ახლა უკვე თვითონ დამოუკიდებლად იწყებს ბრძოლას ხელისუფლების მოსაპოვებლად. თვითონ განაცხადებს პრეტენზიას საზოგადოების პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე. ბურჟუაზია მნიშვნელოვანწილად „გამემარცხენდა“ და გადაიქცა საგრძნობ ოპოზიციურ ძალად. მისი ახალი პოლიტიკური მიზნის, იმედის და მისწრაფებების გამომხატველი გახდა პროგრესისტული პარტია („პროგრესისტები“), რომელიც შეიქმნა 1861 წლის ივნისში. პარტიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფაბრიკანტები, ქარხნების მფლობელები, ვაჭრები, ბანკირები, ლიბერალური თავადაზნაურობა (მემამულეები), ადვოკატები, პროფესორები, ექიმები, - ერთი სიტყვით ის აერთიანებდა თავის რიგებში პრუსიის ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს. პარტიის ფუძემდებლებსა და ხელმძღვანელებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შულცე-დელიჩი (ჰერმან შულცე-დელიჩი - ცნობილი სოციოლოგი, ეკონომისტი), ვალდეკი, უნრუ, ადვოკატი ფორკენბეკი, ბარონი ფონ-ჰოვერბეკი, ელექტრომექანიკური ქარხნის მფლობელი ვერნერ ფონ სიმენსი, მედიცინის პროფესორი რუდოლფ ვირხოვი,

ბერლინელი ბანკირი ადალბერტ დელბრიუკი, ისტორიკოსი თეოდორ მომზენი და სხვ.<sup>1</sup>

პროგრესისტები მტრულად იყვნენ განწყობილი მშრომელი ხალხის მიმართ, ემიჯნებოდნენ მათ ინტერესებს, ეწინააღმდეგებოდნენ საყოველთაო-საარჩევნო უფლების შემოღებას და აქედან გამომდინარე, ეს მოთხოვნა არც კი შეუტანიათ თავიანთ პროგრამაში. მათ არ მოუთხოვიათ კრებების, კავშირების თავისუფლების აღდგენა, რომელიც მანტოიფელის მთავრობის მიერ ფაქტობრივად განადგურებული იყო. ადრევე უარი თქვეს ყოველგვარ მასობრივ პარლამენტს გარეშე საქმიანობაზე, განაცხადეს, რომ თავიანთი მიზნების მიღწევას ისინი განახორციელებდნენ მხოლოდ კონსტიტუციური უფლებების გამოყენების გზით<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი კატეგორიულად ემიჯნებოდნენ რევოლუციას, პროგრესისტები ამავე დროს ძალიან ენერგიულად გამოდიოდნენ ფეოდალურ-აბსოლუტისტური წესწყობილების წინააღმდეგ. თავიანთ პროგრამაში ისინი მოითხოვდნენ გერმანიის მყარ გაერთიანებას, პრუსიისათვის ცენტრალური ხელისუფლების გადაცემის გზით და გერმანული პარლამენტის მოწვევას. ასევე

---

<sup>1</sup> В.Г. Ревуненков, Указ. соч. с. 48.

<sup>2</sup> Там же, с.48.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას თვით პრუსიის შიგნით, უპირველეს ყოვლისა, კანონის გამოცემას მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ, დიდებულთა პალატის ძირეულ რეფორმას და მის ნაცვლად ძლიერი ლიბერალური მთავრობის შექმნას, რომელიც თავის ძალას ქვეყნის კონსტიტუციური უფლებების პატივისცემასა და მისი ინტერესების დაცვაში იხილავდა<sup>1</sup>.

საერთოდ და მთლიანობაშიც ეს იყო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა პრუსიის გარდაქმნას კონსტიტუციურ -სამართლებრივ სახელმწიფოდ ინგლისის საპარლამენტო მონარქიის მსგავსად, რომელშიც მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა პარლამენტის წინაშე, სადაც მეფე თათბირობს არა სასახლის არისტოკრატის ვიწრო წრესთან, არამედ პარლამენტთან, არმიით, რომელიც დამოკიდებულია არა მეფეზე, არამედ პარლამენტზე. ერთი სიტყვით, ქვეყანა ისეთი სახელმწიფო დაწესებულებებით და ისეთი პოლიტიკური სისტემით, რომელიც ბურჟუაზიას გახდიდა საზოგადოების გაბატონებულ კლასად. ამრიგად, პროგრამა გამოხატავდა არა ერთგულების მისწრაფებებს, არამედ ის გამოხატავდა ბურჟუაზიის ფართო წრის მიზნებს, ინტერესებს, განწყობილებებს, მოთხოვნებსა და შეხედულებებს, რომელიც

<sup>1</sup> В.Г. Ревуненков. Указ. соч., с. 49.

ვერ ურიგდებოდა ამიერიდან თავისი ქვეყნის დაქუცმაცებულობას და ფეოდალურ-იუნკრული კლასის ბატონობას, აბსოლუტურ მმართველობას.

ბურჟუაზიის „გამემარცხენებამ“ და პროგრესისტული პარტიის შექმნამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია იუნკერთა მმართველი ზედაფენის რიგებში. ვილჰელმ პირველი პროგრესისტებში ხედავდა შენიღბულ რევოლუციონერებს, რომელთაც, მისი აზრით, უნდოდათ 1848 წლის მოვლენების გამეორება. პროგრესისტების პროგრამამ და მოწოდებებმა მასში უმძიმესი ეჭვები გააჩინა, ეჭვები პროგრესისტების ხელისუფლებაში მოსვლის მისწრაფებისა<sup>1</sup>.

გენერლები და ოფიცრები მეფე ვილჰელმის გარემოცვიდან, სამხედრო მინისტრი ფონ როონი, მეფის სამხედრო კაბინეტის უფროსი ედვინ მანტოიფელი, მეფის ადიუტანტი გუსტავ ფონ ალვენსლენი და სხვები ყოველმხრივ ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი მეფის ეს პანიკური განწყობილება. განერიდებინათ ის ლიბერალური მინისტრებისაგან თავიანთი ლიბერალური რეფორმების პროექტებით და გადაებირებინათ გარემოცვის პოლიტიკურ პოზიციაზე. მათი პოლიტიკური ხაზი კი გამომდინარეობდა ერთადერთი წესიდან: „დემოკრატების წინააღმდეგ ნაცადი

---

<sup>1</sup> Там же. с. 53.

ძალა მხოლოდ ჯარისკაცებია“<sup>1</sup>. მათი აზრით, ბოლო უნდა მოღებოდა ყოველგვარ დათმობებს, უარი უნდა ეთქვათ პროგრესისტების ყველა მოთხოვნაზე და ძალის გამოყენებით დაეთრგუნათ მათი წინააღმდეგობა, ისე რომ არ მორიდებოდნენ არავითარ ცილისწამებას კონსტიტუციის დარღვევაში და თუ ძალის გამოყენება გამოიწვევდა რევოლუციას, მათი დასკვნით, მით უკეთესი იქნებოდა.

პარლამენტის მოსალოდნელი ბატონობის აჩრდილით შეწუხებული ვილჰელმ პირველი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად გაესვა ხაზი პრუსიის მეფეთა ხელისუფლების აბსოლუტური შეუზღუდველი ხასიათისათვის, მართალია, აწყობილი, მაგრამ შეუცვლელი კონსტიტუციური დაწესებულებებით. ამ მიზანს ემსახურებოდა ის ყბადაღებული მეფედკურთხევა (კორონაცია), რომელიც შედგა 1861 წლის 18 ოქტომბერს ქ. კენიგსბერგში, სადაც მეფის მიერ თავისი ხელისუფლების ღვთისბოძებულად მის შეუზღუდველ, აბსოლუტისტურ დამახასიათებელთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებამ საშინელი გულისწყრომა გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით. მეფის აბსოლუტისტური მისწრაფებებით გაღიზიანებულმა ბურჟუაზიამ ერთსულოვნად მისცა ხმა პროგრესისტებს. ამან კი წინასწარ გადაწყვიტა

---

<sup>1</sup> Там же, с. 54.

პროგრესისტების გამარჯვება არჩევნებში. მათ მოითხოვეს დეპუტატთა ახალი პალატისაგან მტკიცედ დაეცვათ პრუსიის კონსტიტუცია. 1861 წლის ბოლოს (6 დეკემბერს) ჩატარებული არჩევნების შედეგად ახლადარჩეულ დეპუტატთა პალატაში კონსერვატორთა რიცხვი შემცირდა 59-იდან 15-მდე. სამთავრობო პარტიის წარმომადგენლებმა მიიღეს 95 მანდატი, ნაცვლად წინანდელი 191 მანდატისა. პროგრესისტებმა - 109 მანდატი, მათმა მოკავშირეებმა „გაბედულმა ლიბერალებმა“ დასავლეთ პროვინციებიდან ე.წ. „მემარცხენე ცენტრმა“ - 52 მანდატი. დანარჩენი მანდატები ასე განაწილდა: პოლონელები - 23, კათოლიკეები - 34<sup>1</sup>.

ამრიგად, კონსერვატორებმა სრული კრახი განიცადეს. მისი ლიდერები ბლანკენბურგი, ვაგნერი, ფონ როონი დამარცხდნენ. დამარცხდნენ ასევე სამთავრობო უმრავლესობის წარმომადგენლები - მატისი, მილდე, ფალკი, ბეტმან-ჰოლვეგი და სხვ. სამაგიეროდ, პროგრესისტების ლიდერები: ვირხოვი, ვალდე, დუნკერი, კერსტი, შულცე-დელიჩი და მათი თანამოაზრეეები არჩეულ იქნენ დეპუტატთა პალატაში ორ და სამ საარჩევნო ოლქიდან თითოეული<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> В. Г. Ревуненков, указ. соч., с.61-62; И.С. Галкин, Создание германской империи (1815-1871), М. 1986. с. 93.

<sup>2</sup> И.С. Галкин, указ. соч., с. 93.

მთავრობის უმრავლესობის მომხრეთა აშკარა ჩავარდნის მიუხედავად, მეფემ დატოვა მთავრობის წინანდელი შემადგენლობა. 1862 წლის 15 იანვარს, როგორც კი გაიხსნა პრუსიის ლანდტაგის სხდომა მაშინვე მთავრობასა და ახლად არჩეულ ლანდტაგს შორის წარმოიშვა უთანხმოება 1862 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით. ხმათა უმრავლესობით (171 ხმა 142 ხმის წინააღმდეგ) ლანდტაგმა მოსთხოვა მთავრობას, რომ ბიუჯეტი ყოფილიყო სპეციალიზირებული<sup>1</sup>. ე.ი კონკრეტიზირება ბიუჯეტის გასავალი ნაწილის ყველა მუხლისა იმ მიზნით რომ არ მისცემოდა სამხედრო სამინისტროს იმის შესაძლებლობა ასიგნება გამოეყენებინა თავისი საჭიროების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებული იყო სხვა მიზნებისათვის. მეფემ და მთავრობამ უარი განაცხადეს ამ მოთხოვნის შესრულებაზე. ამას შემდგომ მოჰყვა ბრძანებულება 11 მარტს ლანდტაგის დათხოვნის შესახებ, რადგან ვილჰელმ პირველს ეს სრულიად კანონიერი მოთხოვნა მოეჩვენა სამეფო გვირგვინის უფლებების ხელყოფად და უბრძანა მთავრობას, დაეთხოვათ ლანდტაგი. კონფლიქტი სამეფო ხელისუფლებასა და ლანდტაგს შორის ისევ განახლდა. მეფემ მთავრობის მეთაურად დანიშნა თავადი ჰოჰენლოე-ინგელფინგენი - დიდებულთა პალატის

---

<sup>1</sup> Там же.



პრეზიდენტი. 1862 წლის 18 მარტს გადადგნენ ე.წ. „ახალი ერის“ მინისტრები (ლიბერალური მთავრობის წევრები): აუერსვალდი, პატოვი, შვერინი, პიუკლერი და ბერნუტი<sup>1</sup>.

ახალი მთავრობა შედგებოდა უკიდურესი რეაქციონერებისაგან. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ქალაქ ბოლესლავის პოლიციის უფროსმა ფონ იაგოვმა. იუსტიციის მინისტრი გახდა უზენაესი პროკურორი გრაფი ცურ-ლიპე. ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი გრაფი იტცენპლიტცი დაინიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრად. კონსისტორიის მრჩეველი ფონ მიულერი ჩაუდგა სათავეში განათლების სამინისტროს. გენერალი ფონ როონი, რასაკვირველია, დარჩა სამხედრო მინისტრად. ბერნსტორფი-საგარეო საქმეთა მინისტრად. ფონ დერ-ჰაიდელი ფინანსთა მინისტრი გახდა. სწორედ ის წარმოადგენდა, ფაქტობრივად, ახალი მთავრობის მეთაურს. მან 28 მაისიდან შეცვალა თავადი ჰოჰენლოე, რომელიც შვებულებში გავიდა ავადმყოფობის გამო, მაგრამ ამ თანამდებობაზე დაბრუნება შემდეგ არ ისურვა<sup>2</sup>.

დეპუტატთა პალატის დათხოვნა და ლიბერალური მთავრობის გადადგომა ვილჰელმ პირველს სამხედრო

---

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> В.Г. Ревуненков, указ. соч., с. 73.

პარტიის ზეწოლის შედეგად იძულებით გაატარებინეს. სახელმწიფო გადატრიალება, სამხედრო დიქტატურა - აი, რაზე ოცნებობდნენ გენერლები. ეს იყო მათი მტკიცე, დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული გეგმა, რომელსაც ისინი გეგმაზომიერად ახორციელებდნენ და რისგანაც გადახვევას არავითარ შემთხვევაში არ აპირებდნენ.

ვილჰელმ პირველი, რომელსაც ემინოდა კონსტიტუციაზე დაყრდნობით ქვეყნის მართვისა, მაგრამ სურდა ჰქონოდა ხალხის ნდობა, ამავე დროს ცდილობდა დაეცვა იუნკრების როგორც გაბატონებული პრივილიგირებული კლასის ინტერესები, არავითარ შემთხვევაში არ იყო მომხრე სახელმწიფო გადატრიალებისა. აქედან გამომდინარე, ვილჰელმ პირველი დაჟინებით მოითხოვდა დათმობებს, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულ ეკონომიას სამხედრო ბიუჯეტში. მეფეს მხარი დაუჭირა ფინანსთა მინისტრმა ფონ დერ ჰაიდიტმა, რომელმაც შესთავაზა 25%-იანი დანამატის გაუქმება, რომელიც 1859 წლიდან ამოიღებოდა მოსახლეობიდან არმიის გაზრდილი კონტინგენტის შესანახად, თვით აზრსაც კი „პროგრესისტებისადმი“ დათმობის თაობაზე არმიის ხარჯზე (სამხედრო ბიუჯეტის ოდნავ შემცირების ხარჯზეც კი) გაცოფებამდე მიჰყავდა გენერლები, მაგრამ გენერლების პირდაპირმა მუქარამაც არ გაჭრა მეფეზე. მას კონფლიქტი

საზოგადოებასთან უფრო მეტად აშინებდა და ამიტომ კატეგორიულად მოითხოვდა ისევ და ისევ დათმობებზე წასვლას. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა მეფის ბრძანებულება 25%-იანი დანამატის შესახებ უმნიშვნელოვანეს გადასახადებზე და ახლადმოწვეულ ლანდტაგში ბიუჯეტის სპეციალიზირებული ფორმით შეტანის შესახებ<sup>1</sup>.

ყველა ეს წვრილმანი დათმობა ვერ მოახდენდა ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობისათვის იმის კომპენსირებას, რაც მათ დაკარგეს პრუსიის კონსტიტუციის გათვალისწინებით, ლიბერალური და ნაციონალური რეფორმების განხორციელების მოლოდინში იმედგაცრუებისა და გულგატეხილობის გამო. ახალი მთავრობის ძალდატანებითი და უკანონო მოქმედებებით ღრმად აღშფოთებული ამომრჩევლები მხარს უჭერდნენ პროგრესისტებს, რომლებშიც ისინი ხედავდნენ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების ერთადერთ დამცველებს. პრუსიაში მშრომელი მასების პოლიტიკური ხელმძღვანელი („კონსტიტუციური კონფლიქტის“ დროს 1862-66 წწ.) იყო ბურჟუაზია თავისი უმსხვილესი პარტიის პროგრესისტების პარტიის სახით. ბურჟუაზიას, მიუხედავად მისი მემარცხენეობისა, მგზნებარე

---

<sup>1</sup> Там же. с. 79.

მისწრაფებისა ნაციონალური და ლიბერალური პროგრესისადმი, ძალიან ემინოდა მშრომელი მასების იმ ძალებისა, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა. ლიბერალური ბურჟუაზია არ აღმოჩნდა თანმიმდევრული თავის პოლიტიკურ მოქმედებებში მშრომელ მოსახლეობასთან მიმართებაში. მიუხედავად მათი გამოსვლისა იუნკრების ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ, ისინი ამავე დროს ხაზს უსვამდნენ თავიანთ ზომიერებას და ერთგულებას მეფისადმი. მუდამ აღნიშნავდნენ, რომ „არც კონსტიტუციონალისტებს, არც დემოკრატებს ვერ წარმოუდგენიათო პრუსიის არსებობა მეფის გარეშე“<sup>1</sup>.

ლიბერალთა მთელი აქტიურობა ისევ მიმართული იყო საარჩევნო კამპანიისადმი. პირველადი არჩევნები დანიშნული იყო 28 აპრილს, ხოლო პალატის დეპუტატთა არჩევნები - 1862 წლის 6 მაისს. ახლადარჩეულ დეპუტატთა პალატაში პროგრესისტები ისევ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. მათ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს, ვიდრე გასული წლის დეკემბერში. პროგრესისტული პარტიის ფრაქციის ყველა ყოფილი წევრი ხელახლა იქნა არჩეული. კონსერვატორებმა ისევ დაკარგეს რამდენიმე მანდატი. როონი და მონტოიფელი ამაში ვერ ხედავდნენ რაიმე საგანგაშოს. პირიქით, მათი აზრით,

---

<sup>1</sup> И.С. Галкин, указ. соч., с. 94.

მთავრობის დამარცხება სამხედრო პარტიისათვის წარმოადგენდა გარკვეულ გამარჯვებას, რადგან არსებულ ვითარებას შეიძლებოდა სამხედრო გადატრიალების წინაპირობები წარმოეშვა, როგორც კარლ მარქსი მიუთითებდა „პრუსიაში საქმე მივა სახელმწიფო გადატრიალებმადე, თუმცა აფეთქება არც იქნება“<sup>1</sup>.

სამხედრო პარტიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბოლომდე ებრძოლა. არჩევნების შემდეგ გენერალი ფონ რონნი წერდა ოტო ბისმარკს: „ჩვენ ვალდებული ვართ ვიბრძოლოთ - და ვიბრძოლებთ. . . სისხლის ბოლო წვეთამდე“<sup>2</sup>.

ახლად არჩეულ ლანდტაგში დეპუტატთა პალატის პროგრესისტთა უმრავლესობის ყურადღების ცენტრში ისევ სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი მოექცა. ისინი მოითხოვდნენ სამხედრო ბიუჯეტიდან არმიის რეორგანიზაციაზე გათვალისწინებული ხარჯის ამოღებას და უწინდელი 1859 წლის დასაწყისში არსებული არმიის ორგანიზაციის შენარჩუნებას, რადგან ბურჟუაზია კატეგორიულად მოითხოვდა თავისი დეპუტატებისაგან ლანდვერის შენარჩუნებას და არც ერთი პფენინგის გაცემას არმიის რეორგანიზაციისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ

---

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 23, М., 1960, с.71.

<sup>2</sup> В.Г. Ревуненков. указ. соч., с. 80.

პროგრესისტები უარს არ აცხადებენ მთავრობასთან შეთანხმებაზე, მაგრამ არ სურდათ არავითარ დათმობაზე წასვლა. მათი აზრით, ამ შემთხვევაში დათმობაზე უნდა წასულიყო მხოლოდ მთავრობა.

დეპუტატთა პალატაში დებატები სამხედრო ბიუჯეტის შესახებ დაიწყო 11 სექტემბერს. კამათმა მაშინათვე მიიღო მწვავე ხასიათი. სამხედრო საკითხი გახდა სასინჯი ქვა დილემისა, წარმოადგენს თუ არა კონსტიტუციური წყობა პრუსიაში რეალობას, თუ კონსტიტუცია არის უმუშალოდ შირმა აბსოლუტიზმისათვის, რაც აშკარად ლეიტმოტივად გასდევდა პროგრესისტების გამოსვლებს.

16 სექტემბერს დეპუტატთა პალატაში ღია კენჭისყრაზე გამოტანილ იქნა პირველი ნაწილი იმ სახსრებისა, რომელიც საბიუჯეტო კომისიის მიერ მიკუთვნებული იყო ექსტრაორდინალურთა კატეგორიას და წარმოდგენილი გახლდათ გასაუქმებლად. 273 ხმით 68-ის წინააღმდეგ პირველი ნაწილი საბიუჯეტო ხარჯებიდან, არმიის რეორგანიზაციისათვის, ამოღებულ იქნა. პროგრესისტთა პარტია ღიად ავლენდა იმას, რომ ის აპირებდა თავისი კონსტიტუციური უფლებების სრულად გამოყენებას<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Там же. с. 97.

კონსტიტუციური კონფლიქტი უკიდურესად გამწვავდა. მთავრობა პანიკამ მოიცვა. ერთი სიტყვით, ზედა ფენების კრიზისი - კრიზისი მმართველ იუნკერთა ზედა ფენის მთელი პოლიტიკისა, აშკარა გახდა. მდგომარეობა ქვეყანაში იმდენად გართულდა, რომ შეშინებულმა მეფემ გადადგომაც კი დააპირა. „მე ვერ ვპოულობ სხვა მინისტრებს - ამბობდა ის, როდესაც განმარტავდა მიზეზებს თავისი ასეთი განზრახვისა. - რომლებიც თანახმანი იქნებიან სათავეში ჩაუდგნენ ჩემს მთავრობას, ისე რომ არ მაიძულონ მე და საკუთრივ თავიანთი თავიც დავემორჩილოთ საპარლამენტო უმრავლესობას“<sup>1</sup>. მაგრამ ვილჰელმ პირველი ცდებოდა, ასეთი მინისტრიც მოინახა. სამხედრო მინისტრმა ფონ რონმა ურჩია ხელისუფლებაში მოეწვია მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე „ველური იუნკერი“, რომელსაც ლანდტაგთან ბრძოლაში შეეძლო განეხორციელებინა „ძლიერი ხელის“ პოლიტიკა<sup>2</sup>.

20 სექტემბერს ბერლინში ჩამოვიდა ოტო ბისმარკი, რომელიც დეპეშით გამოიძახეს საფრანგეთიდან. 22 სექტემბერს

---

<sup>1</sup> О. Бисмарк , Мысли и воспоминания, т.1, М., 1940, с.193; И.С. Галкин, указ. соч., с. 93-94

<sup>2</sup> А.С. Ерусалимский, указ. соч., с.46

ბისმარკი ბაბელსბერგში ჩავიდა, სადაც მას და მეფეს შორის 22 და 23 სექტემბერს შედგება საუბარი. გადამწყვეტი და ყველაზე ხანგრძლივი იყო პირველი შეხვედრა, რომელიც 2,5 საათი გრძელდებოდა. ამ აუდენციაზე ბისმარკს ზოგადად მოთხრობილი აქვს თავის მემუარებში<sup>1</sup>. მეორე შეხვედრის დროს მეფემ ბისმარკის წინაშე დასვა ორი შეკითხვა. პირველი, რაც მან ჰკითხა, გახლდათ ის, რომ თანახმა იყო თუ არა ბისმარკი გამინისტრების შემთხვევაში მხარი დაეჭირა არმიის რეორგანიზაციისათვის. დიახ, - უპასუხა ბისმარკმა. მეორე შეკითხვაზე - მზად იყო თუ არა ის წასულიყო ამაზე, მიუხედავად დეპუტატთა პალატის უმრავლესობის გადაწყვეტილებისა, იგივე პასუხი მიიღო . ასეთ შემთხვევაში, - თქვა მეფემ, ჩემი ვალია შევეცადო თქვენთან ერთად განვაგრძო ბრძოლა და უარი ვთქვა გადადგომაზე<sup>2</sup>.

1862 წლის სამხედრო ბიუჯეტი დეპუტატთა პალატამ საბოლოოდ დაამტკიცა 23 სექტემბერს. მთავრობამ ეს ბიუჯეტი განსაზღვრა 37800000 ტალერით, მაგრამ ამ თანხიდან 5700000 ტალერი, რომელიც არმიის ორგანიზაციისათვის იყო

---

<sup>1</sup> Отто Фон Бисмарк. Мемуары железного канцлера, М.-С-Петербург, 2004. с. 246

<sup>2</sup> Отто Фон Бисмарк, Мемуары Железного канцлера, М.-С-Петербург, 2004, с.246



გათვალსწინებული, ხმათა უმრავლესობით (10-ის წინააღმდეგ) საბიუჯეტო პროექტიდან ამოიღეს<sup>1</sup>.

ამის საპასუხოდ ვილჰელმ I-მა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის საფუძველზე 1862 წლის 23 სექტემბერს ოტო ბისმარკი შეეყვანილ იქნა პრუსიის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. ის დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და დროებით მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო ორი კვირის შემდეგ, 8 ოქტომბერს, ოფიციალურად დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე. ეს ის პიროვნება იყო, რომელზეც ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხემ, ჯერ კიდევ 1848 წელს, კაბინეტის ფორმირების დროს, განაცხადა, „უკიდურესი რეაქციონერი, სისხლის სუნი სდის, გამოიყენეთ მოგვიანებით“<sup>2</sup>, და ეს დროც დადგა. ამ დანიშვნით ვილჰელმ I-მა აშკარად გამოხატა თავისი განზრახვა გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა პროგრესისტებისათვის. ბისმარკმა, როგორც კი ხელში აიღო ხელისუფლება, მთელი ძალით ჩაება პროგრესისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. საინტერესოა ის, რომ მათ წინააღმდეგ მოქმედებას ბისმარკი თანამდებობის დაკავების პირველი დღეებიდანვე იწყებს. 30 სექტემბერს ლანდტაგის საბიუჯეტო

---

<sup>1</sup> В.Г. Ревуненков, указ. соч., с. 105.

<sup>2</sup> Отто Фон Бисмарк, указ. соч., с. 53.

კომისია განიხილავდა საკითხს იმის შესახებ, რომ ანტიკონსტიტუციურ ქმედებად გამოცხადებულიყო მთავრობის განზრახვა - დაეხარჯა თანხები იმ პროექტებზე, რომლის დაფინანსებაზე უარი განაცხადა ლანდტაგმა. ამ შემთხვევით ისარგებლა ოტო ბისმარკმა, რომ არ დათანხმებოდა, შედავებოდა ლანდტაგს იმ უფლებებზე, რომელსაც ის, კონსტიტუციიდან გამომდინარე, თავის კომპეტენციად თვლიდა. მაგალითად, ლანდტაგის უფლებას დაამტკიცოს ბიუჯეტი და მთავრობის მოვალეობა წინდაწინ, მომავალი წლის დაწყებამდე შემოიტანოს განსახილველად ახალი კანონპროექტი. სწორედ მაშინ, საბიუჯეტო კომისიაზე წარმოთქვა ბისმარკმა თავისი ცნობილი სიტყვები: „უძრავლესობის არა სიტყვებით და დადგენილებებით წყდება ეპოქის უდიდესი საკითხები, ამაში იყო 1848—1849 წლების უდიდესი შეცდომა, არამედ რკინითა და სისხლით“<sup>1</sup>.

ყოვლად შესაძლებელია ბისმარკს ეს სიტყვები დიდი აღზნების შედეგად ძალაუნებურად წამოცდა და არა რაიმე სურვილით ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ღიად გამოეხატა თავისი პროგრამა მთელი მსოფლიოს წინაშე, რაც ადრე მხოლოდ პირად წერილებსა და საიდუმლო მასალებში იყო გაცხადებული. ამ სიტყვებმა დიდი ხმაური გამოიწვია.

---

<sup>1</sup> Там же, с. 261.

საშინელი კვილი და გულისწყრომა- პროგრესისტების მხრიდან; ერთნი-აღაშფოთა, მეორენი დააფრთხო. უკმაყოფილება ვერ დამალეს ბისმარკის ახლო მეგობრებმა და მეფე ვილჰელმმაც.

ამასობაში, ეს „ბედუკულმართი“ სიტყვები, როგორც მალე გაირკვა, ნამდვილად გახდა ბისმარკის სამოქმედო პროგრამა. მთავრობის მეთაურის პოლიტიკა მომდევნო წლებში სრულად პასუხობდა მის მიერ გამოცხადებულ თეზისს. „რკინისა და სისხლის პოლიტიკა“, „რკინისა და სისხლის კანცლერი“, „რკინის კანცლერი“-ყველა ეს ეპითეტო პოლიტიკურ და ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული და ბისმარკის სახესთან სამუდამოდ ასოცირებული - სათავეს იღებს იმ „ნაუცბადევი“ სიტყვებიდან, რომელიც წარმოთქვა ახლადდანიშნულმა მინისტრმა სიტყვით თავისი პირველი ოფიციალური გამოსვლისას<sup>1</sup> და, მაინც, როგორც ვთქვით, ვილჰელმ პირველი და მისი გარემოცვა დიდი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ბისმარკის პირველ ნაბიჯებს. მეტისმეტად ხომ არ გადაუხვია? უკიდურესობაში ხომ არ გადავარდა? აი, კითხვები, რომელიც მათ ძლიერ აწუხებდათ.

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М. 1988.с.117

ბისმარკიც არ იყო მშვიდად. მას აწუხებდა ის, რომ ასეთ ვითარებაში მეფე ხომ არ შეშინდებოდა? საინტერესოა ის, რომ 4 ოქტომბერს ბისმარკი გაემგზავრა ვილჰელმ პირველთან შესახვედრად, რომელიც ბადენ-ბადენიდან ბრუნდებოდა. მთავრობის მეთაურის მიზანი ის იყო, რომ ვილჰელმი დაემშვიდებინა საბიუჯეტო კომისიაში თავის განცხადებასთან დაკავშირებით. სამეფო ვაგონის ნახევრად ჩაბნელებულ კუპეში შედგა მათი შეხვედრა. ბისმარკის გადმოცემით: მეფე აშკარად აფორიაქებული იყო, თითქმის დეპრესიაში ჩავარდნილი. „მე როგორც კი მისგან მივიღე ნებართვა, შემეხსენებინა საქმის ვითარება მისი არყოფნის პერიოდში, მან შემაწყვეტინა მოყოლა შემდეგი სიტყვებით: მე სრულად ნათლად მაქვს წარმოდგენილი, თუ რით დამთავრდება ეს ყველაფერი, იქ, ოპერის წინ, მოედანზე, ჩემი ფანჯრების ქვეშ, ჯერ თქვენ მოგკვეთენ თავს, ხოლო უფრო მოგვიანებით კი მე“.<sup>1</sup> ის როგორც კი დადუმდა, მე მას მოკლე ფრაზით ვუპასუხე: „ხოლო შემდგომ , ხელმწიფევ, დიახ, შემდგომ ჩვენ უკვე ცოცხლებში არ ვიქნებით“.<sup>2</sup> თუ ვენდობით ოტო ბისმარკის სიტყვებს, მან ამ იმედდაკარგულ მეფეს დამაფიქრებელ

---

<sup>1</sup>Отто Фон Бисмарк, Мемуары Железного канцлера, М.-С-Петербург, 2004, с.262.

<sup>2</sup> Отто Фон Бисмарк, указ. соч., с. 262.

გაფრთხილებაზე უკასუხა მაღალფარდოვანი ფრაზების მთელი კორიანტელით. ამან, რასაკვირველია, მგრძნობიარედ იმოქმედა მონარქზე, რომელიც უთუოდ გამსჭვალული გახლდათ მონრქისტული და ოფიცრის ღირსების გრძნობით.<sup>1</sup>

ბისმარკის მცდელობამ შედეგი გამოიღო. მან შეძლო მეფის დარწმუნება, რომ საჭირო იყო ბოლომდე ბრძოლა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ვილჰელმ პირველი, თავის მხრივ, დაბნეულობიდან გამოვიდა. მას ეყო ძალა ასეთ რთულ ვითარებაში დათმობაზე არ წასულიყო და თანხმობა განეცხადებინა ბრძოლის გაგრძელებაზე. აქედან გამომდინარე, ბისმარკს მიეცა საშუალება შეუფერხებლად გაეგრძელებინა არჩეული კურსი. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როდესაც ბრძოლა ლანდტაგთან კრიტიკულ ფაზაში შევიდა. ახალ მინისტრს პროგრესისტებმა თავიანთი აშკარა დაუფარავი უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს, უარი უთხრეს ასიგნებაზე.

როდესაც აშკარა გახდა, რომ დეპუტატთა პალატაზე სამხედრო რეფორმის დაფინანსების მიღწევა შეუძლებელია, ბისმარკმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ის უკან იწვევდა 1862 წლის მათში დასამტკიცებლად შემოტანილ კანონპროექტს 1863 წლის ბიუჯეტის თაობაზე. დეპუტატთა

---

<sup>1</sup> Там же. с. 262-263.

პალატა დაჟინებით მოითხოვდა დაუყონებლივ ბიუჯეტის წარდგენას, გამოაცხადა რა ანტიკონსტიტუციურად ნებისმიერი ნებადაურთველი ხარჯები. ამის საპასუხოდ ოტო ბისმარკმა 13 ოქტომბერს მეფის სახელით ლანდტაგის ორივე პალატის სხდომაზე სესია დახურულად გამოაცხადა. ამავე დროს მან თქვა, რომ მთავრობა იძულებული იქნება ბიუჯეტი აამოქმედოს დეპუტატთა პალატის თანხმობის გარეშე.<sup>1</sup> ზედა პალატამ მხარი დაუჭირა მთავრობას. ამდენად, ოტო ბისმარკმა შეძლო გადაელახა რუბიკონი. დაიწყო ე. წ. ბიუჯეტის გარეშე მმართველობა.

კონფლიქტი სამხედრო საკითხში საკონსტიტუციო კონფლიქტად გადაიქცა. ბისმარკის მიერ შედგენილმა მთავრობამ დეკემბრის დასაწყისში, კონფლიქტის მთავრობის სახელწოდებაც კი მიიღო. მართლაცდა, ოტო ბისმარკი მოქმედებდა გაბედულად, მტკიცედ და შეუპოვრად. ლანდტაგის უარის მიუხედავად, მან ფარულად გაატარა სამხედრო რეფორმა და დახარჯა დიდი სახსრები არმიის რეორგანიზაციაზე<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский, указ. соч., с. 118.

<sup>2</sup> И.С. Галкин, указ. соч., с. 96. Rudolf Augstein, Otto von Bismarck (1815-1898); Die deutschen Kanzler. Hrsg von Wilhelm von Sternburg. Berlin, 1998. s.16.

ამგვარად, კონფლიქტი ლანდტაგსა და მთავრობა-  
ბისმარკს შორის დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით.  
რადგან ოტო ბისმარკის ხელქვეით იმყოფებოდა ჯარი და  
პოლიცია და, რაც მთავარია, ის აღმოჩნდა გერმანული  
ლიბერალური ბურჟუაზიის წინაშე, რომელიც იყო უსუსური,  
უძლური, შემთანხმებლური მეტოქე. მართალია, ის ისევ  
კონფლიქტში იყო ბისმარკთან 1861-1864 წლების  
განმავლობაში. სამხედრო ბიუჯეტი მთელ ამ პერიოდში  
დაუმტკიცებელი დარჩა, თუმცა მთავრობა პარლამენტის  
გვერდის ავლით წინანდებურად ხარჯავდა სახსრებს  
სამხედრო საჭიროებებზე.

რასაკვირველია, ბურჟუაზია იმდენად უნდობლად იყო  
განწყობილი პრუსიის იუნკრული სახელმწიფოს მიმართ, რომ  
არ სწამდა, არ სჯეროდა, თვითონ ბისმარკიც თუ შეძლებდა  
სახელმწიფო აქტიური საგარეო პოლიტიკის გზაზე  
დაეყენებინა. აქედან გამომდინარე, ის უპირატესობას ამლევდა  
პროგრესისტებს, რომლებიც ფიქრობდნენ გარდაექმნათ  
პრუსიული იუნკრული სახელმწიფო ბურჟუაზიულ ყაიდაზე.  
თუმცა ბურჟუაზიამაც იცოდა, რომ ოტო ბისმარკი პირადად  
მზად იყო განეხორციელებინა ეს ნაციონალური პროგრამა.  
მიუხედავად მთელი ალიაქოთისა და ხმაურისა, რაც ატეხეს  
პროგრესისტებმა ბისმარკის ენერგიულ ბრძოლასთან  
დაკავშირებით, ბურჟუაზიის მხრიდან პოლიტიკურ

ხელისუფლებზე უფლებების მოპოვების წინააღმდეგ, ბევრი ბურჟუა-პუბლიცისტი უკვე 1862 წლის შემოდგომისათვის წინასწარმეტყველებდა, ბურჟუაზიის კარსმოდგარ შერიგებას ოტო ბისმარკთან და პროგრესისტთა ოპოზიციის გარდაუვალ დაშლას. მას შემდეგ, როგორც კი ბისმარკი რეალურად გამოავლენდა უნარს ენერგიული საგარეო პოლიტიკის წარმართვისა, მისი მთავრობის კაბინეტი შეძლებდა იმპულსი მიეცა წინმიმავალი, გაბედული მოქმედებებისათვის გერმანიის გაერთიანების საკითხში. აქედან გამომდინარე, რამდენიმე დღეში დავიწყებული იქნებოდა ყველაფერი ის, რაც მან ჯერ კიდევ დღეს ან გუშინ თქვა. მამასადამე, ბოლო მოეღებოდა არა მარტო რეაქციას, არამედ ასევე ოპოზიციას. მასების მოძრაობის საწყის ეტაპზე მოწოდებებითა და სიტყვების რახარუხით სასოწარკვეთამდე მიყვანილ ხალხში ზვაავით იქუხებდა ერის ყიჟინა, „დიქტატურა ძლიერი კაცის“<sup>1</sup>. ასეთი იყო ვითარება ოტო ბისმარკის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში და მისი მთავრობის პერსპექტივები.

როგორც აღვნიშნეთ, ამჯერად ბურჟუაზია ისევ დაპირისპირებული იყო ბისმარკის მთავრობასთან მთელი 1862-1864 წლების მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში ლანდტაგის სხდომები წარმოადგენდა პარლამენტარებსა და

---

<sup>1</sup> В.Г. Ревуненков, указ. соч., с. 110.



მინისტრებს შორის უშუალო კონფლიქტის, წინააღმდეგობებისა და დაძაბულობის ასპარეზს. განსაკუთრებით დაძაბული იყო ურთიერთობა ბისმარკთან და ფონ როონთან, რომლებიც ლანდტაგის წინაშე თავიანთი მოთხოვნების დაცვის მიზნით გამოდიოდნენ. ასეთი მწვავე ვითარების პირობებში მთავრობამ ახალ ტაქტიკას მიმართა, რაც სამხედრო რეფორმასთან დაკავშირებით დისკუსიისგან თავის არიდებაში გამოიხატებოდა. კიდევ მეტი, ბისმარკმა და მისმა მინისტრებმა ლანდტაგის სხდომებზე დასწრებაც კი არ ინდომეს, სადაც უნდა განხილულიყო ე.წ. სამხედრო კონფლიქტი. დეპუტატები იმდენად აღაშფოთა მთავრობის ამ მოქმედებამ, რომ ბოლოს მათ ოტო ბისმარკის მოსმენაც კი არ უნდოდათ და მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ გადადგომას. ამან, რასაკვირველია, მდგომარეობიდან გამოიყვანა “რკინის კანცლერი”. 1863 წლის 27 იანვარს ლანდტაგის მორიგ სესიაზე (ახალი სესია ლანდტაგში დაიწყო იანვრის შუა რიცხვებში), ის გაცოფებული მაგიდაზე მუშტების ბრახუნითა და ყვირილით პასუხობდა ლანდტაგის დეპუტატთა უმრავლესობას: „ჩვენთან ინგლისი არაა, ჩვენ მინისტრები - მისი უდიდებულესობა, მეფის მსახურები გახლავართ და არა ხალხისა. ჩვენ თქვენი მსახურები არ ვართ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Э.К. Пименова, Железный канцлер Бисмарк – творец германской империй, М., 1914, с. 26

ამდენად, შიდა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა პრუსიაში 1863 წლის ზაფხულში ძალიან გამწვავდა. დაპირისპირებამ დეპუტატთა პალატასა და მთავრობას შორის პიკს მიაღწია. ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ 1863 წლის სექტემბრის დასაწყისში მთავრობამ მეფის ბრძანებით დეპუტატთა პალატა დაითხოვა. ახალმა არჩევნებმა ოქტომბრის ბოლოს გამარჯვება ისევ პროგრესისტებს მოუტანა, რომელთაც მანდატების 2/3 მიიღეს. მთავრობას ვერ უშველა ვერც მათი მხრიდან ზეწოლამ ამომრჩევლებზე, არც ბისმარკის უშუალო მოთხოვნით მოხელეების პირდაპირმა ჩარევამ წინასაარჩევნო კამპანიაში. ძალთა გამოცდა მთავრობასა და დეპუტატთა პალატას შორის გრძელდებოდა.

ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად საგრძნობი დასაყრდენის მოპოვების მიზნით ოტო ბისმარკმა ყურადღება მიაქცია, მართალია, ახალგაზრდა, მაგრამ ახალ მზარდ პოლიტიკურ ძალას - მუშათა კლასს. ის შეეცადა ეს ძალა თავის სამსახურში ჩაეყენებინა, რომ დაემინებინა ბურჟუაზია, შეესუსტებინა ის და უზრუნველყო თავისი პოლიტიკის მხარდაჭერა მუშათა კლასის მხრიდან. ბისმარკს ასევე უნდოდა დაემტკიცებინა ამით ის, რომ მას მართლაც გააჩნია პოლიტიკური ალღო, შეიძლება გარკვეულწილად უკუღმართი, წარყვნილიც, მაგრამ მისი მიზნებისათვის აუცილებელი და მისაღები. 1863 წლის მაისში

შეიქმნა სრულიად გერმანიის მუშათა კლასის კავშირი, რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ლასალი. მისი შეხედულებები მუშათა კლასის მიზნებსა და ამოცანებზე ძირეულად შეუთავსებადი იყო მარქსისა და ენგელსის პროგრამულ საკითხებთან. მისი დაღუპვის შემდეგ (ლასალი მალე მოკლულ იქნა დუელში) კავშირის სათავეში აღმოჩნდა ვინმე შვაიცერი, რომელიც მალე მხილებულ იქნა როგორც ბისმარკის აგენტი. როგორც გაირკვა ის მთვრობის საიდუმლო ფონდიდან ღებულობდა თანხებს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ გამოსაცემად<sup>1</sup>.

1864 წლის ბიუჯეტიდან, რომლის განხილვა მიმდინარეობდა 1863 წლის ბოლო<sup>18</sup>, დეპუტატთა პალატამ ისევ ამოიღო არმიის რეორგანიზაციისათვის გათვალისწინებული ხარჯები, მაგრამ მაინც ვერ გაბედა წამოეყენებინა წინადადება მთელი ბიუჯეტის დამტკიცების წინააღმდეგ. იმავე წლის იანვარში ლანდტაგის სესია დაიხურა და მისი მუშაობა არ განახლებულა თითქმის ერთი წლის განმავლობაში.

---

<sup>1</sup> А.И. Молок, указ. соч., с. 14. Otto von Bismarck, Dokumente seines lebens(1815-1898), Hrsg von Heinz Wolter. Leipzig, 1996, s. 182.

## ბისმარკის პოლიტიკა რუსეთის მიმართ

ოტო ფონ ბისმარკი პრაგმატული გონებითა და პოლიტიკური გამჭრიახობით იმთავითვე ჩაწვდა იმ უდავო აშკარა რეალობას, რა უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის სახელმწიფო საერთაშორისო პოლიტიკაში. მან, როგორც გაწაფულმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, რომელმაც მიზნად დაისახა საკუთარი ქვეყნის ძლიერებისათვის გრანდიოზული სამომავლო გეგმები, ასევე კარგად იცოდა და განსაზღვრა, რომ პრუსია ვერასდროს შეძლებდა გერმანიის გაერთიანებას, შესაბამისად, ვერ გახდებოდა მსხვილი, დიდი, ძლიერი ევროპული სახელმწიფო, თუ ვერ მოახერხებდა რუსეთთან თბილი დამოკიდებულებისა და კეთილგანწყობის მოპოვებას.

რუსეთის იმპერიის უდიდეს როლზე საერთაშორისო არენაზე და მასთან მჭიდრო ურთიერთობის დაამყარების აუცილებლობაზე, ბისმარკს სრული წარმოდგენა შეექმნა ჯერ კიდევ გერმანიის გამთლიანების გზებზე საკუთარ შეხედულებათა ჩამოყალიბების პერიოდიდან - მაშინ, როცა მიმდინარეობდა ყირიმის ომი (1853-1856წწ), ომი ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთისა და სარდინიის კოალიციასა და

რუსეთს შორის, ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის. მოკავშირეები მისწრაფოდნენ კოალიციაში ჩაერთოთ ავსტრიაც, რადგან ამის შესაძლებლობები მაშინ ნამდვილად არსებობდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ 1849 წელს, მალე მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ 1-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ავსტრიის იმპერიას, უნგრეთის რევოლუციის ჩახშობით, იხსნა ჰაბსბურგთა მონარქია დამხობისა და იმპერია დაშლისაგან უანგაროდ, ისე, რომ ტერიტორიული კომპენსაცია არ მოუთხოვია. ავსტრიის კანცლერის, შვარცენბერგის, ცნობილი სიტყვები: იძულებული ხომ არ იქნებოდა ავსტრია რომ გამხდარიყო რუსეთის იმპერიის ვასალი, რომელიც უმადურობისა და უგულვებელყოფის გამოვლენის ყველაზე თავხედურ მაგალითს წარმოადგენდა, იყო ნათქვამი პასუხად იმ გარკვეული შიშის გამო, რასაც განიცდიდნენ ავსტრიის სამეფო კარზე. ახლა ყირიმის ომის დროს მას მიეცა საშუალება თავისი უკმაყოფილების დემონსტრირებისა. როგორც კი სამიზნედ ამოიღო დუნაისპირეთის სამთავროები (მოლდავეთი და ვალახეთი), რომლებიც მაშინ დაკავებული ჰქონდა რუსეთს, ის იმთავითვე მზად იყო მიმხრობოდა ანტირუსულ კოალიციას. ყველაფერი ეს ყოვლად „არაკეთილშობილურად“, უმსგავსოებად გამოიყურებოდა იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობით. ტყუილუბრალოდ კი არ

უკითხავს ერთხელ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ავსტრიის ელჩისათვის, თუ ვინ იყვნენ პოლონეთის ყველაზე სულელი მეფეები და, როცა შეუნიშნავს მის სახეზე გარკვეული გაოცება, უთქვამს: „სობესკი და მეო“<sup>1</sup>. ასეთ ვითარებაში, რა პოზიციას დაიკავებდა პრუსია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ოლმიუცის შეთანხმების შემდეგ პრუსია ასე თუ ისე დამშვიდდა და ყოველგვარი პოლიტიკური ავანტიურისადმი მისწრაფება დაკარგა. ის თავს დასუსტებულად და დამცირებულად გრძნობდა, მითუმეტეს, შვარცენბერგის ცნობილი სიტყვების შემდეგ, რომელმაც თქვა: პრუსია ჯერ უნდა დაამცირო, შემდეგ კი გაანადგურო“<sup>2</sup>, მაგრამ შვარცენბერგი 1852 წლის აპრილში გარდაიცვალა, ხოლო მომდევნო წელს იფეთქა ყირიმის ომმა, რომელმაც ავსტრიის ყურადღება სულ სხვა მიმართულებით წარმართა და, პირიქით, გამოიწვია ის, რომ თვითონ მას დასჭირდა პრუსიის მხარდაჭერის მოპოვება. პრუსია ახლა კმაყოფილი იყო იმით, რომ ოლმიუცის მისი ორივე მოწინააღმდეგე გაება სამხედრო

---

<sup>1</sup> იან სობესკიმ, როგორც ცნობილია, 1613 წელს ალყაშემორტყმული ვენა გაათავისუფლა თურქებისაგან, ხოლო ნიკოლოზ პირველმა იხსნა ავსტრია უნგრეთის რევოლუციისაგან 1849 წელს. ავსტრიამ ორივეს სამაგიერო გადაუხადა „ჩვეული უმადურობით.“ იხ. Ф. Ротштейн, Из истории Пруско-Германской империи, М.-Л. 1948, стр. 50.

<sup>2</sup> Ф. А. Ротштейн, Из истории Пруско-Германской империи, М.-Л. 1948. с. 59

კონფლიქტში და აღმოჩნდნენ საპირისპირო ბანაკებში. მისთვის დადგა დრო, როცა ორივე მოწინააღმდეგე იძულებული იყო ანგარიში გაეწია იმ პოზიციისათვის, რომელსაც პრუსია დაიკავებდა<sup>1</sup>.

პრუსიისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა ინგლისის მხრიდან, რომელიც ადგილობრივი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ელემენტებისა და სამეფო კარის დაჯგუფებაზე (მას პრუსიის პრინცესა მეთაურობდა) დაყრდნობით ცდილობდა, თავის მხარეზე გადაეხრებინა - მიემხრო პრუსია. ამისათვის პრუსიაში ნიადაგი მომწიფებული იყო, რადგან რუსეთისადმი გაზრახება, ოლმუცის გამო, უდიდესი გახლდათ იმ მფარველობისათვის, რაც რუსეთმა გაუწია ავსტრიას. ეს უკმაყოფილება ყველაზე მეტად სუფევდა პრუსიის ლიბერალურ-ბურჟუაზიულ წრეებში. ინგლისი კი პრუსიას კომპენსაციის სახით სთავაზობდა ბალტიისპირეთისა და პოლონეთის მიწა-წყალს<sup>2</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში ბლოკადით ემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს, პრუსია დათანხმდა ხელი მოეწერა ავსტრიასთან კონვენციაზე,

---

<sup>1</sup> Там же, с. 49.

<sup>2</sup> პოლონეთის ტერიტორიის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ავსტრიის, პრუსიის, და რუსეთის სახელმწიფოს მიერ, 1772, 1793, 1795 წწ. პოლონეთის სამეფოს დანაწილების შედეგად.

რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. მან აიღო ვალდებულება თავის აღმოსავლეთ საზღვარზე განელაგებინა იმდროისათვის არმიის საკმაოდ დიდი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, ომი ავსტრიასა და რუსეთს შორის არ ამტყდარა, რადგან რუსეთმა გამოიყვანა თავისი ჯარის ნაწილები მოლდავეთსა და ვალახეთიდან<sup>1</sup>.

საბოლოო ჯამში პრუსიამ ვერ ისარგებლა შექმნილი ვითარებით. პირიქით, უსუსური აღმოჩნდა და ისეთი უბადრუკი როლი ითამაშა, რომ ორივე ბანაკში ფასი დაკარგა. 1856 წელს, პარიზის კონგრესზე, რომელმაც დააგვირგვინა მოკავშირეთა გამარჯვება ყირიმის ომში, პრუსია ამ ფორუმზე არც კი დაუშვეს და მხოლოდ დიდი მუდარისა და ხვეწნის შემდეგ დაფიქსირდა მისი ხელმოწერა იმ მუხლის ქვეშ, რომელიც ეხებოდა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის საკითხს.

ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, საინტერესო გახლავთ ოტო ბისმარკის პოზიცია. ოლმიუცის შეთანხმებას ბისმარკი შეეძლო განეწყო რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ის მაინც არ ემხრობოდა პრუსიის საგარეო პოლიტიკის დასავლურ კურსს. პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ინგლისის გეგმებს მიმართულს რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და, საერთოდ, მის განხორციელებას პრუსიის მონაწილეობით. აქ

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, Бисмарк, Дипломатия и милитаризм, М., 1968, стр. 40.



გამოვლინდა ის, რაც ახასიათებდა ბისმარკს და გამოჩნდა მის შემდგომ მოღვაწეობაში. პრაგმატული პოლიტიკური გათვლა პრუსიის ინტერესების უსათუო გათვალისწინებით,- ისე როგორც ამას თვითონ აღიქვამდა. „ყველაზე საშიში დიპლომატისათვის,-ამბობდა ის მოგვიანებით,-ესაა იმყოფებოდე ილუზიების ტყვეობაში“<sup>1</sup>. ამაში იგულისხმებოდა ის, რომ ბისმარკი იბრძოდა მაშინ გავრცელებული იმ ილუზიების წინააღმდეგ, თითქოსდა პრუსიას გააჩნდა შესაძლებლობები მიეღწია დიდი სახელმწიფოს სტატუსამდე ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებისა და მათთან რუსეთის წინააღმდეგ შეთანხმებით.

ოტო ბისმარკი თვლიდა, რომ ტერიტორიული კომპენსაციები რუსეთის სამფლობელოების ხარჯზე, როგორი ვრცელი და მაცდუნებელიც არ უნდა ყოფილიყო, პრუსიას არ სჭირდებოდა. ის ამტკიცებდა, რომ პრუსიას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ეომა რუსეთთან და თუნდაც ძლევამოსილი ომი რუსეთის წინააღმდეგ საბოლოო ჯამში მას მიაყენებდა უდიდეს პოლიტიკურ ზიანს: ამ შემთხვევაში პრუსია თავის აღმოსავლეთ საზღვარზე მუდამ მიიღებდა ზეწოლას უზარმაზარი სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც

---

<sup>1</sup> А.С. Ерусалимский, Бисмарк как дипломат, М. 1940. с. 19-20

ყოველთვის მზად იქნებოდა რევანშისათვის<sup>1</sup>. ამავე დროს რუსეთის იმპერიაში შემავალი პოლონური ტერიტორიები დაასუსტებდნენ, პირველ რიგში, თვით პრუსიის შინაგან მდგომარეობას, კიდევ მეტი, დაემუქრებოდნენ მის ტერიტორიულ მთლიანობას. ბისმარკი აფრთხილებდა, რომ უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა არაფრად ჩაგდება სამოცმილიონიანი ველიკორუსი ხალხისა, . . . შეცდომა იქნებოდა, არ ჰქონოდათ შიში იმისა, რომ ის გახდეს ერთგული მოკავშირე პრუსიის ნებისმიერი მომავალი მტრისა<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ომამდე საქმე არ მივიდა რუსეთის სახელმწიფოსთან, ბისმარკი მაინც ვერ მალავდა აღშფოთებას იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ხელიდან იქნა გაშვებული შესაძლებლობა მილიტარისტული პრუსიის პოზიციების განმტკიცებისა ცენტრალურ ევროპაში. ავსტრიასთან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც პრუსია ვალდებული იყო გამოეყვანა რუსეთის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი არმია, ბისმარკი თვლიდა, უდიდეს პოლიტიკურ შეცდომად. ის ამბობდა, რომ შესაძლებელი იყო პრუსიას ეს არმია გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. საჭირო იყო მხოლოდ 200 ათასიანი არმიის განლაგება სილეზიაში

---

<sup>1</sup> Ото фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П, 2004, стр.108

<sup>2</sup> Там же, с. 105-106.

რუსეთისა და ავსტრიის საზღვრების პირდაპირ. ავსტრიას არ შეეძლო ამაზე პროტესტი განეცხადებია, რადგან ფორმალურად საქმე მხოლოდ პრუსიის მიერ თავისი ვალდებულების ლოიალურ შესრულებამდე იქნებოდა დაყვანილი. შემდგომ კი პრუსიას ეს არმია უნდა წარემართა არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთთან პირის შეკვრით, ავსტრიის წინააღმდეგ. ეს უნდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ ავსტრია უარს იტყოდა პრუსიის ჰეგემონობაზე ჩრდილოეთ გერმანიაში<sup>1</sup>.

თუმცა ანგარიშგასაწევი იყო ისიც, რომ ავსტრიას მხარს დაუჭერდა ინგლის-საფრანგეთის კოალიცია, რომელიც ისედაც იმუქრებოდა პრუსიის ბლოკადით. ბისმარკი თვლიდა, რომ რუსეთის სახელმწიფოსა და მის მთავრობასთან კარგი, კეთილი ურთიერთობის პირობებში ინგლის-საფრანგეთის ბლოკადა პრუსიისათვის საშიში არ იქნებოდა, რადგან ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ შავ ზღვაზე რუსეთის წინააღმდეგ ომში, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდნენ პრუსიაზე. ამდენად, რუსეთთან ერთად პრუსია შეძლებდა ბევრი რამის მიღწევას თავის სასარგებლოდ<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> Там же, с. 93-94.

<sup>2</sup> А.С. Ерусалимский. указ. соч., с. 41.

ოტო ბისმარკის გეგმა ნათლად მოწმობს იმას, რომ მისი ავტორი უდავოდ დაჯილდოებული იყო მტკიცე ხასიათითა და გამოირჩეოდა გონების უბადლო გამჭრიახობით. მიუხედავად ამისა, ეს გეგმა უარყოფილ იქნა, რადგან დიდი იყო ავსტრიისა და დასავლეთი სახელმწიფოების წინაშე შიში. მოგვიანებით, ხელისუფლებაში, ალბათ გადაწყვიტეს, უფრო ღრმად გაცნობოდნენ ბისმარკის საგარეო პოლიტიკურ პროგრამას. ამ პროგრამის დედააზრი, როგორც ჩანს, მოკლედ შემდეგში მდგომარეობდა: გადამწყვეტი, შეუპოვარი ბრძოლა ჰაბსბურგთა ავსტრიის წინააღმდეგ, ურთიერთობის განმტკიცება მეფის რუსეთთან. ბისმარკის მიერ მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილმა ამ პროგრამამ იმ დროს ვერ ჰპოვა მხარდაჭერა. მაგრამ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ძველმა მილიტარისტულმა პოლიტიკამ და დიპლომატიამ, რომელმაც კლასიკური ხორცშესხმა ჯერ კიდევ ფრიდრიხ მეორის დროს პოვა, განაახლა თავისი საქმიანობა და დაადგა ახალი დიდი ამოცანების განხორციელების გზას, რომელიც ჯერ პრუსიაში, ხოლო შემდეგ მთელი გერმანიის მასშტაბით, კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და განვითარების ეპოქის მიერ იყო ნაკარნახევი.<sup>1</sup>

ოტო ბისმარკის პირველი და უდიდესი მიზანი მიღწეულ იქნა, როგორც კი გაეცნო მოვლენათა რეალობას

---

<sup>1</sup> Там же. с. 47.

პრუსიაში. მან თავის „ღრმად პატივცემულ მეგობარს“ ა. მ. გორჩაკოვს გაანდო უახლოესი სამომავლო მიზნები: თვლიდა რა, რომ „დოქტრინიორებს და მოლაყბებს“, რომლებიც სხედან წარმომადგენელთა პალატაში, „არ ძალუძთ პრუსიის მართვა“, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება არმიისა და ბიუროკრატიული აპარატის „დისციპლინირებულ მოხელეებზე“ დაყრდნობით, უპირველეს ყოვლისა, დარტყმა მიეყენებინა „ამ კრაზანის ბუდისთვის“. ის აშკარად მილტვოდა იმისკენ, რომ პრუსიის მართვის სადავეები ყოფილიყო არა „საპარლამენტო მთავრობის ხელში“, არამედ თავად დაპატრონებოდა მას. შეძლებდა კი ის ამ ხელისუფლების შენარჩუნებას? ამაზე ბისმარკი ასე წერდა ა. მ. გორჩაკოვს: „მხოლოდ ერთადერთმა უფალმა უწყის“, -მაგრამ „ვინ იცის“, როგორც ამას ამბობენ თქვენთან რუსეთში“<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, ბისმარკი აქედან მოყოლებული ხანგრძლივი დროის მანძილზე უცვლელად ედგა სათავეში პრუსიის, შემდეგ კი მთელი გერმანიის პოლიტიკურ მართვა-გამგეობას.

აქედან გამომდინარე, ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს ბისმარკის უშუალო პოლიტიკა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. გააცნობიერა რა რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობა, მან გადაწყვიტა,

---

<sup>1</sup> «Красный архив», 1933, т.6, стр.12-13. Бисмарк Горчакову, 19 ноября 1862г. См. А.С. Ерусалимский, указ. соч., с. 47.

ამისათვის დაეხელოებიან ხელსაყრელი შემთხვევა. დაიწყო კიდევ ჩანაფიქრის განსახორციელებლად გზების ძიება. რასაკვირველია, არავითარ პასიურ დალოდებას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მოქმედება მიზნის განსახორციელებლად აქტიურ ფაზაში გადავიდა. საჭირო იყო ახლო წარსულში ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის ახლა უკვე შემობრუნება და აღდგენა- ანაზღაურება.

გერმანიის ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ნაწილში უკიდურესად არაპოპულარული გახლდათ რუსეთთან დაახლოება. ბურჟუაზია ამაში ხედავდა იმ პოლიტიკისაგან განდგომას (უარყოფას), რომელსაც კარნახობდნენ „ დასავლეთელი „ლიბერალური“ სახელმწიფოები. ასევე, მათი შეჭედულებით, ეს იქნებოდა გერმანულენოვანი ავსტრიის ინტერესების შელახვა, რაც გერმანელი ბურჟუაზიისათვის სრულიად მიუღებელი იყო. მიუხედავად ამისა, ოტო ბისმარკი, რომელიც მზად იყო დაეკმაყოფილებინა ბურჟუაზიის მოთხოვნები, ამას ცდილობდა თავისებურად, იუნკრულად, წინააღმდეგ მათი ნებისა. ასევე რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში ნაკლებად უწევდა ანგარიშს ბურჟუაზიის დასავლურ განწყობილებას<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк как дипломат, М., 1940, стр. 23

პრუსიისა და რუსეთის დაახლოების საფუძვლად ბისმარკმა წამოაყენა ორივე სახელმწიფოს დინასტიური ინტერესების ერთიანობის იდეა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული პოლონეთის ტერიტორიაზე, როდესაც იფეთქა დიდი ხნის წინ მომწიფებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ 1863 წელს და ინგლის - საფრანგეთის პრესის მხარდაჭერით გამოცხადდა დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენის ლოზუნგი, საზღვრებში ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე... ბისმარკმა იმთავითვე გააცნობიერა, რომ ის ახლოს იყო თავის მიზანთან.

პოლონეთის მოვლენებმა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ყურადღება უმაღლვე მიიქცია. სანამდე მეფის რუსეთის მთავრობა მანევრირებდა და ძალას იკრებდა აჯანყებულებზე დასარტყმელად, პრუსიის მთავრობამ სწრაფი და ენერგიული მოქმედება გადაწყვიტა. მას არ გამოჰარვია საერთაშორისო მოვლენების განვითარება და ელოდა, პრუსიისათვის რაიმე სარგებლის დადგომას ახლო მომავალში. ამისთვის თავად ბევრს იღვწოდა. პირველი ნაბიჯი, რომელიც ბისმარკმა ამ მიმართულებით გადადგა იყო რუსეთის მთავრობისათვის წინადადების შეთავაზება სამხედრო კონვენციის დადებაზე. კონვენცია ითვალისწინებდა რუსული და პრუსიული ჯარების ერთობლივი მოქმედებით პოლონეთის აჯანყების ჩაქრობას.

1863 წლის თებერვლის დააწყისში ბისმარკმა პეტერბურგში გაგზავნა გენერალი გუსტავ ფონ ალვენსლენი, რმელსაც ევალეობოდა რუსეთ-პრუსიის კონვენციის ხელმოწერა. გორჩაკოვი და ზოგიერთი სხვა მოხელე კონვენციას არა მარტო უსარგებლოდ, არამედ სახიფათოდც კი მიიჩნევდნენ, რამდენადაც ის აფერხებდა რუსეთის საქმიანობას საერთაშორისო არენაზე. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორი და მისი ახლო გარემოცვა იმთავითვე ჩაეჭიდა პრუსიის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას. ისინი ამაში ხედავდნენ ძლიერ იარაღს, რომელიც მიმართული იქნებოდა არა მარტო პოლონეთის აჯანყების წინააღმდეგ, არამედ მისი გამოყენება სურდათ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ყირიმის კოალიციის რენანიმაციის საფრთხის აღსაკვეთად<sup>1</sup>. ბისმარკმა ასე დაახასიათა კონვენციის მიერ დასახული ამოცანა: „რუსეთი და პრუსია ისე სოლიდარულად გამოდიან საერთო საფრთხის წინააღმდეგ, თითქოსდა ისინი წარმოადგენენ ერთ ქვეყანას“<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, ვითარება

---

<sup>1</sup> Л.И. Нарочницкая, Россия и войны Пруссии в 60-х годах XIXв. За объединение Германии сверху. М., 1960, стр.16-17, 23. А.С. Ерусалимский, Бисмарк: дипломатия и милитаризм. с. 56.

<sup>2</sup> «Красный архив», 1933, т.6, стр.13. Бисмарк Горчакову, 19 ноября 1863г. См. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризи, М.. с. 57.



საერთაშორისო არენაზე სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. რუსეთის მეფესთან სოლიდარობის ამ აქტმა დიდი აღზოგოება გამოიწვია პრუსიისა და გერმანიის ლიბერალურ და დემოკრატიულ წრეებში, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებში. ინგლისმა და საფრანგეთმა და მათი გავლენით ავსტრიამაც, დიპლომატიური დემარში წამოიწყო პეტერბურგის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა, არა იმდენად პოლონელების ინტერესების დაცვას, რამდენადაც რუსეთის პოზიციების შერყევას. რუსეთის მეფის დიპლომატიის თვალწინ გაიელვა ყირიმის კოალიციის აჩრდილმა. ასეთ ვითარებაში პრუსიასა და რუსეთს შორის დადებული კონვენცია წარმოადგენდა იმის დემონსტრაციას, რომ პრუსია ამჯერად არ მიჰყვებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ერთობლივ პოლიტიკურ კურსს, რომ ის ეწეოდა დამოუკიდებელ პოლიტიკას და დგებოდა რუსეთის გვერდით.

რასაკვირველია, საერთაშორისო სარბიელზე თავისი პირველი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის დაფიქსირებით, პრუსიის მთავრობა ნათლად გამოხატვდა, რომ ის იღვწოდა საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. მოგვიანებით თავის პოლიტიკურ ანდერძში ოტო ბისმარკი აღნიშნავდა: ნებისმიერი მთავრობა თავისი პოლიტიკით უნდა გამოდიოდეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან, თუმცა უნდა შეეძლოს მათი შენიღბვა

სხადასხვა სახის სენტიმენტალური მოსაზრებებითა და არგუმენტებით. ბისმარკი იმიტომ წავიდა რუსეთის მთავრობასთან კონვენციის ხელმოწერაზე, რომ ემინოდა აჯანყებისა სილეზიასა და პოზნანში. ემინოდა, რომ დამოუკიდებელი სილეზია დაასუსტებდა პრუსიის სახელმწიფოს. რუსეთთან კონვენციაზე ხელის მოწერის მიზანი ისიც იყო, ეჩვენებინა ავსტრიისათვის, რომ პრუსია ყოველთვის როდი იქნებოდა ავსტრიის კუდს უკან მხოხავი მაჩანჩალა<sup>1</sup>.

შემდგომში, მრავალი წლის შემდეგ, ოტო ბისმარკმა გაამჟღავნა კიდევ ერთი საიდუმლო მიზანი, რისთვისაც ის რუსეთთან ფარული ხელშეკრულების დადებისას იღვწოდა: კონვენციამ საბოლოოდ ჩამალა რუსეთ-საფრანგეთს შორის მოსალოდნელი შეთანხმება<sup>2</sup>, მიუხედავად იმისა, რომ საქმე კონვენციის შესრულებამდე არ მივიდა, ინგლისმა მაინც განაცხადა, რომ ის არ შეეგუებოდა პრუსიის მიერ დაკავებულ პოზიციას, თუ არ მოახდენდა კონვენციის დენონსირებას. შესაბამისად, ნაპოლეონ მესამის მხრიდან ზემოქმედება კიდევ უფრო ენერგიული იყო. ბისმარკი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ დაძაბულობა მას შემდეგ განიმუხტა, როცა

---

<sup>1</sup> Ото фон Бисмарк, указ. соч., с. 282, 288- 289.

<sup>2</sup> Там-же, с. 282, 285.

რუსეთის მთავრობამ პრუსიის სამხედრო ძალების დახმარების გარეშე შეძლო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობა და თავად გამოაცხადა კონვენცია ანულირებულად. ბისმარკმა შვებით ამოისუნთქა. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოსვლები შეჩერდა. ისინი გარკვეული ხმაურისა და აურზაურის შემდეგ გაჩუმდნენ, როგორც კი გორჩაკოვმა მათ საკადრისი პასუხი გასცა. ამან ბისმარკს საშუალება მისცა წარმდგარიყო რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, როგორც მისი ერთადერთი მეგობარი, რომელსაც შეეძლო გვერდში დადგომოდა და მართლაც დადგა მეხამრიდად რუსეთსა და მის მტრებს შორის. ამის შემდეგ კეთილგანწყობა და დანდობა პრუსიისადმი რუსეთის სამეფო ჯარისა, თითქმის უსაზღვრო გახდა. ოტო ბისმარკის მისწრაფებას დაახლოებოდა რუსეთის მთავრობას, შორს მიმავალი მიზნები გააჩნდა. ჯერ ერთი, რუსეთთან მჭიდრო კავშირი მას სჭირდებოდა ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად, პრუსიის დანიასთან ომის დროს ჰოლშტაინისა და შლეზვიგის საჰერცოგოების შემოსაერთებლად. ასევე 1864-1866 წლებში ბისმარკი რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა არა მარტო პოლონეთში მიმდინარე მოვლენების საწინააღმდეგოდ, არამედ რუსეთის მხარდაჭერით, ავსტრიასთან მომავალი ომის დროს, გერმანიაში ჰეგემონიისათვის<sup>1</sup>. ყველაზე ძნელი ჩანდა

---

<sup>1</sup> Л.И. Нарочницкая, указ. соч., с. 17.

საფრანგეთთან ნეიტრალიტეტის მიღწევა, მაგრამ, როგორც შემდგომში აღმოჩნდება, ბისმარკის დიპლომატიამ ესეც მოახერხა, იქიდან გამომდინარე, რომ მაშინ ამის მისაღწევად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, რადგან მაშინ საფრანგეთი რთულ საგარეო ვითარებაში იმყოფებოდა. მართალია, საფრანგეთის მთავრობას სურდა, შლეზვიგ-ჰოლშტაინის პრობლემიდან მისთვის სასურველი სარგებლის მიღება, მაგრამ იმის გამო, რომ დაკავებული იყო სამხედრო ექსპედიციით მექსიკაში, ნაპოლეონ მესამე იძულებული შეიქმნა დალოდებოდა შემდგომ მოვლენების განვითარებას იმ სასურველი იმედით, რომ რუსეთი და ინგლისი პრუსიას დაეჯახებოდნენ. პრუსიის დასუსტება კი საფრანგეთს მისცემდა საშუალებას რაინის გარკვეული ტერიტორია ჩაეგდო ხელში<sup>1</sup>. ამის განხორციელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ინგლისის მმართველ წრეებში არ იყო ერთიანი პოზიცია საგარეო საკითხებში. პრინციპში მათ სურდათ სტატუს-კვოს შენარჩუნება ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვაზე და განსაკუთრებით შიშობდნენ, რომ არ მომხდარიყო დანიის მონარქიის სრული დაშლა. გამომდინარე იქიდან, რომ შლეზვიგ-ჰოლშტაინის საქმე სულ უფრო მწვავედებოდა, ინგლისში გაძლიერდა იმაზე შიში, რომ ამ მოვლენებში არ ჩარეულიყო საფრანგეთი, რაინზე და ბელგიაში

---

<sup>1</sup> Там-же, с. 41-42

ტერიტორიების მიტაცებისა და პრუსიასთან დაახლოების მიზნით<sup>1</sup>.

ამ პირობებში ავსტრია, რომელსაც ემინოდა არ დაეკარგა თავისი პოზიციები გერმანულ სახემწიფოებს შორის, იძულებული იყო, თავის მეტოქე პრუსიასთან ერთად, გამოსულიყო დანიის წინააღმდეგ. პრუსიისა და ავსტრიის დანიასთან ომის დროს, ნეიტრალიტეტის პოზიციის დაკავებამ კიდევ უფრო დაარწმუნა ბისმარკი იმ ჭეშმარიტებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო პრუსიისათვის რუსეთთან ნეიტრალიტეტის მიღწევა, მისი ავსტრიის წინააღმდეგ ომის დროს გერმანიაში ჰეგემონიისათვის<sup>2</sup>. რასაკვირველია, ბისმარკი მოქმედებდა იქიდან გამომდინარე, რომ დიპლომატიური მხრიდანაც უზრუნველყო გენერალური შტაბის სტრატეგიული გეგმები, რომელიც გამალებული ემზადებოდა ავსტრიის წინააღმდეგ ომისათვის. პრუსიის მმართველ წრეებში უდიდეს შემფოთებას იწვევდა საფრანგეთის პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტმა ნაპოლეონ მესამეს აღუთქვა გარკვეული ტერიტორიული კომპენსაციები საფრანგეთის ნეიტრალიტეტისათვის. მან შესთავაზა ნაპოლეონ მესამეს

---

<sup>1</sup> Там же, с.17.

<sup>2</sup> Там же, с. 74.

რაინის ბავარიისა და რაინის ჰესენის მიწები. ასევე, მოლაპარაკება შეეხებოდა ბელგიასა და ლუქსემბურგს<sup>1</sup>. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო დარწმუნებული საფრანგეთის იმპერატორი ამ დაპირების სიწრფელეში, როგორც ჩანს, - არა. ნაპოლეონი და ბისმარკი იმედოვნებდნენ ერთმანეთის ეშმაკური ხერხებით გაცურებასა და მოტყუებას. საფრანგეთის მთავრობა სათანადოდ ვერ აფასებდა პრუსიის არმიის სიძლიერეს. ნაპოლეონ მესამე თვლიდა, რომ ავსტრიის არმია უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პრუსიის<sup>2</sup>.

რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტი წინასწარვე იყო შეთანხმებული და ისიც ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. რადგან ოტო ბისმარკმა იცოდა, რომ რუსეთის მთავრობას, რომელსაც გააჩნდა ძველი ანგარიშები და ჰქონდა ძველი პოლიტიკური დავა ავსტრიასთან, არ დაძრავდა არმიას მის დასაცავად. რაც შეეხება ინგლისს, მისი ურთიერთობის გამწვავება საფრანგეთთან, ერთი მხრივ, და აშშ-თან, მეორე მხრივ, ისევ აიძულებდა მას თავი შეეკავებინა იმ პერიოდში ევროპულ პოლიტიკაში მონაწილეობისაგან.

ამგვარად, იმ დროისათვის შექმნილი ვითარება საერთაშორისო არენაზე ხელს აძლევდა ბისმარკს გადასულიყო

---

<sup>1</sup>Там же, с. 88. А.С. Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Милитаризм, с. 63.

<sup>2</sup> Л.И. Нерочницкая, указ. соч., с. 88.

სამხედრო მოქმედებებზე. პრუსიის მინისტრები და გენერლები იმედოვნებდნენ მოულოდნელი და სწრაფი სამხედრო ოპერაციით დაემთავრებინათ ავსტრიასთან ომი, რაც მათ 1866 წელს წარმატებით შეასრულეს.

რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკავებულმა პოზიციამ პრუსია-ავსტრიის ომის დროს მნიშვნელოვნად განაპირობა პრუსიის სამხედრო გამარჯვება ავსტრიაზე, რაც ასევე წარმოადგენდა ერთ-ერთ არსებით ფაქტორს, რომელმაც განსაზღვრა ბისმარკის მიერ გერმანიის გაერთიანების ამ ნაციონალური პროგრამის მეორე ეტაპის წარმატებით დაგვირგვინება ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე. აღსანიშნავია, რომ პრუსიის წარმატება განაპირობა და არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, საფრანგეთისა და ინგლისის ნეიტრალიტეტსაც.

პრუსია-ავსტრიის ომის დროს რუსეთის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ბისმარკი მნიშვნელოვნად აფასებდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთის პოზიცია მისთვის ხელსაყრელი იყო. ამის გამო შემდგომ გამალებით ცდილობდა მასთან დაახლოებას. რუსეთის იმპერიასთან თბილი ურთიერთობა საჭიროდ მიაჩნდა, იქიდან გამომდინარე, რომ გერმანიის გაერთიანების მესამე დასკვნით ეტაპზე, საფრანგეთის წინააღმდეგ ომში, რომელსაც არ უნდოდა დაეშვა თავის აღმოსავლეთ საზღვართან ძლიერი

გაერთიანებული გერმანიის შექმნა, პრუსიას სჭირდებოდა ისევ ნეიტრალური პოზიცია რუსეთის მხრიდან. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის პოზიციას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პრუსიას საშიშროება არ დამუქრებოდა აღმოსავლეთი საზღვრიდან. ამ შემთხვევაშიც, როგორც პოლონეთის მოვლენების დროს, ის ცდილობდა დაყრდნობოდა რუსეთის ხელისუფლების იმ წრეებს, რომლებიც აუცილებლობად მიიჩნევდნენ პრუსიასთან კავშირს.

ავსტრიის დამარცხების შემდეგ ნაპოლეონ მესამე პრუსიისაგან ელოდებოდა ტერიტორიული კომპენსაციების მიღებას, მაგრამ ბისმარკი არ ჩქარობდა. დროის გაწელვის მიზნით, მან განაახლა დიპლომატიური ვაჭრობა საფრანგეთის იმპერატორთან, რომელიც ასევე, დროის მოგების მიზნით საფრანგეთის არმიის გასაძლიერებლად, იძულებული გახდა მოლაპარაკებები დაეწყო ბისმარკთან.

ამდენად, ორივე მხრიდან გარკვეული მზადების შემდეგ ომი გარდაუვალი აღმოჩნდა. პრუსიის არმიამ გენერალ მოლტკეს სარდლობით მოულოდნელად და სწრაფად გაანადგურა ბონაპარტისტული საფრანგეთის არმია. ნაპოლეონ მესამე, თავის მხრივ, ემზადებოდა პრუსიასთან ომისათვის, რადგან მასში ხედავდა საფრანგეთის გაკოტრებული



პოლიტიკური რეჟიმის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას. მიუხედავად ამისა, ის სასტიკად დამარცხდა.

საფრანგეთის განადგურებამ სრულიად ახალი სიტუაცია შექმნა ევროპის პოლიტიკაში. ყირიმის კოალიციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე მწყობრიდან გამოვიდა. სისტემას, რომელზეც იყო დამყარებული 1856 წლის პარიზის ტრაქტატის პირობები, ბზარი გაუჩნდა. რუსეთის დიპლომატიამ იმთავითვე გააცნობიერა, რომ დადგა დრო, გაუქმებულიყო ყველაზე დამამცირებელი მუხლები პარიზის ზავისა, საკუთრივ ის მუხლები, რომლის მიხედვით, რუსეთს არ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი შავ ზღვაზე. ა. მ. გორჩაკოვმა გადასცა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს ცირკულარი იმის თაობაზე, რომ რუსეთს არ შეუძლია ამდენი ხნის განმავლობაში მოკლებული იყოს უფლებას დაიცვას თავისი შავი ზღვისპირა საზღვრები<sup>1</sup>. ამ აქტმა ინგლისში განგაში გამოიწვია. ინგლისის პრესა აღმფოთებული მოითხოვდა ახსნა-განმარტებებს. ინგლისის მთავრობამ ამ ახსნა-განმარტებებისათვის გაგზავნა ლორდ ოდო როსსელი, მაგრამ არა პეტერბურგში, არამედ ბერლინში ოტო ბისმარკთან. ლონდონში ეს საქმე ასე გაიგეს, რუსული აქტი შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების შესახებ, ეს იყო ბისმარკის მიერ „გაწეული სამსახური“ რუსეთისადმი მისი ნეიტრალიტეტის

<sup>1</sup> А. С. Ерусалимский Бисмарк: дипломатия и милитаризм, с. 78.

პოლიტიკის გამო. ბისმარკმა განაცხადა, რომ მისთვის „არაფერი არაა ცნობილი“<sup>1</sup>. ერთადერთი ის, რაც მან შესთავაზა ინგლისელებს რეკომენდაციის სახით, ეს იყო ევროპული კონფერენციის მოწვევა. გლადსტონის ინგლისის მთავრობას მხოლოდ ისლა დარჩენოდა მიეღო ეს წინადადება. არადა, რეალურად ინგლისის მთავრობა რუსეთის არმიას ვერაფერს დაუპირისპირებდა. საფრანგეთის არმია განადგურებული იყო, პრუსიის არმია პარიზის მისადგომებთან იდგა და არავითარი სურვილი ან საფუძველი არ გააჩნდა გეზი აეღო პეტერბურგისაკენ შავ ზღვაზე ინგლისის ინტერესების დასაცავად. ინგლისმა თავისი გაღიზიანება იმით დაიკმაყოფილა, რომ ლონდონის კონფერენციაზე 1871 წელს რუსეთის წარმომადგენელს ბრუინოვს ნოტაცია წაუკითხა ხელშეკრულებათა დაცულობასა და მათ დაურღვევლობაზე. ამაზე მეტის გაკეთება მას არაფრით არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, „ბრუინოვზე ინგლისელების ნოტაციას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, თუნდაც იმიტომ, რომ ის ბებერი იყო და არაფერი ესმოდა“<sup>2</sup>.

თავის მემუარებში ოტო ბისმარკი ხაზს უსვამს მის დამოკიდებულებას რუსეთის დიპლომატიის აქტისადმი, რამაც

---

<sup>1</sup> Там же, с. 78.

<sup>2</sup> А.С. Ерусалимский Бисмарк, как дипломат, с. 27.

შესაძლებლობა მისცა რუსეთს დაებრუნებინა საკუთარი უფლებები, დაეცვა თავისი შავიზღვისპირა საზღვრები. ბისმარკი თავის თავს მიაწერს ინიციატივას ამ აქტთან დაკავშირებით. „წარმოდგენელია ასმილიონიან ხალხს ხანგრძლივი დროის განმავლობაში,- წერს ის, ხელი შეუშალო სუვერენული სახელმწიფოს კუთვნილ ზღვისპირეთზე საკუთარი უფლებების განხორციელებაში. ასეთი სახის ხანგრძლივი სერვიტუტი<sup>1</sup>, როგორც მიეცათ უცხო ქვეყნებს რუსეთის ტერიტორიაზე, ამ დიდი სახელმწიფოს დამცირებას უტოლდებოდა. ჩვენთვის კი, ასკვნის ბისმარკი, წარმოადგენდა კარგ საბაბს რუსეთთან ურთიერთობის განვითარებისათვის“<sup>2</sup>. უდავოა, გერმანიის იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდში, ოტო ბისმარკი გამალებით ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებას. ხოლო შიში, რომელმაც ის შეიპყრო პარიზის კომუნასთან დაკავშირებით, გახდა ის დამატებითი სტიმული იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაემყარებინა დინასტიური და პოლიტიკური კავშირები რუსეთის სახელმწიფოსთან.

---

<sup>1</sup> სერვიტუტი - ერთი ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტის შეზღუდვა სხვა ქვეყნის ან ქვეყნების სასარგებლოდ.

<sup>2</sup> Otto von Bismarck, указ. соч., с. 440-441.

აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია ოტო ბისმარკის დამაფიქრებელი შენიშვნა რუსეთის ძლიერების თაობაზე. „რუსეთი ყოველთვის იმაზე ძლიერი ან უფრო სუსტი გვეჩვენება, ვიდრე ის არის სინამდვილეში“<sup>1</sup>, რადგან საერთოდ მოწინააღმდეგის ძლიერება, ისევე როგორც საკუთარი ძლიერება შეიძლება, სათანადოდ ვერ შეაფასო, ან გადაჭარბებულად შეაფასო. რამდენადაც პოლიტიკოსები გადაწყვეტილებებს იღებენ საკუთარ და სხვათა ( დაზვერვა, სამხედროები და სხვ.) მონაცემებზე, უფრო სწორად, მათ აღქმაზე დაყრდნობით. საერთოდ, აღქმაზე აგებულ მონაცემებს ზოგჯერ შეცდომები მოჰყვებათ და იქმნება რთული და მწვავე პრობლემები. ოტო ბისმარკის მემკვიდრეებმა გერმანიის პოლიტიკური განვითარების მეტად რთული, ტრაგიზმითა და დრამატიზმით აღსავსე, მაგრამ ამავე დროს საინტერესო შთაბეჭდავი ისტორიული მოვლენებით გაჯერებულ გზაზე არ გაითვალისწინეს, უფრო სწორად, არ გაიზიარეს მისი ანდერძი, რომ არ შეიძლებოდა ორ ფრონტზე ომი, მითუმეტეს, რუსეთის წინააღმდეგ.

---

<sup>1</sup> ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები. თბ., 2006, გვ. 78.

## ბისმარკი ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს

### შემოქმედი

XIX საუკუნის გერმანიაში 50-60-იან წლებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა სამრეწველო გადატრიალება. ამ პერიოდში მსხვილმა საფაბრიკო წარმოებამ სულ უფრო წამყვანი პოზიციები დაიკავა გერმანული მრეწველობის ყველა დარგში. მართალია, მან ვერ შეძლო ძველი მანუფაქტურული წარმოების მთლიანად გამოდევნა ქვეყნის სამრეწველო სივრციდან, მაგრამ მისი როლი წლიდან წლამდე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. პრუსიაში ორთქლის მანქანათა სიმძლავრე 1845-1858 წწ. გაიზარდა 5-ჯერ და მეტად. ამავე პერიოდში მთელი გერმანიის მასშტაბით გაიზარდა მექანიკური საქსოვი დაზგების რიცხვი. სწრაფად განვითარდა ქვანახშირის მოპოვება, იზრდებოდა თუჯის წარმოება და ფოლადის გამოდნობა. ფართო გასაქანი მიეცა სარკინიგზო მშენებლობას. 1867 წლისათვის სარკინიგზო ქსელის სიგრძემ მიაღწია 15, 7 ათას კილომეტრს, მაშინ როდესაც 1847 წლისათვის ის შეადგენდა 4, 3 ათას კილომეტრს. შესამჩნევი

იყო აგრეთვე ბანკებისა და სააქციო საზოგადოებათა რიცხვის ზრდა. ბავარიაში 1848-1858 წლებში დაფუძნებული იყო 44 სააქციო კომპანია, 144 მილიონი მარკის კაპიტალით. პრუსიაში მხოლოდ 4 წლის - 1853-1857 წლების განმავლობაში ახალი ბანკების სააქციო კაპიტალმა მიაღწია 600 მლნ მარკას. 60-იან წლებში გერმანიაში ირიცხებოდა ერთ მილიონზე მეტი ინდუსტრიული მუშა<sup>1</sup>.

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში გერმანიაში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იყო სოფლის მეურნეობაში მსხვილი სამიწათმფლობელო მეურნეობის განვითარებისათვის. ვითარდებოდა იგი თითქმის ყველგან, მთელი გერმანიის მასშტაბით. მსხვილი სათავადაზნაურო მიწათმფლობელობა - რეაქციონერ პრუსიელთა დასაყრდენი, კიდევ უფრო გაძლიერდა 50-იანი წლების ეკონომიკური კონიუქტურების წყალობით (მაღალი ფასები პურზე, დიდი შემოსავალი კარტოფილის ვრცელი ნათესებიდან). მემამულური მეურნობის კიდევ უფრო განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკური მიღწევების დანერგვა, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა მსხვილი მემამულეების - იუნკრების ეკონომიკური პოზიციები. მემამულური ლატიფუნდიის შემდგომი

---

<sup>1</sup> Всемирная История, т. VI, под редакцией А. С. Смирнова и др. М. 1959. с. 537.

ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1850 წლის 2 მარტს პრუსიაში მიღებულ ახალ კანონს, გამოსყიდვისა და მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის რეგულირების შესახებ, რომელიც უსასყიდლოდ აუქმებდა უმნიშვნელო წვრილ ფეოდალურ გადასახადებს, ადგენდა ძირითადი ფეოდალური გადასახადებისა და გლეხთა ბეგარის გამოსასყიდ მეტისმეტად მაღალ ფასებს. გამოსასყიდი ოპერაციების შედეგად დაიწყო გლეხთა სოციალური დიფერენციაცია. გლეხებს გამოეყოფიან სოფლის ღარიბობა, საშუალო და მდიდარი ფენა, ე. წ. „გროსბაუერები“ (კულაკები)<sup>1</sup>. სოფლად მსხვილ მეურნეობებში ფართოდ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა.

მსხვილი ფულადი სახსრების შექმნის შედეგად, რომელიც მემამულეებმა გლეხებისაგან მიიღეს, შეძლეს სწრაფად გარდაექმნათ მემამულური მეურნეობები კაპიტალისტურ მეურნეობებად. პრუსიელი იუნკრები მემამულეებიდან კაპიტალისტურ მეწარმეებად გადაიქცნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარება გერმანიის სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობდა ნელი ტემპით, მაგრამ მწვავედ,

---

<sup>1</sup> А. И. Молок, Воссоединение Италии и Германии в самостоятельные государства, М. 1952, с. 10.

პრუსიული გზით<sup>1</sup>, ე. ი. მემამულური მიწათმფლობელობისა და გლეხთა ექსპლუატაციის ნახევრად ფეოდალური მეთოდების შენარჩუნების პირობებში.

ამავდროულად სულ უფრო იზრდებოდა სავაჭრო ბრუნვა, ვითარდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა, რომელსაც ხელს უწყობდა 1834 წელს პრუსიის მიერ გატარებული შემდეგი პოლიტიკა. ამ წელს პრუსის ეგიდით ჩამოყალიბებულ იქნა ე. წ. „საბაჟო კავშირი“, რომელშიც გაერთიანებული იყო როგორც პრუსია და ბავარია, ასევე კიდევ თექვსმეტი სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრია არ იყო მათ შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, ის ყოელგვარ საშუალებას იყენებდა, რომ გამხდარყო ამ კავშირის წევრი, რომ შემდგომში მას ჩამოეშორებინა „საბაჟო კავშირისგან“ სამხრეთ გერმანული სახელმწიფოები. ავსტრიის ყველა ასეთ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, პრუსიამ ამ მცდელობების შედეგად მნიშვნელოვნად შეამცირა საბაჟო კავშირის სატარიფო განაკვეთები და ამით გაამარტივა ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვისპირა გერმანული სახელმწიფოების: ჰანოვერის, ოლდენბურგის, მეკლენბურგის და ჰანზის სამი ქალაქის-ჰამბურგის, ბრემენის და ლუბეკის შესვლა ამ კავშირში. ამის კვალდაკვალ, 1854 წელს, პრუსიასთან

---

<sup>1</sup> С. Б. Кан, Объединение Германий (1864-1871) М. 1957, с. 8.



თავიანთი ხელშეკრულებები განაახლეს დანარჩენმა გერმანულმა სახელმწიფოებმა, მათ შორის სამხრეთ გერმანიის ქვეყნებმა, რამაც არა მხოლოდ განამტკიცა მათი კავშირი პრუსიასთან, არამედ, საკუთრივ, „საბაჟო კავშირის“ ტერიტორიაც მნიშვნელოვნად გააფართოვა<sup>1</sup>.

1857 წელს სავაჭრო ოპერაციების გამარტივების მიზნით გერმანიაში შემოიღეს ერთიანი ეგრეთ წოდებული, „საკავშირო ტალერი“, რომელმაც გააუქმა მანამდე არსებული ყველა საკავშირო წესდება და გააერთიანა ჩრდილოეთი და სამხრეთი სახელმწიფოების სამონეტო სისტემები.<sup>2</sup> ამას კი, თავის მხრივ, უნდა მოჰყოლოდა მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები: “რაც უფრო ფართოვდებოდა „საბაჟო კავშირი“ ამ სახელმწიფოთა დაწინაურებული ბურჟუაზია უკვე პრუსიას შეჰყურებდა, როგორც თავის ეკონომიკურ, ხოლო მომავალში თავის პოლიტიკურ დასაყრდენს”<sup>3</sup>. ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც გააჩნდა პრუსიის გარშემო

---

<sup>1</sup> С. Б. Кан, Объединение Германии (1864-1871) М. 1957: с7.

<sup>2</sup> ო. ქოჩორაძე, სახელმწიფო მართვა, როგორც მეცნიერება და ხელოვნება, ჟურნალი ხელისუფლება და საზოგადოება, #5, 2008, გვ. 55.

<sup>3</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, соч. т. XVI, ч. I. с. 466.

მთელ სამხრეთ და ჩრდილოეთი გერმანიის სამეურნეო გაერთიანებას, საერთო გერმანული ბაზრის ჩამოყალიბებაში.

გერმანიაში კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორს კვლავ წარმოადგენდა ქვეყნის დაქუცმაცებულობა, რომლის წინაშე გერმანელები ვენის კონგრესის შემდეგ აღმოჩნდნენ. 1815 წლის 9 ივნისის აქტის შესაბამისად, შეიქმნა გერმანიის კავშირი, 1806 წელს დაშლილი „გერმანელი ერის და საღვთო რომის იმპერიის“ ნაცვლად. კავშირი აერთიანებდა 34 გერმანულ სახელმწიფოს, 4 „თავისუფალ ქალაქს-ჰამბურგს, ბრემენს, ლუბეკს და ფრანკფურტს. ვენის კონგრესზე დადგინდა: ყოფილი ვარშავის საჰერცოგოს<sup>1</sup> დიდი ნაწილი (პოლონეთის სამეფოს სახელით) გადაეცა რუსეთს, ხოლო ტორუნი და პოზნანი - პრუსიას. კრაკოვი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად, გალიცია შეინარჩუნა ავსტრიამ. პრუსიამ მიიღო საქსონიის თითქმის ნახევარი (2/5). პრუსიამ ასევე მიიღო ეკონომიკურად მაღალგანვითარებული რაინის პროვინცია, ვესტფალია, შვედეთის პომერანია და დანცინგი. ბელგია და

---

<sup>1</sup> ვარშავის საჰერცოგო-1807 წელს დადებული ტილზიტის ზავის შემდეგ ჩამოყალიბებული საელმწიფო პოლონეთის იმ ნაწილზე, რომელიც პრუსიას ჰქონდა დაპყრობილი. ვარშავის საჰერცოგო ნაპოლეონ ბონაპარტმა ჩამოაყალიბა. საჰერცოგო არსებობდა 1813 წლამდე.

ჰოლანდია გაერთიანდა ნიდერლანდების სამეფოდ. ლომბარდია და ვენეცია გადაეცა ავსტრიას. შლეზვიგი და ჰოლტშტაინი (დასახლებული უპირატესად გერმანელებით) დარჩა დანიის სამეფოს შემადგენლობაში<sup>1</sup>.

ამდენად, დღის წესრიგში დადგა გერმანიის ერთიან, ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების აუცილებლობის პრობლემა. ეკონომიური აღმავლობა აძლიერებდა გერმანიის ბურჟუაზიის რწმენას საკუთარ ძალებში და ამავე დროს აიძულებდა კვლავ დაეყენებინა საკითხი სახელმწიფოებრივი ერთიანობის შესახებ, როგორც გარდაუვალსა და საჭიროს არა მარტო სამრეწველო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, არამედ აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვისაც.

გერმანიის ბურჟუაზიული წრეები მაშინ იყოფოდნენ ორ ბანაკად, ერთნი იყვნენ ე. წ. „მცირე გერმანელები“, რომლებიც იყვნენ გერმანიის გაერთიანების მომხრენი ავსტრიის გარეშე, პრუსიის მეთაურობით, მეორენი კი, ეგრეთ წოდებული „დიდგერმანელები“, რომელთა მიზანს წარმოადგენდა გერმანიის გაერთიანება ავსტრიასთან ერთად და ავსტრიის

---

<sup>1</sup> ვენის კონგრესი-ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. მე-4. თბ., 1978, გვ. 363; Всемирная История, Т. VI, под редакцией А. М. Смирнова и др. М., 1959, с. 134.

ეგიდით, მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიილტვოდა პრუსიისაკენ. როგორც ეკონომიურად უფრო მოწინავე ქვეყნისკენ, ვიდრე ავსტრია გახლდათ.

ამგვარად, გერმანიის პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობა გამომდინარეობდა უშუალოდ კაპიტალისტური განვითარების საჭირო მოთხოვნილებიდან. ის განხორციელდა ბურჟუაზიულ-ნაციონალური გამაერთიანებელი მოძრაობის ძლიერი ზეწოლის შედეგად და წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას, რადგან ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდას, შემდგომ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობას.

იმ დროს არსებული სუბიექტური ფაქტორებისა და ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, ქვეყნის გაერთიანება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორი გზით: ერთი „ქვემოდან“, რევოლუციური გზით, რომელიც ითვალისწინებდა, მშრომელი მასებისა და დემოკრატიული ძალების, რევოლუციურად განწყობილი ბურჟუაზიის გაარკვეული ნაწილის ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის შედეგად იუნკრულ-მონარქიული ხელისუფლების დამხობას და ერთიანი, დემოკრატიული, რესპუბლიკური მმართველობის დამყარებას. მეორე- „ზემოდან“ დინასტიური ომების შედეგად, რომლის დროსაც გაერთიანება უნდა მომხდარიყო პრუსიის ან ავსტრიის ეგიდით. მიუხედავად ამისა, მშრომელი მასების

დაქსაქსულობის, არაორგანიზებულობისა და პოლიტიკური მოუმწიფებლობის, დემოკრატიული ძალების რევოლუციური და პოლიტიკური გამოუცდელობის, ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილის მთავრობასთან შემთანხმებლური პოლიტიკის, საკუთარი უსუსურობის გამო და ახლად ჩამოყალიბებული მოქმედი პარტიების ორგანიზაციული და იდეური გათიშულობის, საზოგადოების რევოლუციური ძალების ერთიანი ხელმძღვანელი, მაკოორდინირებელი პოლიტიკური გაერთიანების არარსებობის შედეგად, ქვეყნის გაერთიანება „ქვემოდან“, რევოლუციური გზით ვერ მოხერხდა.

ამ ხნის განმავლობაში ბისმარკის საგარეო პოლიტიკურმა წარმატებებმა აიძულა ლიბერალური ბურჟუაზია შეეწყვიტა ყოველგვარი ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. პრუსიის მონარქიამ ამ წლების განმავლობაში კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ იუნკრული მონარქიიდან იუნკრულ-ბურჟუაზიულ მონარქიად გარდაქმნის მიმართულებით, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა ქვეყნის სახელმწიფო აპარატში ისევ იუნკრების ხელში დარჩა.

გამომდინარე აქედან, გერმანიის გაერთიანება ბოლოს და ბოლოს განხორციელდა დინასტიური ომების შედეგად, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა არა სრულიად გერმანიის ერთიანი დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებამდე, არამედ

პრუსიული მემამულეების, იუნკრების ჰეგემონობამდე, ბისმარკის გაპრუსილიებულ გერმანულ იმპერიამდე. ოტო ბისმარკი პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ენერგიულად შეუდგა თავისი უმთავრესი ამოცანის განხორციელებას - „გერმანიის გაერთიანებას“ პრუსიის მეთაურობით. ამ მიზნის მიღწევას იგი ცდილობდა ნებისმიერი გზით (დიპლომატიური ინტრიგების, დინასტიური ომების, ვერაგობისა და ფლიდობის გზითაც) და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უკან დახევას არ აპირებდა. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ გამაერთიანებელი პროცესის სათავეში ყოფნის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა პრუსიის მონარქიისა და მისი თავადაზნაურობის პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნება. ბისმარკმა მშვენივრად იცოდა, რომ ამ ბრძოლაში ხელს შეუშლიდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები, უშუალოდ ის ქვეყნები, რომლებიც გარს ერტყა პრუსიას - რუსეთი, საფრანგეთი და ავსტრია. ბისმარკის აზრით, არც ერთი ამ სახელმწიფოს ინტერესში არ შედიოდა ახალი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა ევროპის ცენტრში. კარგად ესმოდა ისიც, რომ მათ ერთობლივად შეეძლოთ პრუსიის გასრესვა. ამდენად, პრუსიის პოლიტიკა უნდა ყოფილიყო მიმართული იქითკენ, რომ მიეღწიათ რაიმე პოლიტიკური გარიგებისათვის რუსეთსა და საფრანგეთთან, რასაც ბისმარკი შესაძლებლად თვლიდა. ეს იქნებოდა გარიგება, რომელიც

გამორიცხავდა მათი მხრიდან გერმანიის გაერთიანების საწინააღმდეგო ნაბიჯს. პრუსიის გარშემო გერმანიის გაერთიანების მთავარ მტრად ბისმარკი ავსტრიას მიიჩნევდა. ავსტრია გერმანიის კავშირის სეიმის წევრი იყო, წარმოადგენდა ყველაზე დიდ სახელმწიფოს და ამ კავშირში - პირველ მოთამაშეს. ამრიგად, ბისმარკის აზრით, არავითარი დიპლომატიური ემშაკობებით არ შეიძლებოდა ჰაბსბურგთა სახელმწიფოს იძულება ნებაყოფლობით დაეტოვებინა გერმანიის კავშირი. არსებული მდგომარეობის შეცვლა შეიძლებოდა მხოლოდ ძალის გამოყენებით - ავსტრიასთან ომის გზით. უნდა ითქვას, რომ გერმანიის გაერთიანება ომის გარეშე ბისმარკს შეუძლებლად მიაჩნდა. „სახელმწიფო სამართლის საკითხები საბოლოო ანგარიშში წყდება მხოლოდ „ხიშტების მეშვეობით“. დროის უდიდესი საკითხები წყდება არა სიტყვებით და საპარლამენტო რეზოლუციებით, არამედ რკინითა და სისხლით“<sup>1</sup>, - ღიად აცხადებდა ის, ლანდტაგში გამოსვლისას, 1862 წელს.

XIX საუკუნის 60-იან წლებში გერმანიის საზოგადოებრივ და სამთავრობო წრეებში გაცხარებით იხილებოდა გერმანიის

---

<sup>1</sup> С.Б.Кан, Объединение Германии (1864-1871) М. 1957; с. 28; В.Г. Ревуненков. Приход Бисмарка к власти, Л., 1941, с.106; Отто фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М.,С-Петербург, 2004. с. 267.

კავშირისა და საკავშირო სეიმში დიდი ხნის წინ მომწიფებული რეფორმის სხვადასხვა პროექტები. პირველი, რასაკვირველია, გამოეხმაურა ავსტრია, რომელიც ძალიან შემფოთებული იყო პრუსიის მზარდი გავლენით საერთაშორისო ასპარეზზე. არსებული ვითარება ავსტრიამ ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა და თავის მხრივ წარმოადგინა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების რეორგანიზაციის საკუთარი პროექტი და შესთავაზა საკავშირო სეიმის ნაცვლად 5 წევრისგან შემდგარი დირექტორიის შექმნა- ავსტრიის პრუსიის, ბავარიის და ორი პერიოდულად გადარჩევადი რწმუნებულისაგან, უფრო წვრილი გერმანული სახელმწიფოდან. დირექტორიასთან უნდა შემდგარიყო ორი საკანონმდებლო ორგანო: საკავშირო საბჭო და 300 დელეგატისგან შემდგარი საკრებულო (თითოეულ გერმანულ სახელმწიფოთა ლანდტაგებიდან)<sup>1</sup>. დირექტორიაში და საკავშირო საბჭოში თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო ავსტრია, ხოლო ავსტრიის წარმომადგენლის არყოფნის დროს - პრუსია. ომის გამოცხადების შემთხვევაში უკვე საჭირო იყო, პროექტით დადგენილ ხმათა უმრავლესობა, რომელიც ავსტრიას, მისი გათვლით, ყოველთვის ექნებოდა პრუსიის წინააღმდეგ. წინანდელთან შედარებით გერმანიის კავშირი უფრო მეტად

---

<sup>1</sup> С.Б. Кан, указ. соч. с. 29.



ცენტრალიზებული ხდებოდა, რაც უდავოდ ხელსაყრელი იყო ავსტრიისათვის. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ კავშირის რეფორმის პროექტი განგებ იყო მოფიქრებული ავსტრიის მიერ იმისათვის, რათა შეებოჭათ პრუსია, რომელიც მიილტვოდა იქითკენ, გამოეკვეთა თავისთვის დამოუკიდებელი მდგომარეობა. პრუსია არავითარ სარგებელს არ ღებულობდა ამ წინადადებებებისგან, პირიქით, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ ეს წინადადება უნდა მიეღოთ ხმათა უბრალო უმრავლესობით. მაშინ, როცა განხილვის დრო დადგა, ავსტრიელები შეცბნენ. მათ დაინახეს, რომ საქმე ჰქონდათ უშუალოდ ბისმარკთან. მან როგორც კი თანამდებობა დაიკავა, არ დააყოვნა მიენიშნებინა ავსტრიელი დესპანისათვის ბერლინში - გრაფი კაროლისთვის, რომ არ აპირებდა ავსტრიასთან მიმართებაში სტატუს-კვოს დაცვას და პრუსიის უთანასწორო მდგომარეობის მოთმენას<sup>1</sup>.

ოტო ბისმარკის მთავრობა წინააღმდეგი იყო, დელეგატთა კრების მოწვევის ავსტრიული გეგმისა და წამოაყენა საკუთარი ფრიად რადიკალური კონტრწინადადებები, რომელიც ითვალისწინებდა გერმანული კავშირის არსებითად ძირეულ გარდაქმნას, ეროვნული

<sup>1</sup> В.В. Чубинский, Бисмарк, Политическая биография. М. 1988, с. 142.

წარმომადგენლობის შექმნას საყოველთაო პირდაპირი არჩევნების გზით და მისთვის საკანონმდებლო უფლებების მინიჭებას. ამით პრუსიამ გამოხატა მზადყოფნა დათანხმებულიყო მოკავშირე ორგანოთა ' ძირეულ გაფართოებას. პრუსიის პოზიცია ძლიერ დარტყმას აყენებდა ავსტრიის ყოველგვარ რეფორმისტულ კომბინაციებს. ეს კი, თავის მხრივ, ადასტურებდა პრუსიის ლტოლვას მოეპოვებინა მთელი გერმანელი ერის მისწრაფებებისა და ინტერესების გამომხატველი ლიდერის ადგილი. ის მზად იყო აღემართა ხალხში პოპულარული ლოზუნგი; ლოზუნგი საერთო გერმანული პარლამენტის შექმნისა, საყოველთაო საარჩევნო უფლებათა საფუძველზე.

ავსტრიის პროექტი უარყო საკავშირო სეიმმა. მაშინ ავსტრიის პროექტის განსახილველად, იმპერატორ ფრანც - იოსების მოწვევით 1863 წლის ზაფხულში, ფრანკფურტში, შეიკრიბა გერმანიის ყველა ქვეყნის ხელმწიფე, გარდა პრუსიის მეფისა. ამ უკანასკნელმა ბისმარკის მოთხოვნით უარი თქვა მოწვევაზე ამ „მთავართა კონგრესზე“ და ამგვარად ჩაშალა ავსტრიელთა გეგმები გერმანიის კავშირის რეფორმის თაობაზე. რადგან პრუსიის მონაწილეობის გარეშე ფრანკფურტის კრების ნებისმიერი გადაწყვეტილება მოკლებული იყო აზრს ან კარგავდა მნიშვნელობას, რამდენადაც თვითონ მთავრები თავიანთ დასტურს ავსტრიის წინადადებაზე პრუსიის

თანხმობის შემდეგ განაცხადებდნენ. პირველი ავანგარდული ბრძოლა ავსტრიასთან მოგებულ იქნა. ეს იყო ბისმარკის პირველი დიპლომატიური გამარჯვება, რომელსაც მალე მისი დანარჩენი წარმატებებიც მოჰყვა.

1863 წლის ბოლოს გამწვავდა შლეზვიგ -ჰოლშტაინის საკითხი, რომელიც უშუალოდ დანიის სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული, რადგან ეს ორი გერმანული საჰერცოგო, სადაც გერმანული მოსახლეობა ჭარბობდა, დანიის სამფლობელოებში შედიოდა. თუმცა ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით, ჰოლშტაინი გერმანიის კავშირის წევრიც კი იყო. გერმანიის კავშირში შედიოდა აგრეთვე გერმანელებით დასახლებული ლაუნბურგის საჰერცოგო<sup>1</sup>, რომელიც ეკვროდა შლეზვიგსა და ჰოლშტაინს<sup>2</sup>.

XIX საუკუნის დასაწყისიდან გერმანული ბურჟუაზიული ოპოზიციის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა დანიისაგან ამ ორი საჰერცოგოს ჩამოშორება. გერმანიის ბურჟუაზიას, რომელსაც ძალიან სწყუროდა თავის

---

<sup>1</sup>1816 წელს პრუსიამ დაუთმო ლაუნბურგი დანიას მისი კომერანული ტერიტორიების სანაცვლოდ. იხილეთ ვაჟა ჩოჩია, ბისმარკი და გერმანიის პრობლემა ( 1862-1882), თბ., 2011. გვ. 54.

<sup>2</sup> იქვე.

განკარგულებაში ჰყოლოდა ფლოტი, ჰქონოდა ზღვა, გამხდარიყო საზღვაო სახელმწიფო, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო შლეზვიგ-ჰოლშტაინით, რომელთაც აკრავდა ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვა, ახალი ნავსადგურები ამ ზღვებზე, ყველაფერი ეს მჭიდროდ უკავშირდებოდა ორივე საჰერცოგოს<sup>1</sup>. 1848 წელს შლეზვიგსა და ჰოლშტაინში დაიწყო მოძრაობა, რომლის მიზანი დანიიდან გამოყოფა და გერმანიასთან შეერთება იყო. ამან გამოიწვია ომი დანიასთან. იმავე წელს პრუსია დანიის წინააღმდეგ ომში ჩაერთო. 1848-1849 წლებში პრუსიამ ბრძოლით კიდევაც წაართვა დანიას სასურველი ტერიტორია, მაგრამ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I შლეზვიგ-ჰოლშტაინის დაპყრობის წინააღმდეგ გამოვიდა. მაშინ რუსეთის პოზიციას და მის სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, პრუსია იძულებული გახდა დამორჩილებოდა. პრუსია - დანიის ომის მსვლელობაში დადებული ზავით შლეზვიგი და ჰოლშტაინი ისევ დანიას დაუბრუნდა. 1852 წლის ლონდონის კონფერენციის ოქმით, რომელსაც ხელს აწერდნენ დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, დანიის მონარქია

---

<sup>1</sup> Е.В.Тарле, Вторая империя во Франции Воссоединение Италии и Германии как самостоятельные государства, М, 1940. с. 32.

ხელშეუხებელი რჩებოდა და მხოლოდ შლეზვიგ-ჰოლშტაინი და დანია უკავშირდებოდნენ ერთმანეთს პირადი უნიით<sup>1</sup>.

1863 წლის ნოემბრის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა შლეზვიგსა და ჰოლშტაინში, დანიის სამეფოში ტახტის მემკვიდრეობის წესთან დაკავშირებული მწვავე იურიდიული და გენეალოგიური ნიუანსებით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, საქმე მხოლოდ ამაში როდი მდგომარეობდა, მას უფრო ღრმა პოლიტიკური ფესვები გააჩნდა.

1863 წლის 15 ნოემბერს გარდაიცვალა დანიის მეფე ფრედერიკ VII. ის უშვილო იყო და მისი გარდაცვალებით წყდებოდა შლეზვიგისა და ჰოლშტაინის პირადი უნია. ტახტზე ავიდა ქალის ხაზით პრინცი ქრისტიან IX გლუკსბურგების დინასტიიდან, რომლის მემკვიდრეობითი უფლებები აღიარებული იყო 1852 წლის ლონდონის კონფერენციის ოქმით. მიუხედავად ამისა, საჰერცოგოებმა ის არ ცნეს, რადგან ტახტის მემკვიდრეობის წესი შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი კანონის თანახმად, მხოლოდ მამაკაცის ხაზით შეიძლებოდა გადასულიყო<sup>2</sup>. ახალი

---

<sup>1</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, შლეზვიგ-ჰოლშტაინი, ტ. 11, თბ. 1987. გვ. 12. Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998; s. 70-71.

<sup>2</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

კონსტიტუციის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერდა ქრისტიან IX, 8 ნოემბერს შლეზვიგი ჩართეს დანიის სამეფოს შემადგენლობაში და ის დანიის პროვინცია გახდა. ამ აქტმა არა მარტო ორივე საჰერცოგოში, არამედ მთელ გერმანიაში დიდი მღელვარება და არნახული პროტესტი გამოიწვია. მიმდინარე მოვლენები ბისმარკს მხედველობიდან არ გამოჰარვია. ამან ხელი შეუწყო მას ჩარეულიყო დანიის ხელისუფლებასა და შლეზვიგის სამხრეთ ნაწილის გერმანულ მოსახლეობას შორის კონფლიქტში. ეს საჰერცოგოები პრუსიას ხელიდან არ უნდა გასხლტომოდა. ნოემბრის თვეში პრუსიის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომელსაც უშუალოდ მეფე თავმჯდომარეობდა, ბისმარკმა განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა რადიკალურად გადაეწყვიტა შლეზვიგ - ჰოლშტაინის საკითხი, ე. ი. აეძულებინა დანია უარი ეთქვა ორივე საჰერცოგოზე. ასევე დაამატა, რომ სრულიად არა აქვს განზრახული მათგან შექმნას ახალი სახელმწიფო ავგუსტენბურგის გვირგვინის ქვეშ და ისიც გერმანიის კავშირის შემადგენლობაში. ბისმარკს უნდოდა მათი პირდაპირ პრუსიასთან შეერთება, თუნდაც ამისთვის მას დასჭირვებოდა საომარი დაპირისპირება ავსტრიასა და მთელ გერმანულ კავშირთან. დამსწრენი გაოგნებულები იყვნენ. 1850 წლის ოლმიუცის შეთანხმებისა და 1852 წლის ოქმის ხელმოწერის მწარე გამოცდილების შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება

წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მეფე და კრონპრინცი ბისმარკის წინადადებას წინდაუხედავად მიიჩნევდნენ, დანარჩენები კი შეცბუნებულები დუმდნენ<sup>1</sup>.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბისმარკმა იცოდა რა უნდოდა და სრულიად საღ გონებაზე იყო. საჰერცოგოების პრობლემის პრუსიული გადაწყვეტილება-ეგრეთწოდებული „დანიური საკითხისა“- ბისმარკის გეგმაში შედიოდა მისი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდანვე. და მაინც, მეფე და მასთან დაახლოებული პირები ამ საკითხისადმი დიდი სიფრთხილის გამოჩენას მოითხოვდნენ, ასევე მოქმედებას-ეტაპობრივად და დაფარულად ამჯობინებდნენ, გამომდინარე იქიდან, რომ უცხო სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც წარმოადგენდნენ დანიის მონარქიის მთლიანობის გარანტორებს, არ იყო ისეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო 1849 წლის მოვლენების პირდაპირი გამეორება. ამიტომ ბისმარკმა გადაწყვიტა, რომ მისი შენიღბვის საუკეთესო საშუალება ავსტრიასთან თანამშრომლობა იქნებოდა. მან კარგად გათვალა, ვერავინ-ვერც პრუსიის მეფე, ვერც გერმანიის კავშირი, ვერც უცხო სახელმწიფოები ვერაგ განზრახვაში ვერ დაადანაშაულებდა.

---

<sup>1</sup> Ф.А. Ротштейн, Из историй Пруско-Германской историй, М-Л, 1948, с. 69-72.

(ეჭვსაც ვერ შეიტანდნენ). უფრო სწორად, ბისმარკს სჭირდებოდა ავსტრიის მონაწილეობა, რომ დაეფარა დაეჭვებული ევროპის წინაშე მისი საბოლოო მიზნები, უფრო ზუსტად, შლეზვიგ-ჰოლშტაინის დაპყრობა და მათი პრუსიისათვის შემოერთება<sup>1</sup>.

1863 წელს, იმ დროს, როდესაც ემზადებოდნენ დანიის წინააღმდეგ საომრად, ფრანც-იოსების მთავრობის მხრიდან წამოვიდა განცხადება, რომ ავსტრიასაც სურდა მონაწილეობა მიეღო სამხედრო კამპანიაში. ბისმარკი, რასაკვირველია, ამ წინადადებაზე უყოყმანოდ დათანხმდა. იმავე წელს როგორც ვენაში, ისე ბერლინში საიდუმლოდ გადაწყდა ერთობლივად გამოეცხადებინათ ომი დანიისათვის. ამის შემდეგ ავსტრიამ და პრუსიამ შეთანხმებულად ულტიმატუმი წაუყენეს დანიას, მოთხოვნით, უარი ეთქვა შლეზვიგის „ანექსიაზე“. დანიის მეფემ ქრისტიან მეცხრემ, რომელსაც დახმარების დიდი იმედები ჰქონდა ევროპის სახელმწიფოების მხრიდან, უარყო მისადმი წაყენებული მოთხოვნები. მაშინ ავსტრია-პრუსიის ჯარები 1864 წლის 25 იანვარს შევიდნენ ჰოლშტაინში, ხოლო პირველ თებერვალს შეიჭრნენ შლეზვიგში. ასე დაიწყო თავისი მასშტაბით პატარა, მაგრამ სისხლისმღვრელი ომი. პრუსიისა

---

<sup>1</sup> История дипломатии, т. I, М., 1941, с. 492. Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998; s.71.



და ავსტრიის საჯარისო შენაერთები ორჯერ ჭარბობდნენ დანიის არმიას. მიუხედავად ამისა, პატარა დანია თავგამოდებით იბრძოდა, მომხდურ მტერს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა და ომი ივლისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა. დანიამ ოფიციალური თხოვნით მიმართა დახმარებისათვის ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს. ნათელი გახდა, რომ ამ სახლმწიფოებს სხვადასხვა მოსაზრებათა გამო არ სურდათ კონფლიქტში ჩარევა. ინგლისის პრემიერ - მინისტრი პალმერსტონი და საგარეო საქმეთა მინისტრი რასელი ცდილობდნენ შლეზვიგ-ჰოლშტაინის საკითხის განხილვას სპეციალურ ევროპულ კონფერენციაზე. ნაპოლეონ მესამეს ბისმარკთან მოლაპარაკების შემდეგ უეჭველი იმედი ჰქონდა, რომ პრუსიისაგან მიიღებდა კომპენსაციას რაინის მარცხენა სანაპიროს სახით, იმის სანაცვლოდ, თუ შლეზვიგ-ჰოლშტაინის კონფლიქტში არ ჩაერეოდა. ალექსანდრე მეორე და გორჩაკოვი უფრთხოდნენ ევროპული მასშტაბის ომის გაჩაღებას ან კიდევ საფრანგეთ-პრუსიის დაახლოებას<sup>1</sup>. ასევე, რუსეთის ჩაურევლობა წარმოადგენდა გულუხვ საჩუქარს პოლონეთის საკითხში „გაწეული სამსახურისთვის“. ამიტომ სასწრაფოდ უნდოდათ კონფლიქტის დასრულება.

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 59.

ინგლისის წინადადება, მოეწვიათ კონფერენცია, მიღებულ იქნა და 1864 წლის 25 აპრილს ლონდონში დაიწყო მისი მუშაობა. კონფერენცია გაგრძელდა ორ თვეს. ძირითადი საკითხები ეხებოდა ზავის პირობებსა და საზღვრებს. მიუხედავად ამისა, ის 25 ივნისს უშედეგოდ დასრულდა. ამდენად, ხანმოკლე და სისხლისმღვრელი ომი დასრულდა დანიის დამარცხებით. დანიას ჩამოაცილეს არა მარტო შლეზვიგი, არამედ ჰოლშტაინიც და მასთან მიმდებარე პატარა საჰერცოგო ლაუენბურგი<sup>1</sup>. 1864 წლის ოქტომბერში ვენაში დადებული ზავის მიხედვით, დანიისგან ჩამოცილებული ყველა ეს ტერიტორია გადავიდა ავსტრიისა და პრუსიის ერთობლივ მფლობელობაში.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ორივე - ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვაზე, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული იყვნენ გემსავალი კილის არხით, გამოჩნდა ძლიერი გერმანული სამხედრო ფლოტი კილისა და ვილჰელმს ჰაფენის ნავსადგურებში. რუსეთი და ინგლისი ვერ მალავდნენ თავიანთ მწარე სინანულს იმ უმოქმედობისა და ჩაურევლობის გამო, რაც მათ გამოიჩინეს პრუსიის 1864 წლის აგრესიის მიმართ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

---

<sup>1</sup> იქვე.

დანის დამარცხებიდან სულ მოკლე ხანში დაიწყო ხანგრძლივი მოლაპარაკება „ნადავლის“ გასაყოფად. ეს მოლაპარაკება 1865 წლის აგვისტოში დამთავრდა გაშტინის კონფერენციით, რომლის დადგენილებით (სადაც პრუსია და ავსტრია შეთანხმდნენ და განსაკუთრებული კონვენციით განამტკიცეს), ჰოლშტაინის მართვის უფლება გადაეცა ავსტრიას, შლეზვიგისა - პრუსიას. პრუსიას გადაეცა, აგრეთვე, პატარა საჰერცოგო ლაუნბურგი 2,5 მილიონი ტალერის ოქროს ფულის საფასურად<sup>1</sup>.

გაშტინის კონვენციის პირობებს არ გადაუწყვეტია სადავო საკითხები პრუსიასა და ავსტრიას შორის. იმ დროს, როდესაც ავსტრიის მმართველი წრეები დაკავებული იყვნენ გართულებული საშინაო საკითხების მოგვარებით, პრუსია ენერგიულად ემზადებოდა სამუდამოდ განედევნა ის გერმანული კავშირიდან.

უკვე დასაწყისიდანვე აშკარა იყო, თუ რამდენად რთული იყო მომავალ ორთაბრძოლაში ავსტრიის პოზიცია, ვიდრე პრუსიისა, რადგან შლეზვიგი და ჰოლშტაინი არ ეკვროდა ავსტრიას. ამიტომ ბისმარკი შეგნებულად წავიდა ამ საჰერცოგოების განაწილებაზე. ხელი მოაწერა რა კონვენციას,

---

<sup>1</sup> История дипломатий, т. 1. с. 496.

ის იმთავითვე მიზანმიმართულად ამზადებდა ნიადაგს ავსტრიასთან სამხედრო შეტაკების პროვოცირებისათვის. მან კარგად იცოდა, რომ ძლევამოსილი ომის გარეშე ვერ შეძლებდა პრუსია ავსტრიის განდევნას გერმანული კავშირიდან, ვერც გერმანიის გაერთიანებას ჩაუდგებოდა სათავეში.

1865 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ბისმარკის წინაშე იდგა მორიგი პრობლემა: როგორ შეექმნა უფრო ხელსაყრელი ვითარება მომავალი შეიარაღებული ბრძოლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი გამორიცხავდნენ მათი ერთობლივი მოქმედებების შესაძლებლობებს. ამერიკის საქმეებით შეზოჭილი ინგლისიც ვერ ჩაერეოდა ევროპის კონტინენტზე აღმოცენებულ კონფლიქტებში. ორი დიდი საფრთხე ყოველად მოსალოდნელი იყო დამუქრებოდა ბისმარკის მიზნებს - ერთი ზამთრის სასახლიდან, მეორე - ტიულრიდან. რუსეთსა და საფრანგეთს ერთმანეთთან შეთანხმებით შეეძლოთ პრუსიის გეგმების ჩაფუშვა. ამიტომ ბისმარკს კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო უსათუოდ ორივე სახელმწიფოსთან მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა, მათთან ურთიერთმისაღებ პირობებზე.

ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე ხელს არ შეუშლიდა პრუსიას ანგარიში გაეწორებინა ავსტრიასთან. ასეთივე აზრის

გახლდათ გორჩაკოვიც, რადგან ავსტრიას და რუსეთს შორის ძალიან გართულებული ურთიერთობა გაფუჭებული იყო ყირიმის ომის დროიდან და რუსეთი ავსტრიას არ გამოექომაგებოდა, მაგრამ ყველაზე დიდ საშიშროებას ბისმარკი საფრანგეთიდან მოელოდა, რადგან ნაპოლეონ მესამისთვის ავსტრიის დამარცხება და პრუსიის გარშემო გერმანიის გაერთიანება და მეზობლად ძლიერი სახელმწიფოს წარმოშობა, საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომ ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ნაპოლეონ III ყოველთვის შეეცდებოდა ხელი შეეშალა პრუსიისთვის. ბისმარკს მიაჩნდა, რომ ავსტრია - პრუსიის მომავალ ომში, საფრანგეთი ომის გაჭიანურებას და ამ ომში ორივე მხარის დასუსტებას ელოდა, ხოლო თავის ჩარევას შუამავლის სახით, ძვირად დაუსვამდა პრუსიას<sup>1</sup>. ამდენად, საჭირო იყო რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, დიდი მსხვერპლის ფასადაც კი უნდა მიეღწია ნაპოლეონ მესამის მხრიდან ჩაურევლობისათვის. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბისმარკი ნაპოლეონ მესამესთან მოლაპარაკებას გამართავდა, მან შეადგინა წინასწარი მოქმედების გეგმა და 1865 წლის 30 სექტემბერს ეწვია მას ბიარიცში - საზღვაო აგარაკზე, საფრანგეთის სამხრეთში, სადაც ის ისვენებდა. ნაპოლეონ მესამესთან შეხვედრისას ბისმარკმა

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 62 .

განაცხადა, რომ „პრუსია და საფრანგეთი, ეს ორი ევროპული  
ერია, რომელთა ინტერესები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა“<sup>1</sup>.  
ბისმარკი მზად იყო დაეთმო საფრანგეთის იმპერატორისთვის,  
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლუქსემბურგი „კომპენსაციის“  
საფასურად (ლუქსემბურგი დამოუკიდებელი საჰერცოგო იყო),  
მაგრამ ნაპოლეონს უფრო მეტი სურდა. ცდილობდაბელგიის  
სამეფოს შემოერთებას საფრანგეთის იმპერიასთან, რაც დიდ  
საფრთხეს შეუქმნიდა რაინის დასავლეთ მხარეს და, საერთოდ,  
პრუსიას. ბისმარკს ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებლად  
მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, უარის თქმა ნაპოლეონისთვის  
ნიშნავდა ახლო მომავალში ომის წარმართვას ორ ფრონტზე:  
საფრანგეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ. ბისმარკმა  
მოხერხებულად აუარა გვერდი საჩოთირო საკითხს და  
ნაპოლეონ მესამესაც დაჟინებით არ მოუთხოვია ბელგია,  
რაზეც მოლაპარაკება შეწყდა.<sup>2</sup> ამავე დროს აღსანიშნავია, რომ  
ყველა დეტალი ამ მოლაპარაკებისა დღემდე უცნობია, რადგან  
არც ბისმარკს და არც ნაპოლეონ მესამეს არ დაუდვიათ  
წერილობითი ვალდებულებები. ფრანგული დოკუმენტების  
მიხედვით, პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი ნაპოლეონ მესამეს  
დაჰპირდა რაღაც კომპენსაციას ნეიტრალიტეტის გამო.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>2</sup> История дипломатии, т. 1. с. 498.

როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, მოლაპარაკებები ეხებოდა არა მარტო ბელგიას, ლუქსემბურგს, არამედ რაინის პროვინციების გარკვეულ ნაწილებსაც. თუმცა, ბისმარკმა ამის შესახებ, როგორც დახელოვნებულმა პოლიტიკოსმა, დაუმალა ბეჭდვით ორგანოებს და ნაკვალევაც არ დატოვა მეფისადმი მიმართულ მოხსენებებში, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებულა<sup>1</sup>.

ბისმარკი ბერლინში საკმაოდ აღელვებული დაბრუნდა. სრულიად ნათელი იყო, რომ ნაპოლეონ მესამე ნამდვილად ჩაეროდა თუ ომი გაჭიანურდებოდა. მაშასადამე, აუცილებელი გახლდათ ხანმოკლე ომი. ბისმარკი ყოველთვის იმ აზრზე იყო, რომ გერმანიას შეუძლია მოიგოს მხოლოდ ხანმოკლე ომი. ყოველი გაჭიანურებული ომი, მისი აზრით, გერმანიისათვის დასრულდებოდა კატასტროფით. განსაკუთრებით ომი ავსტრიასთან, იმიტომ, რომ ნაპოლეონ მესამეს ლაპარაკიც კი არ უნდოდა კომპენსაციის შესახებ, რადგანაც ბევრად უფრო მეტის მიღება უნდოდა. და ამ დროს ბისმარკმა მიმართა თავისებურ საოცარ ეშმაკურ ხერხს, რაშიც გამოიყენა იტალიური კოზირი. თუკი მთელი ავსტრიის არმია დაუპირისპირდებოდა პრუსიის არმიას, მაშინ ავსტრიას

---

<sup>1</sup> Л. И. Нарочницкая, Россия и войны Пруссии в 60-х годов XIXв. за объединение Германии с верху. М., 1960, с. 88.

აღმოუჩენდნენ დახმარებას ჰანოვერის, ბავარიის, საქსონიის მონარქიული სახელმწიფოები, რომლებიც არ იყვნენ გერმანიის გაერთიანების მომხრენი. ეს სიტუაციას ძალიან გაურთულებდა პრუსიას. ამდენად, საჭირო იყო უსათუოდ არმიის ორ ნაწილად გათიშვა, იძულება ავსტრიისა გადაეჯგუფებინა არმიის ნაწილი სამხრეთით. და აი აქ შეეძლო დახმარება გაეწია იტალიას. ბისმარკმა იმთავითვე მიმართა ახალშექმნილ იტალიის სამეფოს ხელმწიფეს ვიტორიო ემანუილ მეორეს. მან წინასწარვე იცოდა, რომ იტალიელები მხარს არ დაუჭერდნენ მის კონტრიერიშებს, სანამ მტერი ბოლომდე არ იქნებოდა განადგურებული, მაგრამ ეს არ იყო მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო - ავსტრიის არმიის ნაწილის გადაჯგუფება სამხრეთისაკენ. ვიტორიო ემანუილი ორჭოფობდა. მაშინ ბისმარკმა განუცხადა ნათლად, რომ სეპარატული ზავი არ დაიდებოდა ავსტრიასთან. ამიტომ, იტალიის ჯარის ნაწილები სამხრეთში რომც დამარცხებულიყვნენ, ისინი მაინც მიიღებდნენ ვენეციას. საფრანგეთ - იტალიის ომი ავსტრიის წინააღმდეგ 1859 წელს ავსტრიის დამარცხებით დამთავრდა და ვილაფრანკის ზავის თანახმად, ქალაქ ვენეცია და ვენეციის ოლქის ნაწილი ავსტრიის მფლობელობაში დარჩა. ვიტორიო ემანუილ მეორე ძალზე განაწყენებული იყო იმით, რომ საფრანგეთის იმპერატორმა ეს ნაბიჯი თავის მოკავშირე იტალიასთან



შეუთხმებლად გადადგა. ახლა კი იყო უკანასკნელი შანსი ვენეციის დაბრუნებისა, რადგან ნაპოლეონ მესამე არ დაიწყებდა ომს ავსტრიასთან. ამგვარად, არავინ არ აპირებდა ომის დაწყებას, გარდა პრუსიისა, ხოლო გარედან დახმარების გარეშე ისინი ავსტრიას ვერ დაამარცხებდნენ. ეს იყო პირველი ძირითადი მიზეზი იტალიის მონაწილეობისა ავსტრიის წინააღმდეგ ომში<sup>1</sup>.

მეორე მიზეზი კიდევ უფრო მტკივნეული იყო იტალიის მთავრობისათვის. ხედავდა რა იტალიის სამთავრობო წრეების მერყეობას, ბისმარკმა განაცხადა, რომ თუ ვიტორიო ემანუილს არ სურდა პრუსიასთან კავშირი, მაშინ ის ხელს გაუწვდიდა იტალიელ რევოლუციონერებს და დაუკავშირდებოდა მაძმინის და კიდევ ვისაც გნებავთ. მაშინ მეფეს ჩამოაგდებენ და იტალიელები დაიწყებენ ბრძოლას, ვენეციის დასაბრუნებლად<sup>2</sup>.

შემდგომში ბისმარკის მიერ ნდობით აღჭურვილი პირის მორიგ ბუშის მისამართით გამოთქმულ შეკითხვაზე, ნუთუ ეს მუქარა არ იყო „ბლეფი“, ნუთუ მართლა ბისმარკი, თავადაზნაური, ფეოდალი, წავიდოდა მაძმინისთან გარიგებაზე? მან უპასუხა, -იმდენად დიდი იყო რისკის

---

<sup>1</sup> E.V.Тарле, указ. Соч. с. 35

<sup>2</sup> Там же, с. 35-36.

ფაქტორი, რომ ბისმარკი არა მარტო მაძმინის, არამედ ეშმაკსაც გაურიდებოდაო<sup>1</sup>. ომი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ხანმოკლე. ომი ხანმოკლე იქნებოდა მაშინ, თუ პრუსიას ბრძოლა მოუხდებოდა ავსტრიის არამთლიან არმიასთან, ხოლო ამისათვის საჭირო იყო იტალიის მონაწილეობა.

პრუსია-იტალიის მოლაპარაკებები ნაპოლეონ მესამეს არ გამოპარვია. მან კატეგორიულად მოსთხოვა იტალიას, რომ არ სურს პრუსიასა და იტალიას შორის კავშირის დამყარება - სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. მაშინ ბისმარკმა გაითამაშა ერთობ ძნელად მისახვედრი და მომგებიანი დიპლომატიური პარტია. ბისმარკი უკვე მეორედ გაემგზავრა ბიარიცში. ამ შემთხვევაში ბისმარკის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო იმისკენ, რომ დაემშვიდებინა ნაპოლეონ მესამე, დაერწმუნებინა ის, რომ იტალიის ომში მონაწილეობა სრულებით ვერ შეუმსუბუქებდა პრუსიას ომს. ავსტრია-პრუსიის ომი იქნება ხანგრძლივი, ამდენად, დამაუძღურებელი პრუსიისათვის,- ამბობდა ის. ნაპოლეონ მესამეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს აზრი მის შეფასებებს თანხვდებოდა ომის მსვლელობასთან დაკავშირებით და შემდგომში შეძლებდა, ხელსაყრელი

---

<sup>1</sup> Там же, 36.

პირობების შემთხვევაში, რაინზე არმიით მდგარს წაყენებინა პრუსიისათვის თავისთვის მომგებიანი მოთხოვნები.

ნაპოლეონ მესამემ ბისმარკს მწვანე შუქი აუნთო. 1866 წლის 8 აპრილს ხელი მოეწერა პრუსიასა და იტალიას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ამდენად, ვიტორიო ემანუილ მეორეს ეყო გამბედაობა. მან იცოდა, რომ არასოდეს აპატიებდნენ, ქალაქ ვენეციისა და ვენეციის ოლქის შემოერთების შანსს თუ ხელიდან გაუშვებდა. ამავე დროს, იტალიას შეპირდნენ 30 მილიონიან სუბსიდიას ავსტრიის წინააღმდეგ დახმარების საფასურად<sup>1</sup>.

1866 წლის ზაფხულში საქმე აშკარა უთანხმოებასა და კავშირის გაწყვეტამდე მივიდა. წელიწადნახევრის განმავლობაში საჰერცოგოების - შლეზვიგისა და ჰოლშტაინის გარშემო არსებული სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარებისათვის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ფრანც-იოსებმა შესთავაზა პრუსიის მთავრობას ამ პრობლემის გადაწყვეტა საკავშირო სეიმისათვის გადაეცათ. ის იმედოვნებდა მხარდაჭერის მოპოვებას წვრილი გერმანული სახემწიფოების წარმომადგენლებთან პრუსიის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ.

---

<sup>1</sup> С.Б. Кан, указ. Соч. с. 31. Volker Ullrich, Otto von Bismarck, Hamburg, 1998; s 74.

ბისმარკმა კი ავსტრიის წინადადების საპასუხოდ, ეყრდნობოდა რა გაშტეინის შეთანხმებას, რომელმაც თითქოსდა საბოლოოდ გადაწყვიტა საჰერცოგოების საკითხი, კატეგორიული უარი განაცხადა ეცნო საკავშირო სეიმის კომპეტენცია.

1866 წლის 7 მაისს ბისმარკზე მოხდა თავდასხმა. მას თავს დაესხა სტუდენტი, ვინმე ფერდინანდ კოგენბლინდი მაშინ, როცა ის მეფესთან აუდიენციის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა. თავდამსხმელმა მას ხუთჯერ ესროლა. მხოლოდ ბოლო ტყვიამ მიაღწია მიზანს და ბისმარკი მსუბუქად დაიჭრა. მიუხედავად ამისა, ის არ დაიბნა, პირიქით, იყოჩაღა, დააკავა მომხდლური და გადასცა პოლიციას. შემდგომში თავდამსხმელმა თავი მოიკლა ციხეში. ამ ამბავს გამოხმაურება მოჰყვა. ერთნი ბისმარკს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი სინანულს გამოთქვამდნენ, რომ ის ცოცხალი გადარჩა. თუმცა ამ ფაქტმა საბოლოო ანგარიშით ბისმარკის პოზიციები გაამყარა<sup>1</sup>.

მოვლენები სწრაფად განვითარდა. ბისმარკის მიერ პროვოცირებულმა ავსტრიამ 1866 წლის 17 ივნისს ომი გამოუცხადა პრუსიას, 20 ივნისს იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრიას, 21 ივნისს კი - პრუსიამ. ავსტრიის მხარეზე იბრძოდა გერმანიის კავშირის 12 სახელმწიფო, მათ შორის, შედარებით

---

<sup>1</sup> В. В. Чубинский, указ. Соч. с. 250

დიდი სახელმწიფოებიც-ბავარია, საქსონია, ბადენი, ჰანოვერი და ვიურტემბერგი<sup>1</sup>. პრუსიას მიემხრო ჩრდილოეთ გერმანიის 17 პატარა სახელმწიფო. ეს არ იყო მარტო ავსტრია-პრუსიის ომი. ამ ომში მთელი გერმანია მონაწილეობდა, თუმცა მისი შედეგი მთლიანად დამოკიდებული იყო იმაზე, ორ დიდ სახელმწიფოს შორის ვინ გაიმარჯვებდა - ავსტრია თუ პრუსია. ომის გამოცხადებისთანავე, ავსტრიის მიმართულებით შტევეაზე გადავიდა ორი არმია: პრუსიის არმია ჩრდილოეთიდან, იტალიის არმია კი სამხრეთიდან. დატოვა რა შედარებით მცირე ძალები ავსტრიის მოკავშირე გერმანული სახელმწიფოების დაქსაქსული საარმიო შენაერთების წინააღმდეგ (45 ათასი), პრუსიის სამხედრო ხელმძღვანელობამ გენერალური შტაბის უფროსის ნიჭიერი გენერლის ჰელმუტ მოლტკეს სარდლობით, არსებული 8 სარკინიგზო ხაზის გამოყენებით, სწრაფად გადააჯგუფა პრუსიის არმიის ძირითადი ძალები და 250 ათასს ჯარისკაცს თავი მოუყარა ფართო ფრონტზე ავსტრიის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ, საქსონიიდან სილეზიამდე<sup>2</sup>.

ომის დაწყების წინ მორავიაში თავმოყრილმა 250 ათასიანმა ავსტრიის არმიამ ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 69

<sup>2</sup> С. Б. Кан, указ. Соч. с. 32

პრუსიის არმიის შემოტევისათვის სამი მხრიდან: საქსონიიდან, ლაუზიცასა და სილეზიიდან.

უკეთესად შეიარაღებულმა და საგანგებოდ გაწვრთნილმა მილიტარისტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა პრუსიის ჯარებმა დაამარცხეს ავსტრიელთა ძირითადი ძალები 3 ივლისს სოფელ სადოვასთან, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოჰემიაში, ქ. კენიგრეცის მახლობლად. პრუსიელებმა ჯერ არტილერიის ცეცხლით შემუსრეს მოწინააღმდეგე, შემდეგ კი კავალერიამ და ქვეითებმა დაასრულეს ავსტრიელთა განადგურება. ამ ბრძოლაში პრუსიელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 10 ათასამდე ჯარისკაცი, ხოლო ავსტრიელთა დანაკარგი ორჯერ მეტი იყო. ამასთანავე, პრუსიელებმა ტყვედ აიყვანეს 20 ათასი მებრძოლი და ხელში ჩაიგდეს 160 ზარბაზანი<sup>1</sup>.

უშუალოდ გერმანიაში პრუსიის ჯარებმა წარმატებით შეუტეს ავსტრიის მოკავშირე ბავარიის, ბადენის და სხვა სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს და 15 ივლისს დაიკავეს ქ. მაინის -ფრანკფურტი.

იტალიაში კი საომარი მოქმედებები ავსტრიის სასარგებლოდ ვითარდებოდა. ჯერ კიდევ 24 ივნისს ავსტრიელებმა კუსტოცასთან გაანადგურეს იტალიელთა 220

---

<sup>1</sup> E. В. Тарле, указ. Соч. с. 36

ათასიანი არმია. ხოლო 20 ივლისს იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სასტიკი მარცხი განიცადა ავსტრიელებთან შეტაკებისას ადრიატიკის ზღვაში, კუნძულ ლისასთან. მიუხედავად ავსტრიელთა წარმატებებისა იტალიაში, სადოვასთან დამარცხების შემდეგ, მათი მდგომარეობა დამძიმდა. ამასობაში, ჩრდილოეთიდან მოზღვავებული პრუსიის ჯარები ივლისის შუა რიცხვებისათვის აღწევენ ვენის მისადგომებს<sup>1</sup> და მთავარი შტაბ-ბინა გადატანილ იქნა მენზდორფის ციხესიმაგრეში, ე. ნიკოლსბურგში, 18 კმ დაშორებით ავსტრიის დედაქალაქიდან.

ბისმარკს ესმოდა, რომ ეს ომი ავსტრიასთან იყო უდიდეს რისკზე წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ბისმარკი არ გახლდათ მხედართმთავარი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მთელი ამ სამხედრო კამპანიის სულისჩამდგმელი ის იყო. ამასთანავე ეს ომი არ იყო პოპულარული, მას ძმათამკვლელ ომსაც უწოდებდნენ, მაგრამ, რაც მთავარია, ბრძოლა მოგებული იყო. და, ბისმარკმა გამოავლინა საოცარი გამჭირახობა და ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცე.

ბრძოლა მალე პრუსიელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. პრუსიელი გენერლები ვილჰელმ პირველის მეთაურობით ზეიმობდნენ წარმატებას, ხედავდნენ, რომ ახლა

---

<sup>1</sup> С. Б. Кан, указ. соч. с. 33.

უკვე გზა ვენისაკენ გათავისუფლდა, განადგურებულმა ავსტრიის არმიამ უკან დაიხია და თითქოს არაფერი უშლიდათ ხელს ავსტრიის დედაქალაქისკენ დაძრულიყვნენ. მიუხედავად ამისა, მეფისა და სამხედრო სარდლობისათვის მოულოდნელად ბისმარკმა განაცხადა, რომ ახლა აუცილებელი იყო დაუყოვნებლივ დაედოთ ზავი ავსტრიასთან. ამ ზავის თანახმად, პრუსიას არაფერი არ უნდა მოეთხოვა, გარდა ჰოლშტაინისა და პირობისა ავსტრიისაგან, არ ჩარეულიყო ჩრდილოეთგერმანულ სახელმწიფოთა საქმეებში. ამასთანავე, ავსტრიას უარი უნდა ეთქვა პრუსიის გარშემო გერმანიის გაერთიანების საქმეში ჩარევაზე. გენერლები გაოგნებულნი იყვნენ ბისმარკის მოულოდნელი წინადადებით ზავის დადების შესახებ და განაცხადეს, რომ ისინი ამას არ დაემორჩილებოდნენ. თავდაპირველად მეფეც გენერლებს მიემხრო. შედგა მძიმე, საშინელი სცენა მეფესა და ბისმარკს შორის. ბისმარკი ამბობდა, რომ პრუსიას ემუქრება საფრთხე, აუცილებელია ვისარგებლოთ იმით, რომ ავსტრიის ჯარები დაკავებულია სამხრეთით, გამოვიყენოთ მოპოვებული გამარჯვება, ავსტრიას ვუკარნახოთ ჩვენი პირობები, რომ ომის გაგრძელება გამოყენებული იქნება ნაპოლეონ მესამის მიერ საფრანგეთის ინტერესებში პრუსიის საწინააღმდეგოდ. ბოლოს მან მიმართა მეფეს, რომ თუ დაზავებას გადადებდა, მომავლის შედეგებზე პასუხისმგებლობას თავად იხსნიდა. მეფე შეშინდა.



მოითხოვა საწერკალამი და ქალაქი და მომავალი თაობისათვის სამახსოვროდ დაწერა: „ რადგან ჩემი მინისტრი მტოვებს მე მარტოდმარტო მტრის პირისპირ, ამიტომ ვეთანხმები მის აზრს“<sup>1</sup>.

26 ივლისს ავსტრიამ შეწყვიტა ბრძოლა და ხელი მოაწერა პრელიმინარულ საზავო ხელშეკრულებას ქალაქ ნიკოლსბურგში. პრუსიის მიერ ავსტრიაზე თავსმოხვეული ხელშეკრულება არ იყო მაინცდამაინც მძიმე. ბისმარკს ჰაბსბურგების დინასტიის გავლენის მოსპობა სურდა მხოლოდ გერმანიაში და მრავალი მიზეზის გამო არ უნდოდა ხელი შეეწყო ავსტრიის მრავალეროვანი იმპერიის დაშლისათვის. პირიქით, მას სურდა ავსტრიის დასაყრდენის შენარჩუნება სლავი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ასევე ბისმარკს კარგად ესმოდა, რომ ჰაბსბურგების ყოველგვარი სერიოზული დასუსტება აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთის პოზიციების გაძლიერებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, რაც მისთვის კიდევ ერთი მოტივი იყო იმისათვის, რომ არ მოეთხოვათ ავსტრიისგან ძალზე ბევრი.

---

<sup>1</sup> E. B. Тарле, указ. соч. с. 37. Otto von Bismarck, Dokumente seines Lebens (1815-1898), Hrsg von Heinz Wolter. Leipzig, 1996, s. 215.

როგორც აღვნიშნეთ, ბისმარკი სასწრაფოდ ზავის დადებას და ომის დამთავრებას ესწრაფვოდა, რომ დაესწრო საფრანგეთისათვის არ განეხორციელებინა დიპლომატიური ჩარევა ავსტრიის სასარგებლოდ. მან მართლაც მიაღწია ამას და 26 აგვისტოს პრავაში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ავსტრია სამუდამოდ ტოვებდა გერმანიის კავშირს. მის ნაცვლად შეიქმნა ე. წ. „ჩრდილოეთ გერმანიის“ კავშირი, პრუსიის ეგიდით. ამ კავშირის კონსტიტუცია, რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა დამფუძნებელმა რაიხსტრაგმა 1867 წლის დასაწყისში, თავს უყრიდა ხელისუფლებას კავშირის მემკვიდრეობითი „პრეზიდენტის“--პრუსიის მეფის ვილჰელმ პირველის ხელში 19 გერმანული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და 3 თავისუფალ ქალაქზე (ჰამბურგი, ბერმენი და ლუბეკი), რომლებიც მდებარეობდნენ მდინარე მაინის ჩრდილოეთით. ოთხი სამხრეთ გერმანული სახელმწიფო - ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი და ჰესენ დარმშტადტი- საფრანგეთის უშუალო ზეწოლით დროებითი კავშირის გარეთ დარჩნენ. მიუხედავად ამისა, მათ მალე დადეს „ჩრდილოეთ გერმანიის კავშირთან“ საიდუმლო შეთანხმება სამხედრო კავშირის შესახებ. საქსონიის სამეფომ შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, მაგრამ

მხოლოდ გარეგნულად, რადგან არსებითად პრუსიას ემორჩილებოდა<sup>1</sup>.

ავსტრიის იმპერატორმა, რომელსაც არ სურდა რაიმე დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონოდა იტალიასთან, ვენეცია ნაპოლეონ მესამეს აჩუქა, ხოლო ამ უკანასკნელმა ის გადასცა იტალიას. ამგვარად, ბრძოლებში დამარცხებულმა იტალიამ, ავსტრიის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, ასე თუ ისე, მაინც მიიღო ადრე დაპირებული ვენეციის ოლქი.

ჩრდილო გერმანული კავშირის მოსახლეობა 30 მილიონ კაცს აღწევდა, მაშინ, როცა უკვე აღნიშნულ სამხრეთ გერმანული საელმწიფოების მოსახლეობა კი 8 მილიონ ადამიანს შეადგენდა. საკუთრივ, პრუსიის ტერიტორია გაფართოვდა 1500 კვადრატული მილით, ხოლო მისი მოსახლეობა გაიზარდა 4,5 მილიონი მოსახლეობით, რადგან მას შეუერთდა ჰანოვერი, ნასაუ, ჰესენ-კასელი, მაინის ფრანკფურტი და სხვა გერმანული ოლქები.<sup>2</sup>

გერმანიის გაერთიანება მოხდა შემდეგ საწყისებზე: გერმანელი მონარქები რჩებოდნენ თავიანთ ადგილებზე. მათ დაუტოვეს ადგილობრივი პარლამენტები, როგორც იყო: ლანდტაგები, სეიმები, რომლებიც იქ ფუნქციონირებდნენ. მათ

---

<sup>1</sup> С. Б. Кан, указ. соч. с. 32.

<sup>2</sup> Там же, с. 33.

უნარჩუნდებოდათ შინაგანი ავტონომია. გაერთიანება მდგომარეობდა ხელისუფლების სამი უმაღლესი ცენტრალური გაერთიანებული ორგანოს შექმნაში: პირველი იყო რაიხსტაგი - ქვედა პალატა ჩრდილო - გერმანულ კავშირში შემავალი ყველა სახელმწიფოს მოსახლეობისაგან საყოველთაო არჩევნების საფუძველზე არჩეული სახალხო წარმომადგენელთა კრება, გარდა ბადენის, ბავარიის, ვიურტემბერგისა და ჰესენისა. რაიხსტაგი ამტკიცებდა ბიუჯეტს და განიხილავდა კანონპროექტს. ის შედგებოდა 297 დეპუტატისაგან, რომელთაც ირჩევდნენ მამაკაცები 21 წლის ასაკიდან<sup>1</sup>.

მეორე იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო - საკავშირო სეიმი, ზედა პალატა. ის შედგებოდა კავშირში შემავალი ყველა მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენლებისგან, კავშირის წევრი-ყოველი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. პრუსია საკავშირო სეიმში ნიშნავდა 43-დან 17 დელეგატს, დანარჩენი წვრილი სახელმწიფოები 1 ან 2 დელეგატს. ეს მეორე დაწესებულება შედგებოდა მოხელეებისგან, რომლებიც დანიშნული იყვნენ თავიანთი მთავრობების მიერ.

და ბოლოს, მესამე-ეს იყო, ჩრდილო-გერმანული კავშირის პრეზიდენტი. კონსტიტუციის მიხედვით, ეს

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 76.

თანამდებობა წარმოადგენდა მემკვიდრეობითს და პრუსიის მეფეთა პრეროგატივა გახლდათ. პრუსიის მეფე ამავედროულად, იყო ჩრდილო-გერმანული კავშირის პრეზიდენტი<sup>1</sup>.

პრეზიდენტს საკმაოდ ფართო უფლებები ჰქონდა მინიჭებული. ის წარმოადგენდა მოკავშირე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების მეთაურს. აცხადებდა ომს, დებდა ზავს. ის წარმართავდა საგარეო პოლიტიკას. ნიშნავდა მინისტრებს და კავშირის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირს-კანცლერს. პრეზიდენტს ჰქონდა ვეტოს უფლება ორივე საკანონმდებლო პალატის-საკავშირო საბჭოსა და რაიხსტაგის გადაწყვეტილებათა მიმართ. მის კომპეტენციაში შედიოდა ასევე პალატის მოწვევა და დათხოვნა.

კავშირის პრეზიდენტის შემდეგ ყველაზე გავლენიან ფიგურას კანცლერი წარმოადგენდა, რომელიც მუდმივად თავმჯდომარეობდა ზედა საკანონმდებლო პალატაში-საკავშირო საბჭოში, რომლის უშუალო ფუნქციას კანონების მიღება შეადგენდა<sup>2</sup>. 1867 წლის 14 ივლისს ბისმარკი საკავშირო კანცლერად დაინიშნა. 1866 წელს ძლევამოსილმა ომმა და

---

<sup>1</sup> E. B. Тарле, указ. соч. с. 45-46.

<sup>2</sup> ვაჟა ზოჩია, ბისმარკი და გერმანიის პრობლემა (1862-1882), თბ., 2011, გვ.75-76.

გერმანიის უდიდესი ნაწილის გაერთიანებამ პრუსიაში საკონსტიტუციო კონფლიქტის გაუქმება გამოიწვია. ოპოზიციური ბურჟუაზიის უმეტესი ნაწილი ბისმარკს შეურიგდა. 1867 წლის არჩევნებზე პროგრესისტების ორად გაითიშულმა პარტიამ დამარცხება განიცადა. ხმების უმრავლესობა ახალმა, 1867 წელს შექმნილმა, ნაციონალურ-ლიბერალურმა პარტიამ მიიღო, რომელმაც მხარი ბისმარკის მთავრობის პოლიტიკას დაუჭირა. ავსტრიელებზე გამარჯვების შემდეგ პრუსიის მეფემ ბისმარკს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა და ის დანიშნა ლანდვერის მძიმე კავალერიის მეშვიდე პოლკის შეფად. ამან უბრალო ოფიცერი (ბისმარკი) გამოიყვანა უხერხულობიდან, ყვეფჩი პრუსიელი გენერლების თვალში.<sup>1</sup>

ასე დამთავრდა ბისმარკის დიპლომატიის მიერ მომზადებული მეორე ომი- პრუსია- ავსტრიის ომი, რომლის მიზანი იყო გერმანიის გაერთიანება პრუსიის მეთაურობით და რომელიც წარმატებით დასრულდა. დასრულდა იგი ჩრდილო გერმანიის კავშირის შექმნით, სადაც დომინანტი, რასაკვირველია, პრუსია იყო.

როგორც პირველმა ომმა (1864 წელს დანიის წინააღმდეგ) ლოგიკური აუცილებლობით გამოიწვია მეორე ომი (1866 წელს

---

<sup>1</sup> იქვე, გვ.75

ავსტრიის წინააღმდეგ), ისე ამ მეორე ომმაც, ბუნებრივად, გამოიწვია მესამე ომიც (1870-1871) საფრანგეთის წინააღმდეგ.

ბისმარკი ისევ ომისთვის ემზადებოდა, რადგან ის თვლიდა, რომ მის მიერ დასახული გეგმები ჯერ კიდევ დაუსრულებელი იყო. თუმცა მოქმედებდა ძალიან ფრთხილად. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ძლევამოსილი ომით შეიძლებოდა ბადენის, ბავარიის, ჰესენის, ვიურტენბერგის - ამ სამხრეთ გერმანული სახელმწიფოების იძულება შესულიყვნენ ჩრდილო-გერმანულ კავშირში და ამ კავშირის გადაქცევა გერმანიის იმპერიად. ეს აზრი ბისმარკში მწიფდებოდა თანდათანობით, დაწყებული 1867 წლიდან. ამიტომ იყო ასე დაძაბული, ყურადღებით რომ ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას. ხოლო ვითარება ევროპაში იმ დროისათვის ასე გამოიყურებოდა: ინგლისის მთავრობა, პრემიერის გრაფ დერბის და საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ სტენლის სახით, ვერაფერ სასარგებლოს ვერ ხედავდნენ პრუსიის აღზევების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, პრუსია, მათი აზრით, წარმოადგენდა საფრანგეთის ძლიერების საპირწონე ძალას. გამალებული სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობდა სუეცის არხის გაყვანასთან დაკავშირებით, ფრანგი ლესეპსის უშუალო ხელმძღვანელობით, ძალიან აწუხებდა და აღიზიანებდა ინგლისელებს. დერბიც და სტენლიც, ასევე ინგლისის წამყვანი პრესა ამ ფრანგულ წამოწყებაში ხედავდა

გარკვეულ საფრთხეს ინდოეთისათვის. ყველაფერი ეს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის დაძაბულობას იწვევდა, ბისმარკი კი ხედავდა, რომ, ამ მხრივ, ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა პრუსიისათვის.

რუსეთთან ურთიერთობა ბისმარკისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო. გორჩაკოვი გარკვეული შეშფოთებითაც კი ადევნებდა თვალყურს პრუსიის დიპლომატიის წარმატებებს. სადოვასთან პრუსიის გამარჯვებამ რამდენადმე შეაცბუნა რუსული სამხედრო წრეები. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რუსეთის სახელმწიფოს მმართველი წრეები დაინტერესებული იყვნენ საფრანგეთის დასუსტებაში, რაც მათ მისცემდა შესაძლებლობას საჩქაროდ განთავისუფლებულიყვნენ 1856 წლის პარიზის დამამცირებელი ზავის პირობებისაგან, რომლის თანახმადაც (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი) რუსეთს ეკრძალებოდა ჰყოლოდა სამხედრო საზღვაო ფლოტი შავ ზღვაზე. ყველაფერი ეს იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ყველაზე ძლიევამოსილი სახელმწიფოები - რუსეთი და ინგლისი პრუსიასა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში არ იქნებოდნენ ამ უკანასკნელის მხარეზე.

ყველაზე მძიმე და რთულ საქმეს ბისმარკისათვის მაინც საფრანგეთის იმპერატორთან ახალი ურთიერთობების დალაგება წარმოადგენდა, რადგან სადოვასთან ბრძოლის



შემდეგ ურთიერთობა საფრანგეთთან არც თუ სასურველ დონეზე დარჩა. ამაში ეჭვი არც პრუსიის მინისტრს და არც ნაპოლეონ მესამეს ეპარებოდა. 1866 წლის ბოლოსა და 1867 წლის დასაწყისში ნაპოლეონ მესამემ თითქოსდა გერმანიაში მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესისადმი თანაგრძნობისა და ავსტრია-პრუსიის ომში ჩაურევლობისათვის, დაჟინებით მოითხოვა ტერიტორიული კომპენსაციები, მაგრამ ბისმარკმა გადაწყვიტა არაფერი მიეცა საფრანგეთისათვის.

გრაფი ბენედეტი, საფრანგეთის ელჩი ბერლინში, 1866 წლის 16 აგვისტოს გამოცხადდა ბისმარკთან, რომ მიეღო პრუსიის მთავრობისგან თანხმობა საფრანგეთის მიერ ლანდაუს, საარბრიუკენის ლუქსემბურგისა და ბელგიის შემოერთების შემთხვევაში<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ელჩმა ბისმარკისგან სრული პასუხი ვერ მიიღო. ბისმარკი, თვის მხრივ, ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ეს საკითხი საყოველთაო გახმაურებულ საქმედ ექცია და ინგლისის და რუსეთს უკმაყოფილება გამოეწვია. საბოლოოდ კი ინტრიგები საფრანგეთის წინააღმდეგ თვისი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა. მიუხედავად წარუმატებლობისა, ნაპოლეონ მესამეს არ სურდა ხელი აეღო ლუქსემბურგზე. გარკვეული პაუზის შემდეგ, რომელიც

---

<sup>1</sup> История дипломатии, т.1, с. 507

რამდენიმე თვე გრძელდებოდა, მან ეს საკითხი - კომპენსაციების შესახებ, ისევ წამოწია<sup>1</sup>. ლუქსემბურგის საკითხი კიდევ ერთი დრამატული შეცდომა იქნება საფრანგეთის დიპლომატიისათვის. 1867 წლის დასაწყისში ნაპოლეონ მესამის მთავრობამ მიაღწია ჰოლანდიის მთავრობის მხრიდან პრინციპულ თანხმობას, მოეხდინა ლუქსემბურგის საჰერცოგოს ანექსია. მაგრამ მის ტერიტორიაზე პრუსიის გარნიზონი იდგა. პარიზის გაზეთი „Siecle“ აცხადებდა, რომ საფრანგეთი ვერ მოითმენდა ლუქსემბურგში პრუსიის გარნიზონის ყოფნას, რადგან ლუქსემბურგი უშუალოდ საფრანგეთს ეკვროდა. უფრო მკვეთრი ტონით გამოდიოდა გაზეთი „Liberte“, ის მოუწოდებდა პრუსიას გამოეყვანა ჯარი ლუქსემბურგიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა, რადგან საფრანგეთი თავისი ღირსების ამგვარად შეურაცხყოფას ვერ მოითმენდა<sup>2</sup>.

საგაზეთო პოლემიკაში არც პრუსია ჩამორჩებოდა და ისიც ასევე მუქარით პასუხობდა. ბისმარკი სხვაგვარად ფიქრობდა. ამჯერად, მას ომი არ სწადდა, რადგან თვლიდა, რომ სიტუაცია პრუსიისათვის არ იყო ხელსაყრელი. ამიტომ შეეცადა ნიდერლანდების მეფეს უარი ეთქვა ფრანგებისთვის

---

<sup>1</sup> Там же .

<sup>2</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 79.

ლუქსემბურგის მიყიდვაზე და შეძლო კიდევ. საბოლოოდ ლუქსემბურგის საკითხი გადაწყდა დიდი სახელმწიფოების ლონდონის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1867 წლის 7-11 მაისს. კონფერენციის გადაწყვეტილებით, პრუსიას ჯარი უნდა გაეყვანა ლუქსემბურგიდან. ამ უკანასკნელის ნეიტრალიტეტის გარანტია საკუთარ თავზე აიღეს ევროპის სახელმწიფოებმა<sup>1</sup>.

ამის შემდგომ პერიოდში, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში მთავრობების უშუალო მითითებით გაშლილი იყო კამპანია, რათა მოემზადებინათ საზოგადოებრივი აზრი, რომ ომი გარდაუვალი იყო. მას შემდეგ რაც პრუსიამ სამხედრო სამზადისი დაასრულა, ბისმარკს საფრანგეთთან ომის დასაწყებად, მხოლოდ საბაზის პოვნა ესაჭიროებოდა.

1868 წლის შემოდგომაზე ესპანეთში მოხდა რევოლუცია. დედოფალი იზაბელა ქვეყნიდან გაიქცა. კორტესებმა (ესპანეთის პარლამენტი) დაადგინა, ესპანეთს უნდა შეენარჩუნებინა მონარქიულ-კონსტიტუციური და არა რესპუბლიკური მმართველობის ფორმა. აქედან გამომდინარე, ეს წინადადება მათ შესთავაზეს პრინც ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნსს. პრინცი თანახმა იყო დაეკავებინა ესპანეთის ტახტი იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თნხმობას განაცხადებდა

---

<sup>1</sup> იქვე. გვ.80.

ჰოჰენცოლერნების გვარის მეთაური ვილჰელმ პირველი. ლეოპოლდი, აგრეთვე, მოითხოვდა ეცნობებინათ ეს ნაპოლეონ მესამისათვის. ვილჰელმ პირველის მიერ თანხმობის მიცემის შემდეგ, ამის შესახებ ეცნობა საფრანგეთის ელჩს, მისი მეშვეობით კი ნაპოლეონ მესამეს. ამ უკანასკნელმა კი მტკიცე პროტესტი განაცხადა. მიზეზი კი ის იყო, რომ ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნი გახლდათ შორეული ნათესავი ვილჰელმ პირველი ჰოჰენცოლერნისა და ნაპოლეონ მესამემ ამაში (მის არჩევაში) დაინახა კარლოს მეხუთის იმპერიის აღდგენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს, მისი აზრით, იყო იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-15 საუკუნეში, როდესაც ესპანეთის მეფე იყო ერთდროულად გერმანიის იმპერატორიც. მაშინ საფრანგეთი ორივე მხრიდან გარშემორტყმული იყო მტრებით, რომლებიც ერთ ხელისუფალს ემორჩილებოდნენ. იმ დროს, საფრანგეთის მეფე ფრანცისკ პირველი მუდმივად იბრძოდა კარლოს მეხუთის წინააღმდეგ<sup>1</sup>. ამიტომ ნაპოლეონ მესამეს დაუშვებლად მიაჩნდა ერთი და იგივე დინასტია ჰოჰენცოლერნებისა ასულიყო გერმანიისა და ესპანეთის ტახტზე, რაც საფრანგეთს საფრთხეს შეუქმნიდა ორივე მხრიდან, მით უმეტეს, იმ დროისათვის

---

<sup>1</sup> E.B.Тарле, указ. соч. с. 51.Rudolf Augstein, Otto von Bismarck, (1815-1898), Die deutschen Kanzler. Hrsg von Wilhelm von Sternburg, Berlin, 1998,с. 23.

რუმინეთში უკვე მეფობდა ლეოპოლდის ღვიძლი ძმა - კარლ ჰოჰენცოლერნი. ამდენად, ურთიერთობამ საფრანგეთსა და პრუსიას შორის მწვავე ხასიათი მიიღო. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ნაპოლეონ მესამე ომითაც კი იმუქრებოდა, რომელსაც მხარი საფრანგეთის (ფრანგულმა) პრესამაც დაუჭირა.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ვილჰელმ პირველმა გადაწყვიტა გამოეყენებინა მთელი თვისი გავლენა, რომ ეს ინციდენტი მშვიდობიანად აღმოეფხვრა. მან მიმართა ლეოპოლდის მამას ანტონ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენს, უარი ეთქვათ შემოთვაზებულ ესპანეთის ტახტზე, რაც მათ გააკეთეს კიდეც და ამის შესახებ აცნობეს პარიზში, რომელიც შემდგომ საფრანგეთის პრესამაც გააჟღერა.

თითქოსდა კონფლიქტი უნდა ამოწურულიყო, მაგრამ თავი იჩინა ნაპოლეონ მესამისა და მმართველი წრეების გონებრივმა შეზღუდულობამ და უგუნურობამ. მათ შორის არ აღმოჩნდა გონიერი მრჩეველი, ნამდვილი პოლიტიკური მოღვაწე. გამომდინარე აქედან, იმპერატორის კარზე იყვნენ მხოლოდ მლიქვნელები, ლაქიები, სამეფო კარის ხროვა, რომლებიც, პირიქით, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ იმპერატორი იმაში, რისკენაც თვითონ მიისწრაფოდა.

1870 წლის 12 ივლისს შედგა საფრანგეთის მთავრობის სხდომა ნაპოლეონ მესამის თავმჯდომარეობით. სხდომაზე

მიიღეს გადაწყვეტილება მოეთხოვათ ვილჰელმ პირველისგან კიდევ უფრო დამაჯერებელი პასუხი ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნის კანდიდატურის თიბაზე. თავისთვად ეს არადიპლომატური და, აგრეთვე, ერთობ პროვოკაციული ნაბიჯი რისკის შემცველიც კი იყო, რომელსაც ისინი ანგარიშს არ უწევდნენ. დედოფალი ევგენია, სამხედრო მინისტრი მარშალ ლებეფი და საგარეო საქმეთა მინისტრი გრამონი პრუსიასთან ომის დაწყებას უჭერდნენ მხარს. პრემიერ-მინისტრი ემილ ოლივიე კი, საერთოდ, არ ეწინააღმდეგებოდა თავისი კოლეგების მეომრულ განწყობილებას<sup>1</sup>.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ელჩს ბერლინში, ბენედეტს, დაევალა გამგზავრებულიყო საკურორტო ქალაქ ემსში, სადაც ისვენებდა პრუსიის მეფე და განეცხადებინა ვილჰელმ პირველისთვის, რომ საფრანგეთი მისგან მოითხოვდა მომავალშიც არ დათანხმებოდა ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნის მიერ ესპანეთის ტახტის დაკავებას.<sup>2</sup> მოთხოვნა აშკარად პროვოკაციული ხასიათის მატარებელი იყო. ნათლად ჩანდა, რომ საფრანგეთში ყოველმხრივ ცდილობდნენ ეპოვათ მიზეზი ომის დაწყებისათვის. 13 ივლისს, დილით, ბენედეტი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გრამონის დავალებით

<sup>1</sup> История дипломатии, т. II, М., с.738 .

<sup>2</sup> там же.

ეწვია ვილჰელმ პირველს საკურორტო ქალაქ ემსის სამეფო რეზიდენციაში. მეფე შეხვდა ბენედეტს იმ დროს, როცა ის ბაღში სეირნობდა გაზეთით ხელში. გაზეთში მოთავსებული იყო სტატია პრუსიასა და საფრანგეთს შორის წარმოშობილ უთანხმოებაზე. მან თავაზიანად გაუწოდა გაზეთი საფრანგეთის ელჩს და თან დასძინა აშკარა კმაყოფილებით, რომ ძალიან მოხარული იყო საკითხის სრული მოგვარებით, მაგრამ, როდესაც პარიზიდან მიღებული დავალების თანახმად, ბენედეტმა ვილჰელმ პირველს გადასცა საფრანგეთის მთავრობის ახალი მოთხოვნები, მეფემ ამაზე უპასუხა, რომ ამგვარი თავდებობის მიცემა მას შეუძლებლად მიაჩნდა და მოლაპარაკებებს ამჯერად დასრულებულად თვლიდა. როგორც კი ბენედეტი წავიდა, ვილჰელმ პირველმა წაიკითხა საფრანგეთში პრუსიის ელჩის ვერთერის მოხსენებითი ბარათი. ელჩი იტყობინებოდა, რომ საფრანგეთის მთავრობა მეფისაგან წერილობით გარანტიას მოითხოვდა. ვილჰელმ პირველი ამ ცნობით დიდად შეურაცხყოფილი დარჩა და, როდესაც იმავე დღეს, 13 ივლისს, საღამოს ბენედეტი ისევ ეწვია მეფეს აუდიენციაზე, ის უარით გაისტუმრეს<sup>1</sup>. 14 ივლისს ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს მაშინ, როდესაც მეფე მიემგზავრებოდა ემსიდან. ბენედეტი სპეციალურად მივიდა სადგურზე, რომ

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 79.

ენახა იგი. ვილჰელმ პირველს არ შეეძლო ვაგონში შესვლა ელჩის გვერდის ავლით. მეფემ ისევ გაუძეოდა ბენედეტის, რომ იმაზე მეტის თქმა, რაც მან უკვე განუცხადა მას არ შეუძლია და, მოლაპარაკებები ამ საკითხზე გაგრძელდება არა მათ შორის, არამედ მათ მთავრობებს შორის ბერლინში.<sup>1</sup> ვილჰელმ პირველმა მასთან მყოფ საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველს ფონ აბეკენს უბრძანა წერილობით გადმოეცა იმ დღის მოვლენები ემსში და დეპეშით ეცნობებინა ბისმარკისთვის ბერლინში, რომ კანცლერი საქმის კურსში ყოფილიყო.<sup>2</sup>

ბისმარკი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბენედეტისა და პრუსიის მეფეს შორის მოლაპარაკებებს ემსში. ის ნათლად ხედავდა, რომ ფრანგები აშკარა პროვოკაციაზე მიდიოდნენ, ხოლო ვილჰელმ პირველს ომის გაჩაღება არ უნდოდა და მზად იყო დამცირებაც აეტანა. უკვე ეპანეთის ტახტზე უარის თქმას ლეოპოლდის მხრიდან ის პრუსიის დამარცხებად თვლიდა. ამდენად, ემსში მიმდინარე მოლაპარაკებებმა აღშფოთება გამოიწვია.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Т.А. Ротштейн, Из истории Пруско-Германской империи, М-Л. 1948, с.144.

<sup>2</sup> История дипломатии, т.1, с. 515-516.

<sup>3</sup> там же.



13 ივლისს სადამოს ბისმარკმა თავისთან მიიწვია გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ჰელმუტ მოლტკე და სამხედრო მინისტრი ალბრეხტ ფონ როონი, რათა ეცნობებინა მათთვის თავისი გადადგომის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მეფე არ შეიცვლიდა თავის პოზიციას და მხარს არ დაუჭერდა ბისმარკს მოქმედებებში საფრანგეთის პროვოცირება გამოეწვია.<sup>1</sup> ბისმარკს აშკარად დიდი იმედი ჰქონდა, რომ როონი და მოლტკე, რომლებიც დიდი ხანია მისწრაფოდნენ ომისაკენ საფრანგეთთან, მას სრულ მხარდაჭერას გამოუცხადებდნენ. მათ შორის თავიდანვე არსებობდა მტკიცე ურთიერთობა და ერთსულოვნება. ამდენად, მილიტარისტული ტრიუმვირატი მთლიანად აღდგენილი იყო.<sup>2</sup> იმ დროს, როდესაც სამივე თანამოსაუბრე მაგიდას უსხდა, ქლაქ ემსიდან მოვიდა აბეკენის სასწრაფო დეპეშა, სადაც მოცემული იყო შეყობინება ვილჰელმ პირველის ბენედექთან მოლაპარაკების შესახებ და მეფის პასუხი

---

<sup>1</sup> ძალიან საეჭვოა, რომ გრანდიოზული გეგმების მქონე, პატივმოყვარე და გაქნილი პოლიტიკოსი ბისმარკი ასე იოლად წასულიყო პოლიტიკური ასპარეზიდან. ეს უდავოდ მისი მორიგი ჩვეული ფანდი გახლდათ, რითაც ის ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა პრუსიის მეფე.

<sup>2</sup> А.С. Ерусалимский, указ. Соч. С. 72. Otto von Bismarck, Dokumente seines lebens(1815-1898), Hrsg von Heinz Wolter. Leipzig,1996, s.212, 249.

მოლაპარაკებების ბერლინში გაგრძელების თაობაზე. მიღებულმა ცნობამ სამივე დააღონა. აქედან გამომდინარე, ისინი გაუგებრობამ და გულგატეხილობამ მოიცვა. ნათლად ხედავდნენ, რომ ამ გაუგონარ შეურაცხყოფაზეც კი მეფე ღირსეულად არ რეაგირებდა, რომ ის ლაპარაკობდა რაღაც საუბრის გაგრძელებაზე, როცა პროვოკაცია ასე ცხადი და აშკარა იყო<sup>1</sup>. ბისმარკს იმ ღამესვე უნდა ეცნობებინა პრესისთვის დეპეშის შინაარსი, რადგან მთელი ევროპა ელოდა ამ ინფორმაციას. სანამ ბისმარკი პრესისთვის მოამზადებდა ტელეგრამას, მან კითხვით მიმართა ფონ როონს და მოლტკეს, იყო თუ არა პრუსიის არმია საფრანგეთთან ომისათვის მზად, შეიძლებოდა თუ არა დარწმუნებული ყოფილიყვნენ გამარჯვებაში. როდესაც ორივემ უპასუხა, რომ შეიძლებოდა, ბისმარკმა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ფრანგული პროვოკაციისათვის პროვოკაციითვე პასუხის გაცემა, რომელიც ომს გარდაუვალს გახდიდა<sup>2</sup>. მან იქვე შეამცირა დეპეშის ტექსტი, უყოყმანოდ წაშალა ყველა ის ადგილი, სადაც იყო ნათქვამი, რომ ბენედეტი ითხოვდა ახალ აუდიენციას მეფესთან და დეპეშის ტექსტიდან დატოვა მხოლოდ თავი და

---

<sup>1</sup> E.B.Тарле, указ. Соч. С. 53.

<sup>2</sup> там же, с.53. Otto von Bismarck, Dokumente seines lebens(1815-1898), Hrsg von Heinz Wolter. Leipzig,1996, s.249-250.

ბოლო. ამ „შემოკლების“ შედეგად ტექსტიდან სრულიად გაქრა მეფის სიტყვები, მის მიერ თქმული რკინიგზის სადგურზე გრაფ ბენედეტისათვის, რომ მოლაპარეკებები გაგრძელდებოდა ბერლინში. ამგვარი ცვლილებების შეტანის შემდეგ დეპეშის ტექსტის შინაარსი შეურაცხმყოფელი ხასიათის გახდა. გამოდიოდა, თითქოს ნაპოლეონ მესამის ელჩს, აუდიენცია რომ მოითხოვა ვილჰელმ პირველთან, უარი უთხრეს და ადიუტანტის მემწეობით კარებზე მიუთითეს.<sup>1</sup> ეს გადაკეთებული ტექსტი ბისმარკმა თავის სტუმრებს წაუკითხა. ისინი ძალზედ აღაფრთოვანა ბისმარკის ეშმაკობამ. „ეს უკვე სხვა ტონია, - წამოიძახა მოლტკემ, - ადრე ის ჟღერდა როგორც უკანდახევა, ახალა კი როგორც გამოწვევა“.<sup>2</sup>

ამის შემდეგ ეს ცნობილი ემსის დეპეშის ფალსიფიცირებული ტექსტი ბისმარკმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა. საქმე უკვე გაკეთებული იყო, ბისმარკმა და ნაპოლეონმა მიიღეს ის, რისკენაც ორივე ერთად მიისწრაფოდა. ომი გარდაუვალი გახდა. მხოლოდ ერთი განსხვავებით, ბისმარკმა და მისმა დიპლომატიამ თავის მიზანს მიაღწია: ემსის დეპეშის გაყალბებით მან ნაპოლეონის პროვოცირება მოახდინა, ამ უკანასკნელმა კი პრუსიას ომი

<sup>1</sup> История дипломатии, т.1, с. 516.

<sup>2</sup> Отто Бисмарк, указ. Соч. с. 429.

გამოუცხადა. 14 ივლისს მიღებული ცნობა, ბისმარკის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს იყო „წითელი ცხვირსახოცის აფრიალება გალიელი ხარისათვის“<sup>1</sup>.

ემსის დეპეშის ტექსტის დამახინჯების ფაქტი დიდხანს საიდუმლოს წარმოადგენდა. ასევე საიდუმლოდ რჩებოდა მისი როლიც საფრანგეთ-პრუსიის ომის გაჩაღებაში. მიუხედავად ამისა, სიმართლეს ფარდა აეხადა სრულიად მოულოდნელად. მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში კარლ ლიბკნეხტის<sup>2</sup> რედაქტორობით გამოშვალ გაზეთში „ფოლკსშტაატ“ დაიბეჭდა სტატიები ვარაუდით, რომ ბისმარკი დამნაშავე იყო ომის პროვოცირებასა და ემსის დეპეშის ფალსიფიცირებაში. 1891 წელს კარლ ლიბკნეხტმა დამატებითი მასალების საფუძველზე გამოაქვეყნა ბროშურა „ემსის დეპეშა ანუ როგორ წარმოიშვა ომები“, რომელიც ფარდას ხდიდა ომების წარმოშობის ტექნოლოგიას. ერთი წლის შემდეგ კი, ბისმარკის მემკვიდრემ კანცლერის პოსტზე, ფონ კაპრივმა

---

<sup>1</sup> E. B. Tarle, указ. соч. с. 54

<sup>2</sup> კარლ ლიბკნეხტი, (1871-1919) გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

რაიხსტაგის ტრიბუნიდან წაიკითხა აბეკენის დეპუტის წამდვილი ტექსტი<sup>1</sup>.

15 ივლისს საფრანგეთის მთავრობა გამოდის საკანონმდებლო კორპუსში სამხედრო კრედიტების მოთხოვნით და განცხადებით მომავალი ომის შესახებ. დეპუტატებმა - როგორც მთავრობის მომხრეებმა, ისე ოპოზიციაში მყოფებმა, - ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, დიდი უმრავლესობით, ხმა მისცეს კრედიტებს და მოიწონეს პრუსიისათვის ომის გამოცხადება, რომელიც ფორმალურად გაცხადდა 1870 წლის 19 ივლისს.

ომი საფრანგეთისათვის დაიწყო ყოველმხრივ წამგებიან პირობებში და, პირიქით, მისი მოწინააღმდეგისათვის კი ყოვლად ხელსაყრელ გარემოებებში. ნაპოლეონ მესამის დიპლომატიამ ყოვლად უპასუხისმგებლო მაპროვოცირებელი მოქმედებით ჩაითრია თავისი ქვეყანა სამხედრო კონფლიქტში ისე, რომ ვერ უზრუნველყო ომის წარმართვა მოკავშირეების გარეშე. საფრანგეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა ომის საწარმოებლად. ქვეყანას სამხედრო-ტექნიკური გადაიარაღება არ ჰქონდა დასრულებული, ამასთანავე საბრძოლო მასალებისა და აღჭურვილობის ნაკლებობას აშკარად განიცდიდა. ამას თან ერთვოდა სამხედრო ხელმძღვანელობის უგერგილო და

---

<sup>1</sup> В.В. Чубинский указ. Соч. с. 246-247

უხირო მოქმედებები, რამაც პირველივე საომარ შეტაკებებში იჩინა თავი.

ფრანგების სამხედრო ოპერაციის პირვანდელი გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: ქალაქ მეცთან, ლოტარინგიაში, თავი უნდა მოეყარა 150 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ, ასევე სტრასბურგში, ალზასში-მეორე 100 ათასიან არმიას და ამ ძალებით შეჭრილიყვნენ სამხრეთ გერმანიაში. ხოლო მესამე არმია უნდა დარჩენილიყო ქალაქ შალონთან, ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრისა და პარიზის დასაცავად<sup>1</sup>.

29 ივლისს ნაპოლეონ მესამე ჩავიდა ქალაქ მეცში, რათა საკუთარ თავზე აეღო მთავარი სამხედრო ხელმძღვანელობა და სასწრაფოდ გადასულიყო შეტევაზე. საუბედუროდ, ადგილზე დახვდა<sup>2</sup> ქაოსი და არმიის სრული მოუზნადებლობა შეტევისათვის. აქედან გამომდინარე, მან მეორე დღესვე, ერთი კვირით გადადო გერმანიაში შეჭრის ვადა, ხოლო მომდევნო დღეს, საერთოდ, გააუქმა მეცისა და სტრასბურგის არმიების თავდაპირველი დისლოკაციის გეგმა. ნაპოლეონმა არსებული ძალები დაყო რვა ჯგუფად და განალაგა მთელ ხაზზე, მათ ძირითად პუნქტებს შორის ნებისმიერ უბანზე პროუსიელთა შემოტევის უკუსაგდებად.

---

<sup>1</sup> Ф.А Ротштейн, указ. Соч. с. 152.

ლუქსემბურგ-შვეიცარიის საზღვრის გასწვრივ გაჭიმულ ფრანგულ ჯარს გერმანიამ სამი არმია დაუპირისპირა: პირველი არმია 50000 ათასი ჯარისკაცით იდგა ჩრდილოეთით. მეორე არმია, 135 ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი-ცენტრში და მესამე, 125 ათასიანი -კი სამხრეთში<sup>1</sup>. სამხედრო მეთაურების საერთო მოქმედებას ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა მოლტკე.

სამხედრო კამპანიის პირველი პერიოდის ბედი, თუ არა მთელი კამპანიისა, წინასწარვე იყო გადაწყვეტილი. 2 აგვისტოს ნაპოლეონ მესამემ წამოიწყო სრულიად უსარგებლო, უშედეგო და სახიფათო შეტევა ქალაქ საარბრიუკენზე, ორი დივიზიის გამოყენებით, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი ქვეითი ბატალიონი და ცხენოსანთა ორი ესკადრონი დახვდა, რომლებმაც გეგმისდა მიხედვით სასწრაფოდ დაიხიეს უკან, მიატოვეს რა ფრანგები ხიდზე გაჩერებული ქალაქის შუაგულში, უმოქმედოდ, უმიზნოდ. ამის შემდეგ ორ დღეში გერმანელები გადავიდნენ მდინარე რაინზე, ჭარბი ძალებით შეუტყეს მოწინააღმდეგეს ქალაქ ვისემბურგთან და დაამარცხეს. ესეც არ აკმარეს, გათამამებულმა გერმანელებმა ისევ ორ დღეში ვერტთან და შპიჰერნთან შეტევის დროს არანაკლებ დააზარალეს ფრანგები, აიყვანეს მრავალი ტყვე და ხელში ჩაიგდეს დიდძალი

---

<sup>1</sup> ვ. ზოჩია, დასახ. ნაშრ. გვ.95

სამხედრო ნადავლი<sup>1</sup>. ამდენად, პრუსიის არმიის უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაანადგურეს ფრანგი მხედართმთავრის გენერალ მაკ-მაჰონის ჯარი, სულ უფრო ღრმად შეიჭრნენ საფრანგეთის სიღრმეში და დაიკავეს ალზასი და ლოტარინგია.

ფრანგების პირველმა დამარცხებებმა შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო პარიზში, არამედ მთელს ევროპაში, რადგან, პირიქით, ყველა მოელოდა ნაპოლეონის გამარჯვებას. ნაპოლეონ მესამე იძულებული შეიქმნა უმადლესი სარდლობა მარშალ ბაჟენისათვის გადაეხარებინა. თვითონ ქალაქ მეციდან ქალაქ შალონში გაემგზავრა. მარშალმა ბაჟენმა, როგორც კი აიღო სარდლობა ხელში 16 და 18 აგვისტოს ორჯერ სასტიკი დამარცხება განიცადა მარს-ლა-ტურესა და გრაველოტესთან, შესაბამისად, იძულებული შეიქმნა უკან დაეხია და ჩაკეტილიყო ქალაქ მეცის ციხესიმაგრეში, სადაც გერმანელებმა ალყაში მოაქციეს.

მარშალი მაკ - მაჰონი თავისი ჯარით ქალაქ სედანის ციხესიმაგრეში იმყოფებოდა, ჩრდილოეთით, ბელგიის საზღვართან და იქიდან 90 ათასიანი არმიით ცდილობდა დახმარებოდა მარშალ ბაჟენს. გერმანელები მიხვდნენ მის განზრახვას, 150 ათასიანი არმიით გზა გადაუკეტეს და I

---

<sup>1</sup> Ф.А. Роштин, указ. соч. с. 153.



სექტემბერს ქალაქ სედანთან გენერალური ბრძოლა გაუმართეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა და თვით ქალაქშიაც კი შეაღწია. ბრძოლაში მონაწილეობდნენ როგორც ქვეითი ჯარის ნაწილები, ისე ცხენოსნები. ფრანგების გმირული და თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად, გერმანიის არმიის უპირატესობა უდავო იყო, ამიტომ კიდევ გაიმარჯვეს მძაფრ შეტაკებებში. ფრანგებს დიდი ზიანი მიაყენა გერმანიის არტილერიამ, რომლის მთავარ გამანადგურებელ ძალას ზარბაზნები წარმოადგენდა. მაკ-მაჰონის ჯარი სასტიკად დამარცხდა და ბელგიის საზღვართან აღმოჩნდა მომწყვდეული. ნაპოლეონ მესამემ, რომელიც არმიასთან ერთად, ქალაქ სედანში იმყოფებოდა, დაკარგა რა თავის გადარჩენის იმედი, 2 სექტემბერს სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, ბრძანა დაეყარათ იარაღი და ტყვედ ჩაბარდა გერმანელებს. ორივე მოწინააღმდეგე მხარემ საკმაოდ ჭარბი სამხედრო ძალა გამოიყვანა. პრუსიის არმია, რომელიც გემანული კავშირის საჯარისო ნაწილების ძირითად ბირთვს წამოადგენდა, სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობით გამოირჩეოდა, ვიდრე საფრანგეთის საჯარისო შენაერთები. ამასთანავე, პრუსიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა და მთლიანად გენერალიტეტი თავისი ცოდნით, გამოცდილებით, პროფესიონალიზმით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე

საფრანგეთის შესაბამისი სამხედრო უწყება. გერმანიის გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული და განხორციელებული სამხედრო სტრატეგიული და ოპერატიული მოქმედებები, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, კარგად მომზადებული, უაღრესად კვალიფიციური და წარმატებული იყო. რაც შეეხება სამხედრო საზღვაო ფლოტის შეიარაღებას აქ საფრანგეთს უპირატესობა გააჩნდა, მაგრამ სამხედრო ბრძოლების მთავარ ასპარეზს ხმელეთი წარმოადგენდა და ამიტომ ომის ბედიც აქ გადაწყდა.

I სექტემბრის ბრძოლაში ფრანგებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 17 ათასი კაცი, გერმანელებმა კი 9 ათასი კაცი. 21 ათასი ფრანგი ჯარისკაცი ტყვედ ჩაბარდა. 2 სექტემბერს კი უომრად ტყვედ აიყვანეს 83 ათასი მებრძოლი. მათ შორის: I იმპერატორი, I მარშალი, 39 გენერალი, 2400 ოფიცერი. გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ 400 საველე და 139 სააღყო ზარბაზანი, უამრავი ცხენი, იარაღი და საჭურველი<sup>1</sup>. ტყვე იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ 1871 წლის 19 მარტს

---

<sup>1</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 98

დატოვა გერმანია და ინგლისში გაემგზავრა, სადაც იმყოფებოდა მისი მეუღლე ევგენია.<sup>1</sup>

სედანთან განცდილი მარცხის შესახებ როგორც კი პარიზში შეიტყვეს, რევოლუცია დაიწყო. 1870 წლის 4 სექტემბერს აჯანყებული ხალხი შეიჭრა საკანონმდებლო კორპუსის შენობაში, მოითხოვა რესპუბლიკის გამოცხადება და სამშობლოს დაცვა. იმპერატორი ჩამოაგდეს, „იმპერატრიცა“ ინგლისში გაიქცა. საკანონმდებლო კორპუსი და სენატი დაიშალა. მოედანზე ქალაქის რატუმის წინ გამოცხადდა ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ჩამოყალიბდა ახალი ეროვნული „თავდაცვის მთავრობა“. ახალ მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა გამბეტა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა ფაბრი, ხოლო სამხედრო მინისტრმა გენერალმა ტროშიუმ მმართველობის სადავეები ხელში აიღო და ჩაუდგა მთავრობას სათავეში. <sup>2</sup>. „ეროვნული თავდაცვის“ მთავრობამ ადოლფ ტიერი ევროპის დიდ სახელმწიფოებში დახმარების მისაღებად გაგზავნა, მაგრამ ტიერის მხრიდან ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან საფრანგეთის რესპუბლიკური მთავრობა ევროპის

---

<sup>1</sup> ნაპოლეონ მესამემ ჯერ კიდევ ომამდე მძიმედ დაავადებულმა სულ ცოტა ხანი იცოცხლა ამ სამარცხინო დამარცხების შემდეგ და 1873 წლის დასაწყისში გარდაიცვალა.

<sup>2</sup> Ф. А. Роштин, указ. Соч. с.159.

ნდობით ვერ სარგებლობდა, ძლიერ მონარქიულ პრუსიასთან შედარებით.

სედანთან გამარჯვების შემდეგ გერმანიის არმია პარიზისაკენ გაემართა. 19 სექტემბერს ვერსალში შევიდა და საფრანგეთის დედაქალაქი ალყაში მოაქცია. გზა პარიზისაკენ თავისუფალი იყო, მაგრამ ბისმარკი, რომელსაც პოლიტიკური ალლო არასოდეს ღალატობდა, ფიქრობდა, რომ დედაქალაქისკენ გალაშქრება შეცდომა იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ის უკვე სექტემბრიდან დაკავებული იყო ორი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებით. პირველი - ეს გახლდათ ომის სასწრაფოდ დათავრება და მეორე-გერმანიის გაერთიანების დასრულება პრუსიის ეგიდით. სხვათა შორის, ბისმარკი ღრმად იყო დარწმუნებული ომის საჩქაროდ დამთავრების მნიშვნელობაში, რადგან არ იყო გამორიცხული დიდი სახელმწიფოების დიპლომატიური ჩარევა, რაც არ მისცემდა მას საშუალებას თავისი შეხედულებისდა მიხედვით გადაეწყვიტა ზავის საკითხი საფრანგეთთან. მიუხედავად იმისა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მწვანე შუქი აუნთეს პრუსიას, რათა დაემარცხებინა საფრანგეთი, ისინი არასდროს არ შეურიგდებოდნენ საფრანგეთის შემდგომ დსუსტებას და პრუსიის უზომოდ გაძლიერებას.

ოქტომბრის ბოლოს გერმანელებს მორიგი წარმატება ხვდა წილად, 27 ოქტომბერს მარშალი ბაზენი სამარცხვინოდ

დანებდა მტერს. 170 ათასიანი არმია, თავისი გენერლებით, ჩაბარდა. ამის შემდეგ გერმანელებს მიეცათ საშუალება გაეძლიერებინათ ალყა<sup>1</sup>.

1871 წლის იანვრისათვის შედგა მორიგი მოლაპარაკება ბისმარკსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ფავრს შორის, 28 იანვარს ისინი შეთანხმდნენ დროებით დაზავებაზე. ხოლო იმავე წლის 26 თებერვალს, ვერსალში სამშვიდობო მოლაპარაკების დასკვნით ეტაპზე, ხელი მოეწერა პრელიმინალურ საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, გერმანიამ მიიღო ალზასი, აღმოსავლეთი ლოტარინგია და 5 მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია<sup>2</sup>.

რასაკვირველია, საფრანგეთს შეეძლო სამშობლოს დასაცავად საერთო -სახალხო ბრძოლა გაეშალა, მაგრამ ფრანგ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ემინოდათ რევოლუციის და ამიტომ ბრძოლის გაგრძელება არ სურდათ. ეროვნული თავდაცვის მთავრობა“ ყველა შესაძლებლობს ეძებდა, რომ ზავი დაედო გერმანიასთან. ამან განაპირობა მათ მიერ, ბისმარკის მხრიდან წაყენებული თითოეული მოთხოვნის მიღება.

---

<sup>1</sup> Ф.А. Раштеин, там же, с. 166.

<sup>2</sup> История дипломатии. т.1, с. 522

1871 წლის 6 მარტს ბისმარკმა გერმანიის მთავარ ბანაკთან ერთად დატოვა ვერსალი, 9 მარტს კი ის უკვე ბერლინში იყო. ამის შემდეგ სამი კვირაც არ იყო გასული, რომ 18 მარტს იფეთქა აჯანყებამ პარიზში. დედაქალაქის მუშებმა გარეკეს ტიერის ბურჟუაზიული მთავრობა ვერსალიდან და გამოაცხადა პარიზის კომუნა. ეს იყო მსოფლიოში პირველი პროლეტარული მთავრობა, რომელმაც სულ 72 დღე იარსება და ღრმა კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.

პარიზის კომუნამ დიდი განგაში გამოიწვია ევროპაში და, კერძოდ, ბურჟუაზიულ-იუნკრული გერმანიის მმართველ წრეებში. იმდენად უსაზღვრო იყო შიში ბისმარკისა პარიზის კომუნისადმი, რომ ის უყოყმანოდ შეუთანხმდებოდა ადოლფ ტიერს. 'ამავე დროს რუსეთმა, ავსტრიამ და იტალიამ განუცხადეს გერმანიის მთავრობას, რომ გერმანული ჯარის ინტერვენცია პარიზის წინააღმდეგ მოწონებული იქნება ყველა დიდი სახელმწიფოს მიერ. გერმანელთა დახმარებით საფრანგეთის სამთავრობო ჯარებმა ჩაახშვეს პარიზის კომუნა. 28 მაისს დაეცა უკანასკნელი ბარიკადი. კომუნარების გმირობისა და მამაცობის მიუხედავად, პარიზის კომუნა დამარცხდა. მის ჯალათებს შორის, ტიერთან ერთად ბისმარკსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია<sup>1</sup> კომუნარების წინააღმდეგ სისხლიან ანგარიშსწორებაში.

---

<sup>1</sup> там же, с. 524.

როდესაც საფრანგეთში დაიწყო სამოქალაქო ომი, საზავო ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული. 1871 წლის 6 მაისს ფრანკფურტში დაიწყო საზავო მოლაპარაკებები ფავრსა და ბისმარკს შორის. 10 მაისს ეს მოლაპარაკებები დამთავრდა საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით<sup>1</sup>.

ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულება ადასტურებდა ყველა იმ ძირითად პირობებს, რომლებიც დაადგენილი იყო ჯერ კიდევ 26 თებერვლის ვერსალის პრელიმინარული საზავო ხელშეკრულებით. რომელთა მიხედვითაც საფრანგეთმა გერმანიას დაუთმო ალზასი, ლოტარინგიის ნაწილი და აიღო ვალდებულება გადაეხადა კონტრიბუცია 5 მლრდ ფრანკის ოდენობით.

იმ დროისათვის ალზასისა და ლოტარინგიის დაპყრობა სერიოზულ სტრატეგიულ უპირატესობას აძლევდა გერმანიას. სანამ ფრანგები ფლობდნენ ალზასს, მათ შეეძლოთ იქიდან შედარებით ადვილად შეჭრილიყვნენ სამხრეთ გერმანიაში. კათოლიკური სამხრეთი წარმოადგენდა ყველაზე მოწყვლად ადგილს ახლახანშექმნილი ერთიანი გერმანული სახელმწიფოსთვის. მისი ერთგულება ამ ერთიანობისადმი იმ დროს ძნელად წარმოსადგენი იყო. ალზასის გერმანიის

---

<sup>1</sup> там же, с. 524.

მფლობელობაში გადასვლის შემდეგ, ფრანგები უკუგდებულ იქნენ ვოგეზის მთებს გაღმა. ახლა უკვე საფრანგეთსა და გერმანიას შორის რაინის ზოლის გარდა აღმართული იყო ვოგეზის მთაგრეხილი, ძნელად გასასვლელი დიდი არმიისათვის. ამგვარად, ალზასს გააჩნდა სერიოზული თავდაცვითი მნიშვნელობა.

ლოტარინგიის სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც ჩანს, პირიქით - უფრო შემტევითი ხასიათისა იყო. ლოტარინგიაში გერმანელები ეუფლებოდნენ პლაცდარმს, საიდანაც უმოკლესი გზით, აუცილებლობის შემთხვევაში, გერმანელებს შეეძლოთ 1870 წლის „გამოცდილების“ გამეორება - იერიშის მიტანა პარიზზე, ე.წ. „ვოგეზის ხვრელის“ გავლით, უფრო სწორად, ვაკე ადგილი სამხრეთით ვოგეზის მთაგრეხილსა და ჩრდილოეთით არდენებს შორის, რომლის საკვანძო ფორფოსტს ციხე-სიმაგრე მეცი წარმოადგენდა. მეცი ახლა გერმანელების ხელში გადავიდა<sup>1</sup>.

სამხრეთ გერმანული სახელმწიფოების ჩრდილოეთ გერმანულ კავშირთან გაერთიანების შესახებ, და, მაშასადამე, გერმანული კავშირის საერთო გერმანულ სახელმწიფოდ გარდაქმნის თაობაზე მოლაპარაკებები, ბისმარკმა უკვე 1870 წლის სექტემბრიდან დაიწყო, მაშინ როცა ომი ჯერ კიდევ

---

<sup>11</sup> там же, с.525-526.



გაცხარებულ ფაზაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, გერმანელთა გამარჯვების პერსპექტივა აშკარად გარკვეული იყო. საუბარი ეხებოდა ოთხი სახელმწიფოს - ბავარიისა და ვიურტემბერგის სამეფოების, ბადენისა და ჰესენ-დარმშტადტის (მისი ჩრდილოეთი ნაწილი უკვე შედიოდა კავშირიში) შესვლას გერმანულ კავშირში.

გაერთიანების შესახებ შეთანხმების მიღწევა ბისმარკის ერთ-ერთი ჩინებული ოპერაციაა. მას ერთი წუთითაც მხედველობიდან არ გამოპარვია მოლაპარაკებების არცერთი დეტალი. მართალია, მოლაპარაკებები ძალიან რთულად მიმდინარეობდა, მაგრამ ბისმარკმა შეძლო ამ პროცესის მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართვა, რითაც ის წარმატებით დაასრულა. 1870 წლის 15 ნოემბერს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება ბადენსა და ჰესენთან, 24-ში - ბავარიასთან, 26 ნოემბერს კი - ვიურტემბერგთან<sup>1</sup>.

გამარჯვებულ სახელმწიფოში დაისვა საკითხი, რა ფორმა უნდა მიეღო ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს, რა ტიტული მინიჭებოდა პრუსიის მეფეს, რომელიც მანამდე თავმჯდომარეობდა ჩრდილო-გერმანულ კავშირს? ბისმარკს სურდა, რომ ახალი სახელმწიფოს მეთაური სხვა მეფეებსა და ჰერცოგებს უფრო მაღლა მდგარიყო. აქედან გამომდინარე,

---

<sup>1</sup> В. В. Цубинский, указ. Соч. с. 258.

„გერმანული კავშირის პრეზიდენტის“ მდგომარეობა ამ გაგებით სამართლიანად მიაჩნდა მას არადამაკმაყოფილებლად. ის ამჯობინებდა იმას, რომ სახელმწიფოსთვის ეწოდებინათ იმპერია (რეიხი), ხოლო მის მეთაურს კი იმპერატორი დარქმეოდა (კაიზერი)!.

1871 წლის 18 იანვარს დაინიშნა იმპერიის გამოცხადება. ეს დღე იმიტომ იქნა შერჩეული, რომ წარმოადგენდა 170 წლისთავს პრუსიის პირველი მეფის კორონაციიდან (1701 წ. 18 იანვარს). ცერემონია შედგა საფრანგეთის მეფეთა ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში. ეს იყო არა კორონაცია, არამედ საკანონმდებლო აქტი. ვილჰელმ პირველმა, მეფემ, როგორც ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის მეთაურმა, დაამტკიცა რაიხსტაგის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ იმპერიის ხელმძღვანელი უნდა ატარებდეს იმპერატორის ტიტულს. ამავე დროს მან აუწყა გერმანელ ხალხს სპეციალური მანიფესტით გერმანიის იმპერიის აღდგენის შესახებ. ამ დღეს ბისმარკმა მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ჩინი, ასევე ის იმპერიის კანცლერიც გახდა.<sup>2</sup>

ამგვარად, იმპერიის შექმნა პრუსიულ-გერმანული მილიტარიზმის დიდ წარმატებას წარმოადგენდა, რაც

---

<sup>1</sup> там же, с. 259

<sup>2</sup> ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ. გვ. 106

მოასწავებდა გერმანიის შემდგომ ბრძოლას ჰეგემონობისათვის და ძალთა თანაფარდობის შეცვლას ევროპის კონტინენტზე.

## ბისმარკი - პოლიტიკა

### მეცნიერება არაა, ხელოვნებაა

„პოლიტიკა მეცნიერება არაა, ეს ხელოვნებაა“<sup>1</sup>. ამ სიტყვების ავტორია (თუ ვირწმუნებთ თანამედროვეთა გამონათქვამებს- ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკა, თბილისი, 2008), გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, რომელმაც ეს თავის დროზე განაცხადა რაიხსტაგის სხდომაზე.

ოტო ფონ ბისმარკი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და დიპლომატი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გახლდათ არა მარტო თვითმხილველი მოწმე, არამედ უშუალო მონაწილე ამ პერიოდის მრავალი პოლიტიკური ბატალიისა. ბისმარკი თვითონ იყო აქტიური ორგანიზატორი რამდენიმე

---

<sup>1</sup> ჰეივუდი, ე. პოლიტიკა, თბ., 2008, გვ. 16.

სისხლისმღვრელი ომისა, რომლის შედეგად დასრულდა გერმანიის გაერთიანება.

მისი ისტორიული როლი ვ. ლენინმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: „ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად პროგრესული, ისტორიული საქმე გააკეთა. გერმანიის გაერთიანება აუცილებელი იყო . . . როდესაც არ მოხერხდა გაერთიანება რევოლუციურად, ბისმარკმა საქმე კონტრევოლუციურად იუნკრულად გააკეთა“<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის გაერთიანებას ბისმარკმა მიაღწია ომების გზით. თავდაპირველად დანიასთან (1864 წ.), შემდეგ ავსტრიასთან (1866 წ.), ბოლოს კი საფრანგეთთან (1870-1871 წწ.). თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ის, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, აცხადებდა, რომ მის სინდისზეა სამი ომი და 80 ათასი ადამიანის სიცოცხლე, რომელთაც თავიანთი სისხლით გაამყარეს გაერთიანებული გერმანიის სახელმწიფოს საფუძველი<sup>2</sup>. უდავოა, რომ ამ ომების ორგანიზებასა და გაჩაღებაში მწვავე, მეტად რთული პოლიტიკური ბატალიების სარბიელზე გამოვლინდა მისი განსაკუთრებული ტალანტი, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატისა. 1848 წლის

<sup>1</sup> ვ. ლენინი, რუსი ზოუდეკუმები, თხზ. ტ. xvIII, ტფ., 1931, გვ. 110.

<sup>2</sup> Rudolf Augstein, Otto von Bismarck, (1815-1898); Die deutschen Kanzler. Hrsg von Wilhelm von Sternburg. Berlin, 1998, s. 34.

რევოლუციის პერიოდში ის უკვე გამოირჩეოდა სხვა უკიდურეს მონარქისტთა შორისაც კი თავისი კონტრევოლუციურობით, გამოვიდა რა პროექტით, რომ გამოეყენებინათ გლეხობა, ერთგვარი პრუსიული ვანდების განსახორციელებლად. XIX საუკუნის 50-იან წლებში მას უკვე ეკავა მთელი რიგი მაღალი დიპლომატიური თანამდებობები-პრუსიის რწმუნებულისა საკავშირო სეიმზე, დესპანისა პეტერბურგსა და პარიზში, რომლის თაობაზე ჩვენ ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი.

ბისმარკი იყო პრაგმატული გონების ადამიანი, რომელიც მიზნის მისაღწევად არავითარ ხერხსა და საშუალებას არ ერიდებოდა. მას არ ეშინოდა ბურჟუაზიული პროგრესისტებისა<sup>1</sup>. პირიქით, ზიზღით, დამცინავად უყურებდა მათ, არაფრად აგდებდა პროგრესიტი დელეგატების ლაყბობას ლანდტაგში, მიუხედავად ასეთი

---

<sup>1</sup> პროგრესისტული პარტია-ბურჟუაზიულ -ლიბერალური პარტია პრუსიაში(1861-1871) და გაერთიანებულ გერმანიაში 1870-1918), გამოხატავდა როგორც მსხვილი ბურჟუაზის, ასევე საშუალო და წვრილი ბურჟუაზიული ფენების ინტერესებს. მხარს უჭერდა ქვეყნის გაერთიანებას პრუსიის ეგიდით, მაგრამ მოითხოვდა საპარლამენტო წყობილების დამყარებას. პროგრესისტების პარტია იბრძოდა ოტო ბისმარკის მისწრაფების წინააღმდეგ გაეუქმებინა პარლამენტის კონტროლი სამხედრო ბიუჯეტის ასიგნებაზე და პროტექციონისტული გადასახადის შემოღების წინააღმდეგ (Большая Советская Энциклопедия, Т. 21, М.1975,с. 79)

დამოკიდებულებისა მათდამი, ბისმარკს მშვენივრად ესმოდა, რომ ბურჟუაზიისადმი გარკვეული დათმობების გარეშე, შეუძლებელი იყო იუნკრებისა და ჰოჰენცოლერნების დინასტიისათვის პლიტიკური სადავეების შენარჩუნება. ქვეყნისათვის ასეთ რთულ და მძიმე პერიოდში სწორედ მას გადასცა მეფე ვილჰელმ პირველმა პრუსიის პრემიერ-მინისტრის პორტფელი. 1862 წლის 2 სექტემბერს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბისმარკი წააწყდა ბურჟუაზიული ოპოზიციისა და ხალხთა მასების აღმავალ მოძრაობას. თუმცაღა მან სწორად წარმოიდგინა თუ რა საფრთხე ემუქრებოდა, იუნკრობას და ჰოჰენცოლერნთა დინასტიას, თუ გერმანიის გაერთიანება მოხდებოდა „ქვევიდან“ ხალხის ძალით ანუ რევოლუციური გზით. ბისმარკი ნათლად ხედავდა, რომ იუნკრობას შეუძლია შეინარჩუნოს პოლიტიკური ძალაუფლება მხოლოდ მაშინ, თუ ის თავად ჩაუდგება ქვეყნის გაერთიანებას სათავეში, განახორციელებს ამას „ზევიდან“ და გერმანიას გადააქცევს მძლავრ, აგრესიულ, იუნკრულ სახემწიფიდ პრუსიის წინამძღოლობით.

აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ ოტო ფონ ბისმარკმა ამ პრუსიელმა მინისტრმა და მემატიულემ შექმნა გერმანიის ახალი იმპერია. შექმნა მან ის თავისი ტიტანური ენერგიით, დიპლომატიური ეშმაკობით, პოლიტიკური

გამჭირახობითა და სამხედრო ძალდატანების გზით, თავის მოწინააღმდეგეებთან დაულაღავი და მძიმე ბრძოლებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, კონსტიტუციის დარღვევისა და სამოქალაქო ომის ურთულეს პიობებში. ასევე გერმანელი ხალხის გარკვეული ნაწილის ნების საწინააღმდეგოდაც, რომელსაც არ სურდა წასულიყო ბისმარკის გზით. რასაკვირველია, უდიდესია ოტო ბისმარკის როლი გერმანიის ახალი იმპერიის შექმნის საქმეში. თავად ბისმარკის წინ წამოწევა, დაწინაურება მოხდა იმავე იუნკრების მიერ მათთვის ყველაზე მძიმე და კრიტიკულ დროს.

რა თქმა უნდა, ბისმარკს მოქმედება შეეძლო მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის მომწიფდებოდა შესაბამისი საზოგადოებრივ -პოლიტიკური პირობები, რომელთა არსებობის გარეშე ყველა მისი მცდელობები, გადაწყვეტილებები და ნაბიჯები წარუმატებელი იქნებოდა, ე. ი. სხვა შემთხვევაში, მთელი მისი „გენიალურობა ფუჭად და ამაოდ ჩაივლიდა“<sup>1</sup>.

„ბისმარკი-როგორც ფრიდრიხ ენგელსი წერდა,- ეს - ლუი ნაპოლეონია, ფრანგი ავანტიურისტული პრეტენდენტი სამეფო გვირგვინზე, რომელიც შეფუთულია პრუსიული პროვინციალური იუნკერის და გერმანელი სტუდენტ

---

<sup>1</sup> В. Г. Ревуненков. указ. соч. с. 5.

კორპორანტის სამოსლით, როგორც ლუი ნაპოლეონი. ბისმარკი დიდი პრაქტიკული ჭკუისა და არაჩვეულებრივი მოხერხებულობის ადამიანია. ბუნებით გამოცდილი, გაქნილი საქმოსანია, რომელსაც სხვა შემთხვევაში შეეძლო გაჯიბრებოდა ნიუ-იორკის ბირჟაზე ვანდერბილტებსა და ჯეივულდამებს<sup>1</sup>.

საინტერესოა, თავისთავად, რით მოიპოვა ბისმარკმა თავისი მაღალი მდგომარეობა და რით გაითქვა სახელი იმ დროს. ამაზე შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გაიცეს პასუხი, დამუხტული, ტიტანური ენერგიით, რომლითაც ის ეწეოდა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას, გამბედავი და უცერემონიო თავდასხმებით ბურჟუაზიულ პარლამენტარებზე, ურყევი შეუპოვრობით, რომლითაც ის იცავდა თავის აბსოლუტისტურ პრინციპებს. ე. ი. თვისებებით, რომლებმაც ბისმარკის სახელი გახადეს იუნკრული სიმტკიცის, გამბედაობისა და იუნკრული ცრურწმენის სინონიმი.

ამავე დროს ბისმარკში სრულიად გამოვლინდა ის თვისებები, რომლებიც აშკარად დამახასიათებელი აღმოჩნდა შემდეგ მისთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის მთელი მისი მოღვაწეობის პერიოდში. ესენი იყო: თვითდაჯერებული რწმენა საკუთარ ძალებში, სიძულვილი დემოკრატიული

---

<sup>1</sup> Ф. Енгельс, Роль насилия в истории, политиздат, ЦКВКП(б) 1937, с. 24



მოძრაობებისადმი, მოწინააღმდეგეთა ძალების საკმაოდ ზუსტად შეფასების შესაძლებლობები. ბისმარკის ენერგია და სიბრაზე, რომელიც შფოთავდა და ფეთქავდა ყოველგვარი ე. წ. „სისუსტისა“ და „კომპრომისების“ გამო, ისეთი მასშტაბისა გახლდათ, რომ აფრთხობდა მის მეგობრებს, აცბუნებდა თავის მფარველებს<sup>1</sup>.

ჯერ კიდევ 1848 წლის დასაწყისში ბრანდენბურგის (პრუსიის მთავრობა) მთავრობის კაბინეტის ფორმირების დროს ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხემ დაინახა მისადმი წარდგენილ კანდიდატთა სიაში ბისმარკის გვარი, და მონიშნა: „წითელი რეაქციონერი, სისხლის სუნი უდის, გამოიყენეთ მოგვიანებით“ ( მეორე ვერსიით- „გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ხიშტამდე მივა“<sup>2</sup>.

გიგანტური ენერგია, შეურიგებლობა, მტკიცე ნებისყოფა, იუნკრების წინააღმდეგ მტერთა ბრძოლაში შეადგენდა ძირითად ნიშან-თვისებებს ბისმარკის პოლიტიკურ პორტრეტში. „ ნებისყოფა მას არასდროს არ ღალატობდა, პირიქით, გაცილებით უფრო ხშირად ის გადაეზრდებოდა

---

<sup>11</sup> В. Г. Ревуненков. указ. Соч. с . 7

<sup>2</sup> О. Ф. Бисмарк, указ. Соч. с. 53.

ხოლმე მას უხეშ ძალადობაში. სწორედ ამაში, უპირველეს ყოვლისა, იმალება მისი წარმატებების საიდუმლოება.“<sup>1</sup>

გააფთრებულმა იუნკერმა ხელისუფლებაში დაჰყო 28 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მან არა მხოლოდ მოასწრო გარდაექმნა პრუსია, არამედ მთელი გერმანია გააერთიანა. უკვე პირველმა მისმა გამოსვლამ გასაოცარი ზეგავლენა მოახდინა მაშინ, როდესაც ის პირველად წარსდგა ლანდტაგის წინაშე. მეორე დღეს საბიუჯეტო კომისიაში ბედუკუდმართი კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით, მან წარმოთქვა ყოვლად ცნობილი სიტყვები: „პრუსია მეტისმეტად მძიმე შეიარაღებას ატარებს თავისი პატარა ტანისათვის, მაგრამ ეს შეიარაღება, რაღაცას უნდა ემსახურებოდეს. გერმანია პრუსიის ლიბერალიზმს კი არ უყურებს, არამედ მის ძლიერებას“.<sup>2</sup> „გერმანია სისხლითა და რკინით გაერთიანდება“<sup>3</sup>.

მიუხედავად ამისა, დაბრკოლებები, რომლებიც იდგა ბისმარკის მიერ დასახულ გზაზე მრავლად იყო. სტარტზე

---

<sup>1</sup> Ф. Енгельс. указ. Соч. с. 25.

<sup>2</sup> Ф.А. Рощтеин, указ. Соч. с. 63.

<sup>3</sup> ა. მენტეშაშვილი მსოფლიოს გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, ტ. 1. თბ., 2003. გვ. 174.

შემდგარიყო ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორც გახლდათ: ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, რომლებიც აუცილებლად ხელს შეუშლიდნენ ბისმარკის გეგმების განხორციელებას. სწორედ ამ დროს, პირველად ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე პრუსიელმა მინისტრმა თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბისმარკს გააჩნდა ისეთი თვისება, რომელიც დამახასიათებელია პოლიტიკური ხელოვნების, ყველა დიდი ხელოვანისათვის, უნარი თანმიმდევრული წესით საკითხების დასმის, რომ არ ჩაეჭიდოს მეორე საკითხს, სანამ არ გადაწყვეტს პირველს.<sup>1</sup>

საერთოდ პოლიტიკა,- თვლიდა ბისმარკი,- ეს მეცნიერებაა შესაძლებლის შესახებ და მან ნამდვილად გამოავლინა დახელოვნებული პოლიტიკოსის თვისება, პოლიტიკური ვითარების ზუსტი შეფასებისა და მისგან მაქსიმუმი სარგებლის ამოღების უნარი, გამომდინარე მისი და მის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური ძალების შესაძლებლობიდან. პოლიტიკაში იძულებითი ზიგზაგების დროსაც ის ერთი წუთით არ ივიწყებდა ძირითად მიზანს და ყოველი მიღწეული მნიშვნელოვანი მიჯნის შემდეგ იყენებდა ახალ-ახალ შესაძლებლობებს. სწორედ ეს აძლევდა მის მიერ

---

<sup>1</sup> История дипломатии, т.11, М.,1959, с.717

გათამაშებულ, შექმნილ, სამხედრო- დიპლომატიურ სპექტაკლს სიმწყობრის, გამართულობის, წინასწარ განსაზღვრულობისა და ლოგიკური დაგვირგვინების გარეგნულ ფორმას. მაგალითად, ომს, რომელსაც პრუსია დანიის წინააღმდეგ ეწეოდა ავსტრიასთან ერთად და დაამარცხა, ოტო ბისმარკი მიიჩნევდა თავის ყველაზე დიდ დიპლომატიურ მიღწევად. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკას, რომელიც ემყარებოდა მილიტარიზმს უნდა უზრუნველყო ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები ომის შემთხვევაში. აქ კი ნებისყოფა, სიმტკიცე არასოდეს ღალატობდა მას. მიუხედავად ამისა, საჭირო შემთხვევაში შეეძლო თავისი პრეტენზიების მოთოკვა.. ასევე საკუთარი მიზნის მიღწევის შემდეგ დიპლომატიური გზით, ის თვლიდა, რომ აუვილებელი გახლდათ ამ წარმატებების განმტკიცება იარაღის ძალით.

საკუთრივ იმ დროს, როცა ის მიელტვოდა შლეზვიგ-ჰოლშტაინის შემოერთებას (1863-1864), მას შეეძლო რუსეთისათვის კეთილსასურველი პოზიციის უზრუნველყოფით მიეღწია დანიის კაპიტულაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის. მაგრამ ეს არ შედიოდა მის გეგმაში. პრუსიის მილიტარიზმს სჭირდებოდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა საკუთარი ძალის დემონსტრირება. „მოგვეცით ჩვენ იმის საშუალება, რომ

ერთმანეთს (დანიასთან), რამდენიმე ზარბაზნის გასროლით ვუპასუხოთ“, -მიმართავს ბისმარკი გორჩაკოვს<sup>1</sup>. 1865 წლის აგვისტოს კონვენციით პრუსიამ მიიღო შლეზვიგი, ავსტრიამ კი ჰოლშტეინი. ამ ომმა განამტკიცა „კონფლიქტის მინისტრის“ (ასე უწოდებდნენ ბისმარკს) პოზიციები.

დიპლომატიურ ასპარეზზე გამოსვლის დროიდან ბისმარკმა მკაფიოდ გააცნობიერა ის, რომ გერმანიის გაერთიანება პრუსიის ეგიდით შესაძლებელი იყო მხოლოდ ავსტრიის გაბატონებული მდგომარეობის შეზღუდვით გერმანულ კავშირში- მისი იქიდან გამოდევნით, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სამხედრო დაპირისპირების გზით. პოლიტიკურ თანამოაზრეებთან გაგზავნილ წერილებში ბისმარკი ასე აყალიბებს თავის შეხედულებებს ავსტრიასა და პრუსიას შორის არსებულ ანტაგონიზმთან დაკავშირებით: „ავსტრიის ინტერესები სავსებით შეუთავსებელია პრუსიის სასიცოცხლო მოთხოვნებებთან, მათ შორის შეუძლებელია რაიმე საერთო პოლიტიკაში. არც თუ დიდი ხნის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვიომოთ ავსტრიის წინააღმდეგ საკუთარი არსებობისათვის. ჩვენ უძღურნი ვართ ავირიდოთ ეს, რადგან მოვლენათა მსვლელობას გერმანიაში სხვა

---

<sup>1</sup> А. С. Ерусалимский, Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, с. 16

გამოსავალი არა აქვს“. „გერმანია მეტისმეტად ვიწროა ჩვენთვის, ორივესთვის“<sup>1</sup>.

ევროპულ პოლიტიკაში ბისმარკის გეგმის მიზანს წარმოდგენდა დაახლოება და მჭიდრო კავშირის დამყარება იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც გამოადგებოდნენ პრუსიას ავსტრიის განადგურების საქმეში: უპირველეს ყოვლისა, ბონაპარტისტულ საფრანგეთთან, რომელიც ემზადებოდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიისაგან მისი იტალიური სამფლობელოების ჩამოსაგლეჯად. შემდგომ მეფის რუსეთთან, რომელსაც სწყუროდა, რომ რომელიმე ქვეყანას შური ეძია ავსტრიაზე, იმ „შავი უმადურობისათვის“, რომელიც მან გამოავლინა რუსეთის მიმართ ყირიმის ომის დროს. კავშირი რუსეთს, პრუსიას და საფრანგეთს შორის, ესაა ჩემი ჭეშმარიტი პოლიტიკური იდეალი, რომელზეც უკვე დიდი ხანია მე ვოცნებობ და აი ერთადერთი კომბინაცია, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა პოლიტიკური ასპექტი სამივე სახელმწიფოსი-აცხადებს ბისმარკი.<sup>2</sup>

მისი აზრით, ამ კავშირში რუსეთს თავისთავზე უნდა აეღო ვალდებულება ინგლისთან ორთაბრძოლისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმ აკრძალვის გაუქმებას, რომელიც

<sup>1</sup> В. Г. Ревуненков. Приход Бисмарка к власти, Л., 1941, с. 9.

<sup>2</sup> там же, с. 10.

პარიზის კონგრესმა რუსეთს დაუწესა, არ ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი შავ ზღვაზე.. ხოლო პრუსია და საფრანგეთი უნდა გასწორებოდა ავსტრიას.

ბისმარკს დაუინებით სურდა სწრაფი ომი ავსტრიასთან. გამარჯვებულთა შორის ნადავლის გაყოფის დროს წარმოიშვა შუღლი, რომელიც ავსტრიასთან ომის დაწყების კარგი საბაზი გახდა. ბისმარკმა როგორც კი გაიგო, რომ პრუსიის არმია ომისათვის არ იყო მზად, მან პირველმა დაუინებით მოითხოვა ავსტრიასთან სამხედრო მოქმედებების გადადება. ამდენად, ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში ბისმარკს, ამ წინდახედულ პრაგმატიკოს პოლიტიკოსს, რომლის მოქმედებების ერთობლიობა რეალურ შედეგებზე იყო ორიენტირებული, შეეძლო დაყოვნებაც გარკვეული დროით, ლოდინიც კი, თუ ამისათვის არსებობდა სერიოზული პოლიტიკური და სტრატეგიული საფუძველი. ამასთანავე ეს გარემოება მოითხოვდა კარგ დიპლომატიურ მომზადებას, უფრო სწორად, ამისათვის აუცილებელი იყო საფრანგეთის ჩაურევლობის უზრუნველყოფა პრუსია-ავსტრიის ომში. მან ეს საკითხი მოაგვარა ნაპოლეონ მესამესთან კერძო გარიგებით.<sup>1</sup>

ოტო ბისმარკს როგორც პოლიტიკოსსა და დიპლომატს გააჩნდა კიდევ ერთი მეტად საშური თვისება გასაოცარი

---

<sup>1</sup> ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 177.

თავშეკავებულობა და თავდაჭერილობა. თუ ზოგჯერ ავლენდა სიფიცხეს და ლაპარაკობდა მუქარის ტონით, ეს მაშინ ხდებოდა, თუ ვინმეს დაშინება სჭირდებოდა. ასეთ დროს ის ურჩხულს ემსგავსებოდა. მაგალითად, გრაფი ანდრაში, ავსტრო-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ყვებოდა, რომ გერმანიასთან კავშირის დამყარების შესახებ მოლაპარაკების დროს (1879წელი), მას ერთბაშად მოეჩვენა თითქოსდა ბისმარკი მზად იყო ის მიეხრჩო, როცა იგი ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთ მის მოთხოვნას. როგორც ის იხსენებს ბისმარკი შეეშვა თავის მსხვეპლს მალევე, როგორც კი მიხვდა, რომ მეტის მიღწევა შეუძლებელი იყო. გრაფი ანდრაში ბოლოს დასძენს, რომ ბისმარკმა გაიღიმა და უარი თქვა თავის დამატებით მოთხოვნებზეო.<sup>1</sup>

ბისმარკის ფსიქოლოგიური განწყობის ზოგიერთ ნიშან-თვისებებზე თუ ვიმსჯელებთ, სიძულვილი მას ცხოვრების ერთ-ერთ მამოძრავებელ გრძნობად მიაჩნდა. ის სიძულვილით აღსავსე და გაშმაგებული ვერ იტანდა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. ამასთანავე მას გააჩნდა უნარი შეეკავებინა მოზღვავებული გრძნობები პოლიტიკური საზრისიდან გამომდინარე. განსაკუთრებულ კრიტიკულ მომენტებში ის ძლიერი ნერვიული შეტევის ქვეშ ექცეოდა და მისი პირადი

---

<sup>1</sup> А. С. Ерусалимский, Бисмарк как дипломат, с. 15.



აღიარებით ცნობილია, რომ რამდენჯერმე უცდია თვითმკვლელობა. მიუხედავად ამისა, მისი პოლიტიკური ცხოვრების ეს დეტალები გარესამყაროსათვის უცნობი რჩებოდა.<sup>1</sup> მაგალითად, ბისმარკის თქმით, ერთ-ერთი ცხარე კამათის შემდეგ მეფე-იმპერატორთან, ავსტრიასთან დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით, როგორ მოაძრო მან კარს სახელური და ჩააგდო პირსაბანში ისე ძლიერ, რომ პირსაბანი დაიმსხვრა.<sup>2</sup> მეორეჯერ, 1866 წელს ავსტრია-პრუსიის ომის დროს, როდესაც წყდებოდა საკითხი ომი გაგრძელებინათ თუ ზავი დაედოთ, კამათი მეფესა და მის სამხედრო მრჩევლებთან იმდენად გამწავდა, რომ ბისმარკის აღიარებას თუ სარწმუნოდ მივიღებთ, თვითმკვლელობაზეც კი უფიქრია.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ ბისმარკს არც ნებისყოფა აკლდა არასდროს. ასე იყო, მაგალითად, პრუსიისათვის მეტად გადამწყვეტ მომენტში, ავსტრიაზე გამარჯვების დღეს (1866წელს), გამარჯვება ელვისებური სისწრაფით იქნა მიღწეული და დამთავრებული. ავსტრიის არმია განადგურებულ იქნა, გზა ვენისაკენ ფაქტობრივად გახსნილი

---

<sup>1</sup> там же, с. 32.

<sup>2</sup> там же.

<sup>3</sup> там же. с. 32-33

იყო. პრუსიის მეფეს, რომელიც მანამდე უგულოდ დასთანხმდა ომზე ავსტრიასთან, ახლა უმაღლეს სარდლობასთან ერთად სურდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, გამარჯვებული შესულიყო ავსტრიის დედაქალაქში. ბისმარკი რომელიც ამ დროს მთავარ შტაბბინაში იმყოფებოდა, კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა ამ დემარშისა. მიუხედავად სრული გამარჯვებისა, ის მოითხოვდა ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. თავის „მოგონებებში“<sup>1</sup> ის ამას ხსნის იმით, რომ თითქოსდა დამარცხებული ავსტრიის დანდობით, მან დაიტოვა გზა მასთან კავშირის დასამყარებლად მომავალში. სინამდვილეში კი უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა რიგის რეალობებს, ყოვლად მოსალოდნელ საფრთხეს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლებოდა განვითარებულიყო, თუ პრუსიის არმია ვენისაკენ გაემართებოდა. ის შიშობდა, რომ პრუსიის არმიის ვენის მიმართულებით წინსვლის შემთხვევაში, ავსტრიას კიდევ გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო. ომი შეიძლებდა გაჭიანურებულიყო. ამასთანავე, ევროპის კონტინენტზე, მისი დაკვირვებით, ღრუბლები ჩამოწვა. ნაპოლეონ მესამეს ომის გაწევის შემთხვევაში შეეძლო ჩაბმულიყო საომარ მოქმედებაში. რუსეთის იმპერატორმა, რომელმაც მიულოცა პრუსიას გამარჯვება, გამოთქვა იმედი, რომ დამარცხებული ავსტრიის

---

<sup>1</sup> Бисмарк, Мемуары Железного канцлера, с . 388-389

მიმართ დიდსულოვნება იქნებოდა გამოჩენილი. ეს კი საშიში სიმპტომების მაჩვენებელი იყო. შესაძლებელი გახლდათ პრუსია ფრანგულ-რუსულ კბილებს შორის აღმოჩენილიყო და წარმატებული გამარჯვება აუწონ-დაუწონავი და აჩქარებული გადაწყვეტილების შედეგად გაქარწყლებულიყო. ბისმარკმა იმისათვის რომ მეფე დაერწმუნებინა ავსტრიასთან ომის შეწყვეტის აუცილებლობაში, ისტერიული შეტევის ინსცენირება მოაწყო, რითაც ბოლოს და ბოლოს მიაღწია თავის საწადელს<sup>1</sup>.

1866 წლის 3 ივლისს ბისმარკის მიერ ავსტრიასთან მოპოვებული გამარჯვება წარმოადგენდა მისი პოლიტიკისა და დიპლომატიის სრულ ზეიმს. 1866 წლის 23 ივლისს ნიკოლსბურგის საზავო ხელშეკრულებით პრუსიამ შემოიერთა ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიები. ევროპის ცენტრში წარმოიშვა ძლიერი სახელმწიფო. ავსტრია გამოეთიშა გერმანიის კავშირს, მაგრამ დარჩა წინანდებურად მსხვილ სახელმწიფოდ. სრული სიმართლეა ისიც, რომ ბისმარკმა თავის წინააღმდეგ აიძუებდა საფრანგეთის იმპერატორი „ტიულორის სფინქსი“, რადგანაც საფრანგეთმა ვერ მიიღო სასურველი ტერიტორიები<sup>2</sup>. ამდენად, ის შეეცდებოდა არ დაეშვა გერმანიის

---

<sup>1</sup> С. Ерусалимский, Бисмарк как дипломат, М., 1940, с.16

<sup>2</sup> ა. მენტეშაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 177.

გაერთიანება. აქედან გამომდინარე, ისტორიის ლოგიკა კარნახობდა ომს საფრანგეთთან<sup>1</sup>, მაგრამ იყო სხვა გარემოებაც. თვითონ სახელმწიფოებს, ხალხსა და ხელმწიფეებს არ სურდათ პრუსიის უღლის შედგმა. და იმისთვის, რომ ისინი შეერეკათ ამ უღლის ქვეშ, საჭირო იყო დიდი ომი. ამაზე გადაკრულად მიანიშნა ბისმარკმა თავის „მოგონებებში“<sup>2</sup>. ამდენად, მან დაიწყო სერიოზული სამზადისი ამ ომისათვის. შესაბამისად, ვითარებაც ამ დროისათვის შესაფერისი აღმოჩნდა. აღმოსავლეთ საზღვარზე, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი არ იყო რაიმე გართულება. ურთიერთობა ავსტრია-უნგრეთთან<sup>3</sup>, რომლის ნეიტრალიზება, 1870-1871 წლისათვის ბისმარკმა შეძლო დამაკმაყოფილებელი გახლდათ, ხოლო როგორც კი მან დაინახა შესაფერისი დრო დამდგარიყო, არ დააყოვნა.

საერთოდ, ბისმარკი თვლიდა, რომ მომენტის შერჩევა ომის დასაწყებად წარმოადგენდა წარბეჭდის ერთ-ერთ გადამწყვეტ წინაპირობას, საჭიროა მხოლოდ იმის მოხერხება, რომ პოლიტიკური მოსაზრებით, ფორმალური

---

<sup>1</sup> Ф. А. Рощтеин, указ. Соч. с. 183.

<sup>2</sup> Бисмарк, Мемуары железного канцлера, с. 411-416.

<sup>3</sup> 1868 წლის 14 ნოემბრიდან ავსტრიის იმპერიას ეწოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია (იარსება 1918 წლამდე).

პასუხისმგებლობა მისი გაჩაღებისათვის დააკისრო, გადააბრალო მოწინააღმდეგეს. ეს კი დიპლომატიური სიმარჯვისა და პოლიტიკური გაწაფულობის საქმეა, როცა მომენტი დადგება აუცილებლად უნდა იმოქმედო. ის როგორც კი მიიღებდა გადაწყვეტილებას, უკვე არასდროს არ ეჭვობდა, არც ყოყმანობდა. ნებისმიერი პოლიტიკა, წერდა ბისმარკი მოგვიანებით, უკეთესია ნებისმიერი დაყოვნების პოლიტიკაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის თავის პოლიტიკაში მიემართებოდა არსებული პირობებიდან თუ გარემოებებიდან გამომდინარე როგორც პირდაპირი, ისე შემოვლითი გზებით.

პრუსიის სედანთან გამარჯვების შემდეგ (1870 წლის 2 სექტემბერს) სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მათი ჩრდილოეთ გერმანიის კავშირში შესვლის თაობაზე. ასე შეიქმნა გერმანიის იმპერია, რომლის შემქმნელი იყო თვით ოტო ბისმარკი. 1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან სასახლეში საზეიმო ვითარებაში ვილჰელმ პირველი გამოცხადებულ იქნა გერმანიის იმპერატორად, ბისმარკმა კი მიიღო მემკვიდრე თავადის ტიტული, აგრეთვე მამული ფრიდრიხსრუმი<sup>1</sup>. 1871 წლის 16 აპრილს მიიღეს გერმანიის იმპერიის კონსტიტუცია, თვითონ ბისმარკი კი ღებულობს გერმანიის იმპერიის კანცლერის ტიტულს.

---

<sup>1</sup> ა. მენტეშაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 179.

ბისმარკი ყოველთვის მიისწრაფოდა თავს მოეხვია თავისი ნება-სურვილი, როგორც მოკავშირეებსა და თანამოაზრეებზე, ისე მოწინააღმდეგეებზე. მაგალითად მრავალი წლის განმავლობაში პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე და გერმანიის იმპერიის კანცლერად ყოფნისას, ბისმარკი არაერთხელ ჩაბმულა მწვავე კონფლიქტში თავის მონარქთან საშინაო, განსაკუთრებით კი საგარეო და სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით. თუ ის ვერ აღწევდა თავის მიზანს, მაშინ იმუქრებოდა გადადგომით, ხოლო ვილჰელმ პირველი, რომელმაც კარგად იცოდა ბისმარკის როგორც პლიტიკოსის ფასი, ხშირად მის მიმართ დათმობაზე მიდიოდა. მაგალითად, როცა ერთხელ ბისმარკი შეუძლოდ შეიქმნა, მან მართლა სთხოვა იმპერატორს თავისი გადადგომის შესახებ, მაგრამ ვილჰელმა უპასუხა: „თქვენი სახელი პრუსიის ისტორიაში უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოღვაწისა და მე იგი დავკარგო? -არასოდეს!“<sup>1</sup>.

ბისმარკს, რომელსაც კარგად ეხერხებოდა გაწაფულობისა და გაქნილობის მუქარასთან შეხამება, ყოველთვის პოულობდა გარკვეულ საშუალებებს და მიმართავდა ხერხს, რომ თავისი ნება-სურვილი მოეხვია პრუსიის ლანდტაგისა და გერმანიის რაიხსტრაგისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა ღონისძიებებს

---

<sup>1</sup> ა. მენტემაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 178.

სამხედრო ძალის გაძლიერებასთან დაკავშირებით და საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხებს. ოპოზიციას მანამ იტანდა და ითმენდა, სანამ ჩათვლიდა, რომ ის ხელს ვერ შეუშლიდა. საერთოდ კი ბისმარკი გააფრთხილებული ებრძოდა მათ, როგორც სოციალური ჯგუფებისა და ფენებისაგან არ უნდა ყოფილიყო ის შემდგარი: კონსერვატიულ-იუნკრული, ლიბერალურ-ბურჟუაზიული თუ კათოლიკურისაგან, თავისი მოულოდნელი პოლიტიკური თუ უბრალოდ პოლიციური დარტყმებით. მეორე მხრივ, ეკონომიკური დათმობებით ცალკეული ჯგუფებისადმი გაბატონებული კლასებიდან (იუნკერთა თუ წვრილ-ბურჟუაზიული), ანდა უბრალოდ მსხვილი ფულადი გასაკითხებით წახელმწიფო სახსრებიდან მას ხშირად შეჰქონდა არეულობა ოპოზიციის რიგებში, თიშავდა მათ, ანდა ერთ ნაწილს მიიმხრობდა, მეორეს კი იზოლაციაში აქცევდა.<sup>1</sup>

სიმკაცრესა და მანევრირებას ის ავლენდა არა მხოლოდ დიპლომატიაში, არამედ გაბატონებული კლასების სხვადასხვა სახის პოლიტიკური ძალების მიმართ, რომელთათვის იძულებული იყო ანგარიში გაეწია. ნებისმიერ შემთხვევაში ის ვერ ურიგდებოდა კანონპროექტთა ჩაგდებას, რომლებიც ინიცირებული იყო მთავრობის მიერ ლანდტაგში ან რაიხსტაგში განსახილველად. გარდა იმისა, რომელთაც ის

---

<sup>1</sup> А. С. Ерусалимский, Бисмарк : Дипломатия и Милитаризм, с. 34.

